საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

პ. ზაქარაია

# ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1965

72(C41)1
725.17(47.922)
ზ 391

ნაშრომი მიძღვნილია ნაქალაქარ ურბნისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ხუროთმოძღვრული ნაგებობებისადმი. ეს მეტად საინტერესო მასალა, რომელიც პირველად ქვეყნდება, ძირითადად მიეკუთვნება ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას. შრომაში წარმოდგენილია: საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვა ხასიათის ნაგებობანი. მოცემულია ქალაქის გამაგრების სისტემების აღდგენილი სახე. ამასთანავე, განხილულია საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება.

აქვე მონოგრაფიულადაა შესწავლილი განთქმული ურბნისის ბაზილიკა, რომლის აგებაც მიეკუთვნება V—VI სს. მიჯნას. ტაძრის შიგნით და გარეთ ჩატარებულმა სამუშაოებმა ბევრი ახალი მასალა გამოაჩინა.

ნაშრომში ცალკე თავადაა გამოყოფილი XVIII ს. დასაწყისში აგებული სამრეკლოს ორიგინალური ნაგებობა.

წიგნს ახლავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

# წინასიტყვაობა

ქართული არქიტექტურის ისტორიის ნაკლებად შესწავლილ მონაკვეთს წარმოადგენს ანტიკური და ადრეფეოდალური ხანა. ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსება შეუძლია ნაქალაქარ ურბნისში მონაპოვარ მასალას.

ნაქალაქარ ურბნისის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1953 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით და სისტემატური გათხრები წარმოებდა თორმეტი წლის განმავლობაში. გათხრების დაწყებამდე მიწის ზემოთ ჩანდა მხოლოდ ტაძარი და სამრეკლო. არქეოლოგიურმა შესწავლამ კი აღმოაჩინა რამდენიმე ისეთი ძეგლი, რომლის მსგავსიც ჩვენს ტერიტორიაზე მანამდე არ იყო ცნობილი.

წინამდებარე ნაშრომში თანმიმდევრობით განხილულია ქალაქის გამაგრების სისტემა, საცხოვრებელი, სამეურნეო და კომუნალური ხასიათის ნაგებობანი, ტაძარი, სამრეკლო და სხვ. ამ ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები მოქცეულია ჩვ. წ-მდე IV—III საუკუნეებსა და XVIII საუკუნეს შორის. მათ განხილვაში სირთულესა და სიძნელეებს ჰქმნის თვით ძეგლების ფრაგმენტალობა, ზოგჯერ მრავალი გადაკეთება და ამავე დროს ხშირად—ანალოგიების უქონლობაც. მიუხედავად ამისა, ამ სრულიად ახალი ძეგლების შეყვანა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შესამჩნევ სარგებლობას მოუტანს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეს.

# შესავალი

ანტიკური ხანის საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას თან სდევდა ქალაქების გაჩენაც. ურბნისი სწორედ ის ქალაქია, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პირველ ქალაქებს ეკუთვნის. ადრე თუ ვინმე ეჭვს გამოთქვამდა ისტორიული წყაროების მიმართ, სადაც აღნიშნული ქალაქებია დასახელებული, ახლა მათ სისწორეში ყველანი დარწმუნებულია. წყაროების ცნობებს ხორცი შეასხა და დამაჯერებელი გახადა უკანასკნელი 20—30-იანი წლების განმავლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა.

პირველად ურბნისს იხსენიებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სადაც ვკითხულობთ: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცივნა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი—ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაქე და ციხენი მათნი: ციხე დიდი—სარკინისა, უფლის ციხე—კასპისა, ურბნისისა და ოძრჴისა“[1].

ურბნისის აშენებას ლეონტი მროველი უფლოსს მიაწერს. მასთან ვკითხულობთ: „უფლოს... აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი...“[2] იქვე ეს მოვლენა დაკავშირებულია მცხეთის წარმოშობასთან და უშუალოდ მოსდევს დედაქალაქს.

შემდეგ იგივე ავტორი აღწერს ალექსანდრე მაკედონელის შემოსევას საქართველოში, მან აქ „პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლი: წუნდა, ხერთვსი მტკურისა, ოძრკე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჴოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანაკი, უბანი ღრიათა, და რუსთავი, და დედა ციხე სამშვლდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი...“[3]

მოყვანილი წერილობითი წყაროებით ურბნისი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკ. ქალაქია. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე მაკედონელის შემოსევა საქართველოში ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ უარყოფილია, თავისთავად აქ მოყვანილი ქალაქების არსებობა ფაქტადაა მიღებული, ეს აზრი გაზიარებულია აგრეთვე უკანასკნელი პერიოდის მკვლევარების მიერაც[4].

---

[1] ექ. თაყაიშვილი, მოქცევაჲ ქართლისაჲ, Описание рукописей, ტ. II, გვ. 708.

[2] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, 1955,/ გვ. 10.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17.

[4] Ш. А. Месхиа, Города и Городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 10, 17, 19; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 271, 439.

ცხადია, მკვლევართა ასეთ დაბეჯითებით მტკიცებაში საკმაო როლი მიუძღვის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს. კერძოდ, ეს შეეხება ურბნისსაც. ხანგრძლივმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა დიდძალი მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ურბნისი IV—VII სს. ჩვ. წ-მდე ქალაქია და საკმაოდ ძლიერიც[5].

ურბნისში ქალაქის წარმოშობას წინ უძღოდა ამ ადგილას ხანგრძლივი ცხოვრება. ურბნისის ტერიტორიაზე მდებარე შემაღლებაზე, ე. წ. ხიზანაანთ გორაზე, გათხრებით მიაკვლიეს ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარს. იქ არსებული მრავალი ფენა მოიცავს VII ათასწლეულს ჩვ. წ-მდე. ამ ნასახლართანაა დაკავშირებული ის მრავალი სამარხი, რომლებიც იქვე შორიახლოა ნაპოვნი. ასევე ბლომადაა ნაპოვნი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები ნაქალაქარის აღმოსავლეთ მონაკვეთში. მომდევნო ხანის ძეგლებსაც უწყვეტად იძლევა განათხარი მასალა. განსაკუთრებული სიმდიდრე შეიმჩნევა ჩვ. წ-მდე VI—V საუკუნეებიდან, როდესაც სხვა მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად მაღალი ხელოვნებით შექმნილი ოქროსა და ვერცხლის ნივთებია ნაპოვნი.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ურბნისი მდებარეობდა საქართველოს ისეთ ადგილას, სადაც კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ყველაზე თვალსაჩინო იყო.

ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ აღნიშნულ ხანაში საქართველოს გაცხოველებული ვაჭრობა ქონდა მეზობელ ქვეყნებთან, თუ შორს ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებთან. ერთ-ერთი დიდი გზა, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთს ურთიერთ აკავშირებდა, გადიოდა საქართველოს ცენტრში და მიჰყვებოდა მდ. მტკვარს. ამ ტერიტორიაზე წარმოშობილი პირველი ქალაქები სწორედ ამ გზის ანუ მტკვრის გაყოლებაზე მდებარეობს. ქალაქი ურბნისი კი მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმოცენდა.

ანტიკურ ხანაში რომ ქალაქი მეტად მდიდარი იყო, ამაზე არქეოლოგიური მონაცემები აშკარად მეტყველებს. იგი დასტურდება IV ს. დასაწყისისათვის. სამწუხაროდ, მატიანეებში მხოლოდ ერთი მომენტია, კერძოდ—წმ. ნინოს მოსვლაა აღწერილი. მცირეოდენი განსხვავებით ამ ამბავს ჰყვებიან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი ლეონტი მროველი[6] და ვახუშტი ბაგრატიონი[7].

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, წმ. ნინო გამოემართა ჯავახეთიდან მცხეთისკენ, გამოჰყვა კარგად მოვლილ, ხალხმრავალ გზას. შემდეგ იქვე ვკითხულობთ: „...მოვიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა... შევურევ სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა, ენისათჳს ებრაელებრისა და ვიყავ მუნ ერთი თთუჱ და განვიცადიდ ძალსა ამის ქუეყანისასა.

და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ—ღვთისა მათისა“[8].

---

[5] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964.

[6] ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 87—88.

[7] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამ., 1885, გვ. 60—61

[8] Опис., II, გვ. 750.

ამ ამონაწერში ყველაზე საინტერესოა ის ცნობა, რომელიც ლაპარაკობს ქალაქის მცხოვრებთა სიმრავლეზე. ისინი, როგორც ირკვევა, სხვა ახლომახლო ქალაქების მცხოვრებთა მსგავსად გარკვეულ დღეებში მიემგზავრებოდნენ იბერიის დედაქალაქში სავაჭროდ.

საყურადღებოა ისიც, რომ ქალაქ ურბნისში ყოფილა ებრაელთა უბანი. საფიქრებელია, თუ ებრაელთა უბანი იყო, იქნებოდა სხვა უბნებიც.

ლეონტი მროველის მიხედვით ნინოს მოსვლის მომენტში, ე. ი. ქრისტიანობის მიღებამდე, ურბნელები „...ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყუანის-ცემდეს"[9].

მომდევნო პერიოდზე ისტორიული ხასიათის ცნობები არ გვაქვს, მაგრამ მასზე კარგად მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები. ანტიკური ხანის ქალაქმა ცხოვრება განაგრძო შემდეგაც. მონათმფლობელური ეპოქა იცვლება ფეოდალურით, ქალაქი კიდევ ძლიერდება და მდიდრდება. V—VII სს. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს.

მაგრამ ბოლომდე ასე არ გაგრძელდა. საკმარისი შეიქნა ერთი გარეშე ძლიერი ბიძგი, რომ ქალაქი წელში გატეხილიყო. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონს ხელთ ჰქონია ისეთი ცნობა, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. იგი წერს: „მტკვრის კიდესა ზედა, არს უ რ ბ ნ ი ს ი. ალაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და ი ყ ო ქ ა ლ ა ქ ი ყ რ უ ს ა დ მ დ ე"[10] (ხაზი ჩვენია—პ. ზ.). სხვა წყაროებით ვიცით, რომ არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ 736-738 წწ. საქართველო დალაშქრა „და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი საზღვართა ქართლისათა"[11]. ეს დალაშქრა ურბნისსაც არ აცდენია: იგი გადაუწვავთ გადაუბუგავთ, რისი ნაშთიც ნაქალაქარის ყველა მონაკვეთში მოიპოვება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ალიზის კოშკოვანი ზღუდის დაწვა.

ზემომოყვანილის გარდა ქალაქზე სხვა ცნობები არ შემონახულა.

---

9 ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 87.

10 ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 78.

11 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 234.

## თავი პირველი

# ქალაქის გამაგრების სისტემა

გათხრების დაწყებისას მიწის ზემოთ არსებული, თვალსაჩინო მონაცემების მიხედვით, ქალაქის გამაგრების სისტემის მხოლოდ ერთი სახე ჩანდა. ეს იყო სამი მხრიდან ნაქალაქარზე შემორკალული თხრილი და მიწაყრილი ბექობი. გათხრებმა კი გამოავლინა მიწაყრილის მიერ დაფარული ალიზით ნაგები კოშკოვანი გალავანი. ამ სურათის დადგენა ერთბაშად არ მომხდარა. სისტემატურმა გათხრებმა თანამიმდევრულად გამოავლინა გამაგრების თავისებურებანი.

ქალაქი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა მხარეს. აქ მდინარის ნაპირი თითქმის შვეულია (ტაბ. I–III). 25—30 მ ასეთი ფლატე მტრისათვის ძნელად მისადგომი იქნებოდა; ამდენად ეს მხარე მეტ-ნაკლებად ბუნებრივად დაცული იყო. თვით ქალაქს, რადგანაც ვაკეზე მდებარეობდა, სხვა მხრიდან უფრო ძლიერი დაცვა ესაჭიროებოდა.

ქალაქი და მისი მომდევნო ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (მდინარისაკენ) მცირე ქანობით ეშვება. კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე 400 მ სიგანის ცენტრალურ მონაკვეთზე დაქანება 10 მ უახლოვდება. ქალაქის მთელ ფართობზე ერთადერთი შემაღლებაა, რომელსაც დღეს „ხიზანაანთ გორას" უწოდებენ[1].

მრავალჯერ გადამწვარი და განადგურებული ქალაქის კონტურები გათხრების დაწყებამდე შემდეგნაირად ჩანდა: მდინარის მხარეს ხელოვნური გამაგრების რაიმე კვალიც არ იყო. დანარჩენი სამი მხრიდან თხრილი ქალაქისათვის მშვილდისებრ იყო შემოვლებული (სურ. 1). თხრილის შიგნით ქალაქის შემომსაზღვრელი მიწაყრილის შემაღლება მხოლოდ დასავლეთ მონაკვეთში იყო შერჩენილი. შემდეგდროინდელ სოფელს ნაქალაქარზე მოუკავებია ცენტრალური და აღმოსავლეთის ნაწილი, დასავლეთით მდებარე მონაკვეთზე კი ტაბუ იყო დადებული[2]. ფაქტიურად ამ ტაბუმ გადაარჩინა ზღუდის ერთი მონაკვეთი და მიწის წიაღში არქეოლოგიური მასალა.

ექსპედიციის პირველ წელს (1953) მიწაყრილზე გატარებულმა ორმა საცდელმა თხრილმა (III და IV უბანი) გამოავლინა ამ ზღუდის ორფენიანობა— ზემოდან მიწა და შიგ ალიზის წყობა. მეორე კამპანიის დროს სხვა საკითხებს ვარკვევდით და ზღუდეს არ შევხებივართ, ხოლო მესამე კამპანიამ (1955) ერთ-

---

[1] უკანასკნელ პერიოდში ეს გორა ეკუთვნოდათ იქვე მცხოვრებ ხიზანიშვილებს, ამიტომაც მას „ხიზანაანთ გორას" უწოდებენ.

[2] ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემის ერთი ვარიანტით აქ თითქოს წმ. სტეფანეს ცხენის საჯირითოა (ურბნისის ტაძარი წმ. სტეფანეს სახელობისაა), მეორე ვარიანტით—კერპების ადგილია (ურბნისი კერპთა ქალაქი იყოო), ხოლო მესამე ვარიანტით—ებრაელთა უბანია. ძველად, მორწმუნე ურბნელს ამ სამივე ვარიანტისა ერთნაირად ეშინოდა და ამ უბანში არ სახ-
[illegible]



სურ. 1. ნაქალაქარის გეგმა გათხრების უბნების აღნიშვნით

ერთ მთავარ სამუშაოდ ზღუდე და მასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა დაისახა.

ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიწაყრილიდან მხოლოდ სამასი მეტრის სიგრძის მონაკვეთი იყო შერჩენილი. ამ მიწაყრილ-ბექობისათვის საიდანაც არ უნდა შეგვეხედათ, შეამჩნევდით თანაბარ ინტერვალზე განლაგებულ შემაღლებებს (ტაბ. I—II). შემაღლებების ცენტრები ერთმანეთისაგან დაცილებული იყო საშუალოდ 65 მ. საკითხის გარკვევისათვის საჭირო იყო რომელიმე შემაღლების მოსინჯვა. პირველ რიგში ასეთად ავირჩიეთ კარგად დაცული ერთ-ერთი შუათაგანი—სამხრეთიდან მესამე (უბანი XX). აქ აღმოჩენილი კოშკი შიგნიდან იმავე წელს გავწმინდეთ, ხოლო გარეთა სამუშაოები, სხვა სამუშაოებთან ერთად, მომდევნო წლებშიც მიმდინარეობდა[3].

იმავე წელს დავუბრუნდით IV უბნის კოშკის გაწმენდას და მოვასწარით მხოლოდ ერთი სადგომის გამოვლენა, ხოლო 1959 წელს მისი გათხრა დამთავრდა. ეს კოშკი წინა კოშკზე უფრო რთული და საინტერესო გამოდგა.

ზღუდის მესამე კოშკის გახსნას შევუდექით 1960 წ. კამპანიის დასაწყისშივე. ამჯერად, დარჩენილი კოშკებიდან, გასათხრელად ავირჩიეთ IV და XX უბნებს შორის მდებარე (უბ. XXXV). მისი გაწმენდა შიგნიდან იმავე წელს დამთავრდა (გარედან კი ხელი არ ვახლეთ, იგი გადავხურეთ და საექსპოზიციოდ გამოვყავით).

მე-4 კოშკი მდებარეობს XX უბნის მომდევნო ახლახან გაჰრილი სოფლის გზის ნაპირას. იქვე გვერდით ექსპედიციის მიერ პირველ წელს გავლებული საცდელი თხრილი გადიოდა (უბ. VII). ეს კოშკი ძალიან იყო დაზიანებული. არც თუ დიდი ხნის წინათ, მისი ზედა ნაწილი მოურღვევია იქვე მახლობლად მცხოვრებს. დარჩენილი ქვედა ნაწილი სწრაფად გაიწმინდა.

იმავე ხაზზე, რიგით მე-5 კოშკის გაწმენდას შევუდექით 1961 წელს. იგი სხვებისგან განსხვავდებოდა და შედარებით მარტივიც იყო, ამიტომ მისი გათხრაც დიდხანს არ გაგრძელებულა[4].

ქალაქის გალავანი, განხილული კოშკების გაგრძელებაზე, როგორც აღვნიშნეთ, არ შერჩენილა. მისი კვალის დასადგენად მრავალი სადაზვერვო თხრილი იქნა გავლებული ნაქალაქარის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ განაპირებზე. თხრილებმა სათანადო შედეგი გამოიღო.

ასევე, სადაზვერვო თხრილები გატარდა სამხრეთით მდინარის მხარეს. მათი ერთი ნაწილი უმნიშვნელო მონაცემების გამო სადაზვერვო სამუშაოებს არ გასცილებია, ხოლო ნაწილი კი გადაიქცა სტაციონარული გათხრების ადგილად და შესამჩნევი შედეგებიც გამოიღო. მთავარი ამათში „ხიზანაანთ გორაა“. საუკუნეების განმავლობაში აქ უნდა ყოფილიყო ქალაქის ციტადელი.

---

[3] ტაბულებზე წარმოდგენილი ფოტოების დიდი უმრავლესობა ჩემ მიერაა გადაღებული. ამასთანავე, გადაღებებს აწარმოებდნენ ექსპედიციის რაზმის უფროსები ალ. ჯავახიშვილი და ლ. ჭილაშვილი, რამდენიმე ფოტო კი ეკუთვნით ფოტოგრაფებს: ი. პახომოვს, ე. კვეესს, ი. დუბსონს და ი. გილგენდორფს.

ნაგებობათა აზომვებზე კი ჩემი ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს მუშაობდნენ არქიტექტორები: ა. ბაქრაძე, ფ. ქუფარაშვილი, ი. და გ. მარჯანიშვილები, ე. ცუხიშვილი და ლ. მეძმარიაშვილი. ნაშრომში წარმოდგენილი ნახაზებიც მათ მიერვეა შესრულებული.

[4] მომდევნო მე-6 კოშკი, რამდენიმე წლით ადრე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბულდოზერით მოანგრია და ადგილი მოასწორებინა.

ქვემოთ ძეგლების განხილვას გათხრების მსვლელობის მიხედვით (იგი უკვე ზემოთაა განხილული) შევუდგებით, მხოლოდ მხედველობაში გვექნება მიღებული მათი მნიშვნელობა და ადგილი ქალაქის გამაგრების სისტემაში.

ა) ციტადელი („ხიზანაანთ გორა", უბ. X). ნაქალაქარის ტერიტორიაზე ერთადერთ შემაღლებას „ხიზანაანთ გორა" წარმოადგენს (სურ. 1, ტაბ. V). გორა სამხრეთით კონცხივითაა მტკვრის ხეობაში შეჭრილი, რის გამოც იგი ბატონობს არა მარტო ნაქალაქარის ტერიტორიაზე, არამედ თვით ხეობაზეც. აქედან 10-15 კმ მანძილზე თავისუფლად შეიძლება ხეობის ორივე მხარის დაზვერვა. აღმოსავლეთით კარგად ჩანს გორის ციხე და „გორის ჯვარი" მომდევნო ტერიტორიით, ხოლო დასავლეთით—ქარელი, სამწევრისის ციხე და ღრმად—ხეობის სხვა ადგილები. ცხადია, ასეთი ადგილი მიიზიდავდა ყოველი დროის მცხოვრებს. და ამიტომაც ამ გორაზე ცხოვრების კვალი ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩანს. მასზე ცხოვრება შეწყვეტილა ქალაქის დანგრევასთან ერთად.

ამ შემაღლების სამხრეთ-დასავლეთის კუთხის გათხრა ჩვენი ექსპედიციის ჩასვლამდე ჩაატარა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა[5]. მომდევნო 1954 წელს ჩრდილოეთის მხარე ნაწილობრივ გავწმინდეთ, სადაც გამოჩნდა საფეხურისებრი კედელი. 1960 წელს შევუდექით ხიზანაანთ გორის მთლიან შესწავლას.

გორის ზედა ფენიდან ნახევარი მეტრის სისქის მიწის აღებისთანავე გამოჩნდა ნაცნობი სურათი: ალიზის კედლები შუაში ფხვიერი მიწით. თანდათანობით გაირკვა ნაგებობის კონტურები და მთლიანად გაწმენდის შემდეგ—გეგმაც (სურ. 2, 3, ტაბ. VI).

ამ დიდმა კოშკმა მეტად დაზიანებული სახით მოაღწია. პირველი დაზიანება მტრის ხელითაა მიყენებული. ქალაქთან ერთად კოშკიც დაუწვავთ და სანახევროდ დაუნგრევიათ. ამასთანავე, დროთა ვითარებაში ფერდობები ჩამორეცხილა, რის გამოც სამხრეთის ნაწილს ზედა ფენები გადასცლია.

ხანძრის შემდეგ, ქალაქის გალავანთან და კოშკებთან ერთად, აღნიშნული კოშკიც გამოსულა მწყობრიდან. მისი აღდგენა არ უცდიათ და, მთელ სისტემასთან ერთად, ესეც მიწით დაუფარავთ. მიწით დაფარვა ძალიან მალე მომხდარა, რადგანაც კოშკის შიგნით დამწვარი კოჭები და სხვა ნივთები ხელუხლებლად ეყარა; არც კი უცდიათ მათი გამოწმენდა.

კოშკის გეგმა, დაზიანების გამო, მთლიანად არ იკითხება. მეტ-ნაკლებად შეიძლება ხუთი სადგომის ამოკითხვა, მაგრამ დასავლეთის ბოლოში კიდევ უნდა ყოფილიყო ერთი ოთახი მაინც (გეგმაზე აღდგენილი სახით გვაქვს ნაჩვენები ეს მონაკვეთი). გადარჩენილის მიხედვით ირკვევა, რომ გორაკის რელიეფის შესატყვისად კოშკის გეგმაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დაგრძელებული. ამის მიხედვით კოშკის სადგომები თითქმის ერთ ხაზზეა განლაგებული. სამი მათგანი (2, 3 და 4) ვიწრო და გრძელია. იმავე ფარგლებში აღმოსავლეთის ბოლოს ორი სადგომია მოთავსებული. ერთი მათგანი (№ 5) სეგმენტური გეგმითაა, ხოლო მეორე (№ 6) ოთხკუთხა უნდა ყოფილიყო.

ამ ციტადელის კოშკს პირი სამხრეთით, მდინარისკენ ჰქონია. აქედანვე უნდა ყოფილიყო შესასვლელები ოთახებში (სურ. 3). დაზიანების გამო შესასვლელის კვალი შერჩენილია მხოლოდ მე-4 ოთახში. იმავე ოთახის მოპირდაპი-

5 სამწუხაროდ, გამთხრელმა ენეოლითური ფენების ძებნის დროს დააზიანა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ზედა ფენები (მათი ფიქსაციაც არ მომხდარა).



სურ. 2. ხიზანაანთ გორა. გეგმა.

რე კედელში საკმაოდ მოზრდილი სარკმლის ქვედა ნაწილია დარჩენილი (სურ. 3, ტაბ. VI₁). გალავანში ჩართული სხვა კოშკებისგან განსხვავებით ეს სარკმელი დაბლაა. როგორც ეტყობა, არ ეშინოდათ მტრის ისრის, რადგანაც კოშკი გორაკზე იდგა. გარდა ამისა, საფიქრებელია, რომ ციტადელს თავისი გალავანი ჰქონდა. თვით სარკმელი კი გარეთკენ თანდათანობით ვიწროვდება, ხოლო ქვედა ნაწილი საფეხურებით მაღლდება.

სხვა ოთახების სარკმლები არ ჩანს. მე-2 და მე-3 ოთახს სარკმლები თუ ჰქონდა, იგი მხოლოდ სამხრეთით უნდა ყოფილიყო, რადგან სხვა კედლები ადგილზეა და მანდ სარკმლები არ არის.

ჩვენ აქ კოშკი წარმოვადგინეთ აღდგენილი სახით, რამდენადაც ამის საშუალებას ფაქტიური მასალა იძლეოდა. ამასთანავე, გამოვიყენეთ ზღუდის კოშკების მაგალითიც.

შედარებით ჩრდილოეთის კედლის აღდგენა ადვილად ხდება, რადგანაც მე-4 ოთახში ფანჯრის გარეთა ხაზი იძლევა მის სისქეს. მასვე ეფარდება გაგრ-



სურ. 3. ხიზანაანთ გორა. ციტადელის გეგმა

ძელებებზე შერჩენილი კედლის კვალი. სამხრეთის კედლის სისქეც ანალოგიურადაა აღდგენილი. ოთახებიდან კი დამატებულია მხოლოდ პირველი (იგი ფიქსაციის გარეშე მოჭრილ იქნა გორის მუზეუმის გათხრების დროს ენეოლითური ფენის ძებნისას). მისი ფორმა კოშკის მოხაზულობამ გვიკარნახა (სურ. 3).

როგორც აღვნიშნეთ, კარი მხოლოდ მე-4 ოთახშია ნაწილობრივ შერჩენილი. მე-5 და მე-6 ოთახებს, ვფიქრობთ, ერთი შესასვლელი უნდა ჰქონოდა. ერთი შესასვლელი გავუკეთეთ აგრეთვე 1, მე-2 და მე-3 ოთახებსაც. ასეთი გადა-

წყვეტა მივიღეთ ზღუდის კოშკებზე დაკვირვებით. იქ ექვსოთახიან და ოროთახიან კოშკებსაც თითო შესასვლელი აქვს გარედან.

ზღუდის კოშკებში, რადგანაც ყველა ოთახს აქვს სარკმელი, აქაც ყველას გავუკეთეთ. გადაწყვეტა კი ყოველ კერძო შემთხვევაში განსხვავებული იყო.

კოშკის სადგომების სიმაღლე შერჩენილია 2,5 მ. დაზიანების გამო სიმაღლეს შეიძლება აკლდეს ერთი მეტრი ან ცოტათი მეტი. სხვა კოშკების მსგავსად აქაც გადახურვა ბანური იქნებოდა. შიდა კედლები კარგად იყო შელესილი (ტაბ. VI). ყველგან ეტყობა ძლიერი ხანძრის კვალი. მე-4 ოთახში ბლომად ეყარა დამწვარი ხორბალიც. ეს ოთახი საერთოდ გამოირჩევა სხვებისაგან. ფანჯრის ქვემოთ და მარჯვნივ საკმაოდ მოზრდილი ფართობია შემაღლებული. მისი დანიშნულება არ ირკვევა. შემაღლების წინ მარჯვენა კედლის გაყოლებაზე იატაკში ჩადგმული იყო ერთი ქვევრი და ორი დერგი. იქვე ნაპოვნი იყო მინის მოზრდილი ჭურჭელი და კერამიკული ფრაგმენტები. ქვევრი ნაქალაქარის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილის მაგვარი იყო.

კოშკის ოთახების გამყოფი კედლები სქელია, განსაკუთრებით სქლად გამოიყურება ჩრდილოეთით მდებარე. კედლის გარეთა ხაზი მოშლილია; დგინდება, რომ მისი სისქე სამი მეტრი ყოფილა. ალიზის კედელს ჩრდილოეთიდან ქვაფენილი გასდევს (სურ. 3).

გორაკის ჩრდილოეთის ფერდობი ნაწილობრივ გაითხარა ჯერ კიდევ 1954 წ. გათხრის შედეგად გაირკვა, რომ ფერდობს მოჰყვებოდა შეიდიოდე მეტრის სიგრძეზე საფეხურისებრი კედელი (სურ. 2, 6. ტაბ. VIII₁). საფეხურები შედგებოდა მცირედ ფორმამიცემულ ოთხკუთხა ქვებისაგან. ამ რვა საფეხურის ზემოთ დაშენებული იყო ალიზის კედელი, რომელიც შემორჩა 2-2,5 მ სიმაღლეზე. ამჟამად ძნელია თქმა იმისა, თუ რა მანძილზე გაუყვებოდა ასეთი საფეხურებიანი კედელი გორაკს. საფიქრებელია, რომ იგი გორაკს ქალაქის მხარეს მთლიანად შემოუყვებოდა. როგორც ეტყობა, ქვის საფეხურები ამაგრებდა თვით ფერდობს და ამავე დროს იგი წარმოადგენდა საყრდენს ალიზის კედლისათვის (სურ. 2). თვით ალიზის კედელი კი ციტადელის შიდა ზღუდე უნდა ყოფილიყო. ეს კედელი, ალბათ, ირგვლივ უვლიდა გორაკს. სამხრეთით გამავალი ქალაქის ზღუდე კი ცოტათი ქვემოთ უნდა ყოფილიყო. ის მხარე გორაკისა ჩამოშლილია. ეტყობა, არც თუ ცოტა ნაწილია მტკვარში ჩაცვენილი (ამ მიდამოებში მდინარეს ჩრდილოეთით გაწევის ტენდენცია აქვს, რის გამოც, დიდ მანძილზე ფერდობის ნაპირები ჩამორეცხილია). ციტადელის ამ გალავანსა და კოშკს შორის ქვაფენილიანი ვიწრო გასავლელი ყოფილა. ციტადელის საფეხურებიანი კედლის გაწმენდის დროს ზემოდან ჩნდებოდა მხოლოდ ადრეფეოდალური ხანის ნივთები.

აღნიშნული ალიზის კედლისა და ქვაფენილის მიხედვით ციტადელს აღვუდგინეთ საკუთარი გალავანი (იხ. გეგმა). ქალაქისგან ციტადელის გამოყოფა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია.

ალიზის კოშკის დროის სხვა ნაგებობა აქ არ აღმოჩენილა. სხვა ხასიათის არქეოლოგიური აღმოჩენებიდან აღსანიშნავია კოშკის თანადროული რამდენიმე ქვევრის მიკვლევა გორაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში. მსგავსი ქვევრები ბლომად აღმოჩნდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე ადრეფეოდალური პერიოდის ნასახლარში. სხვა მონაპოვარიდან საინტერესოა იმავე ეპოქის კერამიკული და მინის ჭურჭლების ნამტვრევები, სამფრთიანი ისრისწვერი და სხვ.

განხილული ადრეფეოდალური ფენის ფიქსაციის შემდეგ ალიზის კოშკი მთლიანად მოვხსენით. სამწუხაროდ, მის ქვემოთ არ აღმოჩნდა მთლიანობაში მყოფი რომელიმე ერთი ქრონოლოგიური ფენა.

ალიზის კოშკის კედლების დაშლისას მეტად საინტერესო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი. მე-2 და მე-3 ოთახს შორის არსებულ კედელში, იატაკიდან დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა 10 ც. სასანური ვერცხლის დრაქმა. გაწმენდის შედეგად შვიდი მონეტა (საინვ. №№ 11053—11060) კარგად გაირკვა[*]. აქედან ორი მონეტა ეკუთვნოდა ფეროზს (458—488 წწ.), ოთხი მონეტა—კავად I (488—531 წწ.) და ოთხი ხოსრო I (531—579 წწ.).

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ციტადელის ალიზის კოშკი აგებულია VI საუკუნის შუა ხანებში. საფიქრებელია, რომ იგი არ აცდება ხოსრო I მეფობის ხანას (იმავე საუკუნის 90-იანი წლებიდან ხოსრო II მონეტებია გავრცელებული, როგორც სხვაგან, ისე ურბნისშიც).

ალიზის კოშკის დაშლის დროს მისი ჩრდილოეთის კედლის ქვემოთ აღმოჩნდა ქვიტკირის კედელი (სურ. 4). ამ მასიური კედლის მხოლოდ ფრაგმენტია გადარჩენილი, ამიტომ გეგმის მოხაზულობაც კი არ დგინდება. კედლის ფრაგმენტი თხუთმეტიოდე მეტრის სიგრძეზეა დარჩენილი. მის ორივე ბოლოზე, დაახლოებით ათ-ათ მეტრზე, კიდევ შეიძლებოდა კვალის დადგენა. შემდეგ ამ სიმაღლეზე გორაც აღარაა. თუ გეგმის მოხაზულობას წარმოდგენით გავაგრძელებთ, გორის დიდი ნაწილია სამხრეთით ჩამონგრეული. კედელს ჩრდილოეთიდან სხვადასხვა ზომის სამი კონტრფორსი ამაგრებდა—თვით კედელი კი ორი მეტრის სისქისაა და საშუალო სიმკვრივის კირის დუღაბზეა ნაგები. კედლის წყობა ძირითადად ფლეთილი ქვითაა, მაგრამ ურევია რიყისქვა და აგურიც კი, უფრო დიდი ქვა კედელს ორივე მხარეს გასდევს, შიგნით უფრო წვრილი ქვაა გამოყენებული (ტაბ. VII₂). აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წყობაში საკმაოდაა გამოყენებული დიდი ზომის ქვა, რომელიც მანამდე სხვა შენობას ეკუთვნოდა. ორი მათგანი თითქოს კაპიტელებად იყო ნახმარი. ერთ მათგანზე უწესრიგოდ გავლებული ღარებია. ამ ქვას წესიერი ფორმა არა აქვს და თუ რას წარმოადგენდა, ძნელი სათქმელია. კედელში მცირედ გამოყენებული აგური, აბანოში გამოყენებული აგურის მსგავსად (იხ. ქვემოთ, გვ. 69), სხვადასხვა ზომისაა (20×20×5; 21×21×3,5; 20×20×4; 28×13,5×4,5; 34×21×3; 26,5×24×5; 28×33×5 სმ და სხვ.). აგური კარგადაა გამომწვარი, მაგრამ ზოგიერთი დეფორმირებულია. ეს აგურიც მეორედაა გამოყენებული, რის გამოც ნატეხებიც ურევია. როგორც ეტყობა ამ ქვიტკირის კედლის აგებამდე დიდი ნგრევა მომხდარა ურბნისში. შენობის მასშტაბზე ახალ კედელში ჩაყოლებული ფრაგმენტები მეტყველებს.

კედლის დანიშნულების ზუსტად დადგენა ძნელია. ამჟამად კედლის ნაშთის სიმაღლე ერთ მეტრს ცოტათი აღემატება. ცხადია, მისი სიმაღლე გაცილებით მეტი იქნებოდა. ასეთი სქელი კედელი მძლავრი კონტრფორსებით, მხოლოდ დიდი მასშტაბის ნაგებობაზე მიგვითითებს. ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს ციტადელის კედელი. მართალია, მისი ზუსტად დათარიღება ძნელია, თუმცა იგი ექცევა ზედა ალიზის ფენას ქვეშ. ალიზის ფენა კი თავისთავად VI საუკუნით თარიღდება. ქვიტკირის კედლის ქვემოთ მდებარე ფენაში კი გვიანანტი-

[*] მონეტების განსაზღვრა ეკუთვნის პროფ. დ. კაპანაძეს.

კური ხანის მასალა ურევია. სხვა ნიშნებითაც ქვიტკირის კედელი უფრო IV—V საუკუნეებით თარიღდება.

იქვე მოთავსებულ გეგმაზე ხაზით ნაჩვენებია არსებული კედელი, ხოლო პუნქტირით—აღდგენილი (სურ. 4). აღდგენა, ცხადია, პირობითია, რადგანაც მონაცემები ცოტაა. ციტადელს ექნებოდა შესასვლელიც. იგი მოვათავსეთ ქალაქის მთავარი შემოსასვლელის მხარეს. საფიქრებელია, რომ ამ კედლის შიგნით მდგარიყო კოშკი ან კოშკური სახლი.

ქვიტკირის კედლის აყრის შემდეგ გამოჩნდა უფრო დაზიანებული ფენა. ამ, რიგით მესამე, ფენამ სრულიად განსხვავებული მასალა მოგვცა. ეს იყო ნა-



სურ. 4. ხიზანაანთ გორა. ქვიტკირის კედელი

ხანძრალი ფენა. როგორც ეტყობა, მტრის ძლიერმა ხანძარმა გადაბუგა ნაგებობანი. ხანძრის არაჩვეულებრივი ძალის ილუსტრაციას წარმოადგენდა მთლიანად გამომწვარი სამი მეტრის სისქის კედელი დამდნარი რიყისქვით.

ეს სამშენებლო ფენა თითქმის ორი კამპანიის განმავლობაში ითხრებოდა. სასურველი შედეგი მაინც ვერ მივიღეთ, რადგან მტრის ხელს ცოტა რამ გადარჩენია. და რაც გადაურჩა, ის მომდევნო პერიოდის მშენებლებს დაუზიანებიათ. ამ უზარმაზარი ნაგებობიდან სულ მცირე ფრაგმენტია დარჩენილი გორაკის აღმოსავლეთის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 5).

დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით აქ მდგარა დიდი ზომის ნაგებობა, რომლის განიერი კიბეები მოემართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მას სამხრეთით განიერი კედელი (2,75 სმ) მიუყვება, ხოლო ჩრდილოეთით კიბის გვერდით კედელი არ ყოფილა. აქეთ, კარგად არ ირკვევა, მაგრამ ეტყობა პანდუსის მსგავსი გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო. კიბეზე და პანდუსზე ეყარა უამრავლი კრამიტი და დანახშირებული კოჭები. იქვე, დანახშირებულ ხეებთან

ბლომად იყო სქელი და ათიოდე სანტიმეტრის სისქის მქონე ლურსმნის მაგვარი ნივთი. გარდა ამისა, საკმაოდაა ნაპოვნი 25—30 სმ სიგრძისა და საშუალოდ 2 სმ დიამეტრის მქონე რკინის სამაგრები. მათ ერთი ბოლო სწორი აქვთ, ხოლო მეორე—მოღუნული და წვეტიანი. კოჭების, ლურსმნებისა და სამაგრების ზომები თავისთავად დიდი ზომის ნაგებობაზე მიგვითითებს.

რაც შეეხება თვით კიბეს, ისიც საგულდაგულოდაა ნაგები. თითოეული საფეხური სიგანით 60—65 სმ, ხოლო სიგრძით—2,80 მ. საფეხურის სიმაღლე 15 სმ-მდეა (სურ. 5, 6, ტაბ. $VIII_2$, $IX_1$). ეს საფეხურები ტკეპნილი თიხისაა, ამიტომ გამძლეობის მისაცემად ხის ჩარჩოებშია ჩამჯდარი. კიბეს გვერდებზე



სურ. 5. ხიზანაანთ გორა. ანტიკური ნაგებობის გეგმა

მიუყვებოდა სანახევროდ გათლილი კოჭები. უფრო წვრილი კოჭებით კი საფეხურების წინა პირია დამაგრებული. ასეთი ფორმები ამოვსებულია წვრილი კენჭებიანი თიხით და შემდეგ მოლესილია ისევ თიხის მკვრივი ხსნარით. გათხრისას ხის კონსტრუქცია დამწვარი დაგვხვდა, მაგრამ რადგანაც აქ ხანძრის შემდეგ ნახშირითა და მიწით ყველაფერი დაფარული იყო, ამიტომ საფეხურები კარგად ჩანდა (ტაბ. $VIII_2$).

სამხრეთიდან კიბის შემომსაზღვრელი კედელი, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის სამი მეტრის სიგანისაა. იგი გორაკის ძირიდან ზემოთ მიემართებოდა, ამიტომ სპეციალური ხერხითაა ნაგები (ტაბ. IX,X). კედლის ფრაგმენტი თხუთმეტიოდე მეტრზეა შერჩენილი. მისი ქვედა ნაწილის კედლისათვის, იქ, სადაც მეტია აღმართი, სპეციალურად მოუმზადებიათ ნიადაგი. აღმართზე შექმნილია სხვადასხვა ზომის საფეხური, რომლებზედაც დაწყობილია ფლეთილი ქვები[7]. გაგრძელებაზე, სადაც აღმართი ნელდება, იქ უკვე საფეხურები კი არ არის

[7] აღმართზე საფეხურების შექმნისა და ამ საფეხურების ქვებით მოსწორების ტრადიცია საერთოდ ანტიკურ ეპოქაში მიღებული ყოფილა. ალიზის კედლისათვის ასე იყო საფუძველი

არამედ კედლის განაპირებზე დაწყობილია დიდი ზომის ფლეთილი ქვები, მათ შორის ადგილი კი ამოვსებულია რიყისქვით. ზემოთაც გრძელდება ნახევარი მეტრის სიმაღლეზე რიყისქვის წყობა თიხის ხსნარზე. შემდეგ კი ალიზია დაწყობილი (ალიზის ზომაა: 45×45×10; 47×47×10; 48×48×10; 48×23×10 სმ). კიბის მხარეს ეს კედელი კარგად იყო შელესილი ისევ თიხის ხსნარით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს უზარმაზარი კედელი ხანძრისგან ისე იყო გამომწვარი, რომ რიყისქვა არა მარტო დამსკდარა, არამედ დამდნარა და დაღვენთილა.



სურ. 6. ხიზანაანთ გორა. განაკვეთი 5—5

ნაგებობის ნანგრევებში საკმაოდ ბევრია გადახურვის ხის კონსტრუქციის დამწვარი ნაშთები. მათში გარეული იყო კრამიტის ნატეხები. როგორც ეტყობა, შემდგომი მშენებლობის დროს ქვედა ფენები არ გაუწმენდიათ.

ნანგრევებში ერთმანეთში არეული იყო ბრტყელი და ღარიანი აგურის ფრაგმენტები, რაც უშუალოდ მიგვითითებს ორივე ფორმის თანაბრად გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ნატეხი იქნა ნაპოვნი, მაინც არ აღსდგა რამდენიმე კრამიტის მეტი. რესტავრატორთა წინასწარი მუშაობის შედეგად აღსდგა სამი ღარიანი კრამიტი და ორი ბრტყელი კი—სანახევროდ.

ბრტყელი კრამიტი დიდი ზომისაა და მასიური (ზომაა: სიგრძე 43, გვერდი 7 სმ; სიგრძე 47, გვერდი 8 სმ); გამომწვარია კარგად, მკვრივი თიხისაგან და მთლიანად ვარდისფერი გადაჰკრავს. ყალიბში ჭდომის გამო ფორმები მკვეთრია (სურ. 7, 8).

აღდგენილი ღარიანი კრამიტებიდან ორი თითქმის ერთნაირია (ზომა: № 1-63, 4285, სიგრძე 41 სმ, ვიწრო მხარე—18, განიერი მხარე—21, სიმაღლე განიერი მხრიდან 9 სმ; მეორე კრამიტი: № 1-62, 4078, სიგრძე 41 სმ, ვიწრო მხარე—20, განიერი მხარე—23, სიმაღლე განიერი მხრიდან 10 სმ). მესამე კი მკვეთრად განსხვავდება მათგან არა მარტო ზომებით, არამედ ფორმითაც (ზომა: სიგრძე 54 სმ, ვიწრო ბოლო—18, განიერი ბოლო—26, სიმაღლე განიერი მხრიდან—13 სმ).

პირველი ორი ღარიანი კრამიტი კარგი თიხისაგანაა და თხელი კედლები აქვს. გამომწვარიც კარგადაა. ქიმი ერთს თითქოს ცილინდრული აქვს, მეორეს კი—ოდნავ ბრტყელი. მესამე კრამიტს ქიმი არა აქვს (სურ. 8).

---

მომზადებული, მაგ. არმაზციხეში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ საფეხურებისათვის თლილი ქვა იყო გამოყენებული (იხ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963, გვ. 42). ასევე ყოფილა გადაწყვეტილი უფლისციხის აღმოსავლეთის გალავანიც (Н. Ч у б и н а ш в и л и, Уплисцихе, 1961, გვ. 11).

ხიზანაანთ გორაზე ანტიკურ ფენაში ალმოჩენილი კრამიტები წერნაქითაა დაფარული. სალებავი მოწითალო ფერისაა. იგი მხოლოდ სახურავზე დაწყობის შემდეგ გამოსაჩენ ადგილზეა წასმული. კრამიტის ასეთი სახით შეღებვა არა მარტო ურბნისისათვის, არამედ იმ დროის ანტიკური კრამიტისათვის საერთოდ ყოფილა დამახასიათებელი. კერძოდ, ასეთი კრამიტი მცხეთაში გვხვდება IV—III საუკუნეებამდე[8]. ხიზანაანთ გორის აღნიშნული ნაგებობის არქეოლოგიური მასალაც დაახლოებით იმავე დროზე მიუთითებს.



სურ. 7. კრამიტები ხიზანაანთ გორის ანტიკური ფენიდან.

ზემოაღწერილი კიბის სამხრეთით სათავსო ყოფილა. მისგან ძალიან მცირე ნაწილია შერჩენილი. მის კუთხეში ხუთი ქვევრი მდგარა. ქვევრები სხვადასხვა ზომისაა (სურ. 6, ტაბ. IX$_1$). ყველაზე დიდი, სიმაღლით ერთ მეტრს ცოტათი აღემატება. ქვევრი, როგორც დამუშავებით ისე ფორმით დიდად გან-

---

[8] ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 68—74.

სხვაედება, ქალაქის ტერიტორიაზე და იქვე გორაკის ჩრდილო ფერდობზე მიკვლეული ადრეფეოდალური ხანის ქვევრებისაგან.

განხილული შენობის კიბისა და კედლის ნაშთების მასშტაბს თუ წარმოვიდგენთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გორა მოკავებული ჰქონია დიდი ზომის ნაგებობას. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს კიბე, რომელიც სამი მეტრის სიგანისაა. გორის რელიეფს თუ დავაკვირდებით, კიბე საკმაოდ გრძელი ყოფილა. შერჩენილ 18 საფეხურს კიდევ ამდენივე უნდა დაემატოს. საერთო ჯამში კიბე, რომლის სიგრძე 20—25 მ და სიგანე 3 მ, უეჭველად, საზეიმო ხასიათს ატარებდა. შენობაც ამის მიხედვით გრანდიოზული წარმოგვიდგება. რა იდგა აქ, სასახლე ქალაქის მპყრობელისა თუ წარმართული ტაძარი? ზუსტი პასუ-



სურ. 8. კრამიტები ხიზანაანთ გორის ანტიკური ფენიდან

ხის გაცემა ამჟამად შეუძლებელია სათანადო მასალების უქონლობის გამო. ის რაც ჩვენამდე მოვიდა, მეტად მცირე ნაწილია თავდაპირველი ნაგებობისა. სამწუხაროდ, ჩვენს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები და გარეშე ანალოგიებიც ხელმოსაკიდს არაფერს იძლევა.

განხილული შენობის დათარიღება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მოპოვებული არქეოლოგიური მასალით. აქ უფრო ხელმოსაკიდია კერამიკა, რომელიც საკმაოდ ბლომადაა. მათი ანალოგიები იქვე ურბნისში და სხვაგანაც მოგვეპოვება. ეს მასალა თარიღდება IV—III სს. ჩვ. წ-მდე. იმავე ეპოქაზე მიუთითებს იქვე ნაპოვნი ლითონის მასალაც.

განხილული ფენის ქვეშ აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. სამწუხაროდ, იგი ძალიან დაზიანებულია, თანაც გათხრები ჯერ დამთავრებული არ არის[9].

არსებული მასალების მიხედვით წინასწარ შეიძლება ვთქვათ, რომ გორა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. შენობები და მათ შიგნით აღმოჩენილი კერამიკული თუ სხვა არქეოლოგიური მასალა დიდ მსგავსებას იჩენს იქვე მახლობლად ორიოდე კილომეტრზე მდებარე ამავე ექსპედიციის მიერ გათხრილი „ქვაცხელების" მასალასთან[10]. ორივეგან რთული და ხანგრძლივი ცხოვრების კვალი ჩანს. წინასწარული სახით ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის დათარიღება შესაძლებელია III ათასეულის შუა ხანით.

**ბ) ადრეფეოდალური ხანის ქალაქის ზღუდე.** ქალაქის ზღუდის შესწავლას სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კოშკიდან დავიწყებთ და დანარჩენს თანმიმდევრულად წარმოვადგენთ.

პ ი რ ვ ე ლ ი  კ ო შ კ ი (უ ბ ა ნ ი IV). ეს კოშკი, როგორც საპასუხისმგებლო ადგილას მდგარი, დიდია. ამ მასიურ კოშკში სხვადასხვა დანიშნულების ექვსი ოთახია, რის გამოც იგი ისე მცირედ კი არ გამოდის ზღუდიდან, როგორც წინა კოშკი, არამედ დიდად. ამჟამად ნახევრად დაქცეულ კოშკში ეს ისე არ შეიმჩნევა, მაგრამ თავის დროზე იგი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას მოახდენდა (ტაბ. XI).

კოშკს ერთადერთი შესასვლელი ქალაქის მხრიდან აქვს (სურ. 9). კარიდან ვხვდებით გრძელ ოთახში, რომელიც განმანაწილებელ-ვესტიბიულის როლს ასრულებდა. ვესტიბიულის მარცხენა კუთხიდან კიბე ადის ბანზე. მარჯვენა კარით ოთახში შევდივართ, ხოლო პირდაპირ მდებარე კარს დარბაზში შევყევართ.

დარბაზს კოშკის ცენტრალური ნაწილი უჭირავს. მის მარცხენა კედელში ორი კარია ცალკეულ ოთახებში შესასვლელი, ხოლო მარჯვნივ—ერთია.

კოშკი, წინა კოშკის მსგავსად, ნახანძრალი იყო. ხანძარსა და მტრის ხელს დაურღვევია კოშკის ზედა ნაწილი და დასავლეთის მხარე. კოშკის აღმოსავლეთ ნაწილში კედლები სიმაღლით 3—3,5 მ-დეა შერჩენილი, დასავლეთის ნაწილში კი იატაკს ზემოთ კედელი ზოგან ნახევარ მეტრამდეა. ასეთი დაზიანების გამო კოშკი მთლიანად ვერ იკითხება.

კოშკის პარადულ ნაწილს ცენტრალური დარბაზი წარმოადგენს. დიდი დარბაზი გრძელია. შემოსასვლელის პირდაპირ ღრმა ნიშაა, რომელსაც თაღოვანი გადახურვა ჰქონია. კოშკის დათვალიერების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ნიშა ციხისთავის ან გარნიზონის უფროსის საჯდომი იყო, ხოლო თვით დარბაზი—მისაღები (სურ. 10, 12, ტაბ. XII).

დარბაზის მარჯვნივ მდებარე კარით შეიძლება მოვხვდეთ მცირე ზომის სეგმენტურ ოთახში (სურ. 9) ამ ოთახის გარე მორკალულ კედელში, იატაკი-

[9] განზრახულია ამ გორას საერთოდ მიეძღვნას სპეციალური გამოკვლევა.

[10] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, თბილისი, 1962, გვ. 58—59.

დან ერთი მეტრის სიმაღლეზე, განლაგებულია სამი სამზერი. ეს სამზერები სხვადასხვა მხარესაა მიმართული. შუაში, მაღლა მოთავსებულია სარკმელი. ეს სარკმელი კოშკის გარეთა კედელში, ე. ი. ზღუდის გარეთ მდებარეობს.




სურ. 9. კოშკი 1. გეგმა

სხვა კოშკებში ზღუდის ავტორი სხვანაირად იქცევა. მას როდესაც ხელს არაფერი უშლის, ფანჯარას მხოლოდ ეზოსკენ აკეთებს. ასე იქცევა იგი ამ კოშკის იმ ნაწილშიც, რომელიც ქალაქისკენ მდებარეობს; დანარჩენ ოთახებს კი იძულებულია ფანჯარა გარეთა კედლებში განულაგოს.




სურ. 10. კოშკი 1. განაკვეთი III—III

დარბაზის მარცხნივ მდებარე ოთახებიდან ბოლო ისევ სეგმენტურია, ხოლო მეორე — მოგრძო ოთხკუთხაა (სურ. 9). ორივეგან გარეთა კედლების ნაშ-

თია გადარჩენილი, ამიტომ არ ჩანს იყო თუ არა მათში სამზერები და ფანჯრები. სხვა ოთახების მსგავსად სამზერები და სარკმლები აქაც გარეთა კედლებში იქნებოდა განლაგებული. სარკმელი აუცილებლად უნდა ჰქონოდა აგრეთვე დარბაზს ნიშის არეში. არაა გამორიცხული, რომ აქეე ყოფილიყო სამზერებიც.

დარბაზის მარცხენა აღწერილი ოთახებიდან ოთხკუთხა ოთახი საცხოვრებლის იერს ატარებს. ამასაც აქვს ისრული თაღით გადახურული ღრმა ნიშა, რომელსაც იატაკზე საფეხურები შემოუყვება (სურ. 9, 11, ტაბ. XII$_3$). შესაძლოა აქ საწოლი იყო მოწყობილი. ამავე ოთახის კარის პირდაპირ ქვებით შემოსაზღვრული კერაა.

ვესტიბიულის მარჯვნივ მდებარე ოთახს ტრაპეციისმაგვარი გეგმა აქვს (სურ. 9). იგი თითქმის ზღუდესა და სხვა ოთახებს შუაა მოთავსებული, ამიტომ მისი კედელი ზღუდის გარეთ მხოლოდ ერთ მეტრზე გადის. სწორედ ამ მონაკვეთშია მოთავსებული ოთახის ერთადერთი სამზერი. აქედან ხდებოდა ზღუდის გარეთა ხაზისა და მომდევნო კოშკის მისადგომის დაზვერვა. კოშკის სამხრეთ კედელში, ქვემოთ, თაღით გადახურული მცირე ზომის ნიშაა. მას სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ოთახი ნათდებოდა აღმოსავლეთით მდებარე სარკმლით.

ვესტიბიულში, შესასვლელის პირდაპირ, თონეა. აქვეა კიბე, რომელიც ზღუდის კედლის გავლით მიემართება ბანზე (ტაბ. XIII$_2$). ანალოგიური გადაწყვეტაა სხვა კოშკებშიც. მათთან განსხვავებით აქ უშუალოდ კიბის წინ კერაც უნდა ყოფილიყო.




სურ. 11. კოშკი 1. განაკვეთი II—II

სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციების მხრივ ეს კოშკი რამდენადმე რთულია სხვა კოშკებზე. კედლები ნაგებია ალიზის აგურით, სადაც ჭარბობს 47×47×10 ზომის აგური, არის აგრეთვე 46×46×10, 48×48×11 ზომისა. აგურში სიმაგრისათვის ყოველთვის ბზე ურევია. ალიზი ნაწყობია თიხის ხსნარზე, რომელთა შრე საშუალოდ 1—2 სმ, ვერტიკალურ შრეებში გვხვდება მეტიც. კედლები შელესილი ყოფილა ისევ თიხით. ეს ბათქაშიც ბზენარევია.

კარ-სარკმლები გადახურულია ისრული ფორმის თაღებით, მხოლოდ მათ არა აქვთ ერთნაირი ფორმა. ზოგი მათგანი შემართულია, ზოგი კი—დამჯდარი (სურ. 10, 11, ტაბ. XIII$_1$, XIV$_1$). თაღის წყობის ტექნიკა ისეთივეა, როგორც სხვა კოშკებში.

კარ-სარკმლების თაღებთან განსხვავებით, დიდი ნიშების გადამხური თაღები სხვა ტექნიკითაა ნაწყობი. დარბაზისა და დასავლეთით მდებარე ოთა-

ნის დიდი ნიშებიდან უკეთ იყო შერჩენილი ეს უკანასკნელი. განიერი და ღრმა ნიშა (სიღრმე 1,2 მ, სიგანე 2,6 მ) გადახურულია შეისრული თაღით (მთლიანად მოლებულია კარგი პროპორციის ნიშა). ნიშის გვერდის ალიზები თუ ჩვეულებრივად ჰორიზონტულად აწყვია, ნორმალური იქნებოდა წყობის ასე გაგრძელება, როგორც ეს ხდება დღესაც და, იქვე, ადრე აგებულ აბანოშია გამოყენებული, მაგრამ მშენებელი ასე არ მოქცეულა. მას ნიშის მთელ სიღრმეზე თაღის აგურები გვერდებზე დაუყენებია და ამიტომ პირველი პირი ჩანს ფართო სიბრტყით (სურ. 11, ტაბ. XIIე). თაღისა და საერთოდ ოთახის შელესვის შემდეგ კი ეს არ გამოჩნდებოდა, კონსტრუქცია დაიმალებოდა. საერთოდ უნდა აღენიშნოთ, რომ თაღებზე ასეთი წყობის გამოყენება არ არის ახალი. მას მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ ირანში, იყენებდნენ პირველი საუკუნეებიდან[11].



სურ. 12. კოშკი 1. დარბაზის ინტერიერის რეკონსტრუქცია

კოშკის გადახურვა არაა შერჩენილი; ყველა ოთახში ეყარა დამწვარი კოჭები. უშუალოდ კოჭების ზემოთ ხშირად შეიმჩნეოდა ტკეპნილი თიხა, რაც ბანურ გადახურვაზე მიგვითითებს. სხვანაირი გადახურვა ძნელი წარმოსადგენია, რადგან კოშკს უნდა ჰქონოდა საბრძოლო ბანი (ამავე აზრის გასამტკიცებ-

[11] Всеобщая история архитектуры, М., 1959, გვ. 282—283, ნახ. 257.

ლად გამოდგება კოშკების ნანგრევებში კრამიტის ნატეხის უქონლობა. ქალაქის სახლების ნანგრევებში, სადაც სახურავად კრამიტი იყო გამოყენებული, მის ფრაგმენტებსაც ბლომად ვპოულობთ).

კოშკის ფასადის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე უკეთაა შერჩენილი (სურ. 13, ტაბ. XI₂). აქ ზღუდისა და კოშკის კუთხე სიმაღლით ხუთ მეტრამდეა. კოშკის კედლები ალიზისავე საძირკველს ეყრდნობა, რომელიც კედლიდან 25 სმ გამოშვერილი. თვით ზღუდეს ასეთი საძირკველი არა აქვს, იგი უშუალოდ ყამირზე ეყრდნობა, ხოლო კოშკის საძირკველი ზღუდესთან იწყება და თანდათანობით ღრმავდება, რაც ადგილის რელიეფით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საძირკველმა ადგილის დაქანება გამოასწორა და კოშკის კედელი უკვე ჰორიზონტულად დააყენა (შესაძლოა, კედლის ეს გამოწევა ცოკოლის როლსაც ასრულებდა).

ფასადის შერჩენილ ნაწილში ჩანს ერთ ჰორიზონტზე განლაგებული ოთხი სამზერი და მაღლა—სარკმელი (იგი ანათებს სეგმენტურ ოთახს). კოშკისა და ზღუდის კედლები გარედან შელესილი იყო.




სურ. 13. კოშკი 1. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი

კოშკის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, საძირკვლის ზედაპირიდან ორმოციოდე სანტიმეტრის ქვემოთ, აღმოჩნდა ბავშვის სამარხი, რომელიც თავისთავად აგურის ყუთს წარმოადგენდა. ჩონჩხი ცუდად იყო შენახული. ერთგან დანახშირებული ტანსაცმლის მცირე ნაწილი იყო შერჩენილი. მიცვალებული ორიენტირებული იყო აღმოსავლეთით. მას არავითარი ინვენტარი არ გააჩნდა. სამარხის ტიპის მიხედვით იგი ადრექრისტიანული ხანისა ჩანს (ამ ტიპის სამარხები ვნახეთ ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე სამაროვანზე, უბ. VI). სამარხი, იქვე ნაპოვნ ორმოსამარხებთან ერთად, ნაწილია იმ სამაროვნისა, რომელიც მდებარეობდა ქალაქის დასავლეთ მონაკვეთში ალიზის ზღუდის წარმოშობამდე.

კოშკისთვის ხანძრის შემდეგ ხელი არ უხლიათ. კოჰები როგორც ჩამოცვივდა, იმავე მდგომარეობაში ელაგა. დარბაზის ნიშში და მის წინ დამწვარი ბზეც ისევ ხელუხლებლად იყო. იმავე მდგომარეობაში ვნახეთ კოშკში თონე და კერამიკული ჭურჭლებიც.

მ ე ო რ ე  კ ო შ კ ი (უ ბ ა ნ ი  XXXV). როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარე მიწაყრილ-ბექობს ეტყობოდა ტალღისებურება.

ამ შემაღლების გათხრით ორი კოშკი გამოჩნდა. რის შემდეგაც ჩვენთვის საიდუმლოებას უკვე აღარ წარმოადგენდა ბექობზე არსებული შემაღლებანი. ადრეული ზღუდის ერთიანი სურათის წარმოსადგენად გათხრილ ორ კოშკს შორის არსებული შემაღლება ავირჩიეთ. აქ გათხრა სხვანაირად ვაწარმოეთ. საჭირო იყო პირველი და მეორე პერიოდის ფენების ზუსტი გამიჯვნა და კონსტრუქციების დადგენა.




სურ. 14. კოშკი 2. გეგმა

შემაღლების ქედზე ნაყარი მიწის, სისქით თითქმის ერთ მეტრამდე, აღების შემდეგ გამოჩნდა თიხატკეპნილი. მისი სისქე საშუალოდ 50—60 სმ იყო. მის ქვემოთ მდებარეობდა ერთიანი მოედანი, რომელსაც ქმნიდა ალიზის წყობის 7—8 რიგი. მოედანს ირგვლივ მოჰყვებოდა შემაღლება ალიზის 3—4 რიგით მოზელილი თიხის ფენის დასამაგრებლად (სურ. 34, ტაბ. $XV_1$).

ზემოაღნიშნული სამი ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა ოროთახიანი კოშკის მოხაზულობა. კოშკი მიწით იყო ამოვსებული. მის ამოწმენდისას ბლომად გამოჩნდა დამწვარი კოჭები. კედლებს კი ძლიერი ხანძრის კვალი ამჩნევია.

კოშკში და მის ზემოთ მდებარე ფენები განვიხილეთ თხრის პროცესის მიხედვით ზემოდან ქვემოთ, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ კოშკის კონსერვაციას ისე როგორც ეს თავის დროზე ხდებოდა, ასეთი სურათი იქნებოდა (სურ. 34): ხანძრის შედეგად კოშკის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ იგი არავის გამოუწმენდია, ისე ამოუვსიათ მიწით. კოშკის დანგრეული ზედა ნაწილები მოუხსნიათ და კედლები ერთ დონეზე დაუყენებიათ. ამ დონემდე, როდესაც ირგვლივ მიწა მოაყარეს და შიგნითაც გაავსეს, დააწყვეს 7—8 ფენა ალიზი (ტაბ. $XV_1$) და ზემოდან დაასხეს მოზელილი თიხა, რომელიც მეტად მკვრივია. როდესაც მიაღწიეს კოშკის საიმედო კონსერვაციას, გააგრძელეს ზემოდან მიწის დაყრა.

კოშკის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ იგი მსგავსია წინა წლებში გათხრილი XX უბნის კოშკისა. ისინი მხოლოდ დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

კოშკი ზღუდის გარეთ ცილინდრული ფორმით გამოდის, შიგნით (ქალაქისკენ) ზღუდის ხაზი არ ირღვევა. კოშკი ორი სეგმენტური სადგომისაგან შედ-



სურ. 15. კოშკი 2. ხედი სამხრეთიდან (ნახ. არქ. გ. მარჯანიშვილისა)

გება და ურთიერთ დაკავშირებულია ერთი მეტრის სიგანის მქონე გასასვლელით (სურ. 14, 15). თითქმის ასეთივე სიგანის ერთადერთი შემოსასვლელი კოშკი მოთავსებულია მარცხენა სადგომის კუთხეში. ამ შემოსასვლელით კოშკი მხოლოდ ქალაქს უკავშირდება. იქვე მარცხნივ იწყება კედლის კიბე, რომელიც კოშკის ბანზე ადიოდა. ამ კიბის კუთხეში მოწყობილი თონე კერად გამოიყენებოდა.

კოშკის ორივე სადგომში სამ-სამი სამზერია დატანებული. ისინი გარეთა კედლებში ისე რადიალურადაა განლაგებული, რომ დაუზვერავი არე არ რჩება. ყოველი სადგომის სამზერებს, რადგანაც ერთადაა თავმოყრილი, თითო მცველი ემსახურებოდა. პირველი სადგომის სამზერების წინ 25 სმ სიმაღლეზე ბაქანია შექმნილი (სურ. 18, ტაბ. XVა, XVII). იგი მზვერავის წამოსაწოლი უნდა იყოს (ამ შემაღლებაზე ნაპოვნი იყო 10—15 სმ სისქის დამწვარი ბზე).

პირველი ოთახის ქალაქისკენ მდებარე კედლის ქვედა ნაწილში მცირე ნიშაა მოთავსებული (სურ. 16, 17, ტაბ. XVI). მას თაღოვანი გადახურვა აქვს. ნიშის იატაკი ოთახისკენ დაქანებულია და თანაც საკმაოდაა გამოშვერილი. მისი იატაკი მცირე შემაღლებით ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი.

დიდ მონაკვეთს ფილები აქვს დაგებული, მეორე კი მოლესილია. ნიშას სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

მეორე ოთახის კუთხეში აბაზანის მაგვარი შემაღლებაა. მასაც ალიზის კედლები აქვს (სურ. 16). მისი გარეთა სიმაღლე 60 სმ, შიდა სიღრმე კი 30 სმ. შიგნით იგი მცირე ლილვით ორ თითქმის კვადრატულ მონაკვეთადაა გაყოფილი. მისი დანიშნულებაც არ ირკვევა. წყლის შესანახავად იგი არ გამოდგებოდა,



სურ. 16. კოშკი 2. ინტერიერის დეტალები

რადგან ალიზითაა ნაგები და თიხით ამოლესილია. მის ზემოთ, კოშკის ორივე კედელზე, ჩარჭობილი ყოფილა 4—5 სმ დიამეტრის მქონე ჯოხი. შესაძლოა, მათზე დამაგრებულიყო ის ტილო, რომლითაც დაიფარებოდა ეს ოთხკუთხედი. მასში კი შეეძლოთ შეენახათ სანოვაგე (კოშკის მცველებისათვის), თავდაცვისათვის საჭირო იარაღები, თუ სხვადასხვა მასალა. ანალოგიური გადაწყვეტაა III უბნის კოშკშიც, მხოლოდ იქ უფრო მარტივია.

კოშკის სადგომები განათებას ღებულობდნენ ქალაქისკენ მდებარე თითო სარკმლით (სურ. 15, ტაბ. XVI). სარკმლები, სხვა კოშკების მსგავსად, ზემოთკენ ვიწროვდება, მაგრამ დამთავრება არც ერთს არა აქვს. კოშკის კედლები სამი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ჩვენი ვარაუდით ჰერამდე კიდევ ერთი მეტრი მაინც აკლია. სარკმლების გადახურვა, ისე, როგორც ეს XX უბანზე იყო, შეისრული უნდა ყოფილიყო. ასეთ ფორმას ზლუდის არქიტექტორი იყენებს ყველა კოშკის კარებზე.

კოშკი, სხვა კოშკების მსგავსად, გადახურული ყოფილა ბანურად. გადახურვა ეყრდნობოდა ხის კოჭებს, რომლებიც ხანძრის დროს დამწვარა და შიგ ჩაცვენილა. ეს დამწვარი და გარუჯული კოჭები სხვადასხვა მდგომარეობაში ბლომად იყო ნაპოვნი.

ბანზე ამავალი კიბის უჯრედი გადახურული იყო ცილინდრული კამარით და ნაგები—ალიზით.



სურ. 17. კოშკი 2. ინტერიერის რეკონსტრუქცია

კოშკის ალიზის კედლები აქაც თიხის ხსნარითაა შელესილი. ძლიერი ხანძრის კვალი კედლებსაც კარგად ეტყობოდა. იმავე ხანძრის მიერაა დამწვარი ის ხის ჯოხები, რომლებიც კედლებში ჩარჭობილია დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე. მათ გამოიყენებდნენ ტანსაცმლის, თუ სხვადასხვა ნივთის ჩამოსაკიდად.

მ ე ს ა მ ე  კ ო შ კ ი (უ ბ ა ნ ი X X). მიწაყრილის მომდევნო მოკვერცხლილი შემაღლების წვერზე საცდელი თხრილი გავავლეთ. თხრილში პირველივე დღეებში გამოვლინდა რთული სურათი. 50—70 სმ ქვეშ აღმოჩნდა დუღაბიეთ მაგარი მოზელილი თიხა. ეს ფენა 70-80 სმ სისქისა იყო, რის შემდეგაც დაიწყო ალიზის წყობა, ალიზის სამი-ოთხი ფენის აღების შემდეგ განაკვეთი უფრო გართულდა: შუაში ფხვიერი მიწა ამოდიოდა, ბოლოებში კი—ალიზი. ამის შემდეგ შევუდექით თხრილის გაფართოვებას. საბოლოოდ მალე დადგინდა ზღუდის ორფენიანობა; მიწაყრილის შიგნით—ალიზის კოშკოვანი კედლის არსებობა.

კოშკის შიგნიდან და გარედან გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ფორტიფიკაციული ნაგებობის ახალი სახე, რომელსაც საქართველოში ჯერჯერობით ანა-



სურ. 18. კოშკი 2. ინტერიერის რეკონსტრუქცია

ლოგია არა აქვს (ეს იყო პირველი კოშკი, რომელიც ჩვენ გავთხარეთ. ფაქტიურად აქ გაიხსნა მიწაყრილისა და ზღუდის საიდუმლოება).

კოშკი ქალაქის კედელთან კონსტრუქციულად ერთ მთლიანს წარმოადგენს და ერთიანად ნაგებია ალიზით. ალიზში ბზე საკმაო ბლომად ურევია. ფორმით ალიზი ძირითადად კვადრატულია, მაგრამ აქა-იქ ურევია აგურიც. კვადრატული ფორმის აგურში ჭარბობს 47 და 48 სმ ზომის, რომლებიც სისქით 10 ან 11 სმ. შემაკავშირებლად გამოყენებულია მოზელილი თიხა. შრეების სისქე საშუალოდ 1,5—2 სმ.

გალავნის გარეთ კოშკი ნახევარწრედ გამოდის. ამ შემთხვევაში წრე არ არის ზუსტი, იგი თითქმის ოდნავ დაჭყლეტილია. თანაც, გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ კოშკი მთლიანად გარედან კი არ არის მიდგმული ზღუდის კედელზე, არამედ კედელშია შესული (სურ. 19). მაგალითად, კოშკებს შორის გალავანი სიგანით თუ 4,5 მ, კოშკის არეში მხოლოდ 3 მ. ასეთივე სისქისაა კოშკის

გარეთა კედლებიც. ასეთი გადაწყვეტა თავისთავად ხუროთმოძღვრის სწორ გააზრებაზე მიგვითითებს.



სურ. 19. კოშკი 3. გეგმა

კოშკის გაწმენდისას აღმოჩნდა, რომ იგი ხანძრისგანაა დანგრეული. ნახანძრალი ეტყობოდა არა მარტო დამწვარ ხის კოჭებს, არამედ კედლებსაც, ძლიერი ხანძრის შედეგად კედლებზე ნალესობა გაშავებულა, ხოლო იქ სადაც ნალესობა ჩამოცვენილი იყო, ალიზის კედლების ზედაპირი გაწითლებულა.



სურ. 20. კოშკი 3. განაკვეთი II—II

ხანძრის დროს შიგ რაც იყო ყველაფერი დამწვარა. ბანური გადახურვა, დამწვარ კოჭებთან ერთად, ჩაქცეულა. გარუჯული და დამწვარი ხეები კოშკის შიგნით ბლომად ეყარა. კოჭების ნაწილი მიწაზე იდო, ნაწილი კი ერთი ბოლოთი იყო გადმოკიდული ან კედლებზე მიყუდებული. როგორც ეტყობა, ხანძრის შემდეგ კოშკები არ გამოუწმენდიათ, არამედ ისევეა დატოვებული და შემდეგში სცგანგებოდ ამოვსებული.

კოშკი შიგნით, ორი მეტრის სისქის მქონე კედლით, ორადაა გაყოფილი, რითაც იქმნება სეგმენტური გეგმის მქონე სადგომები. ამ სადგომებიდან პირველი მეორეზე შესამჩნევად დიდია. ასეთი გადაწყვეტა შემთხვევითი არ არის, რადგან პირველი, ძირითადი ფუნქციის გარდა, განმანაწილებელ-ვესტიბიულის როლსაც ასრულებს. აქვეა კოშკში ქალაქიდან ერთადერთი შემოსასვლელი და იმავე კუთხეში იწყება ბანზე ასასვლელიც.

კოშკს გადახურვა არ შერჩენია, მაგრამ ამოწმენდის დროს, როგორც აღვნიშნეთ, კარგად ჩანდა დამწვარი კოჭები და მათი განლაგებაც კი. კოჭები განლაგებული ყოფილა შუა კედელზე დაყრდნობით, ე. ი. ზღუდის მიმართულებით. უფრო წვრილი ხეები დაწყობილი იყო საპირისპირო მიმართულებით, რის ზემოთაც ბანის ტკეპნილი თიხა იქნებოდა.

კოშკის შიდა სადგომები გათვალისწინებული ყოფილა გარნიზონის სამყოფად, საზვერავად და სხვა, ხოლო თავდაცვა და მტრის მოგერიება ხდებოდა ბანიდან.




სურ. 21. კოშკი 3. განაკვეთი III—III

კოშკის გარეთა კედლებში სამზერები განლაგებულია რადიალურად და იატაკის ზემოთ ერთ მეტრზე მდებარეობენ (სურ. 19, 20). სამზერები შიგნიდან სიმაღლით საშუალოდ 45—50 სმ, სიგანით—25—30 სმ. ხვრელები გარეთკენ ჰორიზონტულად მიემართება, ხოლო გვერდებიდან ოდნავ ვიწროვდება. სამზერი პირველ ოთახში ოთხია, მეორეში—სამი. ისინი ნახევარწრიული კოშკის კედლებში ისეა განლაგებული, რომ დაზვერვა ხდება მთელ ფრონტზე. განაპირა სამზერები კი თითქმის ზღუდის პარალელურებია. მათი დახმარებით; ერთი მხრივ, გვერდითი კოშკების მდგომარეობას იგებდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ათვალიერებდნენ ზღუდის მისადგომებს. ამრიგად, გარეთა სივრცე მთლიანად მზერის ორბიტში იყო.

კოშკის პირველ ოთახში, სამზერების წინ, ფართო, ტახტივით 25—30 სმ ალიზისავე შემაღლებაა. ეს „ტახტი“ ღამით მცველების წამოსაწოლი უნდა ყოფილიყო

ბანზე ასასვლელი კედლის კიბე შემოსასვლელის მარცხნივ მდებარეობს. კიბე ჯერ პირდაპირ მიდის, შემდეგ მარჯვნივ უხვევს და წრიულ კედელს მიჰყვება (სურ. 19, 20, 22, ტაბ. $XX_2$). ამ კიბით ბანზე ადიოდნენ მზვერავები და მებრძოლებიც.

ქალაქიდან შემოსასვლელის პირდაპირ, ბანზე ასასვლელის კუთხეში, მოზრდილი თონეა ჩადგმული. თონე სპეციალური დანიშნულებისა იყო. მტრის გარემოცვის შემთხვევაში თონეში გაჩაღებულ ცეცხლზე აადუღებდნენ ფისს, წყალს და სხვა სითხეს. ბანზე ასასვლელის კუთხეში იგი იმიტომ იდგა, რომ ცხელი სითხე ქვემოდან ზემოთ სწრაფად მიეწოდებინათ. სხვა შემთხვევებში კი მას გამოიყენებდნენ კერად.

კოშკის ოთახები კარით ერთდებოდა. განათება ორივე ოთახს ეზოსკენ მდებარე თითო სარკმლიდან ჰქონდა.

კოშკის კარ-სარკმლები ისრული თაღებითაა გადახურული (სურ. 21, 22, ტაბ. XX). სარკმლები ვიწროა და ორი აგურის ერთმანეთზე მიყრდნობით ადვილად იხურება. შეერთების ადგილას სპეციალური აგური კლიტეს ჰქმნის. უფრო რთულია კარების გადახურვა, რადგან გასავლელები ერთი მეტრისა და ცოტა მეტი სიგანისაა. მშენებლებს გამოუყენებიათ გაბედული კონსტრუქცია. სიბრტყეზე ალიზის ორი რიგის დალაგებით ისრული თაღია მიღებული. შუაში კი კლიტედ სპეციალურად დამზადებული ალიზია გამოყენებული. ალიზის ასე ბრტყლად დალაგება სახიფათოა, რადგან შეიძლება იგი ჩამოვარდეს არა მარტო ზედა წყობის დაწოლით, არამედ თავისთავადაც, რადგან მას არაფერი იკავებს გარდა ხსნარისა. ასეთი კონსტრუქციის გამოყენება მშენებლების დიდ გამოცდილებაზე მიუთითებს. ჩვენ ზუსტად არ ვიცით კოშკი და მასთან ერთად კარები რამდენ ხანს იყო მოქმედებაში, ხოლო ამოვსების შემდეგ ამ თაღებმა ჩვენამდე კარგად მოაღწია.



სურ. 22. კოშკი 3. განაკვეთი I—I

კოშკის ამოვსების დროს სამივე კარი ერთნაირად არ ამოუქოლიათ. მაგალითად, ოთახებს შორის შემაერთებელი კარის ორივე მხარეს ალიზის ერთი რიგით კედლები იყო ამოყვანილი, ხოლო მათ შორის ადგილი ამოუვსიათ მიწით (ტაბ. $XX_1$). ამის შემდეგ, ახალი კედლების ორივე პირი შეულესიათ (შელესვისას რაიმე ხელსაწყო არ არის ნახმარი, არამედ ხელითაა გადალესილი, რის გამოც თითების მოძრაობის კვალი კარგად ემჩნევა). რაც შეეხება შემოსასვლელსა და ბანზე ასასვლელს, ისინი არ ამოუშენებიათ, ისე ამოუვსიათ.

თაღების გარდა მშენებლებს კამარაც აქვთ გამოყენებული. ბანზე ასასვლელი კიბის უჯრედი გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით. კამარის




სურ. 23. კოშკი 3. ჩრდილოეთის ფასადი

მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. აქ ალიზის აგურები დალაგებული იყო სიმაღლეზე. ასე რომ, აგურები ერთმანეთზე სიბრტყეებითაა მიწყობილი. ასეთ შემთხვევაში აგურების გამოვარდნა მოსალოდნელი არ იყო.

მშენებლებს რომ დაცვის ყველა მომენტი კარგად ჰქონიათ გათვლილი, ამისი ერთი დამამტკიცებელი სარკმლის გადაწყვეტაცაა. სარკმლის ძირი შიგნიდან იწყება კაცის სიმაღლეზე და შემდეგ საფეხურებით ზემოთკენ ადის (სურ. 22). ცხრა საფეხურით ერთი მეტრით მაღლდება სარკმლის გარეთა პირი. ასეთ პროფილის მქონე სარკმელში, თუ მტრის ისარი შემოვიდოდა იგი მოხვდებოდა ჭერს, რითაც დაცული იქნებოდა კოშკში მყოფი მეომარი. გარდა ამისა, თვით სარკმელი შიგნითკენ განიერდება, რითაც ხდება სინათლის გავრცელება. ამ ხერხმა, როგორც კარგად ცნობილია, შუა საუკუნეების არქიტექტურაში დიდი გავრცელება ჰპოვა.

კოშკი ორივე მხრიდან კარგად ყოფილა შელესილი. შიდა შელესვა ხანძრისგან დამწვარ ადგილებზე გაწითლებული ან გაშავებული იყო, ხოლო სადაც ალი არ მოსდებია, იქ ჩვეულებრივი თიხის ფერი ჰქონდა. შიდა კედლების ნალესობის სისქე ერთ სანტიმეტრს არ აღემატება, გარედან კი სქელია, თითქმის 2—3 სმ. ეს გასაგებიცაა, რადგან გარეთა ნალესობას ევალებოდა ატმოსფერული ნალექებისაგან ალიზის კედლების დაცვა.

კოშკისა და ზღუდის თავდაპირველი სიმაღლე ზუსტად არ ირკვევა ზედა ნაწილის მორღვევის გამო. ამჟამად, ალიზის კედლები შიგნიდან 3,5 მ სიმაღლისაა. გარედან დაახლოებით იატაკის დონეზე იწყებოდა ცოკოლი, რომელიც მიწაში ჩადიოდა და იმავე დროს საძირკველსაც წარმოადგენდა. ამ შეერილი ნაწილის სიმაღლე თითქმის სამ მეტრამდეა (სურ. 23, ტაბ. XIX).

მ ე ო თ ხ ე კ ო შ კ ი (უ ბ ა ნ ი III). კოშკი მდებარეობს იმავე ხაზზე, ახლანდელი გზის მარჯვენა ნაპირას. იგი ზღუდის დასავლეთ მონაკვეთში, მტკვრიდან მოყოლებული მეოთხეა. სამწუხაროდ, კოშკი ჩვენ მიერ გათხრილი კოშკებიდან ყველაზე მეტადაა დაზიანებული. მისი ზედა ნაწილი, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მოსახლეს მოუშლია. გარეთა კედელი სამ მეტრამდეა შერჩენილი, ქალაქისკენ მდებარე კი უფრო მეტადაა დაზიანებული (სურ. 24, ტაბ. XXI$_1$).

კოშკი ტიპით ისეთივეა, როგორიც XX და XXXV უბნების კოშკები. ისინი მხოლოდ დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ მოკლედ აღვწერთ.

გეგმის ნახევარწრიულ ფორმაშიც ორი სადგომია მოთავსებული. კოშკს შესასვლელი მარცხენა ოთახის კუთხიდან აქვს. პირველი ოთახი, როგორც სხვაგან, მეორეზე დიდი და რთულია. შემოსასვლელის კუთხიდან იწყება კიბე, რომელიც ბანზე და გალავნის საბრძოლო ბილიკზე ადის. შემოსასვლელის პირდაპირ ისევ თონეა. იგი იატაკზე მაღლაა და შემოლესილია 20 სმ სისქის თიხით. სხვა კოშკების ანალოგიური თონეების მსგავსად, ბლომად იყო ნაცარი და ნახშირი.

ორივე სადგომის გარეთა კედელში სამ-სამი სამზერია მოწყობილი. მეორე სადგომის სამზერების წინ ცარიელი ადგილია, პირველ სადგომში კი საკმაოდ რთული სურათია. ალიზის კოშკში ალიზისავე მასალით გაკეთებულია შემაღლებანი (სურ. 25, 26, ტაბ. XXI). სამი ერთნაირი, საჯდომივით შემაღლება მოთავსებულია სამზერების წინ, ხოლო მეოთხე (უფრო თხელი) მათ წინაა. ისინი სისქით 20—25 სმ, სიმაღლით—40 სმ. თითოეული მათგანი კედელთანაა

დაკავშირებული და კარგადაა შელესილი. მათი დანიშნულების დადგენა ძნელია. ისინი საჯდომებს კი მოგვაგონებს, მაგრამ მუდმივ სახმარად თიხის საჯდომი არ გამოდგებოდა. უფრო მაღალი, განიერი და გარკვეულ ფორმას მოკლე-




სურ. 24. კოშკი 4. გეგმა

ბული შვერილია თონის მარჯვნივ (უფრო წესიერი ფორმის შვერილი იყო XXXV უბნის-კოშკში, ისევ თონის გვერდით). იქვე, ოთახის შუაზე, მცირედ პანდუსივითაა აწეული და გვერდზე კვადრატული შემაღლებაა.




სურ. 25. კოშკი 4. განაკვეთი I—I

კოშკის მეორე ნაწილში მხოლოდ სწორკუთხა მინაშენია მარჯვენა კუთხეში (სურ. 24). ეს აბაზანის მაგვარი მინაშენი XXXV უბანზე მიკვლეული მინაშენის მსგავსია ზოგადად, მაგრამ ეს იმაზე მარტივი და პატარაცაა.

მ ე ხ უ თ ე  კ ო შ კ ი  მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ს III უბნის მომდევნო შემაღლებაზე. საუკუნეებს გადარჩენილი ზღუდის ნაწილში ეს იყო უკანასკნელი კოშკი.

გათხრების პირველივე დღეებში ცხადი გახდა, რომ ეს კოშკი გამოირჩეოდა სხვებისაგან. ფაქტიურად იგი არცაა კოშკი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩატარებულმა გათხრებმა ყველა კითხვაზე პასუხი როდი მოგვცა. საბოლოოდ ასეთი სურათი წარმოგვიდგა: კოშკის ქვედა ნაწილი სხვა კოშკებში თუ 2—3 მ სიმაღლეზე ალიზით ამოყვანილ მასივს წარმოადგენდა, აქ მასივის სიმაღლე 4 მ აღემატებოდა (ტაბ. XXIII₁). ამ ერთიან მასაზე 80 სმ სიმაღლეზე დაუსხამთ დუღაბივით მკვრივი, მოზელილი თიხა. ამას მოსდევს ალიზის აგურის ერთი ფენა, რის შემდეგაც მოხაზულია ისეთივე ორსადგომიანი კოშკი, როგორიც ზემოგანხილული ოთხი კოშკიდან სამ შემთხვევაში ენახეთ. აღნიშნული ალიზის ერთი ფენის შემდეგ კოშკის კედლები ამოყვანილია 70 სმ სიმაღლეზე თიხატკეპნილით, რის შემდეგ ისევ ალიზის კედელი მისდევდა. მისგან შერჩენილია 2—3 ფენა. კოშკის სადგომებს შორის გამყოფი კედელი, სისქით 1,9 მ, ამოყვანილია მთლიანად ალიზით. საერთოდ კოშკში ნახმარი ალიზი ზომით სხვა კოშკების მსგავსია (46×46×11; 48×48×12 სმ), მაგრამ არის გამონაკლისებიც (40×46; 44×46; 44×44; 51×51 სმ).



სურ. 26. კოშკი 4. ხედი სამხრეთიდან (ნახ. არქ. გ. მარჯანიშვილისა)

არც ერთი ჩვენ მიერ გათხრილი კოშკი ასე მაღლა არ იწყებოდა. თანაც, დანარჩენის კედლები მხოლოდ ალიზისა იყო. ამ კოშკის გარეთა კედლები თითქმის 1,5 მ სიმაღლემდეა შერჩენილი, შესასვლელი კი არსად ჩანს. სადგომებს შორის მდებარე კედელში კარია.

კოშკს გამოყენების კვალი არ ეტყობა. სხვა კოშკებში ყველაფერი მათ ხანგრძლივ გამოყენებაზე მიუთითებდა. ზემოთ აღნიშნული კოშკები თუ ხან-

ძარმა გამოიყვანა მწყობრიდან, აქ ხანძრის კვალი აბსოლუტურად არ ჩანდა. ასე რომ, როგორც ირკვევა, კოშკის მშენებლობა დაუწყიათ და შემდეგ იგი მშენებლობის პროცესშივე ამოუვსიათ.

კოშკს მხოლოდ ერთი დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა: იგი ბანიდან ქალაქის დაცვას მოემსახურებოდა. ციხის კედელსა და კოშკის ბანს, საბრძოლო ბილიკის სახით, დაცვის ერთიანი ხაზი აკავშირებდა. ამ საერთო ხაზში იქნებოდა ჩართული ეს კოშკიც.

სამწუხაროდ, ქალაქის ზღუდის დანარჩენი ნაწილი დანგრეულია, რაც არ გვაძლევს საშუალებას შევამოწმოთ—ერთადერთი იყო ეს კოშკი, თუ კიდევ იყო მსგავსი. გათხრილი ნაწილის მიხედვით ეს შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს.

**ზღუდის სხვა ადგილები.** მართალია, ზღუდის ხაზის გაგრძელებაზე ზღუდე მოშლილი იყო, მაგრამ ნაშთების ძებნა აუცილებელი იყო. დასადგენი გვქონდა, თუ როგორ შემოფარგლავდა ზღუდე ქალაქს. ცხადია, იგი გრძელდებოდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მშვილდისებრ მორკალული თხრილის კონცენტრულად. ამ მიზნით ყველგან, იქ სადაც თავისუფალი ადგილი იყო, გავავლეთ საცდელი თხრილები, რადგან ეს მხარე მჭიდროდაა დასახლებული, ამიტომ მოხერხდა მხოლოდ შვიდი თხრილის გავლება. ამ თხრილებიდან ოთხში დადასტურდა ალიზის კედლის არსებობა, დანარჩენში კი გვიან ნასახლარებს წავაწყდით. თხრილებში შერჩენილი ალიზების რიგი ოთხიდან ათამდე იყო. ზოგან თხრილში ზღუდის მხოლოდ კედელი იყო აღმოჩენილი, ზოგან კი ალიზის წყობა 9—10 მ სიგანეზე ვრცელდებოდა (ტბ. XXV). ცხადია, ასეთ ადგილებში კი კოშკები უნდა მდგარიყო. ალიზის ზომები ისეთივეა, როგორც დასავლეთ მონაკვეთში (კვადრატული აგურის ზომაა 47 და 48 სმ, ხოლო სისქე 10, 11 სმ), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ალიზის კოშკოვანი ზღუდე ქალაქს რკალურად შემოუყვებოდა. მისი ორივე ბოლო მდინარის ნაპირს ებჯინებოდა.

საჭირო იყო დაგვედგინა, თუ რას წარმოადგენდა მტკვრის მხარეს ქალაქის გამაგრების სისტემა. არამცთუ ალიზის კედლები, არამედ მიწაყრილიც არ ჩანდა. ამ მიზნით რამდენიმე ადგილას გაკეთდა საცდელი თხრილები, რის შედეგადაც მივიღეთ საერთო სურათი.

ჯერ კიდევ 1954 წელს ამ ხაზზე, კოლმეურნეობის მიერ სასილოსე ორმოს გათხრის დროს აღმოჩნდა ალიზის კედელი (ტბ. XIX). ამ კედლის ნაშთის ზემოდან გადაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ ალიზის ზომები განსხვავებული იყო კოშკებისა და ზღუდისაგან. ალიზის ზომებია: 46×55×10, 47×50×10 სმ და ნახევარაგურის: 23×48×10, 24×45×11 სმ.

30-ოდე წლის წინათ ამ კედლის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთით, საკირე ორმო ამოუღიათ, რასაც გაუწყვეტია ზღუდე. მისი ორივე მხარე განსხვავებულ სურათს იძლევა.

ორმოს აღმოსავლეთით კედლის სიგანე არ ირკვევა, მხოლოდ მისი შიდა პირია დარჩენილი (ტბ. XXVI—I). ოციოდე მეტრზე დარჩენილი კედელი შიგნიდან გავაშიშვლეთ. აღმოჩნდა სხვა ადგილებთან სრულიად განსხვავებული კონსტრუქცია. ალიზის ერთ ფენაზე აღმართული იყო თიხატკეპნილი. ასეთი კედლის სიმაღლე ზოგან 1,5 მ აღწევდა. ერთგან ალიზის ქვეშ სამიოდე მეტრის სიგრძეზე შერჩენილი იყო კირის დუღაბზე ნაგები იატაკი (მისი კონსტრუქცია ასეთია: თხელი ნალესობის ქვეშ, სქელ დუღაბზე დაწყობილია მაგრად გამომწვარი მომწვანო აგური, ხოლო მის ქვემოთ ღორღიანი დუღაბია დასხმული). რადგანაც ამ იატაკის ფრაგმენტი ზღუდის შიგნით ქალაქის ტერიტორიაზეც

გრძელდებოდა, ამიტომ ცხადი იყო აქ სხვადასხვა ფენასთან გვქონდა საქმე. იატაკი რომელიღაც შენობისაა, კედელი კი ზღუდის ერთ-ერთი შეკეთების დროინდელი უნდა იყოს. თიხატკეპნილი მეტად მკვრივია. კვადრატული ალიზის გვერდები ცვალებადია: მაგალითად, 45, 46, 47, 52 სმ. მათში ჭარბობს 45 და 47 სმ აგური.

ორმოს დასავლეთის მხარეს უფრო რთული სურათი წარმოგვიდგა (უბ. XXVI—2). აქ დაზიანებული ალიზის კედლის სიგანე სამ მეტრს აღემატება. ალიზის კედლის მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა რომელიღაც შენობის ნაშთი (სურ. 27, ტაბ. XXIII₂), დარჩენილი იყო ოთახის იატაკის ფრაგმენტი (ფერდობის გამოფიტვის გამო იატაკის გარეთა მხარე დაწეულია). იატაკზე მთლიანად მოფე-




სურ. 27. უბანი XXVI—2

წილი იყო აგური (კვადრატული აგურის ზომებია: 30, 31 სმ. სისქე—7, 8 სმ). ოთახის კედლები არ დარჩენილა, ამიტომ მისი საზღვრები არ დგინდება. იატაკის სამხრეთის ნაწილი 95 სმ სიგანეზე ამაღლებულია. შემაღლება მიღებულია აგურის ორი ფენის დაწყობით. თვით აგურში ბევრი ბზე ურევია და გამომწვარია ცუდად. შემაკავშირებლად გამოყენებულია თიხის ხსნარი.

ოთახის ფრაგმენტის დასავლეთით, კირის დუღაბზე ნაგები შენობის ნაშთია დარჩენილი. ყველა ნანგრევზე გადადიოდა ალიზის ზღუდე. თვით შენობის ფორმების ან სხვა საკითხების გარკვევა არ ხერხდება.

XXXII უბანი ყველაზე რთული და საინტერესო გამოდგა მტკვრის მხარეზე მდებარე საცდელი თხრილებიდან. ეს ადგილი შეირჩა ნიშანდობლივი შემაღლების მიხედვით. ამ შემაღლების ქვეშ იმალებოდა ორი კედელი და სამარხები.

იმ მცირე ფართობზე, რომელიც აქ გაითხარა, აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. ყველა მიცვალებული ქრისტიანული წესით იყო დამარხული (როგორც ეტყობა, აქ სამაროვანის ნაწილთან გვაქვს საქმე).

თხრილში აღმოჩენილი ალიზის ორი კედელი ცერად ებჯინება ერთმანეთს. ერთი მათგანი მტკვარს გადამყურე ქედს მიჰყვება, ხოლო მეორე—ჩრდილოაღმოსავლეთით მიემართება. ამ კედლებიდან ქედზე გამავალი მაღალია და წყობით ისეთივეა, როგორიც ქალაქის დასავლეთის კოშკოვანი ზღუდე. ალიზის ზომებიც ისეთივეა (46, 47, 48 სმ). მეორე, ცერად მიმავალი კედელი ათიოდე მეტრზე გრძელდება. ეს კედელი ალიზის ჰორიზონტული წყობით კი არ არის ნაგები, არამედ ეტყობა რელიეფს მიჰყვებოდა და ამიტომ რიგები დასავლეთისკენ დაქანებულია. ამ კედლის ალიზები მეორე კედლის ალიზებზე პატარებია (მაგ. 42, 43, 44, 45 სმ).

ქალაქის ეს მონაკვეთი ორჯერ ყოფილა სამაროვნად გამოყენებული. პირველად შიდა, ცერად მიმავალი კედლის აგებამდე და მეორედ მას შემდეგ, როდესაც ორივე კედელი მწყობრიდან გამოვიდა.

პირველი სამაროვნის ორმოსამარხები სხვადასხვანაირად იყო გადაწყვეტილი. მაგალითად, ჩრდილოეთით მდებარე ორი სამარხისათვის სპეციალურად მომზადებული იყო დიდი ორმოები, სადაც შემდეგ მოზელილი თიხის ჩასასვენებელი გაუკეთებიათ (ეს თიხატკეპნილი და ნიადაგი კარგად განირჩევა ერთმანეთისაგან). კედლის სამხრეთით ერთი სამარხი ჩვეულებრივი ორმოსამარხია, ხოლო მეორეს გვერდებზე და ზემოდან ალიზები ჰქონდა შემოწყობილი.

ალიზის კედლის ასაგებად ერთი ფენა რიყისქვა დაუწყვიათ. ამ ფენას ზოგიერთი სამარხი გაუფუჭებია. ამ ფართობზე მიკვლეული ყველა სამარხი უინვენტაროა.

მეორე პერიოდის სამარხებიდან გათხრილ მონაკვეთზე მხოლოდ ორი სამარხი იქნა აღმოჩენილი. ორივე სამარხი ბავშვისა იყო. ერთი მათგანი მოთავსებული იყო საკმაოდ მაღლა, კედლების შეერთების ადგილას და კრამიტყუთს წარმოადგენდა. ბავშვი იმდენად პატარა ყოფილა, რომ ყუთის გვერდებზე და ზემოდან მხოლოდ თითო კრამიტია გამოყენებული (კრამიტის ზომები: სიგრძე 48, განიერი ბოლო—32, მოკლე ბოლო 26 სმ). ამ სამარხს მხოლოდ რამდენიმე მძივი აღმოაჩნდა.

ბავშვის მეორე სამარხი ორიგინალურია. ცერად მიმავალი კედლის გარეთა პირი ოციოდე სანტიმეტრზე გამოუჭრიათ და შიგ ჩაუსვენებიათ მიცვალებული (ტაბ. XXIV). ეს ბავშვიც იმდენად პატარა ყოფილა, რომ გარედან ერთი ალიზის აგურის მიფარების მეტი არაფერი დასჭირებია (ალიზის ზომები: 45×45×10 სმ).

მტკვრის გამყოლი კედლის გამოსაჩენად აღწერილი თხრილების აღმოსავლეთით კიდევ სამი საცდელი თხრილი გაკეთდა (უბ. XXVII—1, 2, 3). ყველა მათგანში ალიზის კედლის არსებობა დადასტურდა, მაგრამ მათ გაგრძელებაზე კი რელიეფი ჩარეცხილი იყო და ალიზის კედელიც აღარ დაგვიხვდა.

თუ შევაჯამებთ ამ ხაზზე ჩვენ მიერ ნანახ კედლის სიგრძეს, იგი ზღუდის სამხრეთ-დასავლეთის კუთხიდან აღმოსავლეთით ორასიოდე მეტრზე გრძელდება. ამ ადგილას ხევი იწყება და კედელი ძირს უნდა ჩასულიყო და ხევი გადაეჭრა (ხევში წყაროებია, ცხადია, იგი ქალაქის ფარგლებში იქნებოდა). ამ ხაზზე მიწის ზემოთ კედლის ნაშთი არ ჩანს (ფერდობები ისეა გადარეცხილი, რომ საეჭვოა დამატებითი თხრილების გავლებამ რაიმე მოგვცეს).

ხევის გაღმა საკმაოდ მოზრდილი კონცხი იქმნება. კონცხის ზედაპირი გადარეცხილია, ნაწილობრივ კი პირი მორღვეული აქვს, ამიტომ ზღუდის ნაშთი არ დარჩენილა.

კონცხის მეორე მხარეს „ხიზანაანთ გორამდე“ იქმნება უბე, ამიტომ აქ სხვანაირ გადაწყვეტას შევხვდით. ხევის ძირში დაახლოებით 10 მ სიგრძეზე დაგებულია დიდი ზომის აგური (30×30×8 სმ). ცხრა რიგის შემდეგ შუაზე შემაღლებაა, სადაც ერთმანეთთან ახლოს ორი ხვრელია დატანებული. თაღოვანი ხვრელის სიმაღლე 50 სმ, ხოლო სიგანე საშუალოდ 12 სმ. აგურის ასეთი კონსტრუქციის ზემოთ და გვერდებზე წყობა გრძელდება ალიზით (სურ. 28). ასეთი კედლის ამოყვანა აუცილებელი შეიქნა, ალბათ, ზღუდის კედლის გადასატარებლად ჩავარდნილ ადგილას. ამასთანავე, კედლის ძირას გამომწვარი აგურის წყობა სქელ დუღაბზე ნაკარნახევი უნდა იყოს იქ წყაროს არსებობით (ამჟამად წყარო უფრო ქვემოთ გამოდის). წყაროს წყალს კი დაუტოვეს ორი ხვრელი.



სურ. 28. წყალგამყვანი არხი

ხიზანაანთ გორას აღმოსავლეთით ღრმა და განიერი ხევი მოსდევს. ამ ხევში წყაროა. წყაროც, ზემონახსენები ხევის წყაროს მსგავსად, ქალაქის ზღუდის შიგნით უნდა ყოფილიყო.

ხევის გაღმა, ქალაქის ირგვლივ გამავალ თხრილამდე, სოფლის მცხოვრებლებს მიწა მოუსწორებიათ და ბევრგან მტკვრის ტერასაც ჩანს. ამიტომაც ამ ხაზზე ზღუდის ნაშთი არ არის შერჩენილი. მტკვრის მხარეზე გამავალი ზღუდის კვალს სხვაგან ვერ მივაკვლიეთ.

ქალაქის ირგვლივ გამავალი ალიზის კოშკოვანი ზღუდის შესწავლა ამით ამოიწურა (გასათხრელი მეტი არსად დარჩა). მონაპოვარი მასალის მიხედვით შედარებით კარგად ირკვევა თუ რას წარმოადგენდა ქალაქის გამაგრება.

ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთში, როგორც განხილვიდან ჩანდა, სამასიოდე მეტრის მანძილზე შერჩენილა მიწაყრილი და მის შიგნით ალიზის ზღუდე. ამ მონაკვეთზე ჩვენ მიერ გაითხარა ხუთი კოშკი, ხოლო მათი მომდევნო მეექვსე, ჩვენს იქ არ ყოფნაში მოთხარა კოლმეურნეობამ.

მაღალი და მძლავრი მიწაყრილის რელიეფს გათხრამდე ეტყობოდა თანაბრად განლაგებული შემაღლებები, რომლებიც ფერდობზე ტალღისებურად გამოიყურებოდა (ეს შემაღლებები და ტალღები ტოპოგეგმაზე კარგად აისახა). გათხრებმა გახსნა მიწაყრილის საიდუმლოება და შემაღლებების ქვეშ აღმოჩნდა კოშკები, რომლებსაც აერთებდა გალავანი. კოშკებს შორის თითქმის თანაბარი ინტერვალია. კოშკების ცენტრებს შორის საშუალოდ 60 მ. ზღუდე შიგნიდან ერთი მთლიანი სიბრტყეა, ხოლო გარედან სიბრტყეს რითმულად მიჰყვება კოშკების ცილინდრული შვერილები.

კოშკები და მათი შემაერთებელი კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი ყოფილა თიხის ნალესობით. თიხის ფენა გარედან სქელია 2—3 სმ. შიგნიდან კი უფრო თხელია. ეს ნალესობა ალიზის კედლებს დაიცავდა ატმოსფერული ნალექებისაგან. ალიზის კედლების თიხის ხსნარით შელესვა ანტიკური ხანის ქართულ ძეგლებშიც საერთოდ მიღებული ყოფილა, რასაც ვხედავთ კერძოდ არმაზციხეში[12].

კოშკი და კედლები არსად არ შერჩენილა თავდაპირველი სახით. ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თუ რა ფორმით მთავრდებოდა. სამწუხაროდ, არც ადგილობრივი და ახლო მდებარე ქვეყნების მაგალითები გვაძლევს ხელმოსაკიდ მასალას. ხოლო რაც შეეხება თავისთავად ალიზისგან აგებულ სიმაგრეს, ასეთი ჩვენში საკმაოდ ყოფილა გავრცელებული. მისი ტრადიციები მოდის ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან. ამის კარგ მაგალითებს იძლევიან დღემდე ცნობილი ძეგლებიდან არმაზციხე, წიწამური, გორის ციხე (ქვედა ფენა), სარკინე[13], უფლისციხე[14] და სხვ. ჩამოთვლილი ძეგლებიდან განსხვავებით ურბნისში უფრო მცირე ზომის ალიზის აგურია ნახმარი. კერძოდ, ურბნისში აგურის დიდი უმრავლესობა კვადრატულია, სადაც გვერდების ზომა ძირითადად 46—50 სმ შორის მერყეობს, მაგრამ დამახასიათებელია 47 და 48 სმ, სისქე კი 10—11 სმ. ანტიკური ხანის ძეგლებისათვის კი დამახასიათებელი ყოფილა უფრო დიდი ზომის

[12] ა. აფაქიძე, მცხეთა, გვ. 29.

[13] ა. აფაქიძე, დასახ. შრომა, გვ. 21—25; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 120.

[14] Н. Чубинашвили, Уплисцихе, Тбилиси, 1961, გვ. 11, 12; დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე, აკადემიის მოამბე, 1958, XXI, № 3, გვ. 371.

აგური, კერძოდ 52[15] და 50 სმ.[16] ასეთი დიდი ზომის აგური ურბნისში თითქმის არ გვხვდება.

ქალაქის კედელი თუ როგორ იყო დაცვისათვის მომზადებული, ან როგორი არქიტექტურული ფორმები ჰქონდა, არ ირკვევა. არსებული მასალის მიხედვით, კოშკებისა და ზღუდის სიმაღლე არ აღემატება 3,5 მ. მაგრამ აქ მიწაყრილის გაჩენის წინ აშკარად ეტყობა, რომ დაზიანებული ზედა ნაწილი მოურღვევიათ და სათანადოდ მოუსწორებიათ. ყველაფერ ამას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზღუდესა და კოშკებს აკლია არანაკლები ერთი მეტრისა. თანაც, მოსალოდნელია, რომ კოშკები ზღუდეზე მაღალი ყოფილიყო თუ შესამჩნევად არა, ერთი მეტრით მაინც. ამასთანავე, წარმოუდგენელია ციხის კედლებს არ ჰქონოდა ქონგურები. იგი საჭირო იყო არა მარტო როგორც არქიტექტურული ფორმა, არამედ, როგორც დაცვისათვის აუცილებელი ელემენტი. საქართველოში ანტიკური პერიოდის ალიზით ნაგებ ციხეებს არ შერჩენია ქონგურები, მაგრამ გვაქვს უფრო მოგვიანო პერიოდის ქვით ნაგები ციხეები, სადაც ქონგურები აუცილებელ ელემენტს წარმოადგენენ. ასეთებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შედარებით კარგად მოღწეული აფსარის (გონიოს) ციხე, რომელიც III—V სს. თარიღდება[17], შემდეგ V ს. ბოლოს აგებული უჯარმის ციხე[18]. ამ ორი ძეგლიდან პირველის ქონგურები უკეთ არის შერჩენილი, მისი კბილანები მაღალ და განიერ სწორკუთხედებს წარმოადგენდნენ. ასეთი ქონგურები თავისუფლად დაფარავდა (სიმაღლე 2,3 მ) კედლის ბილიკზე გამავალ მებრძოლს.

მოყვანილი ანალოგიების გადაწყვეტა ჩვეულებრივია ციხეებისათვის. სხვანაირი გადაწყვეტა ურბნისშიც წარმოუდგენელია. ურბნისის კედლებსა და კოშკებს შიგნიდან დაცვის ელემენტები არა აქვთ; კოშკებს მარტო სამზერები გააჩნია, ხოლო მათი შემაერთებელი კედლები ერთიანად ყრუა. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გადაწყვეტა იქნებოდა ციხის დაცვის მოწყობა კედლების ზედა ხაზიდან და კოშკის ბანიდან. თუ გავიხსენებთ ზღუდის სისქეს, ასეთი გადაწყვეტა რეალური ჩანს. კოშკებს შორის გამავალი კედლის სისქე 4,5 მ, ზოგან კიდევ ცოტათი მეტი. ცხადია, ასეთი სისქის კედელზე ქონგურებიც დაეტეოდა და დარჩენილ ადგილზე მეომრები კი არა, ეტლიც თავისუფლად გაივლიდა.

ასეთი მიდგომით ვეცადეთ აღვედგინა პირვანდელი სახე ერთ-ერთი კოშკისა გალავნის ნაწილით[19]. ვეცადეთ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებია ალიზის

---

[15] ირ. ციციშვილი, ძველ საქართველოში ხმარებული სიგრძის საზომთა შესახებ, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 5, 1945, გვ. 330—331.

[16] Н. Чубинашвили, Уплисцихе, გვ. 11.

[17] В. А. Леквинадзе, Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости, Византийский временник, т. XX, გვ. 241, სურ. 11, 12.

[18] ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, გვ. 50—51. ტაბ. $XVII_{12}$, XVIII.

[19] თავისთავად საინტერესო მიახლოებით მაინც ვიანგარიშოთ ის კოლოსალური სამუშაოები, რომელიც ჩატარებულა ალიზის კედლის აშენებისას.

ქალაქის ალიზის კოშკოვანი ზღუდის სიგრძე მორკალულ მხარეს დაახლოებით 120,0 მ, ხოლო მდინარის მხარეს—800 მ. ზღუდის სიგანე 4 მ აღემატება, ხოლო სიმაღლე, კოშკების ჩათვლით, საშუალოდ 5—6 მ.

ალიზის აგურის გავრცელებული ზომა 48×48×10 სმ. ამ ზომებით ზღუდეს მთლიანად დასჭირდებოდა 50000 კუბური მეტრი, ანუ 1 600 000 ცალი ბზე-ალიზი.

ნაგებობის თავისებურებანი და შესაძლებლობის ფარგლებში—ანალოგიებიც (სურ. 30). ამ პრინციპიდან გამომდინარე ვიძლევით ქალაქის გალავნის რეკონსტრუქციასაც (სურ. 29, 31, 32).




სურ. 29. ქალაქის ალიზის გალავანი. რეკონსტრუქცია

კოშკისა და კედლების საბრძოლო ნაწილის აღდგენისას ძნელი გადასაწყვეტია მათი გადახურვის საკითხი. ალიზის კედლებს ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვა სჭირდებოდა. გათხრებისას არ აღმოჩენილა ისეთი რაიმე მასალა, რომელიც მიუთითებდა მათ გადახურვაზე კრამიტით ან სხვა მასალით. მაგალითად, არმაზციხის გამთხრელი წერს: „ზღუდე-გალავნის უმთავრესი კოშკები და ბურჯები გადახურული ყოფილა მცხეთური, წითლად შეღებილი კრამიტით“[30]. სამწუხაროდ, ავტორი არ წერს ტექნიკურად, თუ როგორ იყო ეს

---

მაშინდელი პირობებისათვის თუ ავიღებთ 10 საათიან სამუშაო დღეს, ნორმების მიხედვით ერთი კაცი დღეში დაამზადებდა 100 ცალ ალიზს. მაშინ ზღუდისათვის საჭირო ალიზის დამზადებას მოუნდებოდა 16 000 კაც-დღე.

ალიზის კედლების აშენებისათვის ავიღეთ სამხრეთის ქვეყნებისათვის მიღებული სეზონი—წელიწადში ექვსი თვე. ასეთი გაანგარიშებით აღწერილი ალიზის დამზადებას 5 წლის მანძილზე მოუნდებოდა დღეში 250 კაცი.

ვივარაუდეთ, რომ ალიზი იქვე ახლოს დაამზადეს და გადაიტანეს დაახლოებით 100—150 მ. ხუთი წლის განმავლობაში ამ ალიზის გადაზიდვას დასჭირდებოდა დღეში საშუალოდ 250—300 კაცი, ხოლო ამგებ ოსტატებად იმუშავებდა დღეში არანაკლებ 100 კაცისა, ე. ი. ურბნისის ალიზის სიმაგრის აგებას 5 წლის განმავლობაში დღეში მოუნდებოდა არანაკლებ 600—700 კაცისა.

[30] ა. აფაქიძე, მცხეთა, გვ. 26.

გადაწყვეტილი. ლოგიკური იქნება თუ წარმოვიდგენთ არმაზის ხევში ზღუდისა და კოშკების ზემოთ მსუბუქ ჩარდახს, რომელიც თავისთავად ხის კონსტრუქციისა იქნებოდა და დაიხურებოდა კრამიტით. ასეთი გადახურვის ქვეშ მოთავსდებოდნენ და იმოძრავებდნენ მეომრები. სხვანაირად კრამიტის გამოყენება ზღუდის ზემოთ წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ იქიდან ხდებოდა ციხის დაცვა.




სურ. 30. კოშკის რეკონსტრუქცია

ურბნისში რადგანაც ზღუდესთან დაკავშირებით არ იყო მიკვლეული კრამიტი, ფილები ან სხვა მასალა, ვფიქრობთ, რომ ზღუდისა და კოშკის ზემოთ გადახურვა იქნებოდა ჩვეულებრივად ისეთი, როგორიც მიღებულია ბანური გადახურვის დროს, ე. ი. თიხით მოტკეპნა, მოლესვა და დრო და დრო განახ-

ლება. ამასთანავე, წყლის გადასაყვანი შვერილები აუცილებელი იყო, რათა წყალს არ ჩაერეცხა კედლები. წყლის გადასაყვანად მოვაწყვეთ რეკონსტრუქციის პროექტზე ღარიანი კრამიტები (ასეთი კრამიტები ბლომად იყო ნაპოვნი ნაქალაქარზე).

ქალაქ ურბნისის ალიზის ზღუდის აგება ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება. მის გარშემო თუ კოშკებს შიგნით ნაპოვნი არქეოლოგიური მასალები ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ თავსდება. მათი დათარიღება შესაძლოა მხოლოდ V—VII სს. დასათარიღებლად შედარებით კარგი მასალაა ნუმიზმატიკური მონაპოვარი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქალაქის ირგვლივ გამავალი კედელი მთლიანია, ე. ი. ალიზის ზღუდე ხიზანაანთ გორაზე მდგარი ალიზისავე კოშკით ერთდროულია. ისინი არა მარტო ერთადაა აგებული, არამედ მტრის ხელით ერთი და იმავე დროსაა დამწვარი, რის შემდეგაც მათ ფუნქცია დაუკარგავთ.

ხიზანაანთ გორაზე მდგარი დიდი კოშკი თარიღდება კედელში ჩაყოლებული მონეტებით—VI ს. შუა ან მეორე ნახევრით. ეს თარიღი უნდა მივიღოთ ციტადელთან ერთად ქალაქის ირგვლივ გამავალი ალიზის კოშკოვანი კედლისათვის.



სურ. 31. ალიზის ზღუდე დასავლეთიდან. რეკონსტრუქცია

რაც შეეხება საკითხს, თუ როდისაა დამწვარი ალიზის კოშკოვანი ზღუდე, პირდაპირი პასუხი არ არის. არქეოლოგიური მასალა კი ზოგადად ქალაქის არსებობის ბოლო პერიოდზე მიგვითითებს. ეს თავისთავად უფლებას გვაძლევს გამოვიყენოთ ვახუშტის ცნობა, რომ „ურბნისი... იყო ქალაქი ყრუსადმდე"[31]. ხოლო ჯუანშერის მიხედვით ვიცით, რომ მურვან ყრუმ „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"[32]. მურვანის უმოწყალო ხელი ჩანს ურბნისის ნახანძრალში. ასეთი დასკვნების მიხედვით ქალაქის გადაწვა (ერთი უკანასკნელთაგანი) მომხდარა 736—738 წწ.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ ქალაქთან მისასვლელ გზებს. ამჟამად აშკარად არ ჩანს და არც ადგილობრივთ მოუწოდებიათ რაიმე ცნობა აქ გამავალი უძველესი გზის შესახებ. ახლა მაგისტრალური გზა გადის ურბნისის ჩრდილოეთით ნახევარ კილომეტრზე, მაგრამ იგი ნაწილობრივ განახლებულია.

ურბნისიდან ქალაქ გორამდე მტკვარზე ორი ნახიდური ჩანს. ერთი მათგანი სოფ. ტინისხიდის გასწვრივაა, ხოლო მეორე—სკრის პირდაპირ. ეს უკანასკნელი გასული საუკუნისა ჩანს, ხოლო მეორე უფრო ადრეულია. სკრასთან მდებარე ხიდიდან გზა მტკვრის მარცხენა მხარეს ალმართს მიჰყვება, გაუვლის

[31] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 78.

[32] ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 234.



სურ. 32 ქალაქის ციხის ზღუდე. რეკონსტრუქცია.

ნასახლარ ქვაცხელას და ურბნისს ჩაუვლის ჩრდილოეთით. ასე მიემართებოდა გზა უკანასკნელ პერიოდში[33], მაგრამ თუ სად გადიოდა ანტიკურ ხანაში, ძნელი სათქმელია.

ნაქალაქარის დასავლეთით მტკვარზე შერჩენილა ხიდის ერთი ბურჯი[34]. მისი ზუსტად დათარიღება ძნელია, მაგრამ ზოგადი ნიშნებით გვიანანტიკური ჩანს. ამჟამად იგი მდინარის მთავარ ტოტში დგას და წყალი ფერდობების ძირას გადის. გამორიცხული არაა, რომ მდინარეს, რომლის დაწოლა ჩრდილოეთითაა, საუკუნეების განმავლობაში არ ჩამოეჭრა ფერდობი და არ წაეშალა ძველი გზა.

ძველი გზა, როგორც ეტყობა, ამ მონაკვეთში მაინც მტკვრის ხეობას მიჰყვებოდა. ქალაქში შესასვლელად ხიდი უნდა გაევლოთ და შემდეგ აღმართით ასულიყვნენ ქალაქამდე. ქალაქის სამხრეთის მხარე მაღალ (30 მ) ფლატე კლდეს წარმოადგენდა და აქეთკენ ერთადერთი მოხერხებული მისადგომი ისაა, რომელიც ხიდისკენ მიემართება. ქალაქის ზღუდე, რომელიც ქალაქს ამ მხარეზე უვლის, სწორედ ამ გზის მაღლა წყდება. როგორც ეტყობა, კედელი აქ გზისკენ ჩადიოდა, გადადიოდა ხევს და შემდეგ ისევ მაღლა ადიოდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ადგილას უნდა ყოფილიყო ქალაქში მთავარი შესასვლელი. რეკონსტრუქციის პროექტზე ამ ადგილას მოვაწყვეთ კოშკებით დაცული ალაყაფის კარი.

ურბნისს არ შეიძლება მეორე შესასვლელიც არ ჰქონოდა. მისი მკვებავი სამეურნეო უბნები, დიდი და პატარა სოფლები განლაგებული იყო ჩრდილოეთით. ამიტომ დაახლოებით იმ ადგილას, სადაც დღესაცაა შესასვლელი, რეკონსტრუქციის პროექტზე მოვათავსეთ მეორე ალაყაფის კარი (სურ. 29).

დასაშვებია, რომ ქალაქს, რომლის გალავნის სიგრძე ორ კილომეტრს უდრიდა, კიდევ ჰქონოდა კარი, მაგრამ თუ იყო, ის იქნებოდა მცირე ზომის, დამხმარე დანიშნულების. მისი გამოყენება მარჯვე იქნებოდა გარშემორტყმის დროს მტერზე სწრაფი თავდასხმისათვის.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. ქალაქს არც თუ ისე იშვიათად უხდებოდა თავდაცვა. ადრეფეოდალური ქალაქის ნანგრევებში აქა-იქ გვხვდება სხვადასხვა ზომის სფერული ქვა. ქვის ზომები არ აღემატება 10 სმ. ცხადია, ასეთი ზომის „ყუმბარებს“ მტერი არ გამოიყენებდა 4—5 მ სისქის მქონე გალავნის დასანგრევად; ისინი მიმართული იქნებოდა გალავნის დაცვის ხაზზე მდგომი მეომრების წინააღმდეგ. ამავე დროს, მათი გამოყენება შეიძლებოდა ქალაქის მოსახლეობისა და საცხოვრებელ ნაგებობათა დასაზიანებლად (ტაბ. XXVIII).

**გ) მიწაყრილი და თხრილი.** ქალაქის ალიზის ზღუდე მწყობრიდან გამოუყვანია, როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი მტრის შემოსევას. მტერს გადაუწვავს ქალაქი და ზღუდის კოშკებიც. როგორც ეტყობა, ხანძარს და მტრის ნგრევას ისეთი ზიანი მიუყენებია ზღუდისათვის, რომ მისი აღდგენა ქალაქის მეპატრონეს მიზანშეწონილად არ მიუჩნევია. არაა გამორიცხული სხვა ვარიანტიც. კერძოდ, ალიზის ზღუდემ რადგანაც თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა, გადაწყვიტეს დაცვის სისტემა შეეცვალათ.

---

[33] ამ ხიდზე საქარავნო გზა გადიოდაო, ჰყვებიან წინაპართა გადმოცემას ურბნელები.

[34] ამ გზას ადგილობრივნი „ფოსტის გზას უწოდებენ“.

მართალია, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ურბნისი... იყო ქალაქი ყრუსადმდე"[28] (736—738 წწ.), მაგრამ ეს ცნობა მთლიანად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან ქალაქს კიდევ გაუგრძელებია ცხოვრება, თუმცა არა დიდი ხნით. გადაბუგულ ქალაქს კიდევ იმდენი შესძლებია, რომ საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები განუხორციელებია და ქალაქის ირგვლივ ახალი სიმაგრე შეუქმნია.

ქალაქის დაცვის ახალი სისტემა მართალია, შრომატევადი იყო, მაგრამ თავისთავად მარტივი. ალიზის კოშკოვანი ზღუდის პარალელურად ამოღებულ იქნა მიწა 8—10 მ სიღრმით და 30—40 მ სიგანით. აქედან ამოღებული მიწა დაეყარა ალიზის ზღუდეს. ასე გაჩნდა ქალაქის ირგვლივ, მშვილდისებრ მოჩკალული ალიზის კოშკოვანი კედლების თავზე, მიწაყრილი-ბექობი. ამგვარად, მიღებულ იქნა დაცვის ახალი სისტემა: ქალაქის ირგვლივ გამავალი მიწაყრილი და მის ძირში პარალელურად მიმავალი თხრილი (სურ. 33, ტაბ. I—IV).



სურ. 33. ქალაქის ირგვლივ გამავალი მიწაყრილი თხრილით. რეკონსტრუქცია

ქალაქის დაცვის ეს ახალი სისტემაც თავდაპირველი სახით არაა შერჩენილი. აღმოსავლეთით კარგად ჩანს თხრილის პროფილი, დანარჩენ მხარეებზე კი გვერდები ჩარეცხილია. აღმოსავლეთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თხრილს თითქმის ვერტიკალური გვერდები ჰქონია და მისი სიღრმე 8—10 მ უდრიდა, ასეთივე იყო დასავლეთის ბოლოშიც, ხოლო ჩრდილოეთით შუაში 6—8 მ.

თვით მიწაყრილი, რომელიც ქალაქს მშვილდივით უვლიდა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ დასავლეთ მონაკვეთზეა შერჩენილი. ამჟამად მისი სიმაღლე ქალაქის დონიდან 7—8 მ. ქედი და ფერდობი, ცხადია, საუკუნეების მანძილ-

[28] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 78.

ზე ჩამოირეცხა, რითაც მას დაეკარგა სიმაგრე და ფერდობთა პირვანდელი ქანობები. როდესაც აკვირდებით ფერდობს და მათ გარშემო მდებარე ტერიტორიას, ცხადი ხდება, რომ შორს გაშლილი დაქანება და ფერდობთა ფუძეების გაშლა გამოწვეულია ჩამორეცხვით.

ასე გამაგრებულ ქალაქებს და ციხე-სიმაგრეებს ხშირად წყალი ედგა გარშემო, მაგრამ იყო მშრალი თხრილებიც. პირველი შეხედვით, ექსპედიციის წევრებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ურბნისის თხრილშიც წყალი უნდა მდგარიყო.

ქალაქის სამ მხარეს გამავალი თხრილი, ორივე ბოლოთი, მტკვრის ხეობას უერთდება. მაგრამ მათ შორის დონეთა განსხვავება 20 მ აღწევს. ცხადია, ამიტომ აქ გამდინარე მტკვრის წყლის არსებობა, როგორც ეს აზრი ზოგიერთმა სპეციალისტმა შემოგვთავაზა, ყოვლად შეუძლებელია. ამ თხრილში თუ წყალი არსებობდა, იგი უნდა მოეყვანათ შორიდან, მდინარე ლიახვიდან. ჩვენ ვიცით, რომ ამ თხრილისა და მიწაყრილის გაჩენამდე, დიდი ხნით ადრე, ლიახვიდან მართლაც იყო გამოყვანილი არხი, რომელიც წყლით ქალაქსაც კვებავდა და რწყავდა მის გარშემო მდებარე ტერიტორიას. მაგრამ ამ არხით ქალაქის გამაგრების თხრილში გამდინარე წყალს ვერ გაუშვებდნენ, რადგან არხით მოყვანილი წყალი თხრილს ისე ვერ გაავსებდა, რომ იგი ძნელი გადასალახი გამხდარიყო (ამ მიზნისათვის წყლის დონე არხში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2 მ). ლიახვის არხით წყალს თხრილში თუ გაუშვებდნენ, იგი მაშინ დაგუბებული უნდა ყოფილიყო. ამ ვარიანტს თუ მივიღებთ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თხრილის ბოლოებში, მტკვრის ნაპირებთან მაღალი ჯებირები იდგა. ამჟამად ასეთი ჯებირების კვალი არსად არ ჩანს. ხელოვნურად აღმართული ქვის ჯებირების ნაცვლად, მათ შეეძლოთ ბოლოებში დაეტოვებინათ მოუჭრელი მიწა. მაგრამ არც ასეთის კვალი ჩანს.

მიუხედავად ყველა დაკვირვებისა, აუცილებელი იყო დაგვეზუსტებია თხრილში წყლის არსებობის საკითხი.

ამ საკითხის გასარკვევად მივმართეთ მელიორაციის ინსტიტუტს. ინსტიტუტის კოლექტივი გულისხმიერად მოეკიდა ამ საკითხს. რამდენიმე სპეციალისტი ჩამოვიდა ადგილზე. ობიექტის გულდასმით დათვალიერების შედეგად მოწვეულმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ საბოლოო პასუხის გასაცემად საჭირო იქნებოდა თხრილის გეოლოგიურად შესწავლა.

მოწვეულ იქნა, ერთი მხრივ, ჰიდრო-ინჟინერი პროფ. ალ. ლოსაბერიძე და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გეოლოგი გ. ჯილაური, ხოლო, მეორე მხრივ, „ქალაქმშენპროექტის“ ინჟინერ-გეოლოგი ა. გეაზავა.

სპეციალისტების მიერ ყოველმხრივ შესწავლილ იქნა თხრილი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ორივე ჯგუფი, როდესაც ლაბორატორიული მუშაობა დაამთავრეს, ერთმანეთს შევახვედრეთ საერთო დასკვნის გამოსატანად. გამოირკვა, რომ სპეციალისტები ცალ-ცალკე მივიდნენ ერთი და იმავე დასკვნამდე. მოგვყავს მათი დასკვნის ზოგიერთი მუხლი:

1. „თიხისა და თიხნარის ნალექებში, რომლებიც თხრილის ქვედა ნაწილს ავსებს, არ მოიპოვება არავითარი ნიშანი იმაზე, რომ მათ წარმოშობაში წყალს რაიმე როლი ეთამაშოს, წყლის არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, ნალექებს ზოლებრივი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, ჩვენ კი საქმე გვაქვს წმინდა კონტინენტალურ ნალექებთან.

2. იმის გამო, რომ არხის ძირი შედგება კარგად წყალგამტარი რიყისაგან, რომლის ფილტრაციის კოეფიციენტი შეიძლება უდრიდეს არა ნაკლებ 25—50 მმ/დღეღამეში, საქმე უნდა გვქონოდა წყლის დიდ ფილტრაციასთან, რაც მოითხოვდა მუდმივ წყლის მიწოდებას დებიტით—რამდენიმე ათეული ლიტრი სეკუნდში. ასეთი რაოდენობით წყლით მომარაგება არსებულ პირობებში ძნელი წარმოსადგენია.

3. როგორც დასკვნასთან თანდართული ჭრილიდან ჩანს და რელიეფიც გვიკარნახებს, თხრილის ძირი არ არის ჰორიზონტალური. მაგალითად, სიმაღლეთა განსხვავება თხრილის ყველაზე მაღალ წერტილსა და დასაწყისს შორის 9 მ შეადგენს, ამავე წერტილსა და ბოლოს შორის—5 მ. თხრილში, რომ წყალი მდგარიყო, საჭირო იყო მის დონეს ჰქონოდა ნიშნული 640 მ.

რადგანაც თხრილის ძირის ნიშნული დასაწყისში 624 მ შეადგენს და ბოლოში 628 მ, წყლის აღნიშნული დონის მიღწევა შეიძლებოდა ჯებირებით, რომლის სიმაღლე დასაწყისში უნდა ყოფილიყო არანაკლები 17 მ, ხოლო ბოლოში — 13 მეტრი.

ცხადია, ასეთი ჯებირების არსებობას არ შეიძლება შესაფერი კვალი არ დაეტოვებია ადგილზე. მაშასადამე, რადგან ჯებირების კვალი არ არსებობს, არც შეიძლება დავუშვათ მათი არსებობა, და ეს უკანასკნელი კი უარყოფითად წყვეტს წყლის ზღუდარის არსებობას“.

როგორც ვხედავთ, თხრილში წყალი არ მდგარა. ამრიგად. ქალაქის გამაგრების ახალი სისტემა მაღალი მიწაყრილ-ბექობისა და ღრმა და განიერი მშრალი თხრილისაგან შედგებოდა.

ასეთი გამაგრების სისტემა საკმაოდ ეფექტური იქნებოდა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც შეიძლებოდა წარმოგვედგინა თხრილში წყლის არსებობის დროს.

მშრალი თხრილის შემოვლება ქალაქისათვის, რომელიც ზღუდის პარალელურად გადიოდა, საქართველოში უკვე წინაელინისტურ ხანაში სცოდნიათ. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე. საუკუნეების გასმავლობაში, მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, ახლაც კარგად ეტყობა განიერი და ღრმა თხრილი.

უფლისციხე მდებარეობდა მაღალ კლდეზე. იგი ბუნებრივად დაცული იყო მიუდგომელი კლდეებით დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ამ უკანასკნელი მხრიდან სიმაგრეს ერთვოდა თავისთავად ძნელად გადასალახი მდინარე მტკვარიც. სხვა სურათი იყო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. აქეთ მხარეს სქელი კედელიც გაავლეს და ირგვლივ თხრილიც შემოაყოლეს. ცხადია, დაცვის ეს ორმაგი ხაზი უფრო საიმედო იქნებოდა[26].

ქალაქის ირგვლივ თხრილის გაყვანის მეორე კარგ მაგალითს იძლევა თბილისი. X საუკუნის ცნობები, რომ თბილისის ერთ ნაწილს, ისანს, ორმაგი ალიზის კედლები შემოუყებოდა[27], როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა ადგილზე. იქვე ნაწილობრივ მოისაზა ის თხრილი, რომელიც დატანილია ვახუშტისა და

---

[26] დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე, ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 3, 1958, გვ. 371, 372; Н. Чубинашвили. Уплисцихе, 1961, სურ. 1.

[27] ისთახრი, გზანი და სამეფონი, ე. ფუთურიძის გამ, საქართველოს ისტორიის წყაროები, თბილისი, 1937, გვ. 2; ბოდულ ალ-ალემი, ქვეყნის საზღვრები აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, იქვე, გვ.15.

XIX საუკუნის დასაწყისის სხვა რუკებზე. მისი გამომკვლევის ცნობით, უკეთ შემორჩენილი ადგილის მიხედვით (მტკვრის სანაპიროზე) თხრილის სიგანე 10 მ, ხოლო სიგრძე 20 მ აღემატება[28].

არ არის გამორიცხული, რომ სხვა ადრეულ ქალაქსაც ჰქონოდა თხრილი. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ უფრო გვიანი ყვარლისა და გორის ციხე[29]. მიუხედავად ამ მაგალითებისა, საქართველო რთული რელიეფის ქვეყანაა და, ამიტომაც, ქალაქის თუ ციხის ირგვლივ თხრილის გაყვანა და მასში წყლის გაშვება არ იყო დამახასიათებელი. ჩვენთან ადვილად იძებნებოდა ადგილი— ორ მდინარეს შორის ამაღლებული კონცხი, მთის წვერი, კლდეებით მოზღუდული მონაკვეთი და სხვა. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ქართველ მშენებელს, უმრავლეს შემთხვევაში, არ სჭირდებოდა თხრილის გაყვანა, მაგრამ თუ დასჭირდებოდა იგი მას იყენებდა. უფრო მეტად იგი თხრილს მიმართავდა მაშინ, როდესაც კონცხის მესამე ბუნებრივად დაუცველი მხარე იყო გასამაგრებელი, ანდა თუ სიმაგრე ვაკეზე იდგა (რაც თავისთავად იშვიათად გვხვდება).

ურბნისში დაზიანებულ ზღუდესა და კოშკებზე თხრილიდან ამოღებული მიწის დაყრა არ ხდებოდა მარტივად, არამედ ამისათვის ნიადაგი სპეციალურად იყო მომზადებული.

კოშკების გათხრისას დადასტურდა, რომ ხანძრის შემდეგ ისინი არავის არ გამოუყენებია. არ უცდიათ კოშკების გამოწმენდა და მათი გამოყენება. ამავე დროს, გათხრებმა გარკვევით გვიჩვენა, რომ კოშკების ხანძრით დაღუპვასა და მათ ამოვსებას (ე. ი. ახალი სისტემით შეცვლას) შორის სულ მცირე დრო იყო გასული. ძლიერ მტერს უჯობნია ურბნელთათვის, მაგრამ მისი გამარჯვება დროებითი ყოფილა, მალე მტერი განუდევნიათ, სიცოცხლე განახლებულა. ამ აღორძინების გზაზე მცგარ ქალაქს იმდენი ძალა შესწევია, რომ გამაგრების ახალ სისტემაზე ეზრუნა. თხრილისა და მიწაყრილის გაკეთება კოლოსალური სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა. ეს სამუშაო მათ პირნათლად შეუსრულებიათ.

ალიზის კოშკოვანი ზღუდის მიწით დაფარვა მარტივად არ მომხდარა. ახალი სისტემის მშენებლებს კარგად გაუთვალისწინებიათ კონსტრუქციული თავისებურებანი და სპეციალური ღონისძიებები მიუღიათ[30].

მიწაყრილის აგებისას ალიზის კოშკებზე მხოლოდ მიწის მიყრას შეიძლებოდა მოყოლოდა ალიზის დაშლა და ძირის გამოცლა, რაც გამოიწვევდა კატასტროფას. ასეთი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ისევ ალიზით ამოუშენებიათ კოშკების კარები და შემდეგ მთლიანად ამოუვსიათ სათავსოები. კოშკებისა და

---

[28] В. Цинцадзе, Тбилиси, 1959, გვ. 33. სურ. 709, ტაბ. 4, 12.

[29] პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი, 1962, გვ. 108—109.

[30] ქალაქ ურბნისის გამაგრების მეორე სისტემის შექმნისას ჩატარებულ დიდ სამუშაოებს თუ დაახლოებით ვიანგარიშებთ სათანადო ნორმებით, ასეთ სურათს მივიღებთ:

ქალაქის მორკალულ მხარეს გამავალი თხრილის სიგრძე 1200 მ, თხრილის საშუალო სიგანე 40 მ, ხოლო სიღრმე—6 მ. მიწაყრილის სიმაღლეც საშუალოდ 8 მ.

ასეთი პროფილის თხრილში ამოღებულია და გადატანილია დაახლოებით 50 მეტრზე ხელის საზიდებით 600 000 კუბური მეტრი მიწა. ამ სამუშაოების შესრულებას 10 საათიანი სამუშაო დღის დროს დასჭირდებოდა საშუალოდ 400 000 კაც-დღე.

ამ შემთხვევაში სეზონს თუ ავიღებთ რვა თვეს და მუშათა რაოდენობას დღეში 500, მაშინ ამ სამუშაოთა შესრულებას მოუნდებოდნენ 4 წელზე მეტი.

გვერდით მდებარე ზღუდის კედლები წინასწარ ერთ დონემდეა გაყვანილი. ზემოთ არსებული მონანგრევები, ქონგურები და სხვა მოუსწორებიათ. ამავე დონემდეა ამოვსებული სათავსოებიც. მას შემდეგ, რაც ყველაფერი ეს ერთ




სურ. 34. კოშკი 2 კონსერვაციის სქემა

ზედაპირად უქცევიათ, დაუწყვიათ ალიზის ხუთიოდე ფენა. ალიზის წყობა კოშკის ფარგლებს სცილდება 1—2 მ. ამგვარად შეკრულ ზედაპირზე 50—60 სმ სისქის მკვრივი მოზელილი თიხა დაუსხიათ, რომელსაც კოშკის ზედაპირა შეუკრავს როგორც დუღაბი და ერთ მთლიან მასად უქცევია. ასეთმა გონებამახვილურმა კონსტრუქციამ, უზრუნველყო კოშკის მასის ერთიანობა (სურ. 34). მან გაუძლო რამდენიმე ასეულ წელს. ატმოსფერულმა ნალექებმა ჩარეცხეს და გადაიტანეს მიწაყრილის დიდი ნაწილი. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად ეტყობოდა მიწაყრილ-ბექობს გათხრებამდე: კოშკის თავზე და მის ირგვლივ მაღალი მოკვერცხლილი ზედაპირი იყო შექმნილი, ხოლო კოშკებს შორის— ჩაზნექილი ზედაპირი. კოშკების თავი, მყარი ნიადაგის გამო, ნაკლებად გადაირეცხა, დანარჩენგან ჩარეცხვა ადვილად ხდებოდა.



სურ. 35. უბანი XXXVI. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ზღუდეთა აღმოსავლეთის ფასადი

დ) ანტიკური ხანის ზღუდე. 1 და მე-2 კოშკის ქვემოთ რამდენიმე წელი ითხრებოდა XXXVI უბანი. იგი თანდათანობით გაფართოვდა და მიაღწია აღნიშნულ კოშკებს შორის მდებარე კედელს. უბანზე რამდენიმე ფენა ჩანდა. ქვედა ფენას წარმოადგენდა ადრებრინჯაოს ხანის სამარხები. მის ზემოთ ელინისტური ხანის რამდენიმე სამარხი იყო. მესამე ფენაში გვიანანტიკური ხანის სამარხები იქნა ნაპოვნი, ხოლო მეოთხე უკანასკნელი ფენა ადრეფეოდალურ ხანას ეკუთვნოდა. ამ თითქმის მეოთხედ ჰექტარ ფართობზე, ცხადია, ყველგან ერთნაირი სურათი არ ყოფილა. უბნის სტრატიგრაფია საერთოდ ასეთი იყო: უკანასკნელ ზედა ფენაში მივაკვლიეთ ნასახლარს (ურბნისისათვის ჩვეულებრივი რიყისქვის საძირკვლით) თონეებით, ქვევრებითა და სხვა.

უბანზე სიღრმით ჩასვლისას, ქალაქის ზღუდის სიახლოვეს, გამოჩნდა რიყისქვის ფენილი. თანდათანობით სურათი გართულდა, თხრა ღრმად შეიქნა საჭირო (მაგალითად, ალიზის კედელთან ყამირი ხუთი მეტრის სიღრმეზეა), რის გამოც მუშაობა სამი კამპანიის განმავლობაში გაგრძელდა. მიუხედავად ასეთი დიდი სამუშაოების ჩატარებისა, ნაკვეთზე ბევრი რამ არ გაირკვა; ძირითადი მიზეზი ფენების დაზიანება, მისი ფრაგმენტალობაა. საერთო სურათი კი ასეთია:



სურ. 36. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ზღუდეთა ხედი

ყამირის ზემოთ მდებარე სამარხები თარიღდება III—II საუკუნეებით ჩვ. წ.-მდე. სამარხების ურნების დაზიანებით (30-40 სმ ზემოთ წაკვეთილია) გატარებულია რიყისქვის ერთი ფენა. მას ზემოდან ადევს 20-30 სმ სტერილური ფენა. შემდეგ მიდის რიყისქვის კედელი, რომლის სიმაღლე შერჩენილია 100-130 სმ, კედლის სისქე კი ოთხ მეტრამდეა. კედლის ქალაქისკენ მიმართული მხარე დაქანებულია, გარეთა პირი კი ვერტიკალურია (სურ. 35, 36, ტაბ.

XXII₂). კედლის სიგრძე ორმოც მეტრამდეა შერჩენილი. მისი ზედა ნაწილი სხვადასხვა სიმაღლეზეა მორღვეული და იქ სადაც უფრო მეტადაა დაზიანებული, აღმოჩნდა V-VI საუკუნეების სამარხები (ორმოსამარხებს წარმოადგენდნენ. ერთი იყო ალიზით შემოწყობილი). ამ კედლის დანიშნულება ზედმიწევენით არ ირკვევა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი ქალაქის ძველი გალავნის ნაწილი უნდა იყოს. იგი საკმაოდ ძლიერი იქნებოდა. მის თარიღზე ზედა და ქვედა სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ანტიკური ხანისა ჩანს. კედლის აგების თარიღის დაზუსტება ზოგი დეტალებით შესაძლებელი ხდება წელთაღრიცხვათა მიჯნით.

ანტიკური პერიოდის ქალაქს უნდა ჰქონოდა გალავანი. უფრო ადრეული ხანის ზღუდის კვალი გათხრილ ადგილებში, მართალია, არ შერჩენილა, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა იმ დროის ქალაქების ანალოგიებიც ამაზე მეტყველებს.

თიხის ხსნარზე ნაგები რიყისქვის კედელი ისეთი სიმაგრის არ იქნებოდა, როგორც დუღაბით ნაგები, მაგრამ ამ შემთხვევაში კომპენსაცია მოხდებოდა კედლის სისქით. როგორც ეტყობა, ურბნელთათვის თლილი ქვის შოვნა ძნელი იყო, ახლო-მახლო სათანადო ქვის კარიერების არარსებობის გამო.

აღნიშნული ზღუდე ადრეფეოდალური ხანის ალიზის ზღუდეს ცერად ებჯინება. ანტიკური კედლის მიმართულებას თვალი რომ გავადევნოთ, დავრწმუნდებით, რომ ანტიკური დროის ზღუდეს, ადრეფეოდალურ ზღუდესთან შედარებით, მცირედ ნაკლები ფართობი ჰქონდა მოკავებული; შესაძლოა, ანტიკური დროის ქალაქს ნაკლები ფართობი ეჭირა.

აღნიშნული კედლის ზემოთ ოცდაათიოდე სანტიმეტრის დაცილებით რიყისქვის ფენილია (სურ. 35, ტაბ. XXII₂). ეს ფენილი ქვის ერთი რიგის წყობითაა მიღებული. შესაძლოა, იგი ქუჩის ქვაფენილს წარმოადგენდა. იგი დასავლეთისკენ შედის ალიზის ზღუდის ქვეშ, უკეთ, ზღუდის აგებისას ქვაფენილზე გადაატარეს კედელი. მაგრამ მათი მიმართულება ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ამიტომ ზღუდემ მხოლოდ ნაწილობრივ გადაუარა მას. მისი დათარიღება ხერხდება მხოლოდ მიახლოებით V საუკუნით.

ანტიკური დროის დიდი კედლის ნაშთია იმავე ხაზზე, ზღუდის დასავლეთის ბოლოში; აქ ძლიერი ხანძრისგან დამწვარი რიყისქვის უზარმაზარი გორაა (შესაძლოა ეს და ხიზანაანთ გორის „კიბიანი ნაგებობა" ერთ დროს იყოს დამწვარი).

ქალაქის ანტიკური დროის ფენებში ხშირად გვხვდებოდა დიდი და პატარა სფერული ქვა (ყველაზე დიდი ქვის დიამეტრი 16 სმ). გარსმომდგარი მტერი ამ ქვიდან დიდებს ძირითადად გამოიყენებდა გალავნის დასანგრევად, პატარათი კი დააზიანებდა ქალაქის მოსახლეობასა და ნაგებობებს (ტაბ. XXVIII₂).

## თ ა ვ ი  მ ე ო რ ე

# საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი

ნაქალაქარ ურბნისის ტერიტორია ისეა დანგრეული VIII საუკ. 30-იან წლებში მტრის შემოსევისა და ხანძრის შედეგად, რომ მიწის ზემოთ არაფერი გადარჩენილა გარდა ტაძრისა (ისიც მეტად დაზიანებული). ამასთანავე, საუკუნეების განმავლობაში ნანგრევებიც მოუსპიათ ქალაქობის შემდგომ იქ დარჩენილ მოსახლეობას. ამ ხნის მანძილზე მოსახლეობას უბრუნებია მიწა და ხშირად ნახავთ XIX საუკ. ნივთებს 2—3 მ სიღრმეზე და რამდენიმე ათასეული წლის წინათ შექმნილ ნივთს—მიწის ზედაპირზე[1]. ასეთ ვითარებაში ნაკლებად იყო მოსალოდნელი ნაგებობის ნაშთების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში პოვნა. მართლაც, ნაქალაქარის იმ ნაწილში, სადაც მჭიდრო მოსახლეობაა, ნაგებობათა მეტად უმნიშვნელო ფრაგმენტები აღმოჩნდა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში, სადაც ამ ადგილზე, „ტაბუს" გამოცხადების გამო, ნაგებობათა მეტი კვალი აღმოჩნდა, თუმცა დამაკმაყოფილებელი შედეგები აქაც არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქ ძალიან დიდი ტერიტორია გაითხარა, ქალაქის დასახლების სურათის სრული წარმოდგენა მაინც შეუძლებელი გახდა. საქმე იმაშია, რომ დარჩენილია ნაგებობათა კედლების საძირკველი და ისიც ხშირად მხოლოდ ქვედა ფენა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაქალაქარის საკმაოდ დიდი მონაკვეთი გაითხარა, ფენების დაზიანების გამო არ დგინდება არც ქუჩები და არც კვარტალები. ხშირად რამდენიმე ფენა ერთმანეთზეა და თანაც ყველა დაზიანებული. ზემოაღნიშნული დასავლეთის მონაკვეთი, რომელიც შედარებით უკეთ იყო შენახული, შესაძლოა ღარიბთა კვარტალს წარმოადგენდა. ასეთი დასკვნა იმიტომ გამოგვაქვს, რომ აქ მხოლოდ ალიზით ნაგები სახლები მდგარა. როგორც წესი, შენობებს საძირკვლად ჰქონიათ თითო ან ორი რიგი რიყისქვის ფენილი. ზემოთ კი ალიზის კედლები ადიოდა. ალიზის კედლები დაანგრიეს, თუ დაინგრა, ხოლო რაც დარჩა ისიც დაიშალა და დამიწდა. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება აღვადგინოთ შენობის კარ-ფანჯრების განლაგება კი არა, ხშირად ნაგებობის კონტურიც კი.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო განვიხილავთ არა ყველა ნაგებობის კვალს, რომლებიც გათხრებისას აღმოჩნდა, არამედ ავარჩევთ რამდენიმეს, სადაც მეტ-ნაკლებად ჩანდა შენობისა თუ ოთახის კონტურები.

I უ ბ ა ნ ი მდებარეობს ქალაქის ზღუდის გარეთ დასავლეთით, მტკვრის სანაპიროზე. მტკვარს ეს ნაპირი ბლომად ჩამოურეცხია და თან ჩაუტანია გვი-

---

[1] სოფ. ურბნისის სახლები ერთი-ორის გარდა 30-იან წლებამდე ყველა მიწური იყო. ამ სახლებისათვის ორმოების ამოთხრისას საბოლოოდ წაშლილა ძველის კვალი.

ანი სამარხებიც. ფილაქვზე ჩანდა თიხის სარკოფაგის ფრაგმენტები. გათხრებიც აქედან დავიწყეთ (უბანი ითხრებოდა მხოლოდ პირველი და მეორე კამპანიის დროს 1953—54 წწ.). გათხრებით აღმოჩენილ იქნა ადრეფეოდალური ხანის თიხის სარკოფაგები და ორმოსამარხები. იქვე იყო ნაგებობის ნაშთები. აშკარა გახდა, რომ აქ მდგარი ნაგებობის თუ ნაგებობათა დანგრევის დიდი ხნის შემდეგ ეს ტერიტორია სამაროვნად ქცეულა. სამარხებს ისედაც დაზიანებული ნაგებობის კვალი ზოგან სულ წაუშლია, ზოგან კი გადაუქრია.

რამდენადაც ნაგებობის კვალი გარკვევის საშუალებას გვაძლევს, აქ მდგარა ერთი შენობა, რომელიც ოთხი თუ ხუთი ოთახისაგან შედგებოდა. კარგად იხაზება შუა ოთახის გეგმა, რომელიც უწესო ოთხკუთხედია (ფართობი 32, 5 კვ. მ). მის აღმოსავლეთით მდებარე ოთახი უფრო მომცროა (ფართობი დაახლოებით 25 კვ. მ). ოთახების ჩრდილოეთით მდებარე ოთახებიდან შუა კედლის ნაშთია დარჩენილი. ოთახებიდან მარჯვენა, განაპირა სიგანით, სამხრეთით მდებარე ოთახის ტოლი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, მარცხენა ოთახიც ანალოგიურად იყო გადაწყვეტილი, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. კიდევ ერთი ოთახის ფრაგმენტი ჩანს დასავლეთით. იგი წინა ოთახების გაგრძელებაზეა, მაგრამ გარეთა ხაზიდან მცირედ შეწეულია. კედლების სისქე მერყეობს 80 და 90 სმ შორის.

ნაგებობის სხვა დეტალებიდან ირკვევა, რომ მისი კედლები ალიზისგან ყოფილა ნაგები, ხოლო საძირკვლად ჰქონია რიყისქვის თითო-ორი ფენა. გადახურვა, საფიქრებელია, ბანური ყოფილიყო, რადგანაც კრამიტის ნატეხიც კი არსად გვინახავს.

ნაგებობის ზედმიწევნით დათარიღება ძნელია, რადგანაც პირდაპირი დამთარიღებელი მასალა არა გვაქვს. ამიტომ უნდა მივმართოთ იმ არქეოლოგიურ მონაპოვარს, რომელიც იქვე იყო ნაპოვნი.

სამწუხაროდ, ფენების არევის გამო ხშირად არ ხერხდებოდა ამა თუ იმ ნივთის მიკუთვნება ნაგებობის ფენისადმი. ყოველ შემთხვევაში ის მცირე კერამიკული მასალა, რომელიც შენობის იატაკზე აღმოჩნდა, ელინისტურ ხანას მიეკუთვნება. ამდენად ნაგებობაც იმავე დროისად მიგვაჩნია.

XX უბანი მრავალფეროვანი გამოდგა. ეს უბანი გაიხსნა ზღუდის ერთ-ერთი კოშკით, რასაც შემდეგში მოჰყვა აბანოს გამოვლინება. ამ ნაგებობის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ტერიტორიის გაწმენდამ გამოაჩინა ადრეფეოდალური ხანის არა ერთი ნაგებობა და მარანი, სადაც ორმოცამდე ქვევრი იყო (მარანს, თუ მარნებს მოკავებული ჰქონდა აბანოს ნანგრევებისა და მისი მიმდებარე ტერიტორია). ამ შემთხვევაში ჩვენ ვეხებით იმ შენობას, რომელიც მდებარეობდა აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. შენობა, მართალია, თითქმის ემიჯნება აბანოს კედელს, მაგრამ შენობის ამგებმა არც კი იცოდა, რომ იქვე ნახევარი მეტრით დაბლა დაფარული იყო აბანოს კედლის ნაშთი.

შენობა, რომელსაც ახლა ვიხილავთ, გეგმის მოხაზულობის მხრივ ყველაზე უკეთაა შენახული (სურ. 37). სხვა შენობების მსგავსად ეს შენობაც ალიზისა ყოფილა. შენობა დამწვარია მეტად ძლიერი ხანძრისაგან. მის შემდეგ აქ ცხოვრება არ განახლებულა და არც მისი გაწმენდა უცდიათ. შიგ, გადახურვის დამწვარი კოჭების ქვეშ, ეყარა უამრავი საოჯახო ნივთი (ტაბ. XXV₁). ხანძარს

ნაწილობრივ გამოუწევას კედელიც, რის გამოც იგი 10—15 სმ სიმაღლეზე უკეთაა შენახული. ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ რიყისქვის ფენილზე აღმართული ალიზის კედელი შელესილი ყოფილა. ნალესობას კარგი გლუვი ზედაპირი ჰქონია.




სურ. 37. უბანი XX. საცხოვრებელი ნაგებობის გეგმა

შენობა ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. აღმოჩენილი ნივთების მიხედვით პირველი ოთახი სამზარეულო უნდა ყოფილიყო. აქვეა ნაპოვნი რკინის სხვადასხვა საოჯახო ნივთები და კერამიკული ჭურჭელი. ოთახის შუაზე შეიმჩნეოდა კერის ნაშთი. მეორე ოთახი აღემატება პირველს, მაგრამ თავისთავად დიდი არ არის; მისი ფართობი 16 მ. მოგრძო ოთახი მთლიანად სავსე იყო კერამიკული ჭურჭლების ნამტვრევებით. ბევრი მათგანი აღსდგა კამერალური დამუშავების დროს და საოცრად მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგა. იშვიათად თუ შეხვდებით კერამიკული ჭურჭლის ასეთ მრავალსახეობას. ერთი მეტრისა, თუ მცირედ ნაკლები სიმაღლის დერგები გრძივი კედლების გასწვრივ იყო ჩამწკრივებული (დერგები, ვიწრო ძირების გამო, 20—30 სმ სიღრმით მიწაში იჯდა). ცხადია, ამ ოთახს სამეურნეო დანიშნულება ექნებოდა; აქ შეინახავდნენ ოჯა-

ხის მარაგს. შესაძლოა, მას საკუჭნაო შევარქვათ (ცხადია, დიდი მასშტაბის).

საკუჭნაოს გაგრძელებაზე მცირე ზომის სათავსოა (6 კვ. მ ფართობით). მის შიგნით არაფერი არ იყო, გარდა მიწაში სანახევროდ ჩასმული თონისა. იგი იდგა ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სადგომი სახაბაზოდ იყო განკუთვნილი.

მესამე ოთახი ყველაზე დიდია. იგი ფაქტიურად გრძელი დარბაზია, რომლის ფართობი 30 კვ. მ აღემატება (სამწუხაროდ, ჩრდილო ბოლო დაზიანებულია). მის შიგნით სულ მცირე კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები იქნა აღმოჩენილი. დარბაზის დანიშნულება ზედმიწევნით არ ირკვევა, მაგრამ ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ იგი საწოლად ყოფილიყო განკუთვნილი.

ნაგებობის ჩრდილო დასავლეთით კიდევ იყო გრძელი შენობა რამდენიმე ოთახით, მაგრამ ის უფრო დაზიანებული იყო და შიგ მონაპოვარიც ნაკლებია, ამიტომ მას მთლიანად არ განვიხილავთ, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ. სახელდობრ, მისი კედლები შედიოდა ქალაქის ზღუდის ქვეშ, რაც თავისთავად იმას მოწმობს, რომ ამ შენობაში ცხოვრება დამთავრებულა, მანამ ქალაქს ალიზის გალავანს შემოაელებდნენ, ე. ი. VI საუკ. ბოლომდე.

ამასთანავე, საგულისხმებელია, რომ იქვე გვერდით აბანოს ნანგრევებზე გამართული მარანიც აღნიშნული სახლის მეპატრონეს ეკუთვნოდა. მარანს ვრცელი ტერიტორია ჰქონდა მოკავებული ორმოცამდე ქვევრით. იქვე, აბანოს დასავლეთით, ზღუდის გვერდით აღმოჩნდა დიდ ფართობზე მობნეული დამწვარი ხორბალი (ცენტრალურ ნაწილში დამწვარი ფენა 40—50 სმ უდრიდა). საძირკვლის ნაშთისა და დამწვარი კოჭების მიხედვით ბეღლის ფართობი დაახლოებით 25—30 კვ. მ იყო.

ყველაფერი ზემომოყვანილი—სახლი, მარანი, ბეღელი და სხვა სამეურნეო ხასიათის ნაგებობები, უეჭველად ამ მოსახლის სიძლიერეზე მიგვითითებს.

შენობის თარიღის ზუსტი დადგენა ძნელდება. ზედა და ქვედა მიჯნა კი ზოგადად შეიძლება მოიხაზოს. ქვედა მიჯნად უნდა მივიღოთ აბანოს დანგრევის დრო. როგორც ზემოთ ვწერდით, ამ შენობის ამგებმა არც კი იცოდა იქვე მახლობლად აბანოს ნანგრევების არსებობა და ზედ მან გამართა თავისი სახლი და მარანიც.

შენობა არ არის დამწვარი იმ ხანძრის დროს, როდესაც გადაბუგეს ქალაქი და მისი ალიზის კედელ-კოშკები. უფრო . მეტიც, სახლის დაწვისას, არ იყო აგებული ალიზის გალავანი.

დამწვარ შენობაში აღმოჩენილი კერამიკა, ლითონი, მინა და სხვა, ერთი მხრივ, განსხვავდება გვიანანტიკური ხანის მასალებისაგან, ხოლო. მეორე მხრივ, ქალაქის იმ ხშირი დასახლებისაგან, რომელიც დაკავშირებულია ზღუდეშემოვლებული ქალაქის მოსახლეობასთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსახილავი შენობის თარიღად უნდა მივიღოთ V საუკუნე ან უშუალოდ მისი მომიჯნავე ხანა.

ამ შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ორმოციოდე მეტრზე. მეორე მოსახლე ყოფილა, რომლის შენობაც აღწერილისაგან განსხვავდება (ტაბ. XII). იგი არსებული კვალის მიხედვით სამოთახიანი ყოფილა და მასშტაბით შედარებით პატარა. აქ აღმოჩენილი ნივთებიც მეზობელ სახლში მიკვლეულის მსგავსია და მასთან ერთად უნდა იყოს დამწვარი. ხანძრის ძლიერ ფენას გაუნადგურებია ყველაფერი. 20—30 სმ ფენაში დამტვრეული და გარუჯული იყო საოჯახო ნივთები: აქაც მტრის დაუნდობელი ხელი ჩანს.

XXXIX—I უ ბ ა ნ ი მდებარეობდა ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთზე ზღუდესთან ახლოს. აქ ერთგან გაითხარა 100 კვ. მ. უბანი თავისთავად სხვებზე ღარიბი იყო, მაგრამ იქ აღმოჩნდა კოლონების ბაზისები, რომლის მსგავსიც სხვაგან არ შეგვხვედრია.



სურ. 38. უბანი XXXIX$_1$. ბაზისები

აღნიშნული უბნის კედლები სხვაგან ფიქსირებულის მსგავსია. მიუხედავად ალიზის კედლების რიყისქვის ფენილის ერთ დონეზე არსებობისა, მოპირდაპირე კედლები პარალელურად არ მიემართება, რის გამოც კარგად არ ირკვევა ისინი ერთი შენობისაა თუ არა. ერთი შეხედვით, თითქოს ოთხი ოთახის კვალი ირკვევა. სამხრეთით მდებარე ორ მომიჯნავე ოთახში თითო თონეცაა. არის აგრეთვე რამდენიმე კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

ნანგრევებში აღმოჩენილი კოლონების ბაზისები ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ აქ მდგარ ალიზის სახლს ეკუთვნოდეს. საფიქრებელია, რომ ისინი რომელიმე კაპიტალური ნაგებობისა იყოს (სურ. 38, ტაბ. XXVII$_1$).

ბაზისები ერთმანეთის მსგავსია და, ალბათ, ისინი სადმე წყვილად იდგნენ (შესაძლებელია, რომ კოლონები ორზე მეტი იყო). ბაზისის ქვედა ნაწილი კვადრატულია 26 სმ სიმაღლით. კოლონის კვადრატიდან წრიულ კოლონის ღეროზე (d=35 სმ) გადასვლა ხდება პირამიდული წიბოებით. ბაზისის ასეთი გადაწყვეტის უშუალო ანალოგია არ გაგვაჩნია, მაგრამ ზოგადად იგი ადრეფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება საკითხს, კოლონის ღერო რა მასალისა იყო, ამისი ზედმიწევნით გადაწყვეტა არ შეიძლება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ იგი ხისა ყოფილიყო. ხისა და ქვის მასალის ასეთი შერწყმა არაა იშვიათი და მას ჩვენში ანტიკური დროიდან მოყოლებული[2] ხშირად მიმართავდნენ.

[2] იხ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, გვ. 28, 29.

სხვა მხრივ შენობა და შიგ ნაპოვნი კერამიკა ანალოგიურია VI—VII საუკუნეებით დათარიღებული ნაქალაქარის ფენისა.

აქვე მოკლედ შეიძლება განვიხილოთ XVI უ ბ ა ნ ი. იგი რამდენიმე წელიწადს ითხრებოდა და მეტად საინტერესო ცხოვრების სურათი გადაგვიშალა. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ფენები ზოგან არეული იყო, მაგრამ ძირითადად ასე-




სურ. 39. ადრეფეოდალური ხანის კრამიტები

თი სტრატიგრაფია დგინდება: დარღვეულ ფენებში ხშირად გვხვდებოდა გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ფრაგმენტები (ნაქალაქარის ამ დასავლეთ მონაკვეთის სხვა უბნებზე იმ ხანის სამარხებიც არა ერთი იყო). შედარებით კარგადაა ფიქსირებული ადრეანტიკური ხანის (VI-V სს.) მდიდრული სამარხი. მომდევნო ელინისტური ხანის მასალები ისევ დარღვეულ ფენებში იყო გაფანტული. გვი-

ანანტიკური ხანა საკმაოდ მდიდარი სამარხებითაა წარმოდგენილი. იქვეა ამავე ხანის ყოფის დამახასიათებელი ნივთები. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვევრის პირი არამეული (არმაზული) წარწერით და ბოლოს ნასახლარი, რომელიც VI—VIII სს. ინტენსიური ცხოვრების მაუწყებელი იყო.

ამ ვრცელ ტერიტორიაზე ყველგან შეიმჩნეოდა ნაგებობათა კვალი. მაგრამ ისინი იმდენად ფრაგმენტალური იყო, რომ მთლიანად არც ერთი შენობის გეგმის მოხაზულობა არ დგინდებოდა. თანაც, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც შენობები ერთმანეთს ფარავდა. მათი ნაშთების თავისებურებათა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ეს ნაგებობანი სხვადასხვა დროისაა, მაგრამ ეპოქა ერთია; იგი მთლიანად ადრეფეოდალურია.



სურ. 40. ანტეფიქსები

ნაგებობათა ამ ფენიდან გამოირჩეოდა ერთი შენობა მარნით (უბ. XVI—3). შენობის სამხრეთი ნაწილი საცხოვრებელს თუ ჰქონდა მოკავებული, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს მარანი იყო (ტაბ. $XXVII_2$). მათ შორის სამი თუ ოთხი მცირე ზომის სათავსოა განლაგებული. ერთ მათგანში მოთავსებულია ხარო, ხოლო დანარჩენები, ალბათ, საკუჭნაო და სხვა დამხმარე სათავსოები იქნებოდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ურბნისის ადრეფეოდალური ხანის ნასახლარში ხარო ბლომადაა. ორის გარდა ყველა ხარო მარტივია. მარტივში ვგულისხმობთ ისეთ ხაროს, რომლებსაც მიწის კედლები აქვს[1]. ხარო სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. უმრავლესობას კონუსური ფორმა აქვს, მაგრამ არის ცილინდრულიც. ჩვეულებრივად ცილინდრული ფორმის ხაროები მცირე ზომისაა, ხოლო კონუსური დიდებია. კერძოდ, განსახილავ ფართობზე მდებარე ცილინდრული ხაროს დიამეტრი 120 სმ და სიღრმითაც ამდენივე იქნებოდა. მეორე ხაროს (რომელიც კონუსურია) ქვედა დიამეტრი 2 მ აღემატება, ზედა დიამეტრი კი 90 სმ-დეა, ხოლო სიღრმე 170 სმ. შიგ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ზომის ხაროა (სიღრმით სამ მეტრს აღემატება). მისი კედლები ქვით იყო ამოშენებული და ზემოდანაც ქვა ეხურა. ასეთივე ხარო შემორჩენილია ეკლესიის სამხრეთის გალავანთან.

ზემოაღნიშნული შენობის მარანი დიდი ზომისაა (დაახლოებით 7×10 მ). აქ მჭიდროდ ყოფილა ჩალაგებული სხვადასხვა ზომის ქვევრი (ყველაზე დიდი ქვევრის სიმაღლე 2 მ უახლოვდება, მცირესი კი—1 მ). ადგილზე დაგვხვდა მეტნაკლებად დაზიანებული 13 ქვევრი, მაგრამ ნაშთებისა და ნაკვალევის მიხედვით აქ 20-მდე ქვევრი უნდა ყოფილიყო (ტაბ. XXVI$_1$).



სურ. 41

აღნიშნულ უბანზე რამდენიმე კერას მივაკვლიეთ. კერა მარტივია, ჩვეულებრივად ქვემოთ ქვა უფენია და ერთ მხარეს ქვითვეა შემაღლება შექმნილი. ერთგან (უბ. XVI—4) კერა უფრო რთული იმით იყო, რომ შემაღლებებით ორი განყოფილება იქმნებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთში მრავალი ნაგებობის ნანგრევი აღმოჩნდა. მათ, გარდა ერთისა, ყველას მიწური იატაკი ჰქონდა. ერთ-ერთს კი (უბ. XVI—2) ფრაგმენტების მიხედვით აგურის იატაკი უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება შენობათა გადახურვას, ამ ვრცელ ტერიტორიაზე

[1] მიწის ხაროებს ხორბლის ჩაყრისას ირგვლივ ბზეს შემოაფენდნენ.

უამრავი კრამიტის ნატეხი იყო, რაც კრამიტის სახურავების არსებობაზე მიგვითითებს; შენობათა ერთ ნაწილს თუ ბანური გადახურვა ჰქონდა, მეორე ნაწილს კრამიტი ეხურა. ცხადია კრამიტის სახურავი ღარიბთათვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა.

ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რამდენიმე მთელი კრამიტი. ნატეხებიდან კი ზოგიერთი ბრტყელი (სოლენი) კრამიტის აღდგენაც მოხერხდა, მაგრამ ღარიანი კრამიტი (კალიპტერი) არც ერთი არ აღსდგა.

ადრეფეოდალური ხანის ფენაში ნაპოვნი კრამიტები მოწითალოა, მაგრამ არაა ისეთი მკვეთრი ფერისა, როგორიც ანტიკურ ხანაში გვხვდებოდა. თანაც, თიხაც არ არის ისეთი სუფთა და მკვრივი.



სურ. 42

ნაქალაქარის აღმოსავლეთ მონაკვეთში (უბ. XXIV) ნაპოვნი ბრტყელი კრამიტი ყალიბში არ არის მოჰრილი (სურ. 39). ძირი, როგორც ეტყობა, სწორ მიწაზე იდო, მაგრამ გვერდები ისეა აკეცილი, უსწორ-მასწოროა, ზედაპირი კი ხელითაა მოსწორებული. წიბოები აქა-იქ დანითაა აჭრილი (№ 1—57—1550. ზომებია: სიგრძე 40 სმ, განიერი მხარე—27, ვიწრო მხარე—20, გვერდის სიმაღლე 7 სმ.).

უფრო უკეთესი ნიმუშებია შერჩენილი ნაქალაქარსა და მის მახლობლად მდებარე სამაროვანზე (უბ. VI). ზოგ მათგანს ყალიბი ეტყობა, ზოგი კი ყალიბში არ არის მოჰრილი, მაგრამ წესიერი ფორმები აქვს (სურ. 39) მოვიყვანთ რამდენიმე ზომას:

| სიგრძე | განიერი მხარე | მოკლე მხარე | გვერდის სიმაღლე |
|---|---|---|---|
| 46 | 34 | 26 | 5 |
| 47 | 34 | 26 | 7 |
| 50 | 36 | 30 | 7 |
| 47 | 32 | 26 | 5 |

ეკლესიის ეზოს გათხრისას აღმოჩნდა ერთი ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტი. კრამიტის განიერ ნახევარზე ასომთავრული წარწერა ყოფილა. შერჩენილია შემდეგი:

+Ⴂ Ⴑ---ႸႸ
ႢႢ Ⴇ-ႸႢ

ურბნისის ტერიტორიის გათხრებისას ანტეფიქსი არ შეგვხვედრია, მაგრამ იქვე მახლობლად მდებარე ქვაცხელას გორაზე კი აღმოჩნდა.



სურ. 43

პროფ. გ. ჩუბინაშვილმა გადმოგვცა რამდენიმე ფოტო და ნახატი, სადაც აღბეჭდილი იყო კერამიკული ანტეფიქსები. მისი ცნობით, ეს კერამიკული ექსპონატები ინახებოდა კავკასიის მუზეუმში და მის მიერ ისინი ფიქსირებული იყო 1915—1916 წლებში[4]. ჩვენ ბევრი ვეძებეთ ეს ექსპონატები სხვადასხვა მუზეუმში, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვერ მივაკვლიეთ.

სამი მათგანი ერთი ტიპისაა, ისინი ლარისებრ ანტეფიქსს უნდა წარმოადგენდნენ (სურ. 40). მათ წინაპირზე დატვიფრვით დაბალი რელიეფია მიღებული. ერთ მათგანზე (გარეთა ზომებია: 10×6 სმ) ჯვრის წინაშე სტილიზებული ირემია გამოსახული. მას, თითქოს ვედრების ნიშნად, მარჯვენა ფეხი აქვს ოდნავ

4 აღნიშნული სურათების გადმოცემისათვის აკად. გ. ჩუბინაშვილს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

აწეული. მეორე ანტეფიქსზე (გარეთა ზომებია: 10×5 სმ) მსგავსი გადაწყვეტის ორი ტვიფრით განედლებული ჯვარია გამოსახული. მესამე პატარა ანტეფიქსზე (გარეთა ზომებია: 7×5 სმ) ისევ განედლებული ჯვარი ცენტრშია მოთავსებული.



სურ. 44. ანტეფიქსი

სამი დანარჩენი კერამიკული ექსპონატი ანტეფიქსები არ უნდა იყოს (სურ. 44). ერთ მათგანს სამკუთხა თავი აქვს, შუაში კი ღრმა რელიეფით ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული[5]. ჯვრის ქვემოთ გვერდებზე ასოები თუ რაღაც ნიშნები ყოფილა. მეორე კერამიკული ექსპონატი ძალზე დაზიანებულია. მასზე მხედარია გამოსახული (სურ. 42), მაგრამ დეტალები არ ირკვევა. მესამე ექსპონატი ყველაზე საინტერესოა. სამწუხაროდ, მას მარცხენა მხარე აკლია. შერჩენილი ნაწილით თუ ვიმსჯელებთ, იგი თითქოს ორქიმიანი იყო (სურ. 43). ცენტრში ერთმანეთისკენ მიმართული ორი ნისკარტა ფრინველია გამოსახული. ფრინველები ასოებზე დგანან. მარჯვენა ქიმში ზემოთ მცირე ზომის მარტივი ჯვარია. მის ქვემოთ კი ასომთავრულით აწერია: Ⴘ҇Ⴄ (შეიწყალე). ფილის ქვედა ჰორიზონტზე არსებული ხუთი ასოდან შერჩენილია შემდეგი: ႫႫ—ႾႬ პირველ ორ ასოში ალბათ „მარიამი“ იგულისხმება, მაგრამ შემდეგი დაზიანების გამო არ იკითხება.

ქვაცხელაზე გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში აღმოჩენილი კერამიკული ანტეფიქსის რელიეფიც ტვიფრვითაა მიღებული[6]. შუაში ჯიხვის რელიეფია, ზემოთ და ქვემოთ კი მისი ფოთრები უნდა იყოს გამოსახული (სურ. 44).

[5] მსგავსი კერამიკული ფილა ინახება ხელოვნების მუზეუმის საცავში.

[6] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, 1962, გვ. 3, ტაბ. IV.

### თავი მეხამე

## ა ბ ა ნ ო

გათხრების შედეგად ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნაგებობებიდან გამოირჩევა დასავლეთ მონაკვეთში მდგარი კაპიტალური შენობა (უბ. XX). იგი და მისი მიმდებარე ტერიტორია ითხრებოდა სხვა უბნების პარალელურად 1955—1957, 1959, 1961 წლებში და ძალიან საინტერესო უბანი გამოდგა. ამ ფართობზე გადაშლილმა მრავალფეროვანმა სურათმა ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი გამოაჩინა. ქვედა ფენა ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, ზედა ფენა კი— ადრეფეოდალურს.

შენობის სამხრეთ-დასავლეთით, ორიოდე ნაბიჯზე, აღმოჩნდა (გვიან ჩადგმული ქვევრისგან დაზიანებული) ბავშვის სამარხი. იგი არსებული ინვენტარით ადრებრინჯაოს ხანით კარგად თარიღდება (მას ანალოგიები სამხრეთით მდებარე სამაროვანზე ბლომად მოეპოვება). მომდევნო პერიოდებიდან არქეოლოგიური ნივთები გვიანანტიკურ ხანაზე მოდის, ხოლო სულ ზედა ადრეფეოდალური ხანის მძლავრი ფენაა.

XX უბანში ალიზის კოშკი და ქალაქის ზღუდეც შედის, ხოლო უბნის ის მონაკვეთი, რომელსაც ამჟამად ვიხილავთ მის სამხრეთითაა. ალიზის ზღუდის ადგილას, რადგან შემდეგში მიწაყრილი გაჩნდა, სამხრეთის მხარე ფერდობს წარმოადგენდა, რის გამოც ერთი და იმავე ნაგებობის თუ ხანის ძეგლები ზედაპირიდან სხვადასხვა დონეზე მდებარეობს.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი კაპიტალური ნაგებობა ძლიერაა დანგრეული, ამიტომ მისი გეგმარება და ფუნქცია ერთბაშად არ გარკვეულა. თანდათანობით ნაგებობის გაწმენდასთან და მასალების აღმოჩენასთან ერთად ირკვეოდა, რომ აქ აბანოსთან გვქონდა საქმე.

პირველ რიგში გაითხარა ამ ნაგებობის ორი სათავსო, ხოლო შემდეგში (1959 და 1961 წწ.) აღმოსავლეთით მდებარე მესამე სათავსო. სათავსოები ანფილადურადაა განლაგებული (სურ. 45). თუ დასავლეთით მდებარე სათავსოს კედლები შერჩენილია არანაკლებ 2 მ სიმაღლეზე, მომდევნო სათავსოს კედლები უფრო ნაკლებია, ხოლო მესამე სათავსოს გარეთა კედლები ერთ მეტრს ძლივს აღწევს. ნაგებობათა კედლები არა მარტო ძლიერაა დაზიანებული, არამედ, დანგრევის შემდეგ სხვა მიზნითაა გამოყენებული და ჩაშენება-გადაკეთებასთან გვაქვს საქმე (ტაბ. XXIX). თანაც, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ნაგებობას არა აქვს მკვეთრი გეგმარება; არც კედლებია ზუსტად ნაგები და არსად არ შეიმჩნევა სწორი ხაზები. ყველაფერი ამის გამო, შერჩენილი კედლები დეფორმირებულის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ სინამდვილეში ეს მშენებლობის თავისებურებაა.

პირველ ხანებში გათხრილი დასავლეთით მდებარე ორი სათავსო ბოლომდე არ ყოფილა გაწმენდილი. ამიტომ ძნელი დასადგენი იყო მათი დანიშნულების დადგენა. ერთ-ერთ გაუგებარ მომენტს წარმოადგენდა დასავლეთის დიდი ხვრელი. ერთი შეხედვით იგი შესასვლელს წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს კარისათვის მეტად დაბალი იყო (სურ. 46).



სურ. 45. აბანო. გეგმა

თავიდანვე სავარაუდოდ ნაგებობის აბანოდ მიჩნევას თანდათანობით საფუძველი უმაგრდებოდა. ასეთ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა მეორე სათავსოს იატაკზე წრიული ანაბეჭდებისა და ამ სათავსოებს შორის გამყოფ კედელში ორი დაბალი ხვრელის აღმოჩენა. ეს ფაქტები დანამდვილებით ნაგებობას აბანოდ განსაზღვრავდა.

სამწუხაროდ, ნაგებობის მესამე და უკანასკნელი ნაწილის გაწმენდა რამდენიმე წლით გვიან მოხდა. ამან თავისებური დაღი დააჩნია შესწავლის ადრეულ საფეხურზე ამოცანის გადაწყვეტას. გათხრის შემდეგ თუმცა აქაც ბევრი რამ იყო გაურკვეველი, მაგრამ იგი ნამდვილად დაგვეხმარა ნაგებობის ნაწილთა დაზუსტებაში. ამგვარად, საერთო მონაცემის მიხედვით აბანოს შემოსასვლელი აღმოსავლეთიდან იყო (სურ. 45, ტაბ. XXX,1). აქვე იყო ცივი საბანაო, შემდეგ თბილი და ბოლოს—ცხელი. იქვე, ცხელ საბანაოსთან არსებული კარისმაგვარი ხვრელი კი ცეცხლის შესანთებს წარმოადგენდა.

ნაგებობის აღმოსავლეთის ნაწილი სხვებზე მეტადაა დაზიანებული. მისი კედლების სიმაღლე ერთ მეტრამდეა შერჩენილი. ერთგან კედელი იატაკამდე



სურ. 46. აბანო. განაკვეთი დასავლეთით

განგრეულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში ის შესასვლელის ნაშთია. სხვანაირი გადაწყვეტა არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც საერთოდ ანტიკურ სამყაროში, ეს იქნება უშუალოდ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, თუ აღმოსავლეთის ქვეყნები, ძირითადად მიღებული იყო ერთი სისტემა: ვესტიბიულიდან ჯერ მოხვდებოდით ცივ საბანაოში, შემდეგ თბილში და ბოლოს—ცხელში, უკან კი ბრუნდებოდნენ იმავე გზით[1]. ასეთი გადაწყვეტა სრულიად ლოგიკური ჩანს განსაკუთრებით საბანაოთა ანფილადური გადაწყვეტის დროს. აერძოდ, ურბნისშიც სათავსოთა ანფილადური განლაგებაა[2] (ტაბ. XXXII$_1$).



სურ. 47. აბანო. ცივი საბანაოს განაკვეთი დასავლეთით

ურბნისის აბანოს პირველი განყოფილება სხვებზე ერცელია. იგი განივი კედლით ორადაა გაყოფილი. ჩრდილოეთი მონაკვეთი ცივი წყლის აუზს წარმოადგენს (სურ. 45). აუზში ჩასასვლელად საფეხურებია მოწყობილი. რადგანაც ორივე ნაწილის იატაკი ერთ დონეზეა, საფეხურებით ჯერ ადიოდნენ გამყოფი კედლის სიმაღლეზე და მერე უშუალოდ ჩადიოდნენ აუზში. აუზში წყალი ალბათ ცოტა მაღლიდან შემოდიოდა. შერჩენილი კედლები უფრო დაბლაა, ვიდრე მილის დონე. წყლის გასასვლელად კერამიკული მილები ჩაწყობილი იყო გამყოფი კედლის შუაში იატაკის დონეზე. საბოლოოდ შენობიდან წყლის გაყვანა ხდებოდა სამხრეთის კედლის ნიშაში მოწყობილი გასასვლელით (სურ. 47, ტაბ. XXXII$_2$). იქიდან კი კირის დუღაბით გადაბმული მილები მოხრით მიემართება მდინარის მხარეს (ჩვენ მივსდიეთ მხოლოდ სამიოდე მეტრზე). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მცირე მასშტაბის გვიანანტიკურ აბანოებში ცივი საბანაო (ფრიგიდარიუმი) ხშირად ცალკე არ არის გამოყოფილი. ასეთ შემთხვევაში იგი ნაწილია გასახდელისა ან ვესტიბიულისა[3]. ურბნისშიც ანალოგიურ მდგომარეობასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ცივი საბანაოს მომდევნო თბილი საბანაო (ტეპიდარიუმი) ერთ მთლიან გრძელ სათავსოს წარმოადგენს. იგი ორივე მხარეს მომრგვალებით მთავრდება[4].

---

[1] D. Krencker, E. Krüger. Die Trierer Kaiserthermen Augsburg, 1929, გვ. 177; О. Шуази, История архитектуры, М., 1935, გვ. 478.

[2] შეიძლება ვარაუდი გამოვთქვათ, რომ არ არის გამორიცხული არმაზისხევის აბანოშიც ანალოგიური გადაწყვეტა. მით უმეტეს, თუ მივიღებთ მხედველობაში გამთხრელისა და გამომცემის ს. კალანდაძის შენიშვნას, რომ ცივი აბანოს „ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან თავის დროზე ყოფილა გასასვლელი, რომლისაგან ახლა კვალი-ღა დარჩენილა“ (მცხეთა, 1, გვ. 155). საფიქრებელია, რომ არმაზისხევის აბანოში შესასვლელი აქედან ყოფილიყო და არა დასავლეთიდან.

[3] E. Pfretzschner, Die Grundrissentwicklung der römishen Thermen. Strassburg, 1909, გვ. 36.

[4] ანალოგიური ფორმის ტეპიდარიუმი იყო პომპეიმის რომაულ აბანოში (იხ. E. Pfretzschner, მით. შრ., ტაბ. IX—1), შამილიესა და ნიდერბიბერში (იხ. A. Grenier, Manuel d'archéologie Gallo—romaine, IV$_1$, Paris, 1960; სურ. 107—108).

როგორც ვიტრუვიუსი აღნიშნავს, ამ საბანაოების სიგრძე სამჯერ უნდა აღემატებოდეს სიგანეს[9]. ურბნისში თბილი და ცხელი საბანაოების პროპორციები თითქმის უახლოვდება აღნიშნულს (თბილი—9,6×3,6 მ; ცხელი—9×3,4 მ). მესამე სათავსო სხვებზე რთულია. სიგრძით იგი მცირედ აღემატება წინას. თითქმის ასევეა ცენტრალური გრძივი ნაწილის სიგანეც. სათავსოს აღმოსავლეთის კედელი ერთ სიბრტყეს წარმოადგენს, ხოლო მოპირდაპირე მხარეს სხვადასხვა ზომის ორი უბე იქმნება.

განსახილავი ნაგებობა აბანოს დანგრევისა და გაუქმების შემდეგ სულ ცოტა ორჯერ მაინცაა გადაკეთებული და სხვადასხვა მიზნით გამოყენებული. აბანოს ორსართულიანობა ახალ მიზნებს არ ეთანხმებოდა, ამიტომ სართულშუა გადახურვა მოუხსნიათ და კედლები ერთიანად შეულესიათ. სათავსოებს შორის არსებული კარებიც ამოუშენებიათ. ამ გადაკეთებული შენობის ისევ მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ იგი აღარ აღუდგენიათ. მისი ტერიტორია, სანახევროდ მიწით დაფარული, მარნად უქცევიათ (იქიდან ჩვენ ამოვიღეთ ათეულობით ქვევრი). ყველაფერი ეს ხელს უშლის პირვანდელი სართულშუა გადახურვის დონისა, კონსტრუქციისა და სხვა საკითხების გარკვევას.



სურ. 48. აბანო. საერთო ხედი (ნახ. არქ. ე. ცუხიშვილის)

აბანოს თავდაპირველი იატაკის დონის გარკვევა შეიძლება სათავსოებს შორის არსებული კარისა და ჰიპოკაუსტის სვეტის დახმარებით.

შუა სათავსოს, ტეპიდარიუმის იატაკის გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა ქვედა სართულის იატაკზე დასხმული კირის ხსნარზე დამზადებული ბკვრივი ღუღაბი. ამ იატაკის გულდასმით გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა წრიული ანაბეჭდები (სურ. 45, ტაბ. XXXIII,). ანაბეჭდების ჩაღრმავებებში ზოგან შერჩენილი იყო იქ მდგარი კერამიკული მილების (სვეტების) ნატეხები. ანაბეჭდები უმთავრესად შერჩენილი იყო სათავსოს სამხრეთ მონაკვეთში (29 ცალი), ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კედლების გაყოლებაზე მცირე იყო (15 ცალი). ადგილზე, თავდაპირველად მდგარი კერამიკული მილებისმაგვარი საყრდენების ნატე-

[9] Витрувий, Десять книг об архитектуре, М., 1936, გვ. 107.

ხებიც ვერ ვიპოვნეთ, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ XVI—4 უბანზე აღმოჩნდა საკანალიზაციო გაყვანილობა (შემდეგში აგებული რომელიღაც შენობისათვის). ამ გაყვანილობის დაშლისას გაირკვა, რომ იგი შედგებოდა სხვადასხვა კერამიკული მილებისაგან და კრამიტებისაგან. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეს მილები თავდაპირველად განკუთვნილი იყო აბანოსათვის. აღმოჩენილი ოთხი მილიდან, ერთი, ყველაზე დიდი, მილს კი ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მილი კი არ არის, არამედ სვეტია, საყრდენს წარმოადგენს[6]. სამი დანარჩენი სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ სისტემით ერთია და სხვა დანიშნულებისაა (სურ. 49-51, ტაბ. XXXIII$_2$).




სურ. 49. აბანო. კალორიფერის სადგარი

ტეპიდარიუმის იატაკზე არსებულ ანაბეჭდებს, როდესაც ეს კერამიკული სვეტი დავაზომეთ, ჩვენივარაუდი სწორი გამოდგა: ისინი კალორიფერის საყრდენებს წარმოადგენენ. კალორიფერის ასეთი სვეტის აღმოჩენა, საქართველოს სინამდვილეში, პირველი იყო[7].

ტეპიდარიუმს უწესო ფორმა აქვს. გრძივი კედლები არ არის პარალელური, ხოლო ბოლოები მომრგვალებულია სხვადასხვა ფორმით (სურ. 4ჴ). მისი ფარ-

---

[6] ასეთი საყრდენების ფრაგმენტი სხვაგანაც რამდენიმე აღმოჩნდა, მაგრამ მთელი კი არ შეგვხვედრია.

[7] ჰიპოკაუსტის ამ სვეტის ანალოგიებს ვხედავთ შემდეგ პუნქტებში: გარნისში (Г. А. Тирацян, Памятник коммунальной техники древней Армении, Баня в крепости Гарни, Историко-филологический журнал, № 2–3 (5—6), Ереван, 1959, გვ. 271), ხარაკსში (В. Д. Блаватский, Харакс. МИА, № 19, М., 1951, სურ. 45, გვ. 253), ჰისარში (Д. Цончев, Хисарските бани. Годишн. Пловдивск. народн. библиотека и музей 1935—1936. София, 1936—1937, გვ. 140—141), სტობიში (E. Kitzinger, A. survey of the Early Christian Town of Stobi, „Dumbarton Oaks Papers" № 3, 1946, ტაბ. 201), ისტრიაში (M., Macrea, D. Protase, M. Rusu. Santierul archeologic Porolissem. „Materiale si cercetări archeologice VII Bucuresti, 1961, სურ. 16).

თობი დაახლოებით 32 კვადრატული მეტრია. აღმოჩენილი კერამიკული სვეტები ორივე მიმართულებით თითქმის პარალელურად მდგარა. მათ ცენტრებს შორის დაახლოებით 50—60 სმ ანაბეჭდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი კერამიკული სვეტი აქ მდგარა არანაკლებ ასისა. ეს სვეტები გამოყენებული იქნებოდა კალორიფერში ერთიანი სივრცის მისაღებად და ჰერის ანუ ზედა სართულის იატაკის დასაყრდნობად.

მიკვლეული კერამიკული სვეტის სიმაღლე 44 სმ. იგი ოდნავ ეიწროვდება ზემოთკენ, შუა დიამეტრი 18 სმ. სვეტის ორივე თავი 2—3 სმ გადაკეცილია, რაც საჭირო იყო იატაკზე მარჯვე დასაყრდნობად და ჰერის სიმძიმის მეტ ფართობზე გასანაწილებლად. სვეტის 2 სმ სისქის კედლები მაღალხარისხოვანი თიხისაგან კარგადაა გამომწვარი. ასეთი კერამიკული სვეტები ადვილად გასწევდნენ იმ აგურის საყრდენების მაგივრობას, რომლებიც გამოყენებულია რომაული სამყაროს, თუ ამიერკავკასიის ქვეყნების აბანოებში.




სურ. 50. აბანო. ტუბული

კერამიკული სვეტები საქმის ცოდნითაა გაკეთებული. ოსტატმა კარგად იცოდა, რომ კალორიფერში ტემპერატურის ცვალებადობა იმოქმედებდა სვეტის კედლებზე და შიგ მყოფ ჰაერზე. ამიტომ, შიგ და გარეთ თანაბარი ტემპერატურის მისაღებად, სვეტის კედლებში, ერთმანეთის პირდაპირ, მცირე ზომის ხვრელებია. სვეტები რადგან თვალსაჩინო ადგილას არ იდგა, ამიტომ ხვრელები დანის თითო მოსმითაა გაკეთებული, ყოველგვარი წესიერი ფორმების გარეშე. ამ შემთხვევაში ოსტატი ფიქრობდა მხოლოდ ჰაერის ცირკულაციაზე და არა სილამაზეზე.

ადგილზე აბანოს სართულშუა გადახურვის ფრაგმენტიც კი არ არის შერჩენილი. იქვე ახლო ტერიტორიაზე ნაპოვნია კერამიკული ფილების ფრაგმენტები,

რომელთა სისქე 6—7 სმ უდრის, მაგრამ გვერდების ზომები არ დგინდება. მიკვლეული ფრაგმენტების სიგრძე 40 სმ აღემატება, ამიტომ მთელი უფრო დიდი უნდა წარმოვიდგინოთ. იატაკზე არსებული სვეტების ანაბეჭდები, როგორც აღვნიშნეთ, ზუსტად არაა განლაგებული, მაგრამ ცენტრებს შორის 50—60 სმ გადახურვის მისაღებად 7 სმ კერამიკულ ფილებსაც გვერდები 50—60 სმ უნდა ჰქონოდა. ასეთი ფილა დაეყრდნობოდა ოთხ სვეტს და თითოეული სვეტის მეოთხედს მოიკავებდა.

ასეთი სისტემით ჰიპოკაუსტის გადახურვა რომაული სამყაროსათვის ჩვეულებრივი ყოფილა[8]. იგივე კონსტრუქცია იყო არმაზისხევის[9], ბაგინეთის[10], გარნისის[11] აბანოებში. არმაზისხევის აბანოს ფილები ზომითაც ურბნისისას უდგება, მხოლოდ უფრო თხელია. გარნისის აბანოს ფილების ზომები კი 60—65 სმ. ფილები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებოდა კირის ხსნარით. ფილებზე ზემოდან დაასხამდნენ, ისე როგორც ეს სხვაგანაცაა, კირის ხსნარს, რომელშიც ერია დაფხვნილი აგური. ზემოთ, შესაძლოა, ყოფილიყო უფრო თხელი კერამიკული ფილები და ბოლოს—ისევ წყალგაუმტარი ხსნარი. მთელი იატაკის საერთო სისქე 15—20 სმ იქნებოდა.



სურ. 51. აბანო. ტუბული

დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აბანოების (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბიჭვინტა) კალორიფერის სვეტები შედგება წრიული და ოთხკუთხა აგურებისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, პირველად ურბნისში მივაკვლიეთ სვეტებად კერამიკულ მილებს, ხოლო 1961 წელს შუხუთში (ლანჩხუთის რ-ნი) აღმოჩენილ აბანოშიც იგივე გადაწყვეტასთან გვქონდა საქმე. აქ სურათი უფრო ნათელი იყო, რადგან კერამიკული სვეტების უმრავლესობა ადგილზე იდგა. ურბნისთან შედარებით შუხუთში სვეტები ცოტათი დაბალია. იქ თუ 44 სმ იყო, აქ 37 სმ, სიგანე კი 14—16 სმ.

---

[8] Витрувий, დასახ. შრომა, გვ. 107, Шуази, დასახ. შრ., გვ. 477.
[9] მცხეთა, I, გვ. 151, სურ. 104.
[10] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძვ. საქართველოში, გვ. 38.
[11] Г. Тирацян, Памятник коммунальной техники древней Армении, Историко филологический журнал, 2—3 (5—6), Ереван, 1959, გვ. 267—268, სურ. 2.

ურბნისში კალორიფერის დონეზე ცხელ და თბილ საბანაოებს შორის ორი ხვრელია, სიმაღლით 60 სმ. ერთი მათგანი თაღოვანია, მეორე კი ოთხკუთხა (სურ. 48, ტაბ. XXXI$_2$). ანალოგებს თუ გადავხედავთ, ასეთ ორ სათავსოს შორის გვხვდება როგორც ერთი ხვრელი, ისე ორი. ხვრელებით შეაღწევდა ტეპიდარიუმში ცხელი ჰაერი.

ურბნისში, როგორც აღვნიშნეთ, საცეცხლე მოწყობილი ყოფილა ცხელი სათავსოს დასავლეთით, ცენტრში მდებარე ღრმა უბეში. აქ თავდაპირველად ღრმა და განიერი ხვრელი დაუტანებიათ. მისი სიმაღლე 1,10 მ, ხოლო სიგანე 1,4 მ. როგორც ეტყობა, ასეთი ზომები ცეცხლის დასანთებად მცირედ ზედმეტი იყო და ორივე მხრიდან თითო აგურის წყობის შემოყოლებით თაღოვანი ხვრელი შეუმცირებიათ. მერმინდელი დანამატი ცუდათაა შენახული, ამიტომ ფორმა და ზომები ზუსტად არ დგინდება. ამავე დროს, კედლის გარეთ, ხვრელის გაყოლებაზე, წყობის ნაშთს მიუსწარით. არაა გამორიცხული, რომ აქ საცეცხლეს შემომსაზღვრელი დამატებითი კედლებიც ყოფილიყო.

საცეცხლეს ზემოთ წყლის გახურება როგორ ხდებოდა არ ჩანს. ანალოგიების მიხედვით, შესაძლოა, იქ ქვაბი იდგა. სწორედ აქ წყლის მოსაწოდებლად უნდა ყოფილიყო დატანებული ის კერამიკული მილი, რომელიც ახლაც ჩანს იქვე მაღლა, გარე კედელში (სურ. 48, ტაბ. XXX$_2$).

საბანაო აუზის კვალიც წაუშლია გვიან გადამკეთებელს. ამ სათავსოში აუზის არსებობა ყველაზე მეტად მოსალოდნელია სამხრეთის მომრგვალებულ ნაწილში. ეს მხარე გამოყოფილი იყო პილასტრებზე გადასული თაღით. იმავე სათავსოში საცეცხლეს გვერდით არის კიდევ ერთი ღრმა უბე.

ცხელი სათავსოს გათბობის საკითხიც საბოლოოდ არ არის გარკვეული, რადგანაც ასეთი განყოფილება არა მარტო იატაკიდან თბებოდა, არამედ კედლიდანაც და ზოგჯერ ჭერიდანაც.

კალორიფერის კერამიკულ სვეტთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ვიპოვნეთ სამი კერამიკული მილი. მილები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა (სურ. 50, 51). მათ შორის ყველაზე პატარა შედარებით წესიერი ოთხკუთხაა (სიმაღლე 20 სმ, გვერდები 16×12 სმ). ორი დანარჩენი ერთნაირი სიმაღლისაა (23 სმ). მაგრამ გვერდები სხვადასხვა ზომისაა (17×16 სმ და 17×13 სმ). ამასთანავე, ერთი მათგანი წრეს უახლოვდება. სამივე მილის გვერდებზე სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ამოჭრილებია (პირველი მილის ამოჭრილები 7×5 სმ, მეორე მილისა კი 7×8 სმ, ხოლო მესამეს ერთ მხარეზე—11×5 სმ, მეორე მხარეზე— 9×5 სმ). ასეთი კერამიკული მილების ანალოგიებს თუ მივმართავთ[12], ცხადი გახდება, რომ ეს შემთხვევით ნაპოვნი მილები (tubuli) ფაქტიურად აბანოს „ცენტრალური გათბობისათვის" იყო განკუთვნილი, ასეთი კერამიკული მილების მიჯრით დაწყობით კედლები ერთ ფენად იფარება. მილები ვერტიკალურადაა დაწყობილი და გვერდითი ხვრელების დახმარებით ჰაერის ცირკულაცია სრულიად თავისუფლად ხდება. მილები დღევანდელი რადიატორების როლს ასრულებდა და სითბოს უშუალოდ საცეცხლედან იღებდა. მილების ქვედა ბოლო, კედლის გაყოლებაზე, იატაკის ქვეშ ჩადიოდა. იქ კი კალორიფერში ცხელი ჰაერი ტრია-

[12] Витрувий, დასახ. ნაშრ., გვ. 107, 278, სურ. 88; Шуази, დასახ. ნაშრ., გვ. 477, სურ. 339; Durm. Die Baukunst der Etrusker. Die Baukunst der Römer Stuttgart, 1905, სურ. 197, გვ. 185.

ლებდა და ამ მილებით კედლის ზედაპირს ათბობდა, რითაც თავისთავად ოთახის ტემპერატურა მატულობდა.

საქართველოში აღმოჩენილი ანტიკური აბანოებიდან მცხეთაში იშვიათი სიზუსტითაა გათბობის ასეთი სისტემა გამოყენებული. განსხვავება მხოლოდ მილების ფორმაშია. არმაზისხევში მთლიანი კერამიკული მილის მაგიერ მისი ნახევარია, რითაც სწორკუთხა კრამიტს მოგაგონებთ[13]. შუხუთში მეტად პატარა ფრაგმენტებია, მაგრამ, ვფიქრობთ, იქაც კრამიტისმაგვარი უნდა ყოფილიყო.

ფაქტიური მასალებიდან გამომდინარე და ანალოგიების მოშველიებით, ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა აბანოს გათბობის სისტემა, რასაც ვიძლევით რეკონსტრუქციის პროექტში (სურ. 52).



სურ. 52. აბანო. კალორიფერის რეკონსტრუქცია

სათავსოებს დასჭირდებოდა ვენტილაცია. სავენტილაციო მილები ჩვეულებრივად კუთხეებშია დატანებული. ერთი ასეთი მილი შერჩენილი იყო ცხელ საბანაოს ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში (იგი თავდაპირველი იატაკიდან დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე იქნებოდა). ისეთივე ერთი მილი ეგდო საცეცხლეს სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან. შესაძლოა, ისიც სავენტილაციო იყო. ზემოაღნიშნული კერამიკული მილი ოდნავ დახრილად შედიოდა კედელში და ალბათ გადიოდა სახურავში. მეორე სათავსოს, თბილ საბანაოსაც ექნებოდა სავენტილაციო მილები, მაგრამ ისინი არ შერჩენილან.

ანტიკური პერიოდის აბანოებს ხშირად აქვს აფსიდალური დამთავრება ყველაზე ხშირად ეს გამოიყენება ცხელ სათავსოში. ვიტრუვიუსის (რომაელი ავტორი, ცხოვრობდა ჩვ. წ-მდე I ს. მეორე ნახევარში) განმარტებით სიმრგვალე

[10] მცხეთა, I, გვ. 152, სურ. 109; Durm, დასახ. ნაშრ., სურ. 195.

საჭიროა იმისათვის, რომ სითბო განაწილდეს თანაბრად[14]. ურბნისის ოსტატს, როგორც ეტყობა, ეს წესი სცოდნია. მას სათავსოებისათვის მიუცია აფსიდალური დამთავრება, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს მკვეთრი ფორმა. ურბნისის აბანოს სამივე სათავსო ორივე მხარეს მომრგვალებულია, მაგრამ არა აქვთ სწორი მოხაზულობა. ეს ეხება არა მარტო აფსიდებს, არამედ საერთოდ მთელ ნაგებობას; თითქოს მშენებელი განგებ გაურბის სიმკვეთრეს. ასევე, სიმკვეთრე აკლია გათბობის სისტემის კედლების ამყოლ კერამიკულ მილებსაც.

აბანოს გადახურვა არ შერჩენია. ნაგებობა ფაქტიურად სამი ნავისაგან შედგება. ნავები სხვადასხვა სიგანისაა. ყველაზე ვიწროა ცენტრალური ნავი. დაახლოებით იმავე სიგანისაა ცხელი სათავსოს ერთიანი ნაწილი უბეების გარეშე. პირველი (აღმოსავლეთის) ნავი კი ორივეზე განიერია. ნავებს რომ კამაროვან-თაღოვანი გადახურვა ჰქონია, თეორიულად საეჭვო არ არის. გარდა ამისა, წინა სათავსოს სამხრეთ მონაკვეთში იატაკზე ეგდო აგურის თაღისა, თუ კამარის საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტი (ტაბ. XXXI$_1$). ასეთი დეტალის აღმოჩენა თავისთავად წყვეტს ნაგებობის გადახურვის კონსტრუქციისა და ფორმის საკითხს. ცხადია, აქ საუბარია გადახურვის სისტემის პრინციპულ გადაწყვეტაზე და არა კონკრეტულზე.

აბანოს ნავების გადახურვის ყველაზე რეალური კონსტრუქცია იქნება ცილინდრული კამარები. როგორც ნაგებობის განხილვისას ვნახეთ, მისი კედლები არ არის წესიერად ნაგები. მაგ., ნაგებობის კედლები არ არის ურთიერთ პარალელური, მრუდეები უფორმოა და სხვა. ამიტომ ჩვენ არ უნდა დაგვაფიქროს ასეთი უწესო ფორმის ნავების კამარებით გადახურვამ. კედლები ატარებს დეფორმირებულ ხასიათს, შესაძლოა იმავე ხასიათისა ყოფილიყო კამარებიც. კერძოდ, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი მესამე სათავსოს გადახურვა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ვარიანტი გვესახება. ვფიქრობთ, რომ გრძივი ნავი მთლიანად იყო გადახურული ცილინდრული კამარით და მასთან შეერთებული იყო პერპენდიკულარულად მიმართული უბეების მცირე კამარები. ცენტრალურ ნავს შედარებით ადვილად გადახურავდნენ, რადგან აქ ერთიანი სივრცეა. პირველი სათავსოც გარეთა კედლების მიხედვით ერთიანია, მაგრამ ცოტა განიერია (ექვსი მეტრია). ასეთი სიგანე გვიანანტიკური ხანის ოსტატისათვის საშიში არ უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ნაგებობის სახურავი გარედან გამოჩნდებოდა სამი ცილინდრული კამარის სახით. შესაძლოა, კომპოზიციური მოსაზრებით ცენტრალური ნავი გვერდითებზე მაღალი ყოფილიყო.

ნაგებობის კედლის მასალა არ არის ერთგვაროვანი. ძირითადად გამოყენებულია საშუალო ზომის ყორექვა. მცირე რაოდენობით არის რიყისქვაც, შესამჩნევი რაოდენობითაა გამოყენებული აგრეთვე აგურიც. აგურს ოსტატი მოხერხებულად იყენებს შესასვლელისა და დიდი და პატარა ხვრელების წირთხლებზე და კედლების წყობაში აქა-იქ ჰორიზონტალებად. წყობაში ეს ჰორიზონტალები არ ატარებს ისეთ წესიერ ხასიათს, როგორც ეს მიღებული იყო გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში და ეძახიან „შერეულ წყობას“[15] (Opus mixtum).

[14] В и т р у в и й, დასახ. შრომა, გვ. 108.

[15] С. Н. Б о б ч е в, Смесената зидария в римските и ранно византийските строежи, София, 1952.

თავისთავად აგური კარგი თიხისაგან არის გაკეთებული და იშვიათი სიმაგრისაა. მაგრამ ერთი სტანდარტის არაა, თანაც გამოწვის დროს ზოგიერთი დეფორმირებულია. შეიძლება ეს ნაწილობრივ იმით იყოს გამოწვეული, რომ აგური დიდი ზომისაა და თხელია. აგურის სისქე ძირითადად 4 სმ, ზოგან გვხვდება ნახევარი სანტიმეტრით მეტი ან ნაკლები (მათი ზომაა: 42×30, 42×27, 41×28, 40×29, 39×28 და 36×24 სმ). გარდა ამისა, გამოყენებულია რამდენიმე ცალი სქელი აგურიც, მაგალითად, 7×24×6 და 7×32×25 სმ.

აბანოს შიდა კედლები თავდაპირველად შელესილი იყო მკვრივი შენაერთით. როგორც ეტყობა, იგი ჰიდრავლურ ხსნარს წარმოადგენდა. იგი მოვარდისფროა დანაყილი აგურის გარევის გამო. თუ როგორ იყო გარედან კედლები, ზედმიწევნით არ ირკვევა. ეტყობა, რომ შენობა ნაწილობრივ მიწაში იჯდა, ეს გასაგებიცაა, რადგან მიწაში სითბოს უკეთ შეინახავდნენ. რაც შეეხება სახურავს, მისი ფრაგმენტიც არაა შერჩენილი, მხოლოდ ვიცით, რომ კამარები აგურისა იყო. როგორც ეს საერთოდ გვხვდება გვიანანტიკური პერიოდის კამაროვან ნაგებობებში, აქაც სახურავი კრამიტისა იქნებოდა. კრამიტის ნამტვრევები აქ იქვე ბლომად იპოვებოდა.

ურბნისის ნაგებობის კიდევ ერთი თავისებურება უნდა აღვნიშნოთ. აბანო ორიენტირებულია ისე, რომ ცხელი სათავსო დასავლეთისკენ არის მიმართული. როგორც ეტყობა, ეს ერთ-ერთი პირობა იყო აბანოს აგებისას. ვიტრუვიუსი აბანოს აღწერას იწყებს სწორედ ორიენტაციიდან[16]. ამას, ავტორის ცნობით, დიდი ყურადღება ეთმობოდა იმიტომ, რომ საბანაოდ ჩვეულებრივად დღის მეორე ნახევარში მიდიან ხოლმე. ამ დროს მზის სხივები სწორედ დასავლეთიდან მეტია; იგი რამდენადმე ეხმარება აბანოში სითბოს შენარჩუნებას.

ურბნისის აბანოს თარიღი არ გააჩნია და არც ადგილზეა ზუსტი მონაცემები. არქეოლოგიური მასალა ზოგადად გვიანანტიკურ ხანაზე მიგვითითებს. ზედა მასალის მიხედვით (მარანი) გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ VI საუკუნეში აბანო დანგრეული იყო. უფრო მეტიც, აბანო მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ჯერ სხვა დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული და შემდეგში კი მარნად გამოიყენეს.

უდავოდ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეული ხანის აბანოები ყველა (არმაზისხევი[17], ბაგინეთი[18], ბიჭვინტა, შუხუთი) გვიანანტიკური ან ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისაა. ურბნისის აბანოს კედლის წყობა, მშენებლობის ხასიათი, საერთოდ ქალაქის ისტორია არქეოლოგიური მონაცემებით და სხვა, მის აგებას უფრო III საუკუნეზე მიუთითებს.

---

[16] Витрувий, დასახ. ნაშრ., გვ. 106.
[17] მცხეთა, I, გვ. 159.
[18] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

## თავი მეოთხე

# ქალაქის წყლით მომარაგება

ქალაქ ურბნისის წყლით მომარაგების საკითხის გარკვევა ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა და ზოგი საკითხიც სათანადოდ გაირკვა.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარე სოფელს ამჟამად კარგი სასმელი წყალი არა აქვს. ადგილობრივი მცხოვრებნი გადმოგვცემენ, რომ 30—40 წლის წინათ, როდესაც მტკვრის წყალი უფრო სუფთა იყო (იგულისხმება მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების შედეგად მდინარის გაჭუჭყიანება). სასმელად მდინარის წყალს ვიყენებდით, ხოლო შემდეგ დავიწყეთ აქვე არსებული მლაშე წყლების გამოყენებაო. საქმე იმაშია, რომ მტკვრის ფლატეზე, ნაქალაქარის ფარგლებში, დაახლოებით 800 მეტრის სიგრძეზე, შვიდი წყაროა. ამ წყაროებიდან ორს საკმაოდ დიდი დებიტი აქვს, ხოლო დანარჩენები მცირეა. შვიდივე წყარო მლაშეა. ეს წყაროები მავნებელი არ არის, მაგრამ ძალიან ხისტია და ალბათ ამიტომ ხმარებას ერიდებოდნენ[1].

ჯერ კიდევ 1953 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთით, ზღუდესთან, ექსპედიციამ იპოვნა წყალსადენის ფრაგმენტი. ამ ფრაგმენტის მიხედვით წყალსადენი კაპიტალურ ნაგებობას წარმოადგენდა. სხვადასხვა ზომის ორი კერამიკული მილი (ერთი მილის დიამეტრი 10—12 სმ იყო, ხოლო მეორესი—6—8 სმ). ორივე მილი კირის მკვრივ დუღაბში იყო ჩასმული (ტაბ. XXXV$_2$). როგორც ეტყობა, წყალი შორიდან მოჰყავდათ, წყალსადენი პარალელურად მიმავალი ორი მილისაგან შედგებოდა. თუ საიდან მოჰყავდათ ეს წყარო არ ირკვევა, რადგან ამ მხარეს კარგი სასმელი ამჟამად არ ჩანს[2].

ერთი წყალსადენის კერამიკული მილი უპოვნიათ ამ ოციოდე წლის წინათ სახლის სარდაფის ამოღებისას ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს მილიც

---

[1] ასეთივე მლაშე წყლებია აღმოსავლეთით ორიოდე კილომეტრზე, მტკვრის ნაპირას მდებარე ქვაცხელას ნასახლარის ორივე მხარეს. მლაშე წყაროა აგრეთვე ისევ მდინარის სიახლოვეს, დღევანდელი სატრანზიტო გზის ნაპირას (ძველად „ამილახვრიანთ წყაროს“ ეძახდნენ) მგზავრების შესასვენებელ ფანჩატურთან.

თუ ურბნისის აღმოსავლეთით ასეთი წყაროებია, სულ სხვა მდგომარეობაა დასავლეთით. იქვე ნახევარ კილომეტრზე „დეგოთებად“ წოდებულ ადგილას სამასიოდე მეტრის სიგრძის ხევში უამრავ ადგილას წყარო ამოდის. ეს ანკარა წყარო ძალიან კარგია სასმელად. ამავე დროს, წყაროს დებიტი იმდენად დიდია, რომ მასზე ათამდე წისქვილი დგას. ეს მდგომარეობა ვახუშტისაც აქვს შემჩნეული. იგი წერს: „ურბნისის დასავლეთით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნავენ წისქვილნი ზამთარსა, ვინათგან ვერ განჰყინავს“ (გეოგრაფია, გვ. 78).

[2] ურბნელები ამბობენ: გადმოცემით ჩვენი ტაძარი არ არის ადგილობრივი წყლით ნაგები, არამედ მისთვის შორიდან მოჰყავდათ წყალიო.

ჩვენ გადმოგვცეს. იგი დუღაბში არაა ჩასმული, მაგრამ საერთო ნიშნებით ისევ ადრეფეოდალურ ხანაზე მიგვითითებს.

ქალაქს სასმელი წყლის გარდა სამეურნეო წყალიც ესაჭიროებოდა. ამ მიზნით იყენებდნენ ლიახვიდან ადრევე გამოყვანილი არხის წყალს.

ქალაქის ტერიტორიის გათხრისას ჩვენ მიერ აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ხასიათის სამი არხი.




სურ. 53. უბანი II. არხი ალიზის გალავნის ქვეშ

გათხრების დასაწყისში (1953) ერთი არხის არსებობაზე მიგვითითეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. დასავლეთით, დეგოთების წისქვილებისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც გადადიოდა ზღუდეზე, იქმნებოდა „უღელტეხილი". ამ შემაღლების გასასწორებლად, ჩვენს ჩასვლამდე ორიოდე წლით ადრე, მოუყვანიათ ბულდოზერი, რომელსაც გზა გაუჭრია. ზღუდის გაჭრისას ბულდოზერს მოუნგრევია ქვიტკირით ნაგები არხის ნაწილი. მითითებული ადგილი გავწმინდეთ (უბ. II). გამოჩნდა დახურული არხის გარეთა მხარე, რომელსაც დასაწყისი მორღვეული ჰქონდა. მოვუძებნეთ ამ არხს მეორე ბოლოც. გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არხის შიდა ნაწილიც 3—4 მ სიგრძეზე დაზიანებული იყო. ადგილზე დარჩენილა არხის ძირი. ზღუდის გაჭრისას გაირკვა, რომ ალიზის კედელი და არხი ერთი და იმავე დროსაა აგებული (სურ. 53, ტაბ. XXXV₁). ქალაქისათვის ალიზის კედლის შემოვლების დროს შიდა ტერიტორიაზე წყალი შემოუყვანიათ დახურული არხით. როგორც ეტყობა, წყალი ზღუდიდან მოდიოდა ღიად, ხოლო ზღუდის ქვეშ კი გვირაბით გადიოდა. ზღუდიდან გამოსვლის შემდეგ მცირედ გრძელდებოდა ქვის არხი, რის შემდეგაც წყალი ისევ ღიად ივლიდა.

გვირაბი ნაგებია ქვიტკირით. დიდი ზომის ქვების შიდა ზედაპირი კარგადაა გათლილი და ურთიერთ მჭიდროდ მორგებული[1]. გვირაბის კვეთი ოდნავ მაღა-

[1] П. Закарая, К изучению жилых и оборонительных сооружений городища Урбниси, Краткие сообщения Института истории материальной культуры, 1959, вып. 74, სურ. 54, 56, გვ. 132—136.

ლი ოთხკუთხედია (40×50 სმ). გვირაბის საერთო სიგრძე 13 მეტრამდეა (სურ. 53). როგორც აღვნიშნეთ, მას ბოლოები მორღვეული აქვს, მისი დანიშნულება მხოლოდ წყლის გატარებაა ზღუდის ქვეშ, ამიტომ შესაძლოა მას ბევრი არც აკლდეს. ალიზის კედლის სისქე, რომლის ქვეშაც უნდა გაევლო არხს, 4,5 მ.

გვირაბის შიდა პირი ამჟამად 1,5 მ სიღრმეზე იყო მიწაში. ეს მიწა შემდეგაა გაჩენილი ზღუდის მიწაყრილის ჩამორეცხვის შედეგად. თავდაპირველად არხის ბოლო მიწის ზედაპირზე იქნებოდა. არხს მცირე დაქანება აქვს ქალაქისკენ.

1959 წელს XX უბანზე, კოშკის ჩრდილოეთით, ზღუდის შიდა ნაპირის გაწმენდის დროს ალიზის კედლის ქვეშ აღმოჩნდა არხი. არხის დანიშნულების გასარკვევად ჩაჭრილ იქნა კედლის მეორე მხარეს მიყრილი მიწა. კედლის გაწმენდის შემდეგ დადგინდა, რომ არხის ბოლოები ალიზის კედლიდან ორივე მხარეს გამოშვერილია 25—30 სმ (სურ. 54). არხი ფაქტიურად გვირაბს წარმოადგენს, რომელსაც შესამჩნევი დაქანება აქვს ქალაქისკენ (არხის დონეთა სხვაობა 5.4 მ მანძილზე 12—13 სმ). გვირაბი ნაგებია კირის ხსნარზე დიდი ზომის აგურით (აგური კვადრატულია 30×30×6 სმ). აგური დაგებულია ერთ ფენად. გვირაბს კი ქმნის აგურის სამ-სამი რიგი, რომლებიც ერთმანეთს უახლოვდება და გადახურულია აგურის ორი ფენით. გვირაბის სიგანე ძირში 20 სმ უდრის, ზემოთ კი—15 სმ, სიმაღლე 20 სმ. აგური მოვარდისფროა და კარგადაა გამომწვარი. უშუალოდ გვირაბის თავზე იწყება ალიზის ზღუდე.



სურ. 54. უბანი XX. არხი ალიზის გალავნის ქვეშ

გვირაბის ფუნქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ აღწერილ II უბნის გვირაბს. ვფიქრობთ, ამ გვირაბითაც სამეურნეო წყალი შემოდიოდა ქალაქში.

ურბნისის ტერიტორია, როგორც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მცირედ დაქანებულია. თუ მოსარწყავად წარმოვიდგენთ ასეთ რელიეფს მაშინ დასაშვებია, რომ მიკვლეული გვირაბების მსგავსი უნდა ყოფილიყო რამდენიმე. თუ აღმოჩენილი არხები მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით ერთმანეთისაგან 40 მ დაცილებით, ასეთივე არხები უნდა ყოფილიყო მოპირდაპირე მხარეს, შუაში (ჩრდილოეთით) და სხვაგანაც. თანაც, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ არხების გაყვანის დროს ადრეფეოდალური ხანაა და არხებს ცალკეული მეპატრონეები ეყოლებოდა. მათ შესაძლებლობაზე იქნებოდა დამოკიდებული საშენი მასალა, არხის სიგრძე და სხვ. ამ გარემოებას შეეძლო მათი რიცხვის გაზრდაც.

1956 წელს ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში აღმოჩნდა დახურული არხი, რომელიც განსხვავდება აღწერილებისაგან (უბ. XXIV).

არხი გრძელი ყოფილა. სამწუხაროდ, დარღვეულია მისი თავი და ბოლო და შერჩენილია მარტო 50—60 მ სიგრძეზე.

არხი ნაგებია ქვით და კრამიტით (ტაბ. XXXIV). არხის ძირში მიჯრით დაღებულია გვერდებაკეცილი კრამიტი (სიგრძე 41, განიერი მხარე 26. ვიწრო მხარე 16 სმ), ხოლო გვერდებზე და ზემოდან ოდნავ გათლილი ქვის ცალებია გამოყენებული. ყველაფერი ეს კირის ხსნარზეა ნაგები, მაგრამ არ არის ისეთი მტკიცე, როგორც II უბნის გვირაბი იყო.

არხის ქანობი მთელ სიგრძეზე გაიზომა ზუსტი ხელსაწყოებით და გამოირკვა, რომ იგი თითქმის ჰორიზონტულია, რაც გაუგებარს ხდის მის პრაქტიკულ გამოყენებას. არხი ამჟამად მიწაში ღრმად მდებარეობს. მისი ჩრდილო ბოლო ერთი მეტრის სიღრმეზეა, ხოლო მეორე ბოლო—ორ მეტრზე (აქ თავისთავად რელიეფი მაღლდება).

ქალაქის შიგნით, ზემოთ განხილულის გარდა, სხვა არხი არ აღმოჩენილა. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ აქ გაცილებით მეტი ყოფილიყო.

რაც შეეხება შიდა არხებით წყლით მომარაგების საკითხს და, საერთოდ, ქალაქის სამეურნეო წყლით მომარაგებას, ექსპედიციამ შეისწავლა. გაირკვა, რომ ქალაქი ურბნისი და მისი მიმდებარე ტერიტორია წყალს ღებულობდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გაყვანილი არხით. იგი გამოყვანილია მდ. ლიახვიდან. მისი სიგრძე ოციოდე კილომეტრია. არხი იმდენად მაღალი საინჟინრო ხელოვნებითაა ნაგები, რომ იგი დღესაც მოქმედია და სპეციალისტებს ანცვიფრებს[1].

თუ საიდან ხდებოდა სასმელი წყლით ქალაქ ურბნისის მომარაგება, ამის გარკვევა არ მოხერხდა. ქალაქის შიგნით, მის განაპირებში თუ ირგვლივ, სპეციალურად არა ერთი თხრილი გაკეთდა, მაგრამ სასურველი შედეგი არ გამოიღო.

ურბნისის ირგვლივ ათიოდე კილომეტრის მანძილზე ამჟამად სასმელად გამოსადეგი ისეთი წყარო არ არის, რომლის მოყვანა თვითდინებით შეიძლებოდა (დეგოთების წყაროები, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ურბნისზე დაბლაა). ერთადერთი ასეთი წყარო, თუმცა მცირე დებიტით, იქვე მახლობლად მდებარე სოფ. რუისშია. სოფელში საკმაოდ მჭიდრო მოსახლეობა ჩანს, როგორც ამაზე მიგვითითებს არქეოლოგიური მონაცემები, თუ უფრო ადრე არა, ანტი-

[1] რუისის არხს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ექსპედიციის წევრმა ი. კიკნაძემ: ხორწყვა ძველ საქართველოში, თბილისი, 1963.

კური ხანიდან მაინც. ასე რომ, ის მცირეწყლიანი წყაროები თითონვე დასჭირდებოდათ.

ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორიოდე კილომეტრზე, მდებარეობს დიდი დებიტის მქონე მლაშე წყლები. მაგრამ მის მოყვანას ქალაქში აზრი არ ჰქონდა.

ცხადია, წყალსადენის მილები ფრაგმენტებად ნაპოვნია ნაქალაქარის ტერიტორიაზე. მაშასადამე, ქალაქს ჰქონდა თავისი წყალსადენი. ზოგი ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წყალსადენი კაპიტალური ყოფილა; პარალელურად მიმავალი, სხვადასხვა დიამეტრის მქონე კერამიკული მილები კირის მკვრივ დუღაბშია ჩასმული. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ საიდან მოყავთ იგი, ეს დაუდგენელი რჩება. არაა გამორიცხული, რომ წყალსადენი უფრო შორიდან მოდიოდა, ვიდრე ამას ჩვენ ვვარაუდობთ.

## თავი მეხუთე

# ტ ა ძ ა რ ი

ტაძარი მდებარეობს ნაქალაქარის აღმოსავლეთ მონაკვეთში, მდინარისპირთან ახლოს. აქ განლაგებული ნაგებობანი არ არის ერთდროული. ადრეულია სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც მრავალი გადაკეთება განუცდია. გვიანი ხანის ნაგებობებიდან სამრეკლო დგას შედარებით კარგად შენახული, ხოლო უკანასკნელი პერიოდის გალავნიდან მხოლოდ ერთი კოშკის საძირკველია გადარჩენილი. ამჟამად არსებული, ძლიერ დაზიანებული გალავანი კი არცთუ დიდი ხნის წინათ იყო აგებული.

აღნიშნული ანსამბლის ისტორიის სრული აღდგენა შეუძლებელია. ნაწილობრივ ამ ხარვეზს ავსებს მატიანეთა ფურცლებზე შემონახული ცნობები და ტაძრისა და სამრეკლოს კედლებზე არსებული წარწერები.

**ლიტერატურის მიმოხილვა.** ურბნისის ტაძარი მოგზაურთა შენიშვნებითა და სამეცნიერო ლიტერატურით არცთუ მდიდარია, მაგრამ საკმაოდ საინტერესოა და ზოგი მათგანი—ანგარიშგასაწევი.

ურბნისის ტაძარს უცხოელთაგან პირველად შარდენი შეეხო. სამწუხაროდ, მას თვით არ უნახავს ტაძარი, არამედ სხვის ნათქვამს ჰყვება. იგი როდესაც იმერეთიდან 1672 წ. მოდიოდა და გორს უახლოვდებოდა, მარჯვნივ დარჩენიათ ნაქალაქარი ურბნისი. მისი სიტყვებით: „იმ ქალაქში არის საეპისკოპოზო კათედრა და ერთი დიდი ეკლესია ქართველებისაგან აშენებული"[1].

XVIII ს. პირველ ნახევარში ურბნისს ჩვეულებისამებრ ლაკონიურად აღწერს ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი: ურბნისს „არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის ლიახვისა და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსვრილი აღაშენა და განაახლა ქდ (94) მეფემან ვახტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. მოზღუდა ქვიტკირითა"[2].

ვახუშტის დროს და ალბათ გვიანფეოდალურ ხანაში ურბნელის სამწყსო შესაძლოა მართლაც ასეთი იყო, მაგრამ როგორი იყო იგი ადრე, ან რა ცვლილებები განიცადა საუკუნეების განმავლობაში, ეს უცნობია. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ურბნისის საეპისკოპოსოს ტერიტორია დაახლოებით იგივე ყოფილიყო ადრევეც, რადგანაც ნიქოზელი, რომელიც მას ჩრდილოეთით და მროველი დასავლეთით ესაზღვრებოდა, VI საუკუნეში უკვე ცნობილი იყო.

ვახუშტის ზემომოყვანილ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ადგილას გამოვიყენებთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მის დროს ურბნელის სამწყსო თითქმის ძველ ფორმებში იყო.

XIX საუკუნეში ევროპელი მეცნიერებიდან ურბნისს პირველი შეეხო შვეიცარიელი დიუბუა დე მონპერე. სამწუხაროდ, მას არა აქვს საკუთარი დაკ-

---

[1] ჟ. შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, 1935, გვ. 58.

[2] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 78.

ვერევებები, არამედ მატიანეებისა თუ შარდენის მიერ მოყვანილ ცნობებზე იმეორებს[3].

ურბნისის წარწერები და ამდენად ისტორიაც პირველად მ. brosეM აალაპარაკა[4]. 1847 წლის მარტში მას უნახავს ურბნისი. ნაგებობა არ მოსწონებია და მასზე მოკლედ წერს. წარწერებს კი საკმაო ადგილს უთმობს. წარწერების გამომზეურება და კომენტარები მეტად საინტერესო იყო.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ურბნისი, სხვა ძეგლებთან ერთად, უნახავს მურავიოვს, როდესაც იგი მიემართებოდა ქართლიდან იმერეთს. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერში ჩანს არასპეციალისტის ხელი, მაინც საინტერესოა ზოგ დეტალში და ამიტომ ნაწილობრივ მოვიყვანთ. იგი წერს: Мы посетили древний город Урбнисп известны уже во дни Македонского завоевателя; там останавливалась св. Нина, на пути в Грузию, и долго существовала кафедра одного из архиереев Карталинских. Теперь это убогое селение на берегу Куры, замечательное только по своей древней церкви, основанной Вахтангом Гург-асланом. Она празднует архидиакону Стефану, коего часть мощей там хранится“ შემდეგ მოსდევს ეკლესიის გარე სახის აღწერა, რაც ნაკლებ საინტერესოა. მერე აგრძელებს: Была ограда, но обрушилась, уцелела надворотная башня, служившая архиерейским теремом, и несколько келии; на дворе опрокинута каменная древняя купель продолговатой формы, и около храма, как вообще на всем пространстве старого города, жители находят много монет греческих и римских“[5].

ამ ამონაწერის მიხედვით ურბნისი XIX ს. შუა წლებში ყოფილა „убогое селение“. ეს პატარა ღარიბი სოფელი ასეთივე დარჩა შემდეგშიც. მას გამოცოცხლება დაეტყო მხოლოდ ჩვენს დროში.

მურავიოვის აქ ყოფნის დროს ეკლესიის გალავანი დანგრეული ყოფილა, ხოლო სამრეკლო მღვდელ-მთავრის საცხოვრებლად გაუხდიათ. იქვე მდგარა რამდენიმე სენაკი. ამ სენაკებიდან დღემდე კვალიც არ არის მოღწეული. ეზოში თავდაღმა დამხობილი სანათლავიც დაკარგულა. ამ ადგილებში სხვადასხვა მონეტებს რომ პოულობდნენ, ადგილობრივთ გზადგაცვლელთათვის შეუტყობინებიათ.

მომდევნო ოციოდე წლის განმავლობაში ურბნისზე არაფერი დაწერილა. 1875 წელს დ. ბაქრაძის მიერ გამოცემულ კრებულში ურბნისს მიეძღვნა შესაფერისი ადგილი[6]. ავტორი ეყრდნობა არსებულ ლიტერატურას და ახალი თითქმის არაფერია; ერთადერთი, რაც ყურადღებას იპყრობს, ესაა რამდენიმე ახალი ეპისკოპოსი, რომლებიც მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ ყოფილა.

იმავე წლებში საქართველოში იმოგზაურა ახალგაზრდა რუსმა მეცნიერმა ნიკოდიმო კონდაკოვმა. მან ბევრი საკითხი, დაკავშირებული ქართული არქიტექტურის ისტორიასთან, სწორად განსაზღვრა, მაგრამ ურბნისის თარიღში ვერ გარკვეულა[7]. ამის შედეგად იგი ურბნისს აქცევს ისეთი ძეგლების ფარგლებში,

[3] Fr. Dubois, Voyage autour du Caucase, Paris, 1839, ტ. III. გვ. 183—184.
[4] M. Brosset, Voyage archeologigue... VI, Rapp., 1851, გვ. 13—19.
[5] Муравьев, Грузия и Армения, ч. III, Спб., 1848, გვ. 111.
[6] Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 1875, გვ. 151—152.
[7] Н. П. Кондаков, Древняя архитектура Грузии, М., 1876, გვ. 59.

როგორიცაა დაბა, ვარძია, ტიმოთესუბანი და სხვა. ავტორისეული დაყოფით ეს არის ქართული არქიტექტურის განვითარების მესამე პერიოდი. ცხადია, აქ არც პერიოდიზაციაა სწორი და არც ზემოხსენებული ძეგლების ერთ ჯგუფში მოქცევა.

სხვა მხრივ კი ნ. კონდაკოვს ძალიან მოსწონებია ურბნისის ტაძარი. იგი წერს: „Эта Базилика, несомненно одно из самых красивых и величественных зданий Грузии"[8].

სამწუხაროდ, ავტორი რადგანაც მთლიანად ვერ ერკვევა ქართული არქიტექტურის არსში, იგი ტაძარს მიაკუთვნებს „რომანულ" და „ბიზანტიურ" არქიტექტურას და ბოლოს წერს: Церковь, отличается такими совершенными пропорциями (чего опять-таки нельзя сказать о грузинских церквах), что невольно заставляет думать, что она построена специально выписанным западным художником и не позднее XIII столетия".[9] კონდაკოვს, რომ ცოდნოდა ქართველ ოსტატთა სიდიადე, მაშინ ურბნისის ტაძრის მშენებლად უცხოელს არ წარმოიდგენდა[10].

მომდევნო წლებში ურბნისს ეხება ფ. მურიე. მას ტაძარი უნახავს, მაგრამ მურიეს იგი აინტერესებდა, როგორც სამეგრელოს ისტორიასთან დაკავშირებული ძეგლი. როგორც ცნობილია, მარიამ დედოფალი, რომელმაც 1668 წელს აღადგინა ტაძარი, იყო ცოლი მეფე ვახტანგ V (1658—1675 წწ.) და და ლევან II დადიანისა. მურიე როდესაც ჩამოთვლის მარიამის ნამოღვაწარს, იქვე ეხება ურბნისსაც. რაც შეეხება ტაძრის შეფასებას, მას ნაგებობა მაინცდამაინც არ მოსწონებია. თანაც დასძენს, რომ ზედ ძველი წარწერები არ არისო (რას გულისხმობს ის ძველ წარწერებში ძნელი გასაგებია). ბოლოს მოჰყავს მარიამ დედოფლის წარწერა[11].

ძველ მკვლევართაგან პ. უვაროვა ერთადერთია, რომელმაც რეალურ მონაცემებით დაადასტურა ურბნისში ძველი ქალაქის არსებობა[12]. იგი იცნობდა ქალაქზე არსებულ წერილობით წყაროებს, რაც ადგილზე შეამოწმა მცხოვრებთა მიერ ნაპოვნი ნივთების მიხედვით. მან არა მარტო შეაგროვა მოსახლეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, არამედ თვითონვე უწარმოებია მცირე გათხრები. მოპოვებულ მასალას იგი ძირითადად სწორად განსაზღვრავს (ექვსი ნივთის ფოტოც აქვს გამოქვეყნებული), მაგრამ რატომღაც არქეოლოგიურ სამუშაოებზე და შედეგებზე წერს სქოლიოში. სამწუხაროდ, იგი არ უთითებს, ნაქალაქარის თუ რომელ ადგილზე გათხარა. იქვე იგი სინანულს გამოთქვამს, რომ ნაქალაქარი სოფლის მიწური სახლებითაა დაფარული და დიდი მასშტაბის გათხრები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებსო. მისი აზრით: „Древнее городище это навсегда закрыто для исследований"[13]. ავტორის აზრი, ცხადია საფუძველს არ იყო მოკლებული, მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა გათხრებმა გვიჩვენა. ძველ ქალაქზე გარკვეული წარმოდგენა მაინც შეგვექმნა.

---

[8] Н. П. Кондаков, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[9] იქვე.

[10] ნ. კონდაკოვი ურბნისის ეკლესიაზე ამ წიგნში რაც თქვა, იმას მოკლედ იმეორებს მეორე წიგნში: И. Толстой и Н. Кондаков, Русския древности в памятниках искусства, Спб., 1891, გვ. 72.

[11] Mourier, La Mingrelie, sier XV, 1883, გვ. 406—407.

[12] П. Уварова, Урбниси, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, М., 1894, გვ. 141—145.

[13] П. Уварова, Урбниси, Материалы по арх. Кавказа, вып. IV, М., 1894, გვ. 141.

აღნიშნულის გარდა უვაროვა ძირითადად განიხილავს ტაძარს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარწერებზე და ხატებზე ცნობებს იღებს დ. ბაქრაძის გამოცემიდან (პ. უვაროვას მიერ წამოჭრილ ზოგიერთ საინტერესო საკითხს ქვემოთ ვიხილავთ).

ამ საუკუნის დასაწყისში ურბნისის ტაძრის წარწერებს საფუძვლიანად სწავლობს ე. თაყაიშვილი[14]. იგი ადვილად მიხვდა, რომ ტაძარი XIII ს. კი არ არის აგებული, როგორც ამას ნ. კონდაკოვი წერდა, არამედ წარმოშობილია ქრისტიანობის გამარჯვების პირველ ხანებში. ავტორი დასძენს: „კონდაკოვის აზრი მისაღები არ არის, ვინაიდან ურბნისის ეკლესია ისეთ ძველ დროს ეკუთვნის, რომ დასავლეთ ევროპიდან ხუროთმოძღვრის გამოწერა შეუძლებელი იქნებოდა“. ე. თაყაიშვილმა კარგად იცოდა, რომ იმ დროის საქართველო საკუთარი ძალებით ძლიერი იყო და გარედან მოწვევა არ ესაჭიროებოდა, ან დასავლეთში იყო კი მაშინ მოსაწვევი ოსტატი?

ე. თაყაიშვილი თანამიმდევრულად იხილავს ეკლესიის წარწერებს, ურბნელ ეპისკოპოს ეკდემოზის ნაწერს, სამრეკლოს წარწერას, კანკელის წარწერას, აღწერს ეკლესიაში დაცულ ხატებს, იძლევა ეპიტაფიებს და განიხილავს ხელნაწერებს. სტატიის ბოლოს ჩამოყალიბებულად იძლევა დასკვნებს ტაძრის წარსულზე (ავტორის მიერ მოცემულ მდიდარ მასალას სხვადასხვა ადგილას ვიყენებთ).

ურბნისის ტაძარს სპეციალისტები უკეთ გაეცნენ მას შემდეგ, რაც 1924 წ. გამოიცა ე. თაყაიშვილის მიერ ადრევე შედგენილი „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“. იქ მოთავსებულია არქიტექტორ ნ. სევეროვის მიერ 1920 წ. შესრულებული ნახაზები. როგორც ეს ნ. სევეროვს სჩვეოდა, ნახაზები კეთილსინდისიერადაა შესრულებული[15].

ურბნისის ტაძარმა, როგორც არქიტექტურულმა ძეგლმა, პირველად ჰპოვა მეცნიერული შეფასება აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ 1936 წ. გამოცემულ „ქართულ ხელოვნების ისტორიაში“. მართალია, აქ მოკლედაა განხილული ძეგლი, მაგრამ მისთვის სწორად არის განკუთვნილი ადგილი ქართული არქიტექტურის განვითარების გზაზე[16].

რაც შეეხება იმ ლიტერატურას, რომელიც გამოსულია ჩვენი ექსპედიციის დაწყების შემდეგ, საკმაოდ მდიდარია, მაგრამ მას აქ არ შევეხებით, არამედ განვიხილავთ საჭიროების მიხედვით ძირითად ტექსტში.

**ტაძრის წარწერები.** ურბნისის ტაძრის კედლებზე მოთავსებულია მრავალი წარწერა. ისინი სხვადასხვა დროისანი არიან. საუკუნეების განმავლობაში ტაძრის არა ერთხელ დანგრევისა და აღდგენის შედეგად წარწერების უმრავლესობა ადგილგადანაცვლებულია. ეს წარწერები რამდენიმეჯერაა გამოცემული. იგი პირველად მ. ბროსემ გამოსცა[17]. შემდეგ 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მას არავინ შეხებია. 900-იან წლებში კი ექ. თაყაიშვილმა ეპიგრაფიკული ძეგლები ადგილზე შეისწავლა და მცირე გამონაკლისის გარდა ყველა საფუძვ-

---

[14] ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. 1, ტფილისი, 1907, გვ. 41—58.

[15] ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგ. ე. თაყაიშვილისა, ტფ., 1924, სურ. 50-53.

[16] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ., 1936, გვ. 34-33, სურ. 34.

[17] Brosset, Voyage archèologique... VI, 1849, გვ. 13—19.

ლიანად დაამუშავა[18]. ბოლოს, ნაქალაქარ ურბნისისა და ტაძრის ისტორიის მოკლე მიმოხილვისას წარწერებსაც ეხება ნ. შოშიაშვილი[19].

ჩვენ ვეცდებით წარწერები განვიხილოთ ქრონოლოგიურად.

ტაძრის კედლებზე არსებულ წარწერათაგან უადრესია ჩრდილოეთ კედელში შემთხვეეით მოხვედრილი წარწერა (ტაბ. XXXVI$_1$), იგი შედარებით კარგადაა შენახული და შემდეგს წარმოადგენს:

ႭႭ ႨႱ ႵႤ
ႩႬႲ ႫႫ ႫႵႪ ႸႼႷႬ
ႠႱ ႱႬႱ ႫႸႬႡႬႨ

ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

ოფალო იესუ ქრისტე,
კონსტანტი, მამა მიქელ შეიწყალენ
ამის სიონისა მაშანებელნი.

ამ წარწერის ადრეულ წამკითხველებს შორის მხოლოდ მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის გაშიფრვაშია განსხვავება—ერთი კითხულობს „კალატოზს"[20], მეორე—„კონსტანტის"[21]. ჩვენი აზრითაც აქ იკითხება კონსტანტი.

ვინ იყვნენ კონსტანტი ან მიქელი, არაა ცნობილი. ცხადია, მამა მიქელი სასულიერო პირია, ხოლო კონსტანტი ადგილობრივი დიდებულთაგანი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ იგი ქალაქ ურბნისის მფლობელი თუ არა, ყოველშემთხვევაში, ძლიერი ფეოდალი იყო.

რაც შეეხება წარწერის თარიღს, თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს მისი სიძველე. კონკრეტულად თავშეკრული ბ. ყ. ვ, შ და სხვები მიუთითებენ V—VII საუკუნეებზე. ანალოგიების საფუძველზე ნ. შოშიაშვილი მას V ს. ბოლოთი ათარიღებს[22]: თუ ამ თარიღს მთლიანად არ დავეთანხმებით, წარწერა V—VI საუკუნის მაინც არ უნდა სცილდებოდეს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამავე თარიღზე მიუთითებს ტაძრის მხატვრული ანალიზიც.

შემდეგი ეპოქისათვის გვაქვს სამი თანადროული წარწერა. ერთი მათგანი მოთავსებულია სამხრეთით, ორი კი—აღმოსავლეთით.

XVII ს. ტაძრის რესტავრაციის დროს კარის ლუნეტის ამოქოლვისას მასში ჩაუყოლებიათ წარწერით ორი ქვა (ტაბ. XXXVI$_2$) და ახალი წარწერაც იქვე გვერდით მოუთავსებიათ.

[18] ექ. თაყაიშვილი, დასახ. შრ., წ. 1, გვ. 41—51.

[19] ნ. შოშიაშვილი, ურბნისი საქართველოს უძველესი ქალაქი, „ცისკარი", 1958, № 4, გვ. 131—140.

[20] ექ. თაყაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 46.

[21] ნ. შოშიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 137.

[22] დასახ. შრომა, გვ. 137.

პარალელურ ხაზებს შორის განლაგებული ეს ასომთავრული წარწერა შემდეგია:

ႳႭ ႶႭ ႸႤ ႧႤ ႤႡႱႩႨ ႻႠ ႪႩႱႨ ႫႸႬႪႨ
ႠႱ ႱႠႡ ႭႣႱ ႶႬ ႶႱ ႫႷႭ ႠႱ ႱႠ ႤႡႱႣ
ႨႷႭ ႤႱႤ ႱႬႨ ႣႻႭႪ ႭႴႱ ႦႫႱႠ ႭႧႾႬႨ
ႩႭႾႬႨ ႣႠ ႩႲႨႢႫႦ ႨႷႱ ႱႤႬႨ ႲႤႺႨ ႣႫႦ
ႨႷႱ ႣႠ ႫႣႦႠ ႧႬႠႱႷႨ ႱႠႡ ႠႧႸႷႡ ႷႭႠႢႩ
ႸႡ ႻႠႦႨႱႡ ႫႱႭႠ ႧႠ ႷႨ ႢႭႠ ႸႭႠ ႫႲႠ

ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძეჲ ლუკასი, მაშენებელი ამის სიონისაჲ ოდეს ღმერთმან ღირს მყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძუელებულ უფროის ზომასა. ოთხნი
კუთხენი და კონქი განპებულ იყუნეს სუეტნი ქტცი (?) დამპალ
იყუნეს და მომმადლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღშენებაჲ, ყოველთა გაკეთებაჲ. ძალისაჲ. მეოხებითა ღმრთისაჲთა, ყოველი გათავებიოა მიქმნია.

ამ წარწერას თარიღი არ უზის, პალეოგრაფიული ნიშნებით კი მას X საუკუნით ათარიღებენ[23]. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, IX საუკუნის მეორე ნახევარიც არ არის გამორიცხული. შინაარსით წარწერა მეტად საინტერესოა.

ურბნისის სიონის ეპისკოპოსად, როდესაც დაუნიშნიათ თეოდორე, მას ეკლესია დანგრეული დახვედრია. იგი არ წერს დანგრევის მიზეზს, არამედ აღნიშნავს, რომ „დაძუელებულ" იყოვო. შეიძლება დავუშვათ, რომ არაბთა ლაშქრობების დროს დაინგრა ტაძარი. ეს უფრო მოსალოდნელია მომხდარიყო VIII ს. 30-იანი წლების ბოლოს, მაშინ როდესაც მურვან-ყრუმ ქალაქი გადასწვა. მომდევნო პერიოდში არ იქნებოდა ხელსაყრელი პირობები ძეგლის აღსადგენად, ხოლო IX ს. ბოლოსა და X საუკუნეში, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიურად მოღონიერდა, მაშინ შეუდგნენ კიდევაც მის აღდგენას.

ძეგლების წარწერებში ხშირია შემთხვევა, როდესაც აღმდგენელი თავისთავს „მაშენებელს" უწოდებს. ზემომოყვანილ წარწერაშიც ასეა. მაგრამ კერძოდ ამ შემთხვევაში იგი საფუძველს არ არის მოკლებული. თეოდორეს დახვედრია: „ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ" და „სუეტნი ...დამპალ". აქ რომ სიმართლეა აღნიშნული, ეს ამჟამადაც ჩანს აღდგენილ ტაძარში. შენობის ოთხი კუთხე კონქი და სვეტები თუ დარღვეული იყო. არცთუ ბევრი ყოფილა გადარჩენილი.

იგივე თეოდორე სხვა წარწერაში ისევ იმეორებს, რომ მან ეკლესია „აღაშენა". ეს წარწერა ამჟამად მოთავსებულია ალმოსავლეთ კედელზე (ტაბ. XXXVIა). თავდაპირველი ადგილსამყოფელი კი უცნობია. აქ ორი წარწერა სამ ქვაზეა განლაგებული, რომელთაგან მესამე თავდაყირაა ჩაყოლებული. მეორე და მესამე ქვაზე შემდეგი წარწერაა:

---

[23] ნ. შოშიაშვილი, ურბნისი—საქართველოს უძველესი ქალაქი, ცისკარი, 1958, № 4, გვ. 138—139.



ქარაგმების გახსნით იკითხება:

დიდებაჲ შენდა ქრისტე.
რამეთუ მომმადლე თეოდორე
ებისკოპოსსა ამის სიონისა
აღშენებაჲ, თანა
შეწევნითა მიქელ
ძისა კონსტანტინესითა.
ქრისტემან შეუნდევენ. ესე მე
აბიათარ დავწერე.

როგორც წარწერიდან ჩანს, ტაძრის აღდგენა (ტექსტის მიხედვით: „აღშენება“) თეოდორე ურბნელს უწარმოებია კონსტანტინე მიქელის ძის „თანაშეწევნით“.

იქვე მარცხენა ქვაზე მოთავსებული წარწერა (ტაბ. XXXVIა) ასეთია:



ქარაგმებს თუ გავხსნით წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

სამებაო წმიდაო შეიწყალე მონაჲ
შენი ქავთარ, შუშან და
ნაშობნი მათნი, შემწენი
ამის სიონისანი ქრისტემან შეუნდევნ, ამინ.

ურბნელ თეოდორეს მარტო ვერ აუწევია ეკლესიის აღდგენის სიმძიმე. როგორც ეტყობა, მას ამ საქმის დაძლევაში მხარში ამოდგომიან კონსტანტინე და ქავთარი თავისი ოჯახით. ამ პირების ვინაობა ისტორიას არ შემოუნახავს. საფიქრებელია, რომ ისინი იქნებოდნენ ადგილობრივი ფეოდალები.

თარიღი ამ წარწერებსაც არ უზით. მაგრამ რადგანაც მათში ერთი და იგივე პიროვნება—თეოდორე ეპისკოპოსია ნახსენები, ამიტომ ცხადია ისევ IX ს. მეორე ნახევრით ან X საუკუნით უნდა დათარიღდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განხილული სამი წარწერა განლაგებული ხუთ ქვაზე დაწერილია ერთი და იმავე ხელით. ეს პიროვნება თავის ნაღვაწს არ ივიწყებს და ერთგან გვამცნობს: „ესე მე აბიათარ დავწერეო“. სხვა რა საქმე გაუკეთებია აბიათარს, უცნობია.

ზემომოყვანილი ოთხი წარწერა მთავარია ტაძრის კედლებზე არსებულ ძველ წარწერათაგან. მათი საშუალებით ვიგებთ ტაძრის ისტორიის ზოგიერთ მომენტსაც. სამწუხაროდ, მომდევნო საუკუნეების ისტორიაზე ცნობები თითქმის სულ არა გვაქვს. ხოლო თუ გამოვალთ იმ ფაქტიდან, რომ XI—XII სს. მიჯნაზე ურბნისი ერთ-ერთი მოწინავე საეპისკოპოსო იყო, რადგან 1103 წელს და-

ვით აღმაშენებლის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება რუის-ურბნისთან არის დაკავშირებული[24]. შეიძლება დავასკვნათ, რომ ურბნისი თეოდორე ეპისკოპოსის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ თანდათანობით ძლიერდებოდა. როგორც ეტყობა, ურბნისის კეთილდღეობის პერიოდი გაგრძელდა მონღოლთა შემოსევამდე. შემდეგ კი სხვა ბევრი ტაძრის მსგავსად, მასაც დასდგომია შავი დღე. კონკრეტული ვითარებები უცნობია. მაგრამ 1566 წ. სიმონ I (1558—1600 წწ.) მიერ გაცემულ სიგელში ვრცლადაა აღწერილი თუ რა სავალალო მდგომარეობაში ყოფილა საეპისკოპოსო. კერძოდ, ერთგან ვკითხულობთ: „ძველთაგან მრავალჟამ დავიწყებული საყდარი საეპისკოპოზო ურბნისი, რომელ მოშლილ იყო ჟამთა ვითარებისაგან...“ მეფე უმტკიცებს დაკარგულ მამულებს, უახლებს საზღვრებს და სხვ. კერძოდ ნაგებობაზე არაფერია ნათქვამი. მაგრამ უნდა ვიფიქრით, რომ მრავალგზის შემოსევებისას არც იგი დარჩებოდა დაუზიანებელი.

უშუალოდ მომდევნო პერიოდის შემთხვევებზეც არაფერი ვიცით. XVII ს. შუა ხანების ისტორიაზე კი ისევ ძეგლის წარწერა გვიყვება.

წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის ლუნეტში (ტაბ. XXXVII[1]). ძველი წარწერის გვერდით (ამ წარწერის ავტორს ლუნეტი ამოუვსია და ძველი წარწერებიც ნანგრევებიდან ამოუღია და აქ ჩაუშენებია. ასეთი მოქმედებით მან კარგი სამსახური გაუწია ისტორიას). განსხვავებით სხვა წარწერებიდან იგი მხედრულია და ასე იკითხება:

ქ. შენ, ყოვლად სანატრელო, ღვაწლმრავალო და
    დიდებულო, ყოველთა მ
ოწამეთა უწინარესო და უწარჩინებულესო წმიდაო
    სტეფანე,
შემწე მექმენ ორსავე შინა ცხორებასა, რომელმან
    აღვაშე
ნეთ ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი შენი ჩვენ,
    დადი
ანის ასულმან დედოფალმან, პატრონმან მარიამ,
    რათა მე
ოხ ექმნა სულსა ჩემსა და სულსა ძისა ჩვენისა
    სასურველისა ო
ტიასასა, წინაშე ღვთისა შენისა, დღესა მას
    გაკითხვისასა. ქორონიკონსა ტნვ.

ეს 1668 წლის წარწერა და მასში მოთხრობილი საქმიანობაც ეკუთვნის ვახტანგ V მეუღლეს მარიამ დედოფალს. იგი წერს: „აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი“. როგორც ადრევე ვნახეთ, თეოდორე ეპისკოპოსიც წერდა აღვაშენეთო. დღეს მდგარ ნაგებობაში მართლაც დიდი მასშტაბისაა მარიამის მიერ აშენებული. როგორც ეტყობა, თეოდორეს ნამოღვაწარიც დანგრეულა და ახალ ოსტატს, სხვა თუ არაფერი, ნანგრევებიდან მისი წინამორბედი კოლეგის ნამუშევრიდან ფრაგმენტები გადაურჩენია და ახლად აღდგენილ კედლებში ჩაუყოლებია. ქვემოთ, ძეგლის აღწერისას ვნახავთ, რომ მარიამმა მართლაც დიდი სამუშაოები ჩაატარა და ძეგლს სიცოცხლე დაუბრუნა. ასევე, მან უფრო ადრე აღადგინა და სიცოცხლე შეუნარჩუნა ბოლნისის სიონსაც[25].

---

[24] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. 54-68.

[25] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Болниси, 1941, გვ. 115.

სხვა ცნობები არ შემონახულა, სადაც ურბნისის დანგრევაზე იყოს საუბარი. დაახლოებით ასი წლის განმავლობაში (1566 წელს სიმონ მეფის მიერ სიგელის გაცემიდან) ისეთი რამ მომხდარა, რასაც კატასტროფამდე მიუყვანია ტაძარი. ისტორიულ მომენტებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება შევჩერდეთ შაჰ-აბასის შემოსევებზე. მისი თავდასხმები მწვავე და დამანგრეველი იყო. შეიძლება სწორედ მაშინ დაანგრიეს ურბნისიც.

ურბნისის მომდევნო პერიოდის ისტორია ისევ იმავე ანსამბლშია დაცული. აქვე მდგარი სამრეკლოს დასავლეთის ფასადზე 1706 წელს შესრულებული მეფე ვახტანგ VI ვრცელი წარწერაა. ამ წარწერას ვიხილავთ ქვემოთ სამრეკლოსთან ერთად, აქ კი მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ. წარწერაში ერთგან ვკითხულობთ: „აღვაშენე სამრეკლო ესე გალავან-პალატითა და სხვა სახლებითა“. დღემდე მოღწეულია მხოლოდ სამრეკლო, ხოლო დანარჩენის კვალიც არა ჩანს. ეს ნაგებობასი მტრებს დაუნგრევიათ და ისევ მალე ასაგები შექმნილა.

ექ. თაყაიშვილს ურბნისში ყოფნის დროს მღვდლის სახლის კედელში უნახავს ქვა, რომელზედაც სამი წარწერა ყოფილა, ერთი პროზით და ორი ლექსად[34]. სამწუხაროდ, ეს ქვა დაკარგულია. მოვიყვანთ მხოლოდ ამონაწერს. სამივე წარწერა მშენებლობის შესახებ თითქმის ერთნაირად გადმოგვცემს, რომ ურბნელ ნიკოლოზ ხერხეულიძეს აუგია გალავანი კოშკებით და ბჟე. იქვე ქვემოთ ვკითხულობთ, რომ ეს მომხდარა მაშინ, როდესაც „ქართლს უსჯულონი მკვიდრობელ“. წარწერებს თარიღად 1739 წელი უზით, ე. ი. ვახტანგ VI მიერ აგებული პალატი, გალავანი და სხვა სახლები დაუნგრევიათ ოსმალებს მეფის რუსეთში წასვლის შემდეგ.

ჩვენს დრომდე არც ხერხეულიძის ნამოღვაწარს მოუღწევია. ეზოში გათხრების წარმოების დროს კი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში აღმოჩნდა ცილინდრული კოშკის ნაშთი (ტაბ. XLVIII$_2$). ასეთივე კოშკი მოსალოდნელია მდგარიყო, როგორც ეს XVIII ს. ეკლესიების გალავნებში გვხვდება, ოთხივე კუთხეში. მიკვლეული კოშკის ნაშთის ზუსტი დათარიღება ძნელია, მაგრამ ის რომ ნამდვილად XVIII ს. მიეკუთვნება ეს კი ცხადია. ვახტანგ VI წარწერაში გალავანი იხსენიება, მაგრამ კოშკი კი არა. ხერხეულიძე კი ორჯერ აღნიშნავს კოშკების აგებას. აღმოჩენილი ცილინდრული კოშკის ფორმაც უფრო იმ წლებზე მიუთითებს, როდესაც იქ მშენებლობას აწარმოებს ურბნელი ნიკოლოზ ხერხეულიძე.

ურბნისის ნაგებობათა შემდეგ ცვლილებებზე არავითარი ცნობები არა გვაქვს, ამიტომ ჩვენ დავუბრუნდებით ისევ ტაძრის კედლებზე არსებულ სხვა წარწერებს.

ეს წარწერები განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს, მაგრამ მაინც საინტერესოა ისტორიისათვის, ამდენად, მათი აქვე მოყვანა აუცილებელია.

აღმოსავლეთის კედელზე (ტაბ. XXXVIII$_2$) ასომთავრულით აწერია:



[34] ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 48—50.

იკითხება: „აბიათარ დეკანოზი უფალო შეიწყალე“ როდის მოღვაწეობდა ეს აბიათარი უცნობია. როგორც ეტყობა, აქ მოხსენებული აბიათარ დეკანოზი ექ. თაყაიშვილმა იმ აბიათარად მიიჩნია, რომელიც მოხსენებულია ზემომოყვანილ თეოდორე ეპისკოპოსის ერთ-ერთ წარწერაში[27]. ჯერ ერთი—იქ აბიათარი მხოლოდ დამწერია და არა დეკანოზი და მეორეც—წარწერები პალეოგრაფიულად სულ სხვადასხვა ხასიათისაა. აბიათარ დეკანოზი გაცილებით უფრო გვიან ცხოვრობდა, ვიდრე მეორე აბიათარი.

იქვე მახლობლად:



იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ზაქარია მჭლეაჲძისეა[28] (მჭედელაჲს ძეჲ) დეკანოზი“.

იქვე:



იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე მონაჲ შენი დეკანოზი... ამინ“.

შემდეგი წარწერა იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე მონა შენი კანდელაკი“.

აღმოსავლეთის კედელზე ცუდი ხელით აწერია:



შეიძლება წავიკითხოთ ასე: „ქრისტე, მონაჲ ვახტანგ. ქრისტე, მოიკსენე მონაჲ შენი ვახთანგ“.

აღმოსავლეთის კედელზე მხედრული წარწერაა ექვსსტრიქონიანი. ქვის ქვედა ნაწილი დაზიანებულია, ზედას კი ექ. თაყაიშვილი ასე კითხულობს: „ქ. ოი, ყოველთა მოწამეთა უწარჩინებულესო პირველ მოწამეო სტეფანე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი (მონაჲ) შენი მამუკა...“[29]

ექ. თაყაიშვილს მოყავს ეკლესიაში ქვის ნატეხზე შერჩენილი წარწერა: „ქ. მოიხსენე უფალო ყოვლად უღირსი მონა შენი ურბნელი ევდემოზ საყდრისა ამის...“ ეს წარწერა იმითაა საინტერესო, რომ ევდემოზს ურბნისში თითქოს რაღაც აუშენებია. თვით ევდემოზი რატიშვილი მკვლევარის ცნობით, იყო ჯერ ურბნელი, შემდეგ მანგლელი და ბოლოს ქართლის არქიეპისკოპოსი. იგი დაბადებულა 1623 და გარდაცვლილა 1711 წ.

გარდა ამისა, ტაძარზე მუშაობის პროცესში სამხრეთის ფასადზე აღმოჩნდა კიდევ ერთი წარწერა. აღმოსავლეთიდან მეორე სარკმლის მარჯვენა ქვაზე წვრილი ასოებით, ჩაკვეთით გამოყვანილი ასომთავრული ნაწერი ძლივს ემჩნევა. მას ასეთი სახე აქვს:

---

[27] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.
[28] ექ. თაყაიშვილი, ამ ადგილს სავარაუდოთ „მჭედლიძედ“ კითხულობს.
[29] ექ. თაყაიშვილი, გვ 46—47.



ნაწილობრივ ასე იკითხება: „წმიდაო სულო.... ქრისტეფორე ეპისკოპოსი (?) შეიწყალე. წმიდაო..."

ნაწერი გვიანია. თუ ვინ არის ქრისტეფორე არ ჩანს. საფიქრებელია, იგი იყოს ის ეპისკოპოსი ქრისტეფორე ფალავანდიშვილი, რომელიც მოხსენებულია ზემომოყვანილ სამრეკლოს წარწერაში (შესრულებულია 1706 წ.).

ეკლესიაზე დასავლეთით მოდგმულ სკოლის შენობის (ყოფილი მღვდლის სახლი) ქვედა სართულის აივანზე 1961 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ქვა, რომელზედაც სქემატურად „ბოლნური ჯვარია" გამოსახული და იქვე წარწერების ფრაგმენტებია.

გარდა ამისა, ექ. თაყაიშვილს (ნაწილობრივ მ. ბროსესაც) ბევრი რამ მოყავს ურბნისის ეკლესიასთან დაკავშირებით, მაგრამ რადგანაც მათ ნაგებობასთან უშუალო კავშირი არა აქვთ, ჩვენ აქ არ მოგვყავს.

რაც შეეხება ანსამბლის შემდეგდროინდელ ისტორიას, ცნობები მეტად უმნიშვნელოა. ვიცით, რომ რაც კი რამ შედიოდა ანსამბლში, ტაძრისა და სამრეკლოს გარდა ყველაფერი მოისპო, მომატებით კი ვგონებ არაფერი მომატებია. მხოლოდ 1904 წელს (ეკლესიის შუა ნავის კამარის საბრჯენ თაღზე არსებული წარწერის მიხედვით) შიგნიდან და გარედან შეულესიათ და შეუთეთრებიათ ეკლესია (ეს ნალესობა ჩვენ ჩამოვხსენით, დავტოვეთ მხოლოდ თარიღი).

თვით საეპისკოპოსოს უკანასკნელი პერიოდის ისტორიისათვის ინტერესმოკლებული არაა 1801 წლის შემდეგი ცნობა: „Урбнисский епископ Юлий жительствующий в Урбниси; у него сел 20, князей, 5, дворян 8"[30].

რაც შეეხება თვით საეპისკოპოსოს, როგორც ცნობილია, რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველივე წლებში დაიწყო საეპისკოპოსოების გაუქმება, მათი რაოდენობის შემცირების მიზნით. კერძოდ, ურბნისის საეპისკოპოსო გაუქმებულია 1811 წელს და იგი შეუერთებიათ მცხეთისათვის რუისის, სამთავისისა და ნიქოზის საეპისკოპოსოებთან ერთად[31].

ტაძრის აღწერა. ეკლესია, რადგანაც ბევრჯერაა გადაკეთებული, ამიტომ უკეთესია ჯერ ვაწარმოოთ დეტალური აღწერა და შემდეგ—ანალიზი.

ეკლესია და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი დროთა განმავლობაში ნაწილობრივ მიწით იყო დაფარული. პირველ რიგში საჭიროდ ვცანით გაგვეწმინდა ტაძარი შიგნით, რათა დაგვედგინა მისი თავდაპირველი გეგმა, ძველი იატაკის დონე და სხვ. ეკლესიის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის გაწმენდას უნდა დაედგინა ბაზილიკის ტიპი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ამ გათხრებმა ზოგი რამ გაარკვია, მაგრამ ბევრ საკითხზე პასუხი დანგრეულ ნაწილებთან ერთად დაკარგულია.

---

[30] Акты, т. I. Тифлис, 1866, გვ. 531.

[31] Акты, т. VI ч. I. გვ. 364.



სურ. 55. ეკლესია და სამრეკლო სამხრეთ-დასავლეთიდან (ნახ. არქ. გ. მარჯანიშვილისა)

გასაწმენდი იყო აგრეთვე ტაძრის შიდა კედლები. ეკლესიის კედლები ამ საუკუნის დასაწყისში გაჯით შეულესიათ და შეუთეთრებიათ[32]. გასარკვევი იყო, რა იმალებოდა ახალი ნალესობის ქვეშ და მისი მოხსნით რომელ საკითხს მოეფინებოდა ნათელი.

ურბნისის ტაძარი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სამნავიანი ბაზილიკა, დიდი ხანია ცნობილია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ მას თუ გვერდებზე დამატებითი სათავსოები ჰქონდა, ეს კი უცნობი იყო.

ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (სურ. 55—59, ტაბ. XXXVIII₁). ცენტრალური ნავი ორჯერ განიერია გვერდით ნავებზე. ნავებს ერთმანეთთან აერთებს ოთხ წყვილ სვეტზე გადასული თაღები. სვეტების გეგმას ჯვარის ფორმა აქვს, რომელთა სიგრძივი მკლავები ცოტათი აღემატება გვერდის მკლავებს. იმავე ფორმას იმეორებს მოპირდაპირე პილასტრებიც. მხოლოდ მათ შორის მასალაშია განსხვაევება და რაც მთავარია, თანადროულებიც არ არიან.

ზემოთ მოყვანილი თეოდორე ეპისკოპოსის წარწერა კარგად გადმოგვცემს თუ რა ძლიერად იყო დანგრეული ეკლესია. წარწერაში ვკითხულობთ: „ი ყ ო ე ს ე ს ი ო ნ ი დ ა ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ უ ფ რ ო ჲ ს ზ ო მ ა ს ა. ო თ ხ ნ ი კ უ თ ხ ე ნ ი დ ა კ ო ნ ქ ი გ ა ნ პ ე ბ უ ლ ი ყ უ ნ ე ს. სუეტნი.... დამპალ იყუნეს“. როგორც აქედანაც ჩანს, სვეტები მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა. თეოდორეს აღდგენის ხელი ყველგან არა, მაგრამ ზოგან კარგად ჩანს.

ეკლესიის შიგნით ახალი იატაკის აყრისა და თავდაპირველი იატაკის დონის დადგენის შემდეგ გამოვლინდა პილონების პირვანდელი ბაზისების ფორმა, რის შემდეგ უფრო გაადვილდა ცვლილებების დაზუსტებაც.

სამხრეთის პილონების რიგი უცვლელადაა მოღწეული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი ქვის გამოფიტვას და უმნიშვნელო შეკეთებებს (სურ. 58, ტაბ. XLI, XLII). ჩრდილოეთის პილონების რიგი კი ნაწილობრივ აღდგენილია. მათ აღმდგენს არ შეუცვლია პილონების განლაგება, რადგან იგი დაკავშირებული იყო უშუალოდ მოპირდაპირე პილონებთან.

თავდაპირველ პილონს, როგორც აღვნიშნეთ, ჯვარული გეგმა ჰქონია და კუბურ ბაზისზე დგას, რომელიც პილონის სიბრტყიდან არ გამოდის. პილონებს ერთმანეთთან კარგი პროპორციების მქონე ნალისებრი თაღები აკავშირებს (სუბ. 60). თაღების იმპოსტები გამოჰრილია სწორკუთხა ქვიდან მარტივი პროფილით. ასეთი კაპიტალები გამოყენებულია ჩრდილოეთის აღდგენილ პილონებზეც. ზოგი მათგანი შესაძლოა ნანგრევებიდან ადგილზევე იყოს დაბრუნებული, ზოგი კი ძველის მსგავსად უნდა იყოს გამოთლილი.

ეკლესიის პირვანდელი პილონები და ნალისებრი თაღები ამოყვანილია კარგად თლილი კვადრებით (ტაბ. XLII, XLIII₁). თუმცა, ქვა არაა ერთი ზომის, მაგრამ რიგების ჰორიზონტალობა მაინც დაცულია. ქვა ერთმანეთთან იშვიათი ოსტატობითაა მორგებული, რითაც ზედმიწევნით სწორი ზედაპირია მიღებული. სამწუხაროდ, ასეთივე შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს ჩრდილოეთის მხარე (ტაბ. XLI). საკურთხევლისკენ მდებარე ორი პილონი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი, ხოლო ორი დანარჩენი ქვით. აქ ყველაფერი გარკვეული

[32] ეს სამუშაოები ჩაუტარებიათ 1904 წელს. თარიღი დიდი ასოებით აწერია ცენტრალური კამარის ერთ-ერთ საბრჯენ თაღს. ასოები ზოგიერთმა ასომთავრულ წარწერად მიიჩნია. ეს რომ შემდეგშიაც არ გახდეს სადავო, ციფრები იქვე დავტოვეთ.

როდია. მაშინ როდესაც სვეტის ღეროს გადაკეთება არ ეტყობა და მსგავსია მოპირდაპირის, ბაზისი გადაკეთებულია. თუ თავდაპირველი ბაზისი კუბურ მასას წარმოადგენს, აქ განსხვავებულია და სვეტის ჯვარულ გეგმას იმეორებს. როგორც ეტყობა, აღმდგენელი ოსტატის ეპოქას მარტივი კუბური მასა არ შეეფერებოდა. ამიტომ ოსტატმა ახლად აგებულ ორ პილონს გაუკეთა ეპოქის შესაფერისი (XVIII ს.) ბაზისები და გადარჩენილ ორ ბაზისსაც სათანადოდ შეუცვალა სახე. ასეთი გადაწყვეტით ოსტატმა ცენტრალური ნავის ცალ მხარეს ერთიანი გადაწყვეტა მიიღო.




სურ. 56. ეკლესია. გეგმა

ეკლესიის ცენტრალური ნავის სამხრეთის მხარეზე თავდაპირველი ნაწილები შერჩენილია ზოგან თაღების თავზე 1,5 მ სიმაღლეზე. ამის ზემოთ კედლები მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. აგურისავეა ნავის გადახური ცილინდრული კამარა თაღებით.

ეკლესიის გვერდის ნავებში ზოგან შერჩენილია თავდაპირველი სახე. კედლები ამოყვანილია ქვით და პილასტრები აგურით (სურ. 57—59). ქვის ფორმა, დამუშავება და წყობა განსხვავებულია პილონების წყობისაგან. პილონები კარგად თლილი მაგარი ჯიშის ქვითაა ამოყვანილი, აქ კი რბილი ჯიშის მომწვანო ქვაა. მას ოდნავ ფორმა აქვს მიცემული. რაც შეეხება აგურის პილასტრებს, ისინი თავისთავად არაა ცუდად ამოყვანილი, მაგრამ პილონებს ყველგან არ შეესატყვისებიან. გვერდის ნავები გადახურულია კამარებით, რომლებსაც წრის მეოთხედის ფორმა აქვს (სურ. 57). იმავე ფორმებს იმეორებს საბჯენი თაღებიც, მაგრამ ყველაფერი ეს დუნედაა ნაგები, არ ეტყობა მაღალი ოსტატობა. პილასტრების კაპიტელებსაც არა აქვს ერთნაირად გამოკვეთილი ფორმები. გვერდით ნავებში ორი სამშენებლო ფენა მაინც ჩანს, თუ მეტი არა. ერთია

ქვით ამოყვანილი კედლის ნაწილები, ხოლო მეორე—აგურით ნაგები პილასტრები, თაღები და კამარები. 1668 წლის მარიამ დედოფლის წარწერაში, მაინც და მაინც ბევრი არ უნდა იყოს გადაჭარბებული. აქ ვკითხულობთ: „ალვაშენეთ ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი..."

დასავლეთის კედელი მთლიანად გადაკეთებულია (სურ. 59). ჩანს სამი ფენა. თეოდორე ეპისკოპოსის ხელი ჩანს პილასტრების კაპიტელების ჰორიზონტამდე (იგივე დონე ფასადზედაც კარგად ირკვევა). ამ დონეზე არსებული ქვის წყობა განსხვავდება ზედასაგან. ეს ფენა გრძელდება ფანჯრის თითქმის ნახევრამდე. შემდეგ მთლიანად აგურია როგორც კედლები, ისე ცენტრალური ნავის გადამხური ცილინდრული კამარაც. აგურისავეა საბჯენი თაღებიც.



სურ. 57. ეკლესია. განაკვეთი აღმოსავლეთით

საკურთხეველი სამი ნაწილისაგან შედგება (სურ. 56). შუაში აფსიდია, გვერდებზე კი—სწორკუთხა სადგომები. თუ პირველად წყობად პილონების ქვის წყობას მივიღებთ, მაშინ საკურთხეველში ძნელია ასეთი ფენის დადგენა. აფსიდში მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფენაა, არც ერთი მათგანი არ მოგვაგონებს თავდაპირველ სახეს. აფსიდი ღრმაა, წრე წესიერი არ არის. აქ აშკარად იგრძნობა გადაკეთება. მარჯვენა მხარე უფრო მოხრილია, რაც გვაფიქრებინებს, რომ აფსიდის თავდაპირველი მოხაზულობა ნალისებრი უნდა ყოფილიყო. საფეხური, რომელიც აფსიდს ნაწილობრივ შემოუყვება, არაა მკვეთრი; სამხრეთიდან იწყება და შემდეგ თანდათანობით ჰქრება. ცხადია, მის ამდგენელს საფეხურისათვის განსაკუთრებული დანიშნულება არ მიუცია. აფსიდის არსებულ კედლებში ქვედა ნაწილი ძველია, მაგრამ არა თავდაპირველი. იგი ნაგებია მომწვანო ფერის კვადრებით. კვადრები მცირე ზომისაა. ქვა

დამუშავების მხრივ ბევრად ჩამოუვარდება პილონებისას. ზედა ნაწილი კონქამდე ქვის ჯიშით და წყობითაც განსხვავდება ქვედასაგან. ძველ კედლებში კვადრები დიდია და ჰორიზონტალობაც შედარებით დაცულია. აქ კი კვადრები პატარებია და ნაწყობიცაა იმის მიხედვით, თუ როგორი ქვა იშოვნა. აფსიდის კონქი, რომელიც ისრული ფორმის თაღით მთავრდება, მთლიანად აგურისაა. ამ თაღის იმპოსტები იმეორებს თავდაპირველი პილონების კაპიტელების ფორმას. თვით თაღი კი მცირედ შეისრულია.

საკურთხევლის გვერდითი პასტოფორიები გადაკეთებულია. გეგმაში არ უნდა იყოს ცვლილება. ორივე სწორკუთხა გეგმისაა და თითქმის თანატოლი (სურ. 56). ამათგან სამკვეთლო ოდნავ განიერი და მოკლეა, რის გამოც იგი თითქმის კვადრატს უახლოვდება. სადიაკვნე და სამკვეთლო მაღალია და ცილინდრული კამარებითაა გადახურული. კედლები ქვაა და ისეთივე წყობაა, როგორიც ნავების გვერდით კედლებში. ძველი წყობა შერჩენილი უნდა იყოს სამკვეთლოს ჩრდილოეთ კედელში და სადიაკვნეს კედლების ქვედა რიგებში. კამარები კი აგურითაა ნაგები. ორივეგან ფანჯარა გვიანია. სადიაკვნეში ტრაპეციული ფორმის ძველი ტრაპეზის ქვა მიდგმულია აღმოსავლეთით, ფანჯრის ქვეშ. მეორეგან მხოლოდ აგურის ტრაპეზის ნაშთია. ორივე სათავსოს შესასვლელიც გადაკეთებულია და თავდაპირველი ფორმები არ ირკვევა (სურ. 57). ამჟამად არსებული თაღები ისრული ფორმით აგურისგანაა ამოყვანილი.



სურ. 58. ეკლესია. განაკვეთი სამხრეთით

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად სადიაკვნეს ზემოთ არსებული კარი და სახურავს ქვემოთ არსებული მცირე სათავსო გადაკეთების დროინდელია (სურ. 57). ამ მცირე სათავსოდან გასასვლელით შეიძლება მოხვდეთ საკურთხევლის კონქის ზემოთ არსებულ სათავსოში. იმავე სათავსოში შეიძლება მოხვდეთ სამხრეთის ნავის სახურავიდან კედელში არსებული მცირე კარიდან.

თავდაპირველი ეკლესიის განათების სისტემა არ ჩანს. ახლანდელი განათება საკმაოდ ძლიერია. ცენტრალური ნავის აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებში თითო სარკმელია. ორივე მაღალია, შიგნით განიერი და გარეთ ვიწრო. აღმოსავლეთისა მთლიანად ქვაშია ამოყვანილი და მხოლოდ აგურის თაღია.

დასავლეთის სარკმელი ორფენოვანია. ქვედა ნახევარი ქვისაა, რომელიც ამ კედლის მეორე ფენას ეკუთვნის, ხოლო ზედა—აგურის, XVII საუკუნის (იმავე ხანაში ფანჯრის ქვედა ნაწილი აგურით ამოუშენებიათ), ცენტრალური ნავის ხუთივე მონაკვეთში თითო ფანჯარაა. ათივე სარკმელი ერთი ზომისაა, განიერი და შედარებით დაბალი.

გვერდითი ნავების თითოეულ მონაკვეთში თითო სარკმელია მოთავსებული (სურ. 56, 58). ისინი მკვეთრად განსხვავდება ზემოაღწერილი სარკმლებისაგან. ცენტრალური ნავის სარკმლები შიგნით განიერია და გარეთ ვიწრო. განაპირა ნავების სარკმლების გვერდები კი პარალელურია. მათი გადახურვა კედლის თაღების გაგრძელებაზეა ჰორიზონტულად. იმავე ნავების დასავლეთის კედლებში მოთავსებული სარკმლები კი ცენტრალური ნავის სარკმლების ფორმას იმეორებს.



სურ. 59. ეკლესია. განაკვეთი დასავლეთით

ეკლესიის თავდაპირველი შესასვლელები არაა შერჩენილი. მას სამი კარი ჰქონია, მათგან მხოლოდ სამხრეთის ატარებს თავდაპირველ ფორმას.

ძველი შესასვლელი მრავალჯერ გადაკეთებული სახით სამხრეთითაა. მას უკავია ნავის ცენტრალური ადგილი. თავდაპირველი შესასვლელი განიერი და მაღალი ყოფილა (სურ. 62, ტაბ. XXXIX). შესასვლელის წირთხლებს ეტყობა არქიტრავის ქვის ჩამონატეხები. ზემოთ კი ნალისებურად მოხაზული ლუნეტი ყოფილა. ეს დიდი ზომის ღია თალი, მაღალ შესასვლელთან ერთად, თავის დროზე კარგი სანახავი იქნებოდა. მარიამ დედოფლის ოსტატს ლუნეტის არეში ძვე-

ლი და ახალი წარწერებიანი ქვები ჩაუსვამს, ხოლო შესასვლელი დაუვიწროვებია. შესასვლელის ახალი თაღი შეისრულია.

დასავლეთის შესასვლელს ძველის ნიშნები არ ეტყობა (სურ. 63, ტაბ. XL). სამწუხაროდ, არც იმის თქმა შეიძლება, თავდაპირველად იყო თუ არა აქ კარი. ახლანდელი შესასვლელი განიერია და მაღალი, მაგრამ მეტად ულაზათოდაა ნაგები, ქვემოდან ზემოთ არათანაბრად ვიწროვდება.

ჩრდილოეთის კარი ნავის ბოლოშია სამკვეთლოს წინ. იგი შედარებით სხვა შესასვლელებთან პატარაა. გადაკეთება მასაც ეტყობა, მაგრამ შიდა მხარე თავდაპირველი ჩანს. იგი სწორკუთხაა არქიტრაული გადახურვით.

ეკლესიის შიგნით ახალ იატაკზე დაგებული იყო კვადრატული აგური. ერთი საფეხურით ამაღლებული საკურთხევლის იატაკი პირველ პილონებამდე მოდიოდა. აფსიდს აგურით ნაგები ერთი საფეხური შემოუყვებოდა, რომელსაც ფანჯრის ქვეშ შემაღლება ჰქონდა. ყველაფერი ეს ამ საუკუნის დასაწყისისა იყო. ამ ფენის აყრის შემდეგ, სამწუხაროდ, ადრეული იატაკი არ აღმოჩენილა. მხოლოდ დადგინდა მისი დონე პილონების ბაზისების მიხედვით. ადრეული, მაგრამ არათავდაპირველი საკურთხევლის გამომყოფი საფეხური აღმოჩნდა პირველი თაღის შუა ხაზზე. იგი ოთხკუთხად ებჯინება აფსიდის პილასტრებს. ეს საფეხური, თუ დაბალი კედელი 0,5 მ სიმაღლისაა და ორფენოვანია. ქვედა ფენა კარგად თლილი ქვის ერთი რიგითაა მიღებული. ზედა ფენა კი აგურია.

საკურთხევლის გაწმენდას ძველი ტრაპეზი აფსიდში არ აღმოუჩენია, მაგრამ საკმაოდ დიდი ზომის ტრაპეციული ტრაპეზის ქვა აბსიდთან მდებარე ჩრდილო პილასტრის წინ ისედაც ჩანდა. იგი დადგმულია აფსიდის შემომფარგვლელ გვიანდელ კედელზე. აქედან ორი საფეხური ჩადის ჩრდილოეთით სამკვეთლოსაკენ. არაა გამორიცხული, რომ ეს ტრაპეზი თავდაპირველი იყოს, ცხადია, მისი ადგილი აფსიდში იქნებოდა სარკმლის წინ.

ეკლესიაში კანკელის ნაშთიც არაა დარჩენილი. გასული საუკუნის ბოლოს იქ მდგარა ორი კანკელი. ხის კანკელით დაფარული ყოფილა ქვის კანკელი. ამ კანკელების ერთი ნაწილის ფოტო გამოქვეყნებული აქვს პ. უვაროვას და იძლევა მოკლე აღწერასაც[31]. ფოტოზე ჩანს, რომ თალოვანი ხის კანკელი მოხატებული იყო. მის ქვემოთ არსებული ქვის კანკელიც არ უნდა იყოს ძველი. ბრტყელი მასა ორმაგი გრეხილებით სწორკუთხედებადაა დაყოფილი. სწორკუთხედებში მოთავსებულია წმინდანების წელსზევითი ფრესკული გამოსახულება, კანკელის ზედა არშიაზე მოთავსებულია მხედრული წარწერა. ავტორს მისი წაკითხვა არ უცდია.

კანკელი მდგარა აფსიდის წინ მდებარე სვეტის ხაზზე. ამ ახლად გამოყოფილ სივრცეშივე მოუთავსებიათ სადიაკვნე და სამკვეთლო, ხოლო ძველი სადიაკვნე და სამკვეთლო საწყობებად უქცევიათ.

კანკელი ექ. თაყაიშვილის იქ ყოფნის დროსაც მდგარა. წარწერა დაზიანებული ყოფილა შემდეგი კარების ამოჭრით. იგი წარწერას ასე კითხულობს: „...ა და განმგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, რომელმან შევამკე კ/ანკელი ესე. რათა მე/ოხ ჰეყოს ორსავე შინა ცხოვრებასა მეუღლით, ძით და ასულით. ქკისა ტკდ".

---

[31] П. Уварова. Урбниси. Материалы по археологии Кавказа. вып. IV, М., 1894, вв. 143—144.

კანკელი ვახტანგ VI სამრეკლოს აგების დროს დაუდგამს. მეორე კანკელზე კი თაყაიშვილი წერს: „ხის კანკელი... ერეკლე მეორის მიერ უნდა იყოს გაკეთებული, ამიტომ, რომ ამ გვარივე კანკელი მოიპოვება რუისის ეკლესიაშიც რომელიც, როგორც წარწერიდან ჩანს, ერეკლე მეორეს გაუკეთებია“[34].




სურ. 60. ეკლესია. ინტერიერის დეტალი

ეკლესიის იატაკის აყრისას აღმოჩნდა რამდენიმე არქიტექტურული ფრაგმენტი და სამარხები. სამარხები იყო როგორც აგურის აკლდამები, ისე ქვაყუთები (ტაბ. XLIV).

[34] ექ. თაყაიშვილი, არხ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I, 1907, გვ. 42.

ტაძრის ირგვლივ, გათხრების წარმოებამდე, ჩანდა სამნავიანი ბაზილიკის ერთიანი მასა, რომელსაც გვერდებზე ორ-ორი კონტრფორსი ჰქონდა. სამხრეთ ფასაზე ორგან სულ მცირე ფრაგმენტმა დაგვაჟღავნა. ეს იყო ერთი—სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ძირას ათიოდე სანტიმეტრის შვერილი და მეორე— აღმოსავლეთით ბოლოსკენ 20—30 სმ სიმაღლის შვერილი, რომელიც ადგილის მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო აფსიდის კუთხე.

ვაწმენდითმა სამუშაოებმა, რომელიც ჩატარდა ტაძრის ირგვლივ, გამოავლინა საკმაოდ რთული სურათი. სამნავიანი ბაზილიკა არ მდგარა მარტო; მას სამივე მხარეს ჰქონია მინაშენი. მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩენილი კედლები ისეთი ფრაგმენტალურია, რომ აქ არსებულ სათავსოთა სრული სურათის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია (სურ. 56, 62, ტაბ. $XXXVIII_3$, XXXIX).

სხვებთან შედარებით, მრავალფეროვანია სამხრეთის მხარე. აქ სულ მცირე სამ სამშენებლო ფენასთან მაინც გვაქვს საქმე. როგორც ეტყობა, პირველი ფენა ისაა, რომელიც ტაძარს მთელს სიგრძეზე გასდევდა. ეს ნაწილი ტაძარზე მიშენებული კი არ არის, არამედ მასთან ერთადაა აგებული და კონსტრუქციულადაც მთლიანი ყოფილა. ნაგებობის ამ ნაწილიდან კედლები გადარჩენილია აღმოსავლეთსა და დასავლეთ მონაკვეთებში ზოგან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე. აღმოსავლეთით სადგომი ტაძრის აღმოსავლეთის კედლის ხაზიდან ოციოდე სანტიმეტრით შიგნითაა შეწეული. ბოლოჰა მდებარეობს აფსიდიანი სადგომი მისი აფსიდი კარგად იკითხება. ბაზილიკის კედელზე გადახურვისა და თაღის კვალი კარგად ირკვევა. ჩანს ამ სადგომის დასავლეთის კედლის კვალიც, სადაც უნდა ყოფილიყო კარიც (გვიან, ეს დანგრეული კედელი ამოუშენებიათ და შიგ ვიპოვნეთ ეკლესიის კარნიზის ქვის ფრაგმენტი). ამ მცირე სადგომის სამხრეთის კედელი დასავლეთით გრძელდება და გვიანდელ კონტრფორსამდე მხოლოდ კვალი ჩანს. შემდეგ კი სამიოდე მეტრზე გრძელდება იშვიათი სიფაქიზით გათლილი ქვით ნაგები კედელი. ასეთივე კედლის ნაშთია შერჩენილი მეორე კონტრფორსის დასავლეთით, რომელიც ჩრდილოეთით უხვევს და ტაძრის კედელს უერთდება. სწორედ ამ დასავლეთ მონაკვეთშია შერჩენილი შესასვლელის ნაშთი. ყველა აღნიშნულ ფრაგმენტს თუ მთლიანობაში წარმოვიდგენთ, მივიღებთ, რომ ტაძარს ამ მხარეზე ერთიანი ნაწილი ჰქონია. სხვა საკითხია. შენობის ეს ნაწილი ღია იყო. თუ დახურული. არსებული ფრაგმენტების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მთელ სიგრძეზე ეს მინაშენი სამად იყო გაყოფილი. შუაში ღია თაღედი იყო, აღმოსავლეთით— მცირე სამლოცველო და დასავლეთით—სანახევროდ დახურული სადგომი.

მინაშენი, როგორც ეტყობა, დაინგრა ტაძრის ძირითად კორპუსთან ერთად. აღდგენა მას არ შეჰხებია.

ეკლესიის კარის წინ გათხრისას კიდევ აღმოჩნდა რომელიღაც ნაგებობის კვალი. სამწუხაროდ, იგი ძალიან დაზიანებულია (სურ. 56). მისი აღმოსავლეთის მონაკვეთი შედარებით უკეთ იკითხება. ამის მიხედვით ვფიქრობთ, რომ აქ უნდა მდგარიყო კარიბჭე მსგავსი განვითარებულ ფეოდალურ ხანაში გავრცელებული კარიბჭეებისა. შემდეგში ისიც დანგრეულა და ეს მხარე მთლიანად მოუცავს სამარხებს, რომელთა უმრავლესობას ქვაყუთები წარმოადგენდა.

ტაძრის დასავლეთის მხარის გათხრამ შედარებით ცოტა რამ მოგვცა. კარის საფეხურებად გამოყენებული იყო ეკლესიის კარნიზის საინტერესო ფრაგმენტები. შენობის ნაწილებიდან აქ მოულოდნელად დაგვხვდა კედლის ნაშთი. იგი მდებარეობს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით. კედელი დაცილებულია ტაძრიდან

2.5 მეტრით და იწყება ბაზილიკის სამხრეთის ნაწილის გარეთა ხაზის გასწვრივ. კედლის წყობა ისეთია, როგორიც მინაშენის პირველი ფენისა. როგორც ეტყობა, ბაზილიკას ამ მხარესაც ჰქონია მინაშენი, მაგრამ არაა თავდაპირველი.

ტაძრის ჩრდილოეთი მხარის გათხრამ სრულიად განსხვავებული სურათი მოგვცა. აქ გამოჩნდა მინაშენი, რომელიც მთელ სიგრძეზე გასდევდა ეკლესიას (სურ. 56). მას სწორკუთხა გეგმა ჰქონია და არ ჩანს იყო თუ არა სადმე კარი, გარდა ეკლესიასთან დამაკავშირებელისა: თუ სადმე კარი იყო იგი მხოლოდ დასავლეთით იქნებოდა, რადგან სამხრეთის კედელი თითქმის ერთ მეტრამდეა შერჩენილი და აქ არსად ჩანს კარის ნაშთი. ეს მინაშენი შედარებით ახალია. იგი ნაგებია რიყისქვით აქა-იქ ეკლესიის ფრაგმენტების გამოყენებით (კედელში ჩაშენებული იყო ტაძრის ძველი კარნიზის ნატეხებიც). ამ მინაშენს ეკლესიასთან აკავშირებდა კარი, რომელიც მოთავსებულია ბაზილიკის ჩრდილოეთ კედელში სამკვეთლოსთან ახლოს.

ტაძრის გარე მინაშენებიდან ყველაზე გვიანია ის ორ-ორი კონტრფორსი, რომლებიც სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარეობს (სურ. 55, 56, 57, 59, ტაბ. XXXIX). მასიური პილონები თაღებით ებჯინება კედლებს. როგორც ეტყობა, მარიამ დედოფლის ოსტატს ისინი აუგია ბაზილიკის კამარებისა და თაღების გამბჯენი ძალების გასაწონასწორებლად.

კონტრფორსების ქვედა ნაწილებში მცირედ გამოყენებულია სხვადასხვა ზომის თლილი ქვა (ალბათ ეკლესიის ნანგრევებიდან), ზემოთ კი მთლიანად აგურია. ამ პილონების სამხრეთ ფასადებზე აგურის წყობით რომბები ყოფილა გამოყვანილი, როგორც ეს მიღებული იყო XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოში.

ტაძრის გარეთა სახე ხასიათდება სამნავიანი ბაზილიკის ფორმებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ რადიკალურ გადაკეთებებთან გვაქვს საქმე, რომ თავდაპირველი სახე სამუდამოდ დაკარგულია (ტაბ. $XXXVIII_1$). შეიძლება განვაცხადოთ, რომ ფასადებზე თავდაპირველი მოპირკეთების ქვები მეტად მცირეა პირვანდელ ადგილზე. ძველი უკეთაა შენახული სამხრეთის შესასვლელს ირგვლივ. ამრიგად, აღდგენის დროს არქიტექტორმა არსებულ ნანგრევებზე ააგო მასები ფრაგმენტების გამოყენებით და აბრისის დაცვით. ამ მრავალჯერ გადაკეთებულ ფასადებს შემდეგი სახე აქვს:

აღმოსავლეთის ფასადი წარმოადგენს ერთიან სიბრტყეს (სურ. 61, ტაბ. $XXXVIII_2$). ბაზილიკის ცენტრალური ნავი ძლიერ მასადაა აწეული და ორქანობიანი სახურავით მთავრდება. გვერდის ნავები კი თითო ქანობითაა გადახურული. სახურავებს მიჰყვება აგურის კბილანა კარნიზი. მასალის მხრივ ფასადის ქვედა ნაწილი გვერდის ნავების დონეზე ქვაა, ზემოთ კი—აგური. ამჟამად ფასადის მთავარ დეკორატულ ელემენტს წარმოადგენს ცენტრალური ნავის შუაზე მოთავსებული ჯვარი. იგი აგურისგანაა ამოყვანილი და მარტივი, სწორკუთხა მკლავები აქვს. მკლავების გადაკვეთაზე ამოწეულია კვადრატული მასა. ფასადის ქვედა სიბრტყე თლილი ქვით კი არის შემოსილი, მაგრამ ქვა პატარაა და რიგი არ არის დაცული. მისი დამუშავება და წყობა შორსაა იმ სილაზათისაგან, რომელიც ახასიათებს ტაძრის პირვანდელ ფენას. შემოსვაში ძირითადად ნახმარია ქვიშაქვა და შირიმი. ფასადის ქვედა ნაწილში სამი სარკმელია განლაგებული. სამივეს მაღალი და ვიწრო პროპორციები აქვს. შუა მათგანი საკმაოდ დიდია, გვერდითები კი—პატარები. ფასადის მცირე მორთულობაც ამ ფანჯრებთანაა დაკავშირებული. ცენტრალური სარკმლის თავზე მცირე ზომის

სწორმკლავა ჯვარია აღმართული, ხოლო მარჯვნივ მდებარე სარკმლის ზემოთა წრეში ჩასმულია ტოლმკლავა ჯვარი.



სურ. 61. ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადი

ფასადის შემოსვაში თავდაპირველი ფენა არ ჩანს. როგორც ეტყობა, ფასადი რამდენიმეჯერ ყოფილა გადაწყობილი. პირვანდელი ქვები არ ჩანს, მაგრამ შემდეგი დროის ყველა წარწერიანი ქვა, სადაც ტაძრის აღდგენაზეა საუბარი (IX—X სს.) ჩადგმულია შემთხვევით ადგილას. სად იყო მანამდე ეს ქვები, არ ჩანს და თანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გვიანი დროის აღმდგენელმა ისტატმა, არც კი იცოდა ასომთავრულის კითხვა, რადგანაც ერთ-ერთი წარწერიანი ქვა თავდაღმაა ჩადგმული. ამათ გარდა, ამ ფასადზე რამდენიმე ძველი და ახალი წარწერიანი ქვაა ჩასმული.

ეკლესიის სმხრეთის ფასადი ორი სიბრტყისაგან შედგება (სურ. 62, ტაბ. XXXIX). მათში მთავარია ქვედა, რომელიც ბაზილიკის სამხრეთის ნავის კედელს წარმოადგენს, ხოლო მეორე ცენტრალური ნავის კედელი ზემოთაა, შიგნით. ორივე კედელი გრძელი, სწორკუთხა მოხაზულობისაა. ზედა უფრო მარტივია. მასზე განლაგებულია მხოლოდ ხუთი სარკმელი და ერთი კარი. სარკმლები ვიწრო და მაღალია თაღოვანი გადახურვით. კარი კი სარკმლებზე დაბალია და განიერი (ამ კარით შეიძლება მოხვდეთ აფსიდის კონქის ზედა სათავსოში).

ფასადის ქვედა ნაწილის მთლიან აღქმას ხელს უშლის მასიური ორი კონტრფორსი, რომლებიც განლაგებულია ცენტრის ორივე მხარეს, მაგრამ არასიმეტრიულად. ფასადის ზედა ჰორიზონტზე ხუთი სარკმელი მდებარეობს, ქვემოთ კი მხოლოდ შესასვლელია. სარკმლები თანაბარი ინტერვალითაა განლაგებული. მხოლოდ აღმოსავლეთის მონაკვეთია თავისუფალი, რადგან იქ მდებარე სადია-

კვნე ნათდება აღმოსავლეთიდან. არსებული სარკმლები სწორკუთხა ფორმისაა. მათ შემოფარგლავს შედარებით უკეთ დამუშავებული ქვა. გვიან, ერთ-ერთი გადაკეთების დროს, აღმოსავლეთით ბოლოში მდებარე სარკმლის წინ მეორე სარკმელი დაუმატებიათ.



სურ. 62. ეკლესია. სამხრეთის ფასადი

აღმოსავლეთის ფასადის მსგავსად, ეს ფასადიც შემოსილია მცირე ზომის თლილი ქვით. ყველა ქვა არ არის ზუსტად ნათალი, ზოგჯერ მხოლოდ ფორმაა მოცემული, თითქოს ნახევარფაბრიკატიაო. ერთმანეთის გვერდით შეხვდებით ქვიშაქვას, შირიმსა და მომწვანო ფერის ქვას. ოსტატი წყობაში რიგების ჰორიზონტალობას მინიმალურად იცავს. აქა-იქ ნახმარია აგურიც.

ტაძარში შესასვლელი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ფასადის ერთადერთი ძველი დეტალია (ტაბ. XXXIX). ამჟამად შესასვლელში ორი ფენა ჩანს: ერთია ძველი, პირვანდელი შესასვლელი და მეორე XVII ს. ძველი შესასვლელი განიერი და მაღალი ყოფილა, რომლის არქიტრავის ზემოთ დიდი ზომის ღია თალი იყო. კარგი პროპორციების ეს ლუნეტი გვიან ამოუვსიათ და შიგ ჩაუდგამთ ადრე სხვაგან არსებული X ს. წარწერიანი ორი ქვა და ახალი შეკეთების მაუწყებელი მხედრული წარწერიანი ქვაც. იმავე აღდგენის დროს დაუვიწროვებიათ შესასვლელი და ამოუშენებიათ ჩამოვარდნილი არქიტრავის ადგილიც. ახალი შესასვლელის თალი შეისრული ფორმისაა.

დასავლეთის ფასადის აბრისი აღმოსავლეთის მსგავსია (სურ. 63, ტაბ. XL), მაგრამ დამუშავების მხრივ მას ჩამოუვარდება. აქაც პირვანდელი ეკლესიის ფენა მცირეა, ქვემოთ კუთხეებში ამის ზემოთ, თუ მეტი არა, კიდევ სამი ფენა მაინცაა. ფენებიდან პირველი ხუთიოდე მეტრის სიმაღლეზე გრძელდება და ჰორიზონტულ ხაზსა ჰქმნის. მეორე ფენა თითქმის უწევს გვერდის ნავების სახურავის დონემდე. მესამე კი მთლიანად მოიცავს ცენტრალური ნავის აწეულ მკლავს.

სამივე ფენის შემოსვა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქვედა ფენა ძირითადად შემოსილია თლილი ქვის საკმაოდ დიდი კვადრებით. შემდეგი

ფენის ქვა პატარებია, ზედა პირი ისე კარგად არა აქვთ დამუშავებული და მოხა-ხულობაც ნებისმიერია. კონტრასტულად გამოიყურება დიდი ზომის სწორკუ-თხა ქვა, რომელიც აქა-იქაა ჩადგმული. მესამე უკანასკნელი ფენა, როგორც შიგნით, ისე გარეთ, მთლიანად აგურია.




სურ. 63. ეკლესია. დასავლეთის ფასადი

ფასადის მორთულობა მარტივია. ზემოთ, შუა ნავის არეში, აღმოსავლეთის მსგავსად, დიდი ზომის სწორმკლავა ჯვარია გამოსახული. გვერდითი ნავების სარკმლები მოურთავია. თვით შესასვლელის შემომფარგველი ქვა არაა თანადროული. გვერდებს მიჰყვება ორლილვიანი მოჩარჩოება. შესასვლელის გვერდები ზემოთკენ არათანაბრად ვიწროვდება. არქიტრავის ქვა გლუვზედაპი-რიანია. არქიტრავის ზემოთ მრავალგვერდა ქვაზე რელიეფურად ჯვარია გამო-სახული.

ბაზილიკის მეოთხე—ჩრდილოეთის ფასადიც მასებით და საერთო მოხაზუ-ლობით სამხრეთის მსგავსია. დეტალებში კი მისგან განსხვავდება. შესამჩნევი განსხვავება შეაქვს სამხრეთის მსგავსი შესასვლელის არარსებობას. ის შესა-სვლელი, რომელიც აქ ყოფილა, მცირე ზომისა და მოურთავი იყო, ამიტომ სა-ერთო კომპოზიციაში არცთუ მეტყველი იქნებოდა. სარკმლები აქაც ხუთია, მაგ-რამ აღმოსავლეთით მდებარე ორი განიერია, დანარჩენი კი—ვიწრო.

ფასადს არავითარი მორთულობა არა აქვს. ერთი ჯვრის გამოსახულებიანი ქვა გვერდზეა დაწვენილი დასავლეთით მდებარე სარკმლის ქვეშ. იგი, ცხადია, უკანასკნელი გადაკეთების დროს აქ შემთხვევითაა მოხვედრილი. უფრო ქვემოთ ცხენია ხაზებში გამოხატული (ტაბ. XLVII$_2$).

ამ მხარის კონტრფორსები უფრო მეტადაა დაზიანებული, ვიდრე მოპირდაპირე მხარეს მდებარე.

ეკლესიას ახალი კრამიტის სახურავი აქვს. თავდაპირველად, საფიქრებელია, მას ლორფინის სახურავი ჰქონოდა. სამწუხაროდ, მისი ფრაგმენტიც არ შეგვხვედრია. ეკლესიის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის გაწმენდისას კი ბლომად იყო ბრტყელი კრამიტის ნატეხები. ერთ მათგანზე ასომთავრული ასოებია შერჩენილი.

ფასადების რადიკალურ გადაკეთებაზე მეტყველებს აგრეთვე შენობის ცოკოლიც. მეტ-ნაკლებად ცოკოლი გამოვლენილია აღმოსავლეთით. იგი სწორკუთხაა, მცირე და უსახო. იგი ერთ-ერთი გადაკეთების დროინდელია. ჩრდილოეთით ცოკოლი ორიოდე სანტიმეტრით დაბლაა და ბოლომდე არც გასდევს. დასავლეთის ფასადს მარჯვნივ, მცირე მონაკვეთზე, თითქმის შეუმჩნეველი გამოწევა აქვს. სამხრეთით კი ცოკოლი ფაქტიურად არც კი არსებობს.

**ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ანალიზი.** ურბნისის ტაძარი, როგორც აღწერიდან ჩანს, ძლიერაა გადაკეთებული. შერჩენილი ნაწილებით კი ძნელია ნაგებობის თავდაპირველი სახის წარმოდგენა. განსაკუთრებით ჭირს მასების აღდგენა. არა ერთმა რადიკალურმა აღდგენა-რესტავრაციამ ტაძარს ისე უცვალა სახე, რომ ძირითადი ფენები ზოგან ან სულ გამქრალია, ან მიმალული. ერთი რამ ცხადია, მას არ სწვევია, ვთქვათ, ხირსის ან წყაროსთავის ბედი და ბაზილიკიდან გუმბათოვან ტაძრად არ ქცეულა, არამედ ბაზილიკა იყო და ბაზილიკად დარჩა. მიუხედავად მრავალი გადაკეთებისა, ნაწილების დაკარგვისა თუ მომატებისა, მისი ტიპი არ შეცვლილა. იგი საუკუნეების შემდეგაც რჩება დიდებული და იმპოზანტური.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურბნისის ბაზილიკა წარმოშობისას, ამაზე ამომწურავი პასუხი ვერ მოგვცა ვერც არქეოლოგიურმა გათხრებმა და ვერც ახალი ნაგებობისაგან შიდა კედლების გაწმენდამ.

ბაზილიკას განვიხილავთ შემდეგი თანამიმდევრობით:

1. სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელ სივრცეს ტაძარში ჰქმნის სვეტების ოთხი წყვილი.

ტაძრის შიდა კედლების გაწმენდამ აშკარად გვიჩვენა, რომ სვეტების სამხრეთის რიგი ყველა ადგილზეა და ხელუხლებელია (ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მისაღები მცირე შეკეთებანი), ხოლო ჩრდილოეთის რიგიდან ორი სვეტი შეკეთებულია, ორი კი ძველია (სურ. 58, ტაბ. XLII). XVII ს. აღმდგენელ ოსტატს ახალი სვეტები ზუსტად ძველის ადგილზე აღუმართავს და ძველი ნაგებია ქვით, ახალი კი—აგურით.

ურბნისის ბაზილიკა ოთხი წყვილი სვეტით (სურ. 56) ანალოგიებს პოულობს მხოლოდ ადრეულ ბაზილიკებში (სურ. 64). ასეთებიდან შეიძლება დავასახელოთ კაწარეთის სამება[35] (ხაშმთან ახლოს) და ხირსა[36]. სამი წყვილი სვეტებიანი ბაზილიკებიდან შეიძლება დავასახელოთ ნატკორა[37]. ასეთივე უნდა

[35] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, გვ. 55—56.
[36] იქვე, გვ. 69—71.
[37] იქვე, გვ. 65—68.

ყოფილიყო აგრეთვე თბილისის ანჩისხატის ეკლესია[38]. ცნობილი ბაზილიკებიდან დანარჩენი ორი ან ერთი წყვილი სვეტებითაა და სხვა მხრივაც შორს დგანან განსახილავი ობიექტისაგან. უფრო მეტი სვეტებით საქართველოში მხოლოდ ერთი ეკლესიაა ცნობილი; ესაა განთქმული ბოლნისის სიონი, სადაც გამოყენებულია ხუთი წყვილი სვეტი.




სურ. 64. ბაზილიკების ტაბულა. 1. ბოლნისი, 2. ურბნისი, 3. ანჩისხატი, 4. ხირსა

ურბნისში სვეტის გეგმა ჯვარულია. ასეთივე ფორმის სვეტები გვხვდება ბოლნისსა და ნატკორაში. ნაშთების მიხედვით ისეთივე ფორმისა უნდა ყოფილიყო ანჩისხატშიც, ურბნისის სვეტის პილასტრები თანაბრად არაა გამოწეული, არამედ გრძივ ღერძზე უფრო მეტადაა შეერილი. ამავე დროს, პილასტრები შესამჩნევადაა შვერილი. ასეთივე გადაწყვეტაა ბოლნისშიც, მხოლოდ თანაბარი შვერილებით. ნატკორაში კი შვერილების რელიეფურობა ნაკლებად შეიმჩნევა, მთლიანად სვეტი კი მასიურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ზემოთ აღნიშნული სხვა ძეგლებიდან კაწარეთს მოგრძო გეგმის სწორკუთხა სვეტი აქვს, ასეთივეა კონდოლიც[39], რომელსაც გ. ჩუბინაშვილი VI ს. დასაწყისით ათარი-

---

[38] ანჩისხატის ეკლესიას ამჟამად XVIII ს. აგებული ორი წყვილი კოლონა აქვს, მაგრამ 1959—1960 წლებში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა სამი წყვილი სვეტის ბაზები.

[39] Г. Н. Чубинашвили, Архитектура, Кахетии, გვ. 68.

ლებს. ხირსაში პილასტრი მხოლოდ ცენტრალური ნავისკენაა (თუმცა ორი გრძივი შეერილიც პილასტრივით იკითხება). ასეთივე ფორმას იმეორებს, ცოტა მოგვიანებით აგებული, ურიათუბანი[40], ბოდბე[41] და ზოგიერთი სხვაც.

სვეტების პირდაპირ გვერდითი ნავების კედლებზე პილასტრები, გარდა ბოლნისისა, არ გვხვდება. ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ზემოჩამოთვლილ ძეგლებში, არამედ საერთოდ ადრეფეოდალური ხანის სამნავიან ბაზილიკებში. ურბნისშიც ასევე იყო. ამჟამად ეს ადგილები მოკავებული აქვს XVII ს. ორსაფეხურიან პილასტრებს.

2. სვეტების ბაზისები ურბნისში მარტივია, კუბურ მასას წარმოადგენს. ეს მასები პილასტრების სიგანეზეა და სრულიად სადაა ყოველგვარი პროფილირების გარეშე. ასეთი გადაწყვეტის უშუალო ანალოგია არ შერჩენილა, მაგრამ ბოლნისში ვხვდებით მცირედ მსგავს მაგალითს. ასეთად მიგვაჩნია ჩრდილოეთ სტოას პილასტრები, სადაც კუბურ მასაზე აღმართულია ნახევარკოლონები და უფრო რთული პროფილის მქონე პილასტრები. თუ ბოლნისის მაღალმხატვრული გემოვნების მქონე ოსტატი არ მოერიდა ასეთ შეუსაბამო კომპოზიციას, არც ურბნისშია გასაკვირი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ურბნისში ბაზისები ისეა შეხამებული სვეტთან, რომ კომპოზიცია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ბოლნისში პილასტრის კუბურ ბაზისზე გავლებული ორნამენტოვანი არშია კონტრასტს ანელებს.

ურბნისის სვეტების კაპიტელები რთული პროფილისაა, მაგრამ ყოველგვარი ჩუქურთმისა და რელიეფების გარეშე (სურ. 60). იმ ეპოქის ბაზილიკებიდან შიგნით მხოლოდ ბოლნისსა[42] და ხაშმს[43] აქვს რელიეფით დამუშავებული კაპიტელები, ისიც ყველგან არა, არამედ აფსიდის კუთხეებში. სხვა ძეგლებზე, სადაც კი ამის დანახვა შეიძლება, მარტივია. ურბნისში სვეტის თავები სხვა ძეგლებთან შედარებით რთული პროფილითაა. იგი საერთო გადაწყვეტით პრინციპულ მსგავსებას პოულობს ბოლნისის სვეტების ბაზისების დამუშავებასთან.

3. ურბნისის ტაძრის აღმოსავლეთის მხარე სამნაწილიანია (სურ. 56). შუაში საკურთხევლის აფსიდია, გვერდებზე კი—თითო სადგომი. მთლიანად კი გარეთა ოთხკუთხედშია ჩასმული. ამ ტიპის ბაზილიკების დიდი უმრავლესობა შეერილი აფსიდის გარეშეა, გარედან სწორკუთხაა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ბოლნისი.

ურბნისის აფსიდი გადაკეთებულია, და როგორც ეტყობა, არა ერთხელ. ახალ მოპირკეთებას ძველი წაუშლია, ამიტომ თავდაპირველი მოხაზულობა არ იკითხება. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში აფსიდის ახლანდელ მოხაზულობას, შეიძლება დავუშვათ, რომ მას დასაწყისში ნალისებრი ფორმა ჰქონდა. ნაწილობრივ ეს ემჩნევა კიდევაც აფსიდის მარჯვენა მხარეს.

საკურთხევლის აფსიდისა და მის გვერდით პასტოფორიების არსებობაზე და, საერთოდ, საკურთხევლის ევოლუციის საკითხზე ვრცლად მსჯელობს აკად. გ. ჩუბინაშვილი ბოლნისისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში. ელინისტური სამყაროსა და წინა აზიის ქვეყნების ადრეული სამნავიანი ბაზილიკების განხილვის

[40] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 81.
[41] იქვე, გვ. 84.
[42] Г. Н. Чубинашвили, Болниси, ტაბ. I, II.
[43] Г. Н. Чубинашвили. Арх. Кахетии, გვ. 59, ტაბ. 18.

შემდეგ იგი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „Что касается храмов Грузии и Армении, то выделение этих боковых помещений замечается сравнительно рано, но стойким и обязательным делается только в VI веке. Из крупных базилик примыкающей к Болнисскому Сиону группы, только в Цкаростави можно предполагать, что была одна выступающая наружу абсида без пастофорий. Во всех же остальных пастофории на лицо и хорошо учтены во всей архитектурной композиции“[44].

ურბნისში სამნაწილიანი საკურთხეველი სრულიად ჩამოყალიბებული სახისაა. ამდენად, ურბნისი, ევოლუციის ლოგიკას თუ მივყვებით, შეიძლება თანამედროვე ან ბოლნისის უშუალოდ მომდევნო ძეგლად მივიჩნიოთ. ამითაც იგი თავსდება V—VI საუკუნეთა მიჯნაზე.

ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკებიდან სამნაწილიანი საკურთხეველი აქვს VI ს. დასაწყისში აგებულ ანჩისხატის ეკლესიას და იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ურიათუბანს (ასეა ბოდბეშიც, მაგრამ აქ შეიძლება სხვა მიზეზებიც იყოს). ურბნისის თანამედროვე დიდი ზომის ბაზილიკებიდან კაწარეთის სამებას, ხირსას, ნატკორას და კონდოლს თითქოს სამნაწილიანი საკურთხეველი აქვს, მაგრამ სინამდვილეში აფსიდის გვერდებზე პასტოფორიები კი არ არის, ე. ი. ცალკე გამოყოფილი სათავსო კი არ არის, არამედ ღია უბეებია. ამ ძეგლებში საკურთხეველი გარედან ერთ მთლიან სწორკუთხედშია ჩასმული, შიგნიდან კი გვერდითი ნავების გაგრძელებაზე იქმნება უბეები.

4. ურბნისში შემსვლელი მაშინვე იგრძნობს სამნავიანი ბაზილიკის დიდ ხალვათ სივრცეს (ტაბ. XLI). ამის მიზეზი არის შიდა სივრცის კარგი პროპორციები. მართალია, მთლიან ჰარმონიას ხელს უშლის ცენტრალური ნავის გვიანი ამაღლება, მაგრამ ქვედა ნაწილების შეფარდება მაინც დამაკმაყოფილებელია. აქ ვგულისხმობთ ბაზილიკის შიდა მთლიანი (ე. ი. სამივე ნავის) სიგანის შეფარდებას სიგრძესთან (აფსიდამდე). ურბნისში ეს შეფარდებაა: 1:1,9 (25×12,8 მ). იმავე ჯგუფის სხვა ეკლესიებს თუ ავიღებთ, ასეთი მდგომარეობაა: ბოლნისი— 1:1,6 (21,5×13,5 მ). ასეთივე შეფარდებაა ანჩისხატშიც (16×10 მ). კაწარეთის სამება—1:1,7 (19,5×11,3 მ), ხირსა—1:2,5 (25×10 მ), კონდოლი 1:1,8 (14×7,8 მ). ნატკორა 1:1,8 (16,5×9,3 მ). როგორც ვხედავთ, აქ ყველაზე კარგი შეფარდება ურბნისშია. ფაქტიურად სიგანე სიგრძეში თითქმის ორჯერ ეტევა. ბოლნისში კი თითქმის ერთნახევარია. ყველაზე დიდი განსხვავება სიგრძე-სიგანეთა შეფარდებაში გვხვდება ხირსაში, სადაც სიგანე სიგრძეში ორნახევარჯერ ეტევა (სურ. 64).

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ურბნისი მიეკუთვნება საქართველოში ყველაზე დიდ ბაზილიკათა ჯგუფს. მისი სიგრძე თითქმის 32 მ აღწევს, მაშინ, როდესაც დანარჩენი ბაზილიკებიდან ყველაზე დიდი ხირსის სიგრძე 31 მ-დეა. შემდეგ, მათ მოსდევთ ბოლნისი (შვერილი აფსიდით 27,5 მ), კაწარეთის სამება (25,8 მ) და სხვ.

ბაზილიკა საერთოდ და კერძოდ მისი გრძელი სახე საქართველოში, როგორც ამაზე გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, შემოტანილია და ნელ-ნელა ვრცელდებოდა. ამ საკითხზე იგი კახეთის ძეგლების განხილვისას წერს: „Базилик этой эпохи представляют собой относительно длинные, достаточно высокие и освещенные постройки. Ясно видно, как это явление увеличения, удли-

44 Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 126.

нения здания сознательно культивировалось; видно, что оно было определенно поставлено себе задачей при постройке: ибо сама архитектурная форма стала впервые известна зодчим. Это выявилось с наибольшей рельефностью именно в постройках У начала VI века"[45].

5. ურბნისში ნავების გადახურვის საკითხის გადასაწყვეტად ხელმოსაჭიდი თითქმის არაფერი გვაქვს. სამივე ნავის გადახურვა XVII ს. აღდგენას მიეკუთვნება, ამიტომ გადაჭრით თქმა იმისა, თუ როგორი იყო იგი შეუძლებელია. თუ მისი ეპოქის ბაზილიკებს მივმართავთ, სახარბიელო მდგომარეობა არც აქა გვაქვს. ბოლნისის ტაძრის კამარებიც XVII ს. შეკეთების შედეგია, ხირსა გუმბათოვანი ეკლესიადაა გადაკეთებული, ანჩისხატიც გადაკეთებულია, მაგრამ ძეგლის გაწმენდის შემდეგ თითქოს დგინდება, რომ შუბლი მაღალი ჰქონია, გვერდის ნავები კი ჭრილში წრის მეოთხედია. კაწარეთის სამების კონქის მაღალი შუბლი გ. ჩუბინაშვილს თავდაპირველად მიაჩნია[46].

ურბნისში ერთი დეტალი ეჭვს იწვევს. ეს არის კარი, მოთავსებული სამხრეთის ნავის ბოლოს, მაღლა, თითქმის კამარის ქვეშ (სურ. 57). თუ კარი თავდაპირველია, მაშინ ცხადია იგი მიემართებოდა კონქსზედა სათავსოში. მაგრამ ასეთი გადაწყვეტის ანალოგიები არამცთუ ბაზილიკებში, არამედ საერთოდ არ გაგვაჩნია ადრეფეოდალურ ძეგლებში. იგი შეიძლება გვიანი გადაკეთების შედეგი იყოს.

როგორც ვხედავთ, ურბნისის ბაზილიკის გადახურვის ფორმის განსასაზღვრავად არც მყარი მონაცემები გვაქვს და არც ანალოგიები იძლევა ხელმოსაჭიდ მასალას.

ბოლნისის ტაძრის კამარებისა და გადახურვის საკითხი გ. ჩუბინაშვილს ურთიერთ დაკავშირებით აქვს გადაჭრილი. მას მიაჩნია, რომ სამნავიანი ბაზილიკა გადახურული იყო ორქანობიანი სახურავით და შიგნით კამარები ერთიან ფორმებს ჰქმნიდა ცენტრალური ნავის აწევის გარეშე[47].

მსგავსი გადაწყვეტა შესაძლოა ურბნისშიაც ყოფილიყო, მაგრამ ინტერიერის კომპოზიცია, თაღებისა და კედლების პროპორციები თითქოს თხოულობს ცენტრალური ნავის ამაღლებას. ცილინდრული კამარა შესაძლოა ისე მაღლა არ იყო, როგორც რესტავრატორმა არქიტექტორმა გააკეთა, მაგრამ მის ნახევარზე მაინც უნდა ყოფილიყო.

6. ურბნისის შიდა სივრცის თავდაპირველი განათების საკითხის გადაჭრაც ძნელდება ძეგლზე ობიექტური მონაცემების სიმცირის გამო. საკურთხევლის აფსიდის ერთი ფანჯარა ძველის ადგილზეა, მაგრამ ფორმები გვიანი აქვს (სურ. 57). დასავლეთის სამი სარკმელი გვიანდელია (სურ. 59). მაგრამ მოსალოდნელია, რომ სამი სარკმელი ყოფილიყო თავიდანვე, ე. ი. ყოველ ნავში თითო.

განსხვავებული მდგომარეობაა გვერდის ნავებში. ამჟამად თითოეულ მონაკვეთში თითო სარკმელია. ეს ხუთ-ხუთი სარკმელი ერთნაირადაა გადაწყვეტილი (სურ. 56). სარკმლები განლაგებულია მონაკვეთების ცენტრებში ერთ დონეზე. ერთი შეხედვით თითქოს ყველას ერთნაირი გადაწყვეტა აქვს, მაგრამ სინამდვილეში განსხვავებულია. სამხრეთის ხუთივე სარკმელი სწორკუთხა მოყვანილობისაა და მოპირდაპირე გვერდები პარალელური აქვს. ასეთივე გა-

[45] Г. Н. Чубинашвили, Арх. Кахетии, გვ. 135.

[46] იქვე, გვ. 63.

[47] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, გვ. 148—149.

დაწყვეტისაა ჩრდილოეთი კედლის წინა ორი სარკმელი. დასავლეთ მონაკვეთში მდებარე სამი სარკმელი გარეთკენ ვიწროვდება (ზედა და ქვედა ხაზები კი პარალელურია).

პარალელურგვერდებიანი სარკმლები დამახასიათებელია ადრეული ხანისათვის. კერძოდ, იგი გვხვდება V—VI სს. ნაგებობებში. მომდევნო ეპოქაში მას არ იყენებენ. ასეთ გადაწყვეტას ადგილი ჰქონდა ბოლნისის ტაძარში. ნაგებობის მრავალი გადაკეთების შემდეგ იგი შერჩა მხოლოდ ტაძრის სანათლავში. ასეთია მისი აღმოსავლეთის ფანჯარა[48]. მსგავსივე გადაწყვეტაა ანჩისხატის ფანჯრებშიც. ანალოგიურ ფანჯრებს სულ მცირე შევიწროებით ვხვდებით ბოლნის-ქაფანაქჩის სამნავიან ბაზილიკაშიც[49].

ურბნისის გვერდის ნავების განსახილავი ფანჯრები აქა-იქ ატარებს შეკეთების ნიშნებს, მაგრამ ფორმით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველია. ამდენად, იგი შეიძლება მივიჩნიოთ თავდაპირველი ტაძრის ნაწილად.

ურბნისის ის ფანჯრები, რომლებიც თავდაპირველად მივიჩნიეთ ან ისინი, რომლებიც გადაკეთებულია, მაგრამ ძველის ადგილზეა, გვაძლევენ უფლებას ვთქვათ, რომ ავტორს კარგად ჰქონია განათების საკითხი გადაწყვეტილი. სინათლე ზომიერი უნდა ყოფილიყო.

ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ზომიერი განათება ხელს შეუწყობდა იმ პროპორციების აღქმას, რომელიც არქიტექტორს შეუქმნია.

ურბნისში ცენტრალური ნავის სიგანე ორჯერ აღემატება გვერდითი ნავებისას (6.0:3.0 მ). შეფარდებაც ასეთია და ზომებიც იგივე მეორდება ბოლნისშიც. სხვა იმ დროის ბაზილიკებში ასეთი კარგი შეფარდება არ არის (სურ. 64). მაგალითად, კონდოლში გვერდის ნავი თითქმის ორნახევარჯერ ეტევა ცენტრალურ ნავში. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ანჩისხატში. ყველაზე მეტი შეუსაბამობაა ხირსაში. აქ ცენტრალური ნავი სამნახევარჯერ აღემატება გვერდის ნავებს (5,2:1,4 მ).

სამწუხაროდ, აღნიშნული ჯგუფის ყველა ძეგლის გადახურვა შეცვლილია მეტ-ნაკლებად, ამიტომ თავდაპირველი სიმაღლის ზუსტი დადგენა არ ხერხდება. იმავე მიზეზით ვერ დავადგენთ სიგრძისა და სიგანის შეფარდებას სიმაღლესთან.

7. ბაზილიკის ინტერიერის აღქმაში დიდი როლი ენიჭება კარების განლაგებას. ბაზილიკა თავისი ტიპით გრძელი ნაგებობაა, მისი დანახვა, მისი დათვალიერება უნდა ხდებოდეს სიგრძეზე. ამიტომაც, ეს იქნება ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე ქვეყნების თუ წინააზიის ბაზილიკებში, მთავარი შესასვლელი მოწყობილია დასავლეთით.

განსახილავი ჯგუფის ქართულ ბაზილიკებში ამ მხრივ არაა ერთიანობა. მაგალითად ბოლნისში კარები მოწყობილია სამხრეთით და ჩრდილოეთით. ანჩისხატში—სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, კაწარეთში—დასავლეთით და სამხრეთით, ასევეა კონდოლშიც, ხოლო ხირსაში მხოლოდ დასავლეთითაა (სურ. 64). ამ ძეგლებში, როგორც ვნახეთ, კარი დასავლეთით ბოლნისის გარდა ყველას აქვს. როგორც ქართული ძეგლებისთვისაა დამახასიათე-

[48] Г. Н. Чубинашвили, Болниси, სურ. 1.

[49] იხ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, სურ. 53—56; Г. Н. Чубинашвили, Церковь близ сел. Болнис-Капанакчи, Христ. Восток, т. V. 1916; პ. ზაქარაია, ბოლნისი და წულრულაშენი, 1953, სურ. 7—10, ტაბ. X.

ბელი, სამხრეთის კარი ხირსას გამოკლებით ყველგან გვხვდება. მაგრამ მთავარი მაინც დასავლეთის კარია და არა სამხრეთისა. ბოლნისის გამონაკლის შემთხვევას გ. ჩუბინაშვილი ცალკე იხილავს და დაასკვნის: „Вместо подчеркнутой продольной оси здания он стремится в данном по природе своих форм здании затушевать, скрасить это восприятие продольности и по возможности разными средствами... содействовать симультанному восприятию всего пространства. Другими словами здесь подсознательная борьба двух различных тенденций своей национальной, традиционно развивающей еще формы центрального пространственного восприятия, так сказать пространства с центральной вертикальной осью, и чужой и чуждой по пропагандируемой... церкви“[60].

ურბნისის ბაზილიკაში ამჟამად მოქმედია დასავლეთისა და სამხრეთის კარი, ხოლო ჩრდილოეთის კარი ამოქოლილია (მისი ამოშენება აგურის ზომებისა და წყობის მიხედვით 1668 წლის რესტავრაციას უნდა მიეკუთვნებოდეს). ამ კარებიდან სამხრეთის კარი ყველა ნიშნებით თავდაპირველია (სურ. 58, 62, ტაბ. XXXIX). ასევე უნდა იყოს ჩრდილოეთის კარი, ხოლო დასავლეთის კარი გადაკეთებულია (სურ. 59, 63, ტაბ. XL)

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ურბნისის ტაძრის დასავლეთის კედელი თითქმის ძირამდე ყოფილა დაქცეული და მისი აღდგენილი ქვედა ნაწილი X ს. ეკუთვნის. აქ თუ მანამდე კარი იყო იგი, ცხადია, სხვა ფორმისა იქნებოდა (დაახლოებით სამხრეთის კარის მსგავსი). თუ კარი არ იყო, მას X საუკუნის ოსტატი მაინც გააკეთებდა, რადგანაც მის დროს ასეთი დიდი შენობა დასავლეთის შესასვლელის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ურბნისის დასავლეთის მხარეს შესასვლელი იყო თუ არა, ეს საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ წყდება ფაქტიური მონაცემების უქონლობის გამო. ძველი შესასვლელის კვალიც სამწუხაროდ არ აღმოჩნდა გათხრებისა და კედლების გაწმენდის შედეგად. აქ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ლოგიკური დასკვნები: კერძოდ, ბოლნისში, თუ დასავლეთით კარი არ იყო, სამაგიეროდ სამხრეთთან ერთად ჩრდილოეთით ორი დიდი ზომის კარია. ამდენად, აქ ეკლესიას თავისთავად სამყოფი შესასვლელი ჰქონდა; მლოცველთა შესვლა და გამოსვლა შეუფერხებლად მოხდებოდა. ასეთივე მდგომარეობა ვერ იქნებოდა ურბნისში. მართალია, აქ სამხრეთის შესასვლელი დიდია, მაგრამ არც ისეთი, რომ იგი საკმარისი იყო ეკლესიის ნორმალური დატვირთვა-განტვირთვისათვის. ჩრდილოეთის კარი ისეთი პატარაა, რომ იგი გარეთა სივრცესთან მაკავშირებელი არც იქნებოდა. იგი შეიძლება მაკავშირებელი ყოფილიყო მხოლოდ ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სადგომთან. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენ ვუშვებთ, რომ ურბნისს ჰქონდა დასავლეთითაც შემოსასვლელი (აქვე, ისიც შეიძლება დავსძინოთ, რომ ურბნისის ბაზილიკის შიდა ფართი აღემატება ბოლნისისას).

ბოლნისში დასავლეთით კარი რომ არ არის დატანებული, ამას გ. ჩუბინაშვილი არქიტექტორის ადგილობრივი ტრადიციითა და ცენტრალური კომპოზიციისაკენ მიდრეკილებით ხსნის, რაც სწორია. მსგავსი მდგომარეობა არ უნდა ყოფილიყო ურბნისში. ურბნისის ბაზილიკის შიდა პროპორციები, მისი სვეტე-

[60] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 143—144.

ბის რიგით, უფრო ბაზილიკურია, ვიდრე ბოლნისის. თანაც, ბოლნისში ოსტატი შემსვლელზე არა მარტო შესასვლელების ორიენტაციით ახდენს ზემოქმედებას, არამედ თვით სიგრძე-სიგანის შეფარდებითაც; ბოლნისი უფრო მოკლე და განიერია, ვიდრე ურბნისი, ამითაც ბოლნისის ოსტატმა სივრცე ისედაც დაუახლოვა ცენტრალურ გადაწყვეტას. ვიმეორებთ, ურბნისის ბაზილიკის ავტორს გვერდის კარებიდან მომსვლელის შეყვანით კომპოზიციის ორად გაყოფა და სივრცის დამოკლება მიზნად არ ჰქონია. მას კომპოზიციის აღქმა ძირითადად დასავლეთიდან სურდა.

8. ურბნისის ბაზილიკის ინტერიერში შესამჩნევი როლი ენიჭებოდა თაღის ნალისებრ ფორმას. როგორც აღწერიდან ვნახეთ, ურბნისის ბაზილიკა მრავალჯერაა რესტავრირებული, ამიტომ თავდაპირველი ფორმები ბევრგანაა დაკარგული. შერჩენილი ძველი ნაწილების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხუროთმოძღვარს სადაც კი თაღი ესაჭიროებოდა, იქ ყველგან ნალისებრ ფორმას გამოიყენებდა. ამჟამად ინტერიერში თვალში გვცემათ სვეტების სიგრძეზე შაერთებელი თაღების ნალისებრი ფორმა (სურ. 58, 60).

სამხრეთის მხარეს ნალისებრი თაღი შერჩენილია მთლიანად გარდა დასავლეთის უკანასკნელისა, სადაც ნახევარი განახლებულია. ჩრდილოეთი რიგი აღდგენილია დასავლეთიდან მეორე თაღის გარდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ნალისებრი თაღის გენეზისი და მისი გავრცელების დიაპაზონი[61]. საქართველოში მას იყენებდნენ IV—X საუკუნეებში, მაგრამ განსაკუთრებით მიმართავენ V—VI საუკუნეებში. ასეთი ძეგლები ათეულობით მოგვეპოვება მაშინდელ საქართველოში, უფრო მეტად კი ქართლსა და კახეთში. ურბნისის ჯგუფიდან და იმ ეპოქის სხვა სახის ბაზილიკებშიც ყველგანაა გამოყენებული ნალისებრი თაღები. მაგალითად, მას ვხედავთ ბოლნისში, ანჩისხატში, კაწარეთში, ხირსაში, კონდოლში, ნატკორაში, თელავში, ურიათუბანსა და სხვაგან. განსაკუთრებით დეკორატიულად იყო გამოყენებული წყაროსთავის ტაძარში[62].

თაღის სამი ფორმიდან, რომელიც გავრცელებული იყო შუასაუკუნეების საქართველოში, მეტი დეკორატიულობით ხასიათდება ნალისებრი ფორმა. მაგრამ აქაც ყოველთვის არ არის ერთნაირობა. საჭირო იყო თაღის ნალისებრი მოხაზულობის პროპორციების მოძებნა და მისი შეფარდება დანარჩენ ფორმებთან.

9. ურბნისის კარ-ფანჯრებზე ნალისებრი თაღები, გარდა სამხრეთის შემოსასვლელისა, არაა შერჩენილი. აქ კი იგი კარგი პროპორციებით ყოფილა გამოყენებული (სურ. 62). შესასვლელის მაღალ ხვრელს ლუნეტი ამთავრებდა (ლუნეტი ამოვსებულია და კარი დავიწროებული XVII ს. აღდგენის დროს).

ურბნისის ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ღია ლუნეტი შესასვლელის თავზე. მას ვხვდებით ბოლნისში. მისი ჩრდილოეთის ორივე შემოსასვლელს ლუნეტი ამთავრებს. ასევე მაღალი და განიერი შესასვლელი ლუნეტით გამოჩნდა ანჩისხატში გაწმენდის შემდეგ. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აუცილებელი არ იყო ლუნეტი ყოფილიყო გამოყენებული ერთი და იმავე ტაძრის ყველა შესასვლელში. მაგალითად ბოლნისსა და ანჩისხატში სამხრეთის შესასვლელ-

---

[61] Г. Н. Чубинашвили. Болниси, გვ. 134—136.

[62] Е. Такайшвили, Цкаростави, МАК, вып. XII, М., 1909, გვ. 44—51, ტაბ. IX.

ები არქიტრავითაა გადახურული. ამდენად, ურბნისში შესაძლოა დასავლეთის შესასვლელს ლუნეტი არც ჰქონოდა.

10. ურბნისში, ისე როგორც იმ დროის ნაგებობებში, გაფორმების საკითხი ჯერ კიდევ ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. საერთოდ, ჯერ კიდევ ხუროთმოძღვართა წინაშე პირველ პლანზე არ იყო შენობის მორთვის საკითხი[53]. მიუხედავად ამისა, ურბნისის ხუროთმოძღვარს მაინც აქვს ცალკეული აქცენტები. ასეთებიდან აღინიშნება პირველ ყოვლისა ინტერიერში კაპიტელები. სვეტებისა და აფსიდის კუთხის კაპიტელები ერთნაირი ფორმისაა (სურ. 57, 58). ისინი მხოლოდ პროფილირებულია ყოველგვარი ორნამენტისა და რელიეფის გარეშე. ამ ჯგუფის ცნობილი ძეგლებიდან ბოლნისის კაპიტელების დიდი ნაწილია მორთული ჩუქურთმითა და რელიეფებით და კაწარეთის სამებაშია რამდენიმე რელიეფიანი კაპიტელი[54]. დანარჩენ ტაძრებში კაპიტელები პროფილირებულია სხვადასხვა სახით. ურბნისის კაპიტელებისათვის ანალოგია არ გვეგულება.




სურ. 65. ეკლესიის ინტერიერი. ჯვრების გამოსახულება

ურბნისის ხუროთმოძღვარი განსაკუთრებული სიფაქიზით ანაწილებს ჯვრებს. ისინი, გარდა ერთისა, განლაგებულია პილასტრებზე დაახლოებით ადამიანის სიმაღლეზე (სურ. 58). ჯვარი სხვადასხვა ზომითაა ამოკვეთილი, მაგრამ ყველა ისეა, რომ თვალში არ გეცემათ.

თითო ჯვარი გამოსახულია საკურთხეველთან მდებარე პილასტრებზე დასავლეთით (სურ. 65). თითო ჯვარი ყოფილა ჩრდილოეთი რიგის სვეტებზე. ამათგან სამი ჯვარი იყურება ეკლესიის შიგნით. ხოლო მეოთხე მდებარეობს საკუ-

[53] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 191.
[54] მისივე, Арх. Кахети, გვ. 64, ტაბ. 18.

რთხეველთან ახლოს მდგარი სვეტის დასავლეთის პილასტრზე. სხვებისგან განსხვავებით ამ ჯვარს წარწერაც ჰქონია. ეს ჯვარი სხვებზე მაღლაა, დანარჩენი კი 120—120 სმ სიმაღლეზეა.

სვეტებზე წარწერიანი, თუ უწარწერო ჯვრების გამოსახვას გ. ჩუბინაშვილი ხსნის ადგილის გაპიროვნებით[55]. ტაძრის აგების მონაწილეთ ექნებოდათ წირვის დროს მიჩენილი ადგილი. ეს ჯვრები ბოლნისში განლაგებულია ჩრდილოეთის სვეტებზე, ხოლო ურბნისში სამხრეთის რიგზე. ეს გასაგებიცაა, რადგანაც პირველში მთავარი შესასვლელი ჩრდილოეთითაა, ხოლო მეორეგან —სამხრეთით.

ურბნისის ყველა ჯვარი თავდაპირველია. ორი მათგანი ე. წ. ბოლნური ჯვრის სახესხვაობაა. ერთი მათგანი მარტივია, მეორე კი—რთული. შედარებით კარგადაა შენახული საკურთხეველთან ჩრდილოეთ პილასტრის ჯვარი (სურ. 65). ეს ტოლმკლავა ჯვარი მედალიონშია ჩასმული და მთლიანად სწორკუთხა საფეხურიან კვარცხლბეკზეა შემდგარი[56]. გარეთა ორ კონცენტრულ წრეს შორის სამკუთხა კვეთა ზიგ-ზაგს ჰქმნის. ჯვრის მკლავებისა და მათ შუა არეების ცენტრებში მცირე კოპებია ჩასმული, რაც თავისთავად ძვირფასი ქვების იმიტაციას წარმოადგენს. რაც შეეხება საერთოდ მედალიონში ჩასმულ ტოლმკლავა ჯვრებს, ისინი კონსტანტინეს აღმოსავლეთზე გამარჯვების ჯვრის მიბაძვას წარმოადგენენ. ურბნისის ჯვრის ანალოგიებს ვხვდებით ქვემო ქართლის V—VI სს. მრავალ ტაძარსა და სტელაზე. გამოცემული ძეგლებიდან მისთვის ანალოგიები მოიპოვება, პირველ ყოვლისა, თვით ბოლნისის სიონში[57].

ურბნისის მეორე ბოლნური ჯვარი სამხრეთის რიგის წინა სვეტზეა დასავლეთით ამოკვეთილი. იგი დაზიანებულია და ზედა ნახევარიც კი არ არის დარჩენილი. არსებული ფრაგმენტის მიხედვით ტოლმკლავა ჯვარი წრეში იყო ჩასმული. შესრულება მარტივია. საერთო გადაწყვეტით იგი ისევ ბოლნისის ჯვრებში პოულობს ანალოგიებს[58]. ძას სამხრეთით წარწერა ჰქონია (გამოფიტულ ქვაზე კარგად არ ჩანს).

ინტერიერის დანარჩენი ჯვრები მაღლებია. საკურთხევლის მარჯვენა პილასტრზე მოთავსებული ჯვრის გამოსახულება წვრილი და მაღალია (სურ. 65, 66). იგი ქვის სიბრტყეში ცერად კვეთითაა მიღებული. მნახველის ყურადღებას იქცევს მხოლოდ კარგი პროპორცია და შესრულების ნაზი მანერა. მისი ანალოგია მოიპოვება V—VI საუკუნეთა მიჯნის აკაურთას ძეგლზე[59].

სამხრეთის რიგის სვეტებიდან დასავლეთის ორ სვეტზე ჯვარი არ შერჩენილა (ერთში ჯვრიანი ქვა მთლიანად ამოგდებულია, მეორეში კი გამოფიტულია), ხოლო მესამეზე გვერდები ცოტათი დაზიანებულადაა მოღწეული (სურ. 58). ამ ჯვრის ზოგადი პარალელი შეიძლება მოიძებნოს ისევ ბოლნისის ტაძარში[60].

---

[55] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 187—188.

[56] ამ მედალიონის გვერდით იმავე ქვაზე მარცხნივ ერთი ღარით პატარა ჯვარია გამოსახული. იგი გვიანაა ამოკვეთილი.

[57] Г. Н. Чубинашвили, Болниси, სურ. 112—111.

[58] იქვე, სურ. 110.

[59] ლ. რჩეულიშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების საწინ ცნობი ძეგლი, „ქართული ხელოვნება", II, 1948, გვ. 28—34, ტაბ. 18.

[60] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 114.

ურბნისის შიგნით ძველი დეკორიდან ერთი დაზიანებული პატარა ვარდულია სამხრეთის რიგის მესამე სვეტზე ჯვრის ზემოთ. მორთულობის სხვა ელემენტი არაა დარჩენილი.



სურ. 66. ეკლესია. ინტერიერის დეტალები.

11. ბაზილიკის ფასადების განხილვამდე უნდა შევეხოთ გარეთა მასების განლაგებას და საერთო გადაწყვეტას.

როგორც ინტერიერის განხილვის დროს აღვნიშნეთ, ბაზილიკის სამი ნავის გადახურვის საკითხი და გარეთა მასების გადაწყვეტა ზედმიწევნით არ დგინდება ფაქტიური მასალის უქონლობის გამო. ამავე დროს, არც ანალოგიები იძლევა ერთიან სურათს. ურბნისის ჯგუფის ძეგლების უმრავლესობა ან გადაკეთებულია, ან დანგრეული. არსებულთაგან მხოლოდ კაწარეთის სამებაზე აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი, რომ ცენტრალური ნავის ამაღლება და გვერდის სარკმლები თავდაპირველიაო[61]. ახლახან ჩატარებულმა ინტერიერის გაწმენდამ დაადასტურა, რომ თბილისის ანჩისხატის ეკლესიასაც ცენტრალური ნავი აწეული და კონქის ზემოთ შუბლი მაღალი ჰქონია, რაც აღმოსავლეთის ფასადის შემოსავალზეც ნაწილობრივად იგრძნობოდა. აწეული ცენტრალური ნავით იყო VI ს. მეორე ნახევარში აგებული ახმეტის ღვთაების ეკლესია, რომელიც სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ გეგმით ორიგინალურია[62]. ასევე, მეტად მაღალი ცენტრალური ნავი აქვს იმავე დროის სამეკლესიან ბაზილიკას შილდაში[63]. ხოლო რაც შეეხება ბოლნისის ბაზილიკას, მისი მონოგრაფიულად შემსწავლელი გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს, რომ ბაზილიკის სამი ნავი მოთავსებული იყო ორქანობიან სახურავ ქვეშ[64]. რაც შეეხება ურბნისის ბაზილიკის გადახურვას, ჩვენ ადრე

[61] Г. Н. Чубинашвили, Арх. Кахетии, გვ. 63.
[62] იქვე, გვ. 71—79.
[63] იქვე, გვ. 63.
[64] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 148.

ძეგლის შიდა სივრცის განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ მოსალოდნელია აქ ყოფილიყო ცენტრალური ნავი აწეული.

ორქანობიან სახურავს ქვეშ სამი ნავის მოთავსება, ე. ი. ისეთი გადაწყვეტა, როდესაც ცენტრალური ნავი გამოყოფილი არ არის და მასში ფანჯრებიც არაა მოწყობილი, გ. ჩუბინაშვილის დასკვნით არის ადრეული ხანის გამოძახილი და იგი მოძველებულია[*]. იმავე ავტორის დასკვნით[*], ურბნისისა და ანჩისხატის ეკლესიები ბოლნისის მომდევნო ძეგლებია და ზოგ შემთხვევაში ახალ, პროგრესულ გადაწყვეტას იძლევიან (მაგ. საკურთხევლის სამნაწილიანობა და სხვ.) შესაძლოა, ურბნისის ოსტატმა ცენტრალური ნავის აწევით და მთლიანად სამსაფეხურიანი გადახურვის მოწყობით ახალი სიტყვა თქვა და ნაბიჯი წინ წადგა.

გადახურვისა და მასების გადაწყვეტის ზემომოყვანილ ვარიანტს ურბნისში, სხვა მონაცემებთან ერთად, საფუძვლად უდევს სამნავიან კორპუსზე მინაშენების აღმოჩენილი ფრაგმენტები. როგორც აღწერაშიც აღვნიშნეთ შენობის თავდაპირველ ფენასთან კონსტრუქციულად დაკავშირებულია მხოლოდ სამხრეთის მინაშენი (სურ. 56). ჩრდილოეთით მინაშენის ნაშთები არის, მაგრამ ისინი ახალია. ამასთანავე, არ არსებობს არავითარი მონაცემები, გარდა ტაძართან მაკავშირებელი კარისა, ამ მხარეზე ძველად მინაშენის არსებობისა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში არის ძველი კედლის ნაშთი. ეს ნაშთი იმდენად მცირეა, რომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით იგი თავდაპირველი ეკლესიისა თუ მომდევნო ხანას მიეკუთვნება. კედლის ნაშთში კარგად თლილი კვადრების ერთი ფენაა დარჩენილი. კედელი ორივე მხარეს ერთნაირად თლილი ქვითაა შემოსილი. მას საძირკველი არა აქვს, როგორც ეს ტაძრის კედლების სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში არის ძველი კედლის ნაშთი. ეს ნაშთი ლის ნაშთებს. ორივე კედელი თუ თანადროულია, მაშინ ვღებულობთ ბაზილიკის ორიგინალურ გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში ბაზილიკას ორ თუ სამ მხარეს ჰქონია გარსშემოსავლელი. მართალია, გარსშემოსავლელის კვალი ჩრდილოეთით არ არის, მაგრამ ისიც არაა გამორიცხული, რომ მისი დაზიანების შემდეგ ნაშთები ამოეყარათ გვიანი მინაშენის აგებისას. სამივე მხარეს მინაშენის ერთიანობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს სამხრეთის მინაშენის კედლის ფრაგმენტის მოხვევა ბაზილიკისკენ და მის დასავლეთის კუთხესთან კონსტრუქციული კავშირი. ამასთანავე, ამ მინაშენის დასავლეთ მონაკვეთში კარი ყოფილა. ეს კი თავისთავად იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ იგი შენობის გარეთა კარია და არა შიდა. ამ უკანასკნელ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ სამხრეთისა და დასავლეთის მინაშენები არაა ერთდროული.

ამრიგად, ზემომოყვანილი ვარიანტებიდან ვფიქრობთ, რომ მინაშენები იყო სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ასეთი გადაწყვეტის უშუალო ანალოგია არსებულ ძეგლებში ჩვენამდე არაა მოღწეული. აღსანიშნავია ისიც, რომ სამნავიან ბაზილიკებს სტანდარტული გეგმა არა აქვთ. მათ საერთოსთან ერთად თავისებურებებიც გააჩნიათ.

რაც შეეხება ბაზილიკის სამხრეთ ნაწილს, მისი გადაწყვეტაც სიზუსტით ძნელი წარმოსადგენია. ცხადად ჩანს, რომ მისი აღმოსავლეთის მონაკვეთი ცალკე, გამოყოფილ სამლოცველოს წარმოადგენდა (სურ. 56). ამ პატარა ეკლესიის აფსიდის მოხაზულობა ნალისებრ ფორმას უახლოვდება. დასავლეთის მონაკვეთიც გამოყოფილი უნდა ყოფილიყო. რადგან მას დასავლეთით ცა-

[*] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 153.

[*] იქვე, გვ. 154.

ლკე შესასვლელი აქვს. ხოლო შუაში, ბაზილიკის კარის პირდაპირ თაღედია მოსალოდნელი. ასეთი თაღედია ბოლნისში. აქ ორია თაღი ხოლო რადგან ურბნისი მასზე გრძელია, ამიტომ იქ დასაშვებია სამი ან მეტი თაღი. მინაშენის დასავლეთის მონაკვეთი გამოყოფილი უნდა ყოფილიყო, თუ ვიმსჯელებთ მისი დასავლეთის კარის მიხედვით. ბოლნისის ტაძარში ასეთი ნაწილი სამი მხრიდან დახურულია და ცენტრისკენ ღია უბე იქმნება. ურბნისში კი დასავლეთის მონაკვეთი დახურული სათავსოა დასავლეთის კარით. თუმცა, ასეთი გადაწყვეტის ანალოგია არ გაგვაჩნია, მაგრამ დასავლეთით კარის არსებობა ასეთ ვარიანტზე მიგვითითებს. არაა გამორიცხული,რომ მინაშენის დასავლეთის მონაკვეთი მხატვრული მოსაზრებით სამხრეთიდან კედლით ყოფილიყო შემოფარგლული, შიგნით დახურული სათავსოს მოუწყობლად.

რაც შეეხება შენობის გვერდითი ნაწილების გადახურვას, მას მთლიანად ერთქანობიანი სახურავი ექნებოდა. იმ ხანის მინაშენებში და გარსშემოსავლელებში მხოლოდ ერთქანობიანი სახურავებია ცნობილი.

ეკლესიის სამხრეთი მინაშენის გათხრისას გამოჩნდა კიდევ ერთი ფენის ნაშთი. დარჩენილი კვალი იმდენად მცირეა, რომ თავდაპირველ ფორმებზე ზუსტად შეუძლებელია ლაპარაკი, მაგრამ აქ უნდა ყოფილიყო სამმხრივ ღია კარიბჭე (სურ. 56). ასეთი კარიბჭეები შენდებოდა განვითარებული ფეოდალიზმის დროს. როგორც ეტყობა, ადრინდელი მთლიანი მინაშენის დანგრევის შემდეგ ააგეს ახალი კარიბჭე. შემდეგში ისიც მოშლილა და ბაზილიკაში შესასვლელი გაშიშვლებულა.

ბაზილიკის დასავლეთით არსებული მინაშენის კვალის შესახებ ადრევე ვილაპარაკეთ, მაგრამ ახლა მასთან დაკავშირებით კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ის მცირე გამოწევა, რომელიც ეკლესიის კედელზეა შერჩენილი, ხომ არ არის უშუალოდ მასთან დაკავშირებული? ხუთი მეტრის სიმაღლეზე ეკლესიის დასავლეთის ფასადის ქვედა ნაწილი 5—10 სმ გამოწეულია (სურ. 63, ტაბ. XL). ამ ფასადზე გადაკეთების სამი ფენა ჩანს. ამჟამად შეუძლებელია დანამდვილებით თქმა იმისა, ეკუთვნის თუ არა ეს გამოწევა თავდაპირველ ფენას; ის უფრო მეორე ფენისა უნდა იყოს; ეს გამოწევა დასაწყისში თუ უფრო დიდი იყო, მისი დანიშნულება კამარის საყრდენი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ მასზე დაეყრდნობოდა დასავლეთით არსებული მინაშენის კამარა. სხვა ახსნა კედლის ქვედა ნაწილის გასქელებისა ამჟამად არ გვესახება. ანალოგიების მოძებნაც ძნელია. ერთადერთ არაპირდაპირ ანალოგიას იძლევა ბოლნისის ტაძარი. დასავლეთის კედელი ორი მეტრის სიმაღლეზე ამოწეულია 5—40 სმ (ამ ძეგლზე მონოგრაფიის ავტორისთვისაც ეს გამოწევა აუხსნელი რჩება[87]).

12. ურბნისის ტაძარი ფასადების მორთულობით ღარიბია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამაში ურბნისის ხუროთმოძღვარი იყოს დამნაშავე. არა, ამაში ეპოქის თავისებურება ჩანს. გ. ჩუბინაშვილის მართებული შენიშვნით, იმ ეპოქის ხუროთმოძღვრის წინაშე ჯერ კიდევ არ იდგა ფასადთა მორთვის საკითხი[88]. ეს ასე იყო არა მარტო ქართველი ოსტატისათვის, არამედ საერთოდ მაშინდელი საქრისტიანოს ხუროთმძღვრებაში. ცნობილია ისიც, რომ

[87] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 153.
[88] იქვე, გვ. 148.

სხვა ქვეყნების ხუროთმოძღვრებასთან შედარებით ქართულ ხუროთმოძღვრებაში მეტია აქცენტი დეკორისადმი.

ურბნისის ტაძრის ფასადებზე, როგორც ადრე აღვნიშნეთ, პირველი ხუროთმოძღვრის ნამუშევრიდან მცირე რამ არის გადარჩენილი. მათში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სამხრეთის შესასვლელის გადაწყვეტა (სურ. 62,). მართალია, ეს შესასვლელი დაზიანების შემდეგ XVII ს. გადაუკეთებიათ, მაგრამ უწინდელი გადაწყვეტა მაინც ირკვევა. მაღალი და განიერი სწორკუთხა შესასვლელი გადახურული ყოფილა არქიტრავით, რის ზემოთაც მდებარეობდა ნალისებრი მოხაზულობის ლუნეტი. ასეთი შესასვლელების მოწყობა ცნობილია საერთოდ გვიანანტიკურ ხანაში. ჩვენთან რა დროიდან იყენებენ მას, არ ირკვევა მონაცემების უქონლობის გამო. მოღწეული ძეგლებიდან კი მას პირველად



სურ. 67. ეკლესია. კოლონის ფრაგმენტი

ვხვდებით 478—493 წლებში აგებულ ბოლნისის ტაძარში[9]. გამოყენებულია აგროეთვე ანჩისხატში. იმავე ეპოქის მცირე ეკლესიებიდან შეიძლება მოვიყვანოთ ხლუდერი[10] (ქარელის რ-ნი) და „ამაღლება“ (დმანისის რ-ნი). როგორც ვხედავთ, ჩვენში მისი გამოყენების დიაპაზონი მეტად მოკლეა. ესაა V—VI საუკუნეები. ბოლნისსა და ურბნისში ლუნეტიანი შესასვლელი ერთნაირადაა გამოყენებული,

[9] Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 140—142, სურ. 13, 22, 23, 24, 42.

[10] დ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, ტ. II, 1948, სურ. 16.

ხოლო ანჩისხატში განსხვავებულია. ბოლნისში ისინი გამოყენებულია ჩრდილოეთი გალერეის შიგნით, ურბნისში კი — სამხრეთი გალერეის შიგნით. ორივე შემთხვევაში ლუნეტიანი შესასვლელი გარეთ, ფასადზე კი არ არის, არამედ შიგნით, თაღედის სიღრმეში, ანჩისხატში კი დასავლეთი კედლის ცენტრშია მოთავსებული. აქ კარიბჭე არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ შესასვლელი უშუალოდ ფასადზე გამოვიდოდა.



სურ. 68. ეკლესია. კარნიზის ფრაგმენტი

ურბნისის ტაძრის შიგნით გათხრისას აღმოჩნდა კაპიტელისა თუ ბაზისის ფრაგმენტი (სურ. 67, ტაბ. $XLVII_1$). მისი პირვანდელი ადგილსამყოფელი გამოურკვეველია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამხრეთის მინაშენი შუაში ღია იქნებოდა კოლონადით. მოსალოდნელია, იგი ამ კარიბჭისა იყოს. აქ საერთო პროპორციების მიხედვით უნდა ყოფილიყო დაბალი და ჯმუხი კოლონა. მართალია, ნაპოვნი კაპიტელის უშუალო ანალოგია არ გაგვაჩნია, მაგრამ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ადრეფეოდალური ხანის.

ურბნისის ბაზილიკას ძველი კარნიზი არ შერჩენია. გათხრების დროს სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა კარნიზის ექვსი ფრაგმენტი. ამ ექვს ნატეხში კარნიზის ოთხი სახეა.

კარნიზებიდან ყველაზე ადრეული უნდა იყოს ერთი ფრაგმენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე ცუდადაა შენახული (სურ. 68, ტაბ. XLV). ამ ფრაგმენტზე შერჩენილია ორი თაღისა და მათი გამყოფის ნაწილები. კარნიზი დიდი ყოფილა. მის აღდგენილ სახეს თუ წარმოვიდგენთ, სიმაღლე 20 სმ მაინც იქნებოდა. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ კარნიზი დიდი შენობისაა. კარნიზს ანალოგიები საერთო ხასიათით VI—VII სს. ძეგლებში მოეპოვება. ასეთებიდან

შეიძლება დავასახელოთ გამოცემული ძეგლებიდან თეთრი წყარო[71] და ოლთისი[72], ხოლო გამოუცემელი ძეგლებიდან წალკა, დემურბულახი (დმანისის რ-ნი) და სხვ. მოყვანილი ძეგლების წრე ქრონოლოგიურად უახლოვდება ურბნისის ტაძრის აგებას. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ამ კარნიზის ფრაგმენტის მიკუთვნება თავდაპირველი ტაძრისადმი.



სურ. 69. ეკლესია. კარნიზის ფრაგმენტი

მეორე კარნიზი მოთავსებულია ერთ სწორკუთხა ქვაზე (ზომით 60×12 სმ), რომლის ცალ მხარეზე ამოჭრილია კარნიზის ხუთი თაღი (სურ. 69, ტაბ. XLV). თაღები ზუსტი წრეებით მეტად ღრმადაა ამოკვეთილი. მკვეთრი ნალისებრი თაღები ქვემოთ მცირედაა ღია. აქეთი გლუვზედაპირიანი სადა კარნიზი იშვიათად გვხვდება. იგი ნამდვილად არ არის დამახასიათებელი ადრეული ხანისათვის. მის პარალელად შეიძლება დავასახელოთ IX ს. ბიეთის ეკლესიის კარნიზი[73].



სურ. 70. ეკლესია. კარნიზის ფრაგმენტი

სამ ქვაზე მოთავსებული კარნიზის ფრაგმენტები ერთი სახისაა (სურ. 70). გლუვ ზედაპირზე ჩაჭრილი თაღი ზოგი ოდნავ ნალისებრია. ზოგი კიდევ ნახევარწრიული. ნამუშევარს სიმკვეთრე აკლია. დაცული. არაა როგორც თაღების ზომა, ისე თაღებს შორის მანძილიც. თაღებს ზემოდან ჰორიზონტული ღარი გასდევს. კარნიზის ქვა ზუსტად არ თარიღდება, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ისინი არაა თავდაპირველი ძეგლის დროინდელი. მათი წარმოშობა რომელიღაც მოგვიანო შეკეთებას უნდა მიეკუთვნოს.

[71] Н. Г. Чубинашвили и Р. Шмерлинг. Храмы в древних селениях [illegible]-Олтиси и Тетри-Цкаро. ქართული ხელოვნება, ტ. 2, გვ. 61, ტაბ. 31—35.
[72] იქვე, გვ. 51, ტაბ. 30.
[73] გ. დ ო ლ ი ძ ე, ბარბანი, თბილისი, 1958, ტაბ. 42

მეოთხე სახე კარნიზისა მოთავსებულია ერთ მოზრდილ ქვაზე, რომლის სიმაღლე 20 სმ (სურ. 71, ტაბ. XLV). ამ ქეიშაქვის ზედაპირი დაზიანებული და გამოფიტულია, მაგრამ სურათი საერთო ხაზებში იკითხება. კარნიზის შუბლზე ორი წვრილი ღარია გავლებული. ქვემოთ გასდევს ნალისებრი თაღების მწკრივი, მათი შუა არეები ჩამოგრძელებულია. თაღებსა და ქვედა სწორკუთხეებს ირგვლივ შემოუყვება წვრილი ღარი.

კარნიზის აღწერილი ფორმა ამ ტიპის განვითარების გვიანდელი ხანისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, გამოცემული ძეგლებიდან, როგორც ზოგადი პარალელი, შეიძლება დავასახელოთ IX—X სს. მიჯნაზე აგებული გარბანის (ისტორიული ხევი) ეკლესია[74]. აგრეთვე, ზემო სკრის ღვთისმშობლის ეკლესიაში ოციოდე წლის წინათ მიკვლეული სტელის ფრაგმენტი[75], 1949 წელს არშის ციხეში (ხევი) ნანახი სტელა და სხვ.

თუ აღნიშნულ ანალოგიებს მივიღებთ, შესაძლოა აღწერილი კარნიზი ჩავთვალოთ თევდორე ეპისკოპოსის მიერ ტაძრის აღდგენის დროინდლად.



სურ.71. ეკლესია. კარნიზის ფრაგმენტი

ურბნისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე არის მორთულობის ერთი დეტალი, რომელიც ადრეულ ხანაზე მიგვითითებს. ესაა მარჯვენა პატარა სარკმლის (სამკვეთლოს) თავზე მოთავსებული ჯვარი (სურ. 61, ტაბ. $XLVI_2$). იგი თავდაპირველ ადგილას არ მდებარეობს, როგორც ფასადზე გაბნეული წარწერები და სხვა ქვები. ჯვარი ტოლმკლავაა წრეში ჩაწერილი. მკლავები ცერად კვეთითაა მიღებული. მკლავების ცენტრებში მომცრო და მკლავებს შორის ცოტათი მოზრდილი ბურთულებია დასმული. რელიეფი მთლიანად ქვის სიბრტყეშია ჩაჭრილი. ასეთი ჯვრები მხოლოდ ადრეფეოდალურ ხანაში კეთდებოდა. მაგრამ ამ საუკუნეების განმავლობაში მსგავსი ჯვრები, ცხადია, ერთნაირად არ იკვეთებოდა. ურბნისის ფასადის ჯვარი არ არის ისეთი დახვეწილი შესრულებით, როგორც ტაძრის შიგნით საკურთხევლის ჩრდილო პილასტრის ჯვარი, მაგ-

[74] ვ. დოლიძე, გარჩანი, ტაბ. 24—30.
[75] ამჟამად ინახება ხელოვნების მუზეუმში.

რამ იმავე წრეს კი ეკუთვნის. ანალოგიებად ისევ ბოლნური ჯვრები შეიძლება დავასახელოთ[70]. ამასთანავე, რუისის ტაძრის შეკეთებისას ხელახლა აწყობილ აღმოსავლეთის ფასადზე ცენტრალური სარკმლის მარჯვნივ გამოსახულია წრე-



სურ. 72. ეკლესია. კარნიზის ფრაგმენტი

ში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. იგი თითქოს წააგავს ურბნისის ჯვარს, მაგრამ მეტად მშრალია და სქემატური. იგი ურბნისის ჯვარზე გაცილებით ახალგაზრდა უნდა იყოს.

[70] Г. Н. Чубинашвили, Болниси, სურ. 112—113.

# თავი მეექვსე

## ს ა მ რ ე კ ლ ო

ურბნისის ბაზილიკის დასავლეთით, თხუთმეტიოდე მეტრზე დგას სამრეკლო. იგი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა და შედარებით კარგადა მოღწეული. ეს სამრეკლო 1706 წელსაა აგებული. ვფიქრობთ, ურბნისის ტაძართან მანამდეც



სურ. 73. სამრეკლო. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (ნახ. არქ. გ. მარჯანიშვილის)

-ქნებოდა სამრეკლო. მისი დაზიანებისა, თუ საბოლოოდ მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ააგებდნენ ახალს.

სამრეკლოს აშენების შესახებ გვაქვს ვრცელი წარწერა, რომელიც მოთავსებულია დასავლეთის ფასადზე, შესასვლელის ზემოთ. წარწერა მხედრულია (ტაბ. XXXVII$_2$). ყველა სიტყვის შემდეგ სამი წერტილი ზის. ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება:

1. ქ. ჩვენ დიდის მეფის შაჰნავაზის ძის ლევანის
ძემან და საქა
2. რთველოს მბრძანებელმან[77] და კეთილად განმგებელმან
ბატონიშვილმან ვახ
3. ტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან დიდის ჩერ-
ქეზის ბატონის ასულმან დედოფალმან
4. რუსუდან აღვაშენე სამრეკლო ესე გალავან-
პალატითა და სხვა სახლებითა სულისა
ჩვენისა საოხად და
5. ძისა ჩვენისა ბაქარის აღსაზრდელად შეიწირე
შენ ღვაწლმრავალო პირველმოწამეო სტ
6. ეფანე და მეოხ გვეყავ დღესა მას დიდსა
განკითხვისასა მას ჟამს ოდეს გვადგა
სარქრად ბებიდა
7. ს შვილი ჩემი ჯვარის მამა ურბნელი
ეფისკოპოზი ფალავანდისშვილი ქრისტეფორე. ინ-
დიქტიონსა მეფობისა ჩვენისსა. ბ
8. ქორონიკონს ტჲდ.

ამ ვრცელი წარწერიდან ვიგებთ, რომ სამრეკლო სხვა ნაგებობებთან ერთად 1706 წ. (394+1312) აუგია მეფე ვახტანგ VI და დედოფალ რუსუდახს. წარწერის მიხედვით, ეს მომხდარა ვახტანგის მეფობის მეორე წელს. ცნობილია, რომ ვახტანგი გამეფდა 1703 წელს და ექ. თაყაიშვილის სწორი შენიშვნისა არ იყოს[78], აქ დამწერს შეშლია; ასო „ბ" მაგივრად უნდა იყოს „გ".

ვახტანგ მეფეს სამრეკლოსთან ერთად სხვა ნაგებობებიც აუგია, კანკელიც აუშენებია და საეკლესიო ნივთებიც შეუწირავს. მოკლედ, მას დიდად უღვაწია აქ საეპისკოპოსო ცენტრის გასაძლიერებლად. ამიტომაც ურბნისში გაწეულ საქმიანობას იგი არ ივიწყებს იმ ლექსში, რომელიც მიეწერება თვით მეფეს[79]. დასაწყისი ამ ლექსისა შემდეგია:

მე უმცირესმა ძმათაგან ვახტანგმან
სახელდებულად
ვჰქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი,
სადგურ კამარა გებულად...

სამრეკლოს მშენებლის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ზემომოყვანილი წარწერა. მშენებლობის დროს სარქრად ყოფილა ვახტანგ მეფის ბებიდასშვილი ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე ფალავანდიშვილი.

[77] წერია შეცდომით „მბძრბულმან".

[78] ექ. თაყაიშვილი არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტბილისი, 1907 წ. 1, გვ. 50.

[79] Е. Такайшвили, Описание рукописей, т. I, вып. I, Тифлис, 1902, გვ 6.

არსებობს აზრი, რომ ს ა რ ქ ა რ ი სამუშაოს მწარმოებელია და არა შემოქმედ-ხუროთმოძღვარი[80]. ამ აზრის გაზიარებასთან ერთად ეჭვი გამოვთქვით, რომ ანანურის ტაძრის წარწერაში მოხსენებული სარქარი ქაიხოსრო ბალსარაშვილი შესაძლოა არა მარტო სამუშაოს მწარმოებელი ყოფილიყო, არამედ შემოქმედიც[81].

ურბნისის სამრეკლოს განხილვისას ზემომოყვანილი აზრი უფრო ძლიერდება. ჩვენი აზრით, ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ამ ნაგებობის ავტორიცაა და მშენებელიც. ეს სამრეკლო ხელოვნების არც ისეთი იშვიათი ნიმუშია, რომ მისი აგება ვერ მოეხერხებინა ერთ პიროვნებას. მით უფრო ეს შეიძლება ითქვას შუა საუკუნეებზე იმიტომ, რომ მაშინ პროფესიის დიფერენცირება ძალიან სუსტი იყო. კონკრეტულად, ურბნისის შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სამრეკლოს სარქრად ურბნელი ეპისკოპოსია. ასეთი თანამდებობის პირისათვის არც თუ სახარბიელო იქნებოდა მხოლოდ სარქრად ყოფნა; იგი სამრეკლოს ხუროთმოძღვარი და ამგები უნდა იყოს.



სურ. 74. სამრეკლო. პირველი და მეორე სართულის გეგმები

სამრეკლოს პირველი სართული სამ ნაწილადაა გაყოფილი (სურ. 74). შუაში განიერი და მაღალი კამაროვანი გასასვლელია, გვერდებზე კი დახურული სადგომებია.

გალავანში შესასვლელი ცილინდრული კამარითაა გადახურული, რომელიც ეყრდნობა ოთხ საბჯენ თაღს (სურ. 76). აქედან თითო თაღი ბოლოებშია, ორი კი შუაში არათანაბრადაა განლაგებული. თაღები და პილასტრები არ არის მკვეთრი ფორმების შემცველი. ასევე, უფორმო ნახევარწრიული ფორმისაა გრძივი კედლების ორ-ორი თაღი.

[80] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, გვ. 11, 13; გ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, 1956, გვ. 8.

[81] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ანანური, გვ. 13.

პირველი სართულის გვერდით სათავსოებში შესასვლელები მოწყობილია აღმოსავლეთ მონაკვეთებში, ერთმანეთის პირდაპირ. ამ სათავსოებიდან უფრო მარტივია ჩრდილოეთის. ეს გრძელი სათავსო ორ მონაკვეთადაა გაყოფილი. დასავლეთის—უფრო მცირეა. მათ თაღოვანი გასასვლელი ჰყოფს, ორივე სათავსოს კედლებში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშებია განლაგებული. გარედან შემოსასვლელის მარჯვნივ ნახევარწრიული გეგმის ბუხარია მოთავსებული. ორივე სათავსო შეისრული კამარითაა გადახურული.

სამრეკლოს სამხრეთი მონაკვეთი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოპირდაპირე მხარის მსგავსია, მხოლოდ ცოტათი ვიწროა და დეტალებში განსხვაედება. მეორე ნაწილში კიბეა მოთავსებული. იგი ერთი მიმართულებით მიემართება მეორე სართულისაკენ. მის კედლებში ფანჯარა და სათოფეებია განლაგებული.

მეორე სართული უფრო რთულია. იგი ძირითადად განკუთვნილი იყო მცველის საცხოვრებლად და ისე როგორც XVIII ს. ყველა სამრეკლო, ესეც გათვალისწინებული იყო თავდაცვისათვის. მის კედლებში ბლომადაა განლაგებული სათოფეები (სურ. 74). პირველი სართულის კიბიდან ვხვდებით გრძელ



სურ. 75. სამრეკლო. მესამე სართულის გეგმა

სათავსოში, საიდანაც მარჯვნივ გავდივართ აივანზე, მარცხნივ კი იწყება კიბე, რომელიც მიემართება სამრეკლოს ფანჩატურისაკენ. აივანს მოკავებული აქვს სამრეკლოს აღმოსავლეთის ნაწილი მთელს სიგრძეზე. იგი ღრმა და განიერია. მის გვერდითა კედლებში ორ-ორი დიდი ზომის სწორკუთხა ნიშია მოთავსებული. ასეთივე ნიში ორია შიდა კედელზეც, მხოლოდ ისინი გვერდიგვერდ კი არ არიან, არამედ სიმეტრიულად მდებარეობენ ცენტრალური კარის გვერდებზე. ამ კედლის ბოლო მონაკვეთებში კიდევ თითო კარია მოწყობილი. კარებიდან მარცხენა—გარედან შემოსასვლელია. შუა ცენტრალურ ოთახში შედის და მარჯვენა—ბოლო ოთახში. ამათგან ცენტრალური მცირე ზომის ოთახს წარმოადგენს, რომელიც შემოფარგლულია სამრეკლოს ფანჩატურის საყრდენი კედლებით. ჩრდილოეთით მდებარე ბოლო ოთახი გრძელია და საკმაოდ ვრცელი. მას მარცხენა კუთხეში უბე აქვს. ჩრდილოეთ კედელში მოთავსებულია ბუხარი. ოთახის გარეთა კედლებში ორ-ორი სათოფეა მოთავსებული. ეს სათოფეები და საერთოდ ამ სართულის სათოფეები პირდაპირი და დახრილია. ასეთი

სათოფეები გავრცელებულია სწორედ იმ ხანაში, როდესაც სამრეკლო შენდებოდა[82].

მესამე სართული თვით სამრეკლოს ყანჩატურს წარმოადგენს (სურ. 75—77). მისი საფუძველი წრეზეა აგებული, რომელზედაც აღმართულია რვაგვერდა პრიზმა. მისი ყოველი გვერდი ღიაა ნახევარწრიული თაღით. მთლიანად კი გადახურულია მაღალი გუმბათით, სადაც ჩამოკიდებული იქნებოდა ზარები.

სამრეკლოს ფასადები სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი (სურ. 55, 73, 77). გვერდითი ფასადები მარტივია. აქ ერთიან სიბრტყეზე მოჩანს სათოფეები და სარკმლები. პარადულია გარეთა, დასავლეთის ფასადი, ხოლო შიდა აღმოსავლეთის ფასადი ინტიმურია.



სურ. 76. სამრეკლო. განაკვეთები

მენობას ორი დანიშნულება ჰქონდა: იგი იყო სამრეკლო და აქვეა მოწყობილი გალავანში შესასვლელი. ამიტომ სამრეკლოს გარეთა მხარე პარადულია. ფასადის ერთიანი სიბრტყიდან გამოყოფილია ქვედა ცენტრალური ნაწილი. აქ მთავარია შეისრულთაღიანი შესასვლელი, რომელიც ჩაჯდარია მაღალ სწორკუთხედში. ანალოგიური კომპოზიცია, უფრო დიდ მასშტაბში, კიდევ ერთხელ იქვე მეორდება. პირველი სწორკუთხედის თავზე ჩასმულია ორი წარწერიანი ქვა. ფასადის ზედა ხაზზე ერთ ჰორიზონტზე განლაგებულია სათოფეები და მათ თავზე სარკმელი.

[82] П. П. Закарая, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида-Картли, XVI—XVIII вв. Вестник Музея Грузии, XIX-A и XXI-B, 1957, გვ. 227—234.

სამრეკლოს აღმოსავლეთის ფასადი გალავნის შიგნით იყო მოთავსებული და ამიტომაც მისთვის საცხოვრებლის იერი აქვთ მიცემული. ქვემოთ დიდ სიბრტყეზე მხოლოდ შესასვლელის თაღია, ზემოთ კი—მთელ სიგანეზე ღია აივანი (სურ. 73). ამ ღრმა აივნის ფასადი როგორ იყო გადაწყვეტილი, არ ჩანს, ახალი ბოძები კი უსისტემოდაა ჩადგმული. ფასადის მორთულობას შეადგენს მცირე ზომის მარტივი ჯვარი და მის ქვემოთ მდებარე დიდი ჯვრის ფრაგმენტი. ეს ორივე ქვა ეკლესიის სხვადასხვა სამშენებლო ფენის ფრაგმენტია. სამრეკლოს ოსტატმა იგი ალბათ ნანგრევებში იპოვნა და გადაგდებას აქ ჩართვა ამჯობინა.

კუბურ მასაზე მდგარი ფანჩატური მაღალი და წერილია (სურ. 55, 73). მას ასევე მაღალი პირამიდული სახურავი ამთავრებს. ქვედა კუბურ მასასთან შეფარდებით ეს ფანჩატური უფრო მაღალი და წვრილი ჩანს.

სამრეკლოს ქვედა მასა ნაგებია ფლეთილი და რიყისქვით. თლილი ქვა გამოყენებულია კონსტრუქციულ და საპასუხისმგებლო ადგილებში. ფანჩატური მთლიანად აგურითაა ნაგები. აგური მცირედ გამოყენებულია აგრეთვე ქვედა კედლებშიც (აგურის ზომები 21×21×4; 22×22×4).

ურბნისის სამრეკლო, როგორც აღწერიდან ვნახეთ, ერთი შეხედვით თითქოს მარტივი ნაგებობაა, მაგრამ სინამდვილეში იგი საკმაოდ რთულია. მის პირველ სართულში მოთავსებულია ალაყაფის კარი, სამეურნეო დანიშნულების ოთახები და კიბის უჯრედი. მეორე სართულში საცხოვრებელი და საბრძოლო დანიშნულების ოთახებია განლაგებული, ხოლო მესამე სართულზე სამრეკლოს ფანჩატური დგას. ასეთია სათავსოთა განლაგება ფუნქციის მიხედვით. მხატვრული გადაწყვეტა კი კონტრასტებზეა აგებული: ქვემოთ დიდი ზომის კუბური მასა და ზემოთ მცირე ფანჩატური. ეს კონტრასტი გაძლიერებულია ფერებით: ქვემოთ ქვას და ნალესობას ნაცრისფერი გადაჰკრავს, ზემოთ აგურისფერია.

სამრეკლოების საკითხი საერთოდ ქრისტიანულ აღმოსავლეთში და, კერძოდ, საქართველოში ჯერჯერობით საბოლოოდ შესწავლილი არ არის, როგორც ამას პროფ. გ. ჩუბინაშვილი მართებულად აღნიშნავს, მაგრამ ზოგი რამ ცნობილია[83]. ეს კი საშუალებას გვაძლევს მოვუძებნოთ ურბნისის სამრეკლოს ქართული სამრეკლოების წრეში კუთვნილი ადგილი.

საქართველოს ტერიტორიაზე კარგად დათარიღებული პირველი სამრეკლო დგას გუდარეხის კომპლექსში[84]. ეს 1278 წ. აგებული სამრეკლო სამსართულიანია. პირველ სართულში კამაროვანი გასასვლელია, მეორე სართულში მცველის საცხოვრებელია, მესმე კი თაღოვან ფანჩატურს წარმოადგენს. ამასთანავე, პირველი და მეორე სართული კუბური მასაა, ზედა კი რვაგვერდაა. მხატვრულად მასების შეხამება კონტრასტებზეა აგებული. ასეთი კონტრასტული გადაწყვეტა, ცხადია, სხვადასხვა ვარიაციითა და დიდი მრავალფეროვნებით გამოყენებული იყო შემდეგ საუკუნეებში. ძირითადად სწორედ ასეთი გადაწყვეტა ახასიათებს ქართულ სამრეკლოებს. საქართველოს ერთ-ერთი ძველი პროვინციის კახეთის სამრეკლოების მრავალფეროვნება კარგად აქვს ნაჩვენები გ. ჩუბინაშვილს[85].

---

[83] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, გვ. 491.

[84] Е. С. Такайшвили, Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. I, 1904, გვ. 29—31.

[85] Г. Н. Чубинашвили, Арх. Кахетии, გვ. 491—511.

მრავალი სახის ქართული სამრეკლოებიდან ის ტიპი, რომელსაც ურბნისის სამრეკლო ეკუთვნის, გამოირჩევა თავისი სიმკვეთრით. ამ ტიპის სამრეკლოთა ჯგუფს ჰქმნის შემდეგი ძეგლები: თბილისის ანჩისხატი, ანანური, ქვემო ჭალა,




სურ. 77. სამრეკლო. დასავლეთის ფასადი

ხაშმი და სამთავისი. მართალია, ამ ჯგუფის თითოეულ ძეგლს საკუთარი სახე აქვს, მაგრამ ტიპი ერთია, გადაწყვეტის პრინციპი მსგავსია.

ანჩისხატის ეკლესიის სამრეკლო აგებულია 1675 წ. და მისი გადაწყვეტა კარგადაა შეხამებული კონკრეტულ პირობებთან[illegible]. ქვემოთ დიდი კამაროვანი გასასვლელია და მცირე ზომის ოთახები. მეორე სართული კი ორი ოთახისგან შედგება და საცხოვრებელ-საყარაულოს წარმოადგენს. მეორე სართულის ბანზე

[illegible] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, 1936, გვ. 141—143; Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, გვ. 185, ტაბ. 66.

სამრეკლოს ფანჩატური დგას. მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლებოდა გარედან მისადგმელი კიბით. მეორე და მესამე სართულებს კი აკავშირებს შიდა კიბე.

სამრეკლო გარედან ქვედა კუბური მასისა და ზედა ფანჩატურის შერწყმას წარმოადგენს. მიუხედავად მასათა დიდი კონტრასტისა, ხუროთმოძღვარი იმდენად მაღალი გემოვნებისა იყო, რომ მნახველი განცვიფრებაში მოდის კარგი კომპოზიციით. თანაც, მცირე ზომის ფანჩატურს თითქოს შემთხვევითი ადგილი უჭირავს ვრცელ ბანზე. მაგრამ სინამდვილეში კი ფანჩატურის ადგილი ნაკარნახევი იყო მოედნისა და მასში შემომავალი ქუჩების განლაგებით.

მასების გადაწყვეტით ანჩისხატთან ახლოს დგას ანანურის სამრეკლო. იგი შექმნილია 1689 წელს[87]. ანანურში ორიგინალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ადრე აგებული ეკლესიის ორფერდა სახურავი გაასწორეს და შექმნეს ბანი. ამ ბანზე კი სამრეკლოს ფანჩატური დადგეს. როგორც ეტყობა, XVII ს. ბოლოს ასეთი სამრეკლოს ტიპი ისე ყოფილა გავრცელებული, რომ არსებული ეკლესიის გადაკეთებასაც არ მოერიდნენ. თანაც, ფანჩატური ბანის გარეთა ბოლოში დადგეს, რომ შეხამებოდა გარემოს. ანანურის ანსამბლი ახლად შექმნილმა კომპოზიციამ საკმაოდ დაამშვენა.

მასათა კომპოზიციით, ანჩისხატთან ახლოს ყოფილა ქვემო ჭალის სამრეკლო[88]. ამილახორთა ეკლესიისათვის დასავლეთით სამრეკლო მიუდგამთ. მისი პირველი სართული სამივე მხარეს ღია იყო, რომელიც შემდეგ ამოუშენებიათ და ეკლესიის კედელი გაუნგრევიათ. ამით ეკლესიის ფართი გაზარდეს. მეორე სართულზე ასვლა ხდება კედლის კიბით, რომელიც სამხრეთიდან იწყება. მეორე სართული ძირითადად ოროთახიან საცხოვრებელ-საყარაულოს წარმოადგენდა. მეორე სართულის ბანზე კი სამრეკლოს ფანჩატური იქნებოდა. შემდეგში ამ ფანჩატურის მოხსნით ორი სართული აღუმართავთ და სამრეკლო საცხოვრებელ კოშკად უქცევიათ.

დაახლოებით ასეთივე კომპოზიციის სამრეკლო მდგარა სოფელ ხაშმის ციხის ეკლესიასთან. აქაც ქვედა კუბური მასა დარჩენილია, სამრეკლოს ფანჩატური კი დანგრეულა.

პრინციპში მსგავსივე გადაწყვეტაა სამთავისის სამრეკლოში. მხოლოდ იქ პროპორციებია შეცვლილი. განსაკუთრებით თვალში საცემია ქვედა ტანის შემაღლება. მასათა შეხამება აქ უარესია, ვიდრე ზემოგანხილულ ყველა ძეგლში.

ასეთია ურბნისის სამრეკლოს ჯგუფის ჰორიზონტული და ვერტიკალური გეგმარების ურთიერთობა, მასათა გადაწყვეტის საერთო პრინციპი და სხვა დეტალები.

ზემოაღნიშნულის გარდა, იმავე ნაგებობებში პოულობს ანალოგიებს ურბნისის სამრეკლოს მორთულობაც. კერძოდ, დეკორიდან აღსანიშნავია დასავლეთის ფასადის გადაწყვეტა. მისი მთავარი ელემენტია ოთხკუთხედში ჩასმული ისრული თაღი. მართალია, ამ ელემენტს ჯერ კიდევ XVI ს. ვხედავთ[89], მაგრამ იგი მომდევნო საუკუნეებში უფრო ვრცელდება. კერძოდ XVII ს. ბოლოსა და

[87] პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, 1953, გვ. 104—107; Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, გვ. 184—185.

[88] Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, გვ. 209; ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში, „ქართული ხელოვნება", № 4, 1955, გვ. 250

[89] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 134, 137.

XVIII ს. დასაწყისში იგი ყველაზე მეტად მიღებული ფორმაა. უშუალო ანალოგია ისევ ანჩისხატის სამრეკლოშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ანჩისხატში ეს ელემენტი ერთხელ მეორდება, ურბნისში კი—ორჯერ. ამასთანავე, თაღსა და სწორკუთხედს შორის მდებარე არეს დამუშავება, ურთიერთ პერპენდიკულარულად მიმართული აგურების წყობა იქვე პოულობს ანალოგიას და იმ დროის სხვა მრავალ ძეგლშიც.

სამრეკლოს თვით ფანჩატურის პროპორციები განსხვავდება ანჩისხატისა და ანანურის პროპორციებისაგან. პირველში ვიწრო და მაღალია, ანჩისხატსა და ანანურში კი—განიერი და დაბალი. როგორი იყო ქვემო ჭალასა და ხაშმში, არ ვიცით, ხოლო სამთავისში ურბნისივით ვიწროა და მაღალი. თანაც ამ უკანასკნელ ორში გამოყენებულია მხოლოდ აგური, ანჩისხატსა და ანანურში კი თლილი ქვაა, ამიტომ დეკორიც განსხვავებულია. ურბნისის ფანჩატურის დეკორი მარტივია, მაგრამ მოხდენილი. მაღალი პრიზმის ყოველი წახნაგი თაღოვანი ღიადითაა დამუშავებული. წიბოებს ლეკალური აგურით ამოყვანილი ლილვები გასდევს, რომლებზედაც თაღები გადადის. თაღები უწყვეტად უვლის პრიზმს. სხვა დეკორატული ელემენტებიდან თითო მცირე ჯვარია გამოსახული აღმოსავლეთით და დასავლეთით. პრიზმის დამამთავრებელი კარნიზი კბილანაა, რომელიც მიღებულია კუთხით და გვერდებზე დალაგებული აგურის წყობის მორიგეობით. ასეთი ფორმის კარნიზიც ჩვეულებრივია ამ ეპოქის შენობებზე.

ურბნისის სამრეკლოს აქვს ერთი ორიგინალური დეტალი, რომელიც სხვა სამრეკლოებში შემჩნეული არ არის. ესაა აღმოსავლეთით მეორე სართულის აივანი. ასეთი აივანი თავისთავად საცხოვრებელი სახლის ელემენტია, მაგრამ აქ სამრეკლოში ძალიან მოხდენილადაა გამოყენებული. ეს არცაა გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ კოშკოვანი სამრეკლოს დანიშნულებას; იგი ერთ და იმავე დროს გამოყენებული იყო როგორც სამრეკლოდ, ისე საყარაულოდ და საცხოვრებლადაც.

## დასკვნა

ურბნისში და მის ახლო-მახლო მდებარე ტერიტორიაზე, ექსპედიციამ წლების განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის არა ერთი პირველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიკვლეული მასალებით შესაძლებელი გახდა აქ ცხოვრებას თვალი გავადევნოთ ხუთი ათასი წლის მანძილზე მაინც, თუ მეტი არა. ამ მხრივ მეტად მდიდარი გამოდგა როგორც „ქვაცხელები", რომელიც ურბნისიდან ორიოდე კილომეტრზე მდებარეობს[1], ისე თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარე „ხიზანაანთ გორა". ადრებრინჯაოს ხანის ეს ნასახლარები მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ მათ შორის ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც ჩვენს თემასთან უფრო ახლოს არის. ესაა დღემდე მიკვლეული და გამოქვეყნებულიდან ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული საფეხურის საუკეთესო ნიმუშები. აღმოჩენილის მიხედვით მსჯელობა შეიძლება როგორც ნაგებობათა ცალკეულ ტიპებზე, ისე დასახლებაზე, გეგმარების სხვადასხვა საკითხზე, სამშენებლო მასალებზე, მშენებლობის ხერხებზე და სხვა.

ქვაცხელები და ხიზანაანთ გორა მდებარეობს უშუალოდ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას. თითეული მათგანი, ისე, როგორც სხვა იმდროინდელი სამოსახლები, განლაგებულია მცირე გორაზე. გორას სამხრეთიდან მდინარის მაღალი ნაპირი იცავს, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან კი სხვადასხვა სიღრმის ხეობები აკრავს. მეოთხე ჩრდილოეთის მხარე, რომელიც ვაკობთან გაერთიანებულ ყელს წარმოადგენდა, გადაჭრილი უნდა ყოფილიყო თხრილით (ამ თხრილის არსებობა ქვაცხელებზე დადასტურდა, ხოლო ხიზანაანთ გორაზე ახალ მოსახლეობას ფენები დაუზიანებია). ასევე, ბუნებრივი პირობების გამოყენებით, ცდილობდნენ შეექმნათ ერთგვარი სიმაგრე და თავი დაეცვათ მომხდურებისაგან.

მომდევნო პერიოდის მოსახლეობის კვალი არ ყოფილა მიკვლეული. მაგრამ გვიანბრინჯაოს ხანიდან კი უწყვეტი ცხოვრება ჩანს; ამ დღიდან მოყოლებული მცხოვრებთა რაოდენობა იცვლებოდა, მაგრამ ადგილი უკაცრიელი არასოდეს არ ყოფილა. ამ დროის სამარხები ბლომად იყო ნაქალაქარის აღმოსავლეთ მონაკვეთში, მაგრამ იმ დროის საცხოვრებლების კვალიც კი წაშლილა. ადრებრინჯაოს ხანისათვის უფრო რთული სურათი გვქონდა: მათი საცხოვრებელი თუ ხიზანაანთ გორაზე იყო, სამაროვანი იქვე მახლობლად დასავლეთით მდებარეობდა.

არქეოლოგიური მონაპოვარის მიხედვით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, პირველი ათასეულის შუა ხანისაკენ ცხოვრების მასშტაბი ფართოვდება. როგორც ეტყობა, აქ უკვე სხვა პროცესის დაწყებასთან გვაქვს საქმე.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ამ ეპოქაში საქართველოს

---

[1] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, 1962.

ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქართლის ანუ იბერიის და ეგრისის ანუ კოლხიდის სამეფოები. ამ პროცესს, როგორც სხვაგან ისე ჩვენთანაც, მოჰყვა ქალაქების წარმოქმნა და განვითარება. ეს უნდა მომხდარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI—IV საუკუნეებში[2]. ქალაქებში ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა. სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითი ურბნისიცაა.

აღსანიშნავია, რომ ძველი ისტორიული ტრადიცია ურბნისს იხსენიებს ქართლის პირველ ქალაქთა შორის. ეს ქალაქებია: მცხეთა, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ოძრხე და სხვა. მემატიანეთა ეს ცნობა არქეოლოგიური მონაცემებით კარგად დასტურდება. ურბნისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—V სს. ნივთები წინა პერიოდთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულ სურათს იძლევა. ელინისტური ეპოქის ნივთები საკმაოდ ძლიერი ქალაქის არსებობაზე მიგვითითებს.

ქალაქის შესამჩნევ ზრდასა და განვითარებაზე მეტყველებს ის მრავალფეროვანი ნივთები, რომლებიც I—III საუკუნეების სამარხებიდანაა ამოღებული. მიკვლეული ოქროს, ვერცხლის, მინის, კერამიკის, პასტის, ძვლისა და სხვა მასალის ნივთები გვაკვირვებს არა მარტო რაოდენობით, არამედ გვანცვიფრებს იმ მაღალი ხელოვნებით, რომლითაც ისინია შესრულებული. მათი ერთი ნაწილი ანალოგიებს პოულობს საქართველოს სინქრონულ ძეგლებში, მეორე ნაწილი ისეთია, რომელსაც ანალოგია არ ეპაჩნია, იგი ურბნულია, მესამე კი შემოტანილია ახლო მდებარე ქვეყნებიდან თუ ხმელთაშუა ზღვის აუზიდან. პირველში თუ მხარის საერთო სახეა გამოვლენილი, მეორე ნაწილი თვით ქალაქის ნაწარმია, ადგილობრივთა ნახელავია. მესამე ნაწილი, თუ, ერთი მხრივ, მოქალაქეთა მოთხოვნილების დონეზე მეტყველებს, მეორე მხრივ, ვაჭრობის მასშტაბზე მიგვითითებს.

ცნობილია, რომ საქართველოს ცენტრში გადიოდა ის ერთ-ერთი მაგისტრალური სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა დასავლეთთან. ეს სატრანზიტო გზა მცირე როლს არ თამაშობდა ადრეულ ხანაში ქალაქების წარმოშობაზე, შემდეგში კი იგივე გზა ხელს უწყობდა ქალაქებს აღებმიცემობის წარმოებაში. ამ დროის დიდი ქალაქები სწორედ მტკვრის გაყოლებაზე გამავალი გზის გასწვრივ მდებარეობს, მაგ., მცხეთა, კასპი, უფლისციხე, ურბინის და სხვა.

ურბნისის მიდამოებში ექსპედიციის მიერ გამოვლენილი სამარხების ინვენტარს თუ შევადარებთ იმავე ხანის სხვა ქალაქებში ან შემთხვევით მიკვლეულ ცალკეულ სამარხებს, ვნახავთ რომ ურბნისში ნაპოვნია მხოლოდ მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენის სამარხები. ეს სამაროვანიც საკმაოდ ნაკლული იყო, რადგანაც იგი დაუზიანებიათ და ნაწილობრივ მოსპობილა მომდევნო ხანის დასახლების დროს. არ არის გამორიცხული, რომ მაღალი ფენის სამარხები ქალაქიდან უფრო მოშორებით ყოფილიყო ან თუ იქვე ახლოს იყო, ისიც გამქრალიყო შემდგომში ახალი ნაგებობების აგებისას.

ურბნისში ანტიკურ პერიოდში ძირთადად ორმოსამარხებია. გვხვდება ალიზით შემოწყობილი და ხით შეკრული და გადახურული სამარხებიც. ყველა ეს სამარხი ადვილად ისპობოდა ან ზიანდებოდა მომდევნო პერიოდის მცხოვრებთაგან.

---

[2] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 56—57; Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 9, 10.

ურბნისის ანტიკური პერიოდის საცხოვრებელ რაიონებში სამი ძლიერი ხანძრის კვალი ჩანს. ამას გარდა, სხვა მცირე ძალის ნახანძრალებიცაა. როგორც ეტყობა, ამ კატასტროფებს არ გადაურჩა ანტიკური პერიოდის ქალაქის ნაგებობანი. ან ნაგებობებიდან შედარებით მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი ხიზანაანთ გორაზე, დასავლეთით ალიზის ზღუდის ქვეშ და აღმოსავლეთით სამაროვნის ტერიტორიაზე. ამ ეპოქის ნაგებობიდან გამოირჩევა მხოლოდ აბანოს ნანგრევები, სადაც, მიუხედავად დაზიანებისა, სისტემის გარკვევა და სხვა ზოგიერთი დეტალიც ჩანს.

ურბნისში აბანოს აღმოჩენა რიგით მეოთხე იყო საქართველოში. იგი თავისი გადაწყვეტით მიეკუთვნა გვიანანტიკური ხანის ბოლო მონაკვეთს. მართალია, აბანო ანალოგიებს პოულობს აღნიშნული პერიოდის ძეგლებში, მაგრამ იმავე დროს იმათგან გამოირჩევა ორიგინალური გეგმარებით.

როგორც ადრევეც ვნახეთ, ელინისტური ხანის დიდი შენობა ხიზანაანთ გორაზე და გვიანანტიკური ხანის აბანოს კაპიტალური ნაგებობა მშენებლობის მაღალ კულტურაზე მიგვითითებს. ასეთი დიდი და ვრცელი აბანოს აგება თავისთავად ქალაქის კომუნალური საკითხების მოწესრიგებაზეც გვიყვება.

კომუნალური მეურნეობის ზოგიერთი მხარის მოგვარება წყალსადენის, გამდინარე წყლისათვის საჭირო არხებისა და კანალიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო. თითოეული მათგანის ნაშთს არა ერთგან ვხვდებით ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ქალაქის შიდა მცირე არხები, ცხადია, იმ დიდი არხის განშტოებაა, რომელიც სათავეს 25 კმ დაშორებით მდ. ლიახვიდან იღებდა[3].

იმავე პერიოდის ურბნისში წყალსადენი რომ არსებობდა, მიკვლეული კერამიკული მილებითაც დასტურდება. მათ შორის აღსანიშნავია ის ფრაგმენტი, რომელიც კირის მკვრივ დუღაბში იყო ჩასმული. როგორც ეტყობა, კერამიკული მილების ერთი ხაზი საკმარისი არ იყო ქალაქისათვის და დებიტის გასაზრდელად სხვადასხვა დიამეტრის მქონე კერამიკული მილებისაგან შემდგარი წყალსადენის ორმაგი ხაზი პარალელურად მოემართებოდა. ქალაქს, რადგანაც ადგილობრივ მხოლოდ მლაშე წყლები მოეპოვებოდა, კარგი სასმელი წყლით მომარაგება აუცილებელი იყო. სავარაუდოა, რომ აბანოს წყალსადენის ცალკე ხაზიც ჰქონოდა.

სამწუხაროდ, ანტიკური ქალაქის საზღვრები არ ირკვევა. დასავლეთით შერჩენილი რიყისქვის გალავნის ნაშთით თუ ვიმსჯელებთ, იგი თითქმის შიგნიდან მიჰყვება ადრეფეოდალური ხანის გალავნის ხაზს (უბ. XXXVI$_1$), ამ ხაზს წარმოდგენით თუ გავაგრძელებთ, იგი მოსჭრის უფრო ნაკლებ ფართობს ვიდრე გვიანი გალავანი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ანტიკური დროის ქალაქს მცირედ ნაკლები ტერიტორია ჰქონდა მოკავებული, ვიდრე ადრეფეოდალურ ქალაქს.

ურბნისი რომ ანტიკურ პერიოდში ვრცელი და მდიდარი ქალაქი იყო ამაზე, როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიური მასალაც მეტყველებს. ხოლო, რაც შეეხება კაპიტალურ ნაგებობათა ნაშთების სიმცირეს, ეს შემდგომი ხანგრძლივი ცხოვრების შედეგია; იგებოდა ახალი, რასაც ეწირებოდა ძველი.

ქალაქში კრამიტით დახურული სახლის სიმრავლეზე იმ ხანის შეღებილი კრამიტების უამრავი ნატეხიც მეტყველებს. ამ წერნაქიან კრამიტებს ყველგან

---

[3] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, 1963, გვ. 65—75.

ვხვდებით. შესაძლოა სტრაბონის წყაროს[4] ავტორს, როდესაც ქართლზე ასე მსჯელობდა: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო (დაწესებულებანი)“, მაშინ ურბნისიც ჰქონდა მხედველობაში.

ურბნისი იყო IV ს. პირველ ნახევარში დიდი, ძლიერი და ხალხმრავალი ქალაქი, ამაზე ლეონტი მროველის საწერიდანაც ვიგებთ. მისი ცნობით: „დღესა ერთსა აღიძრნეს ე რ ნ ი  დ ი დ ნ ი მ ი თ  ქ ა ლ ა ქ ი თ, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდა, მცხეთად, მოეაჭრებად საჳმართა რათამე“[5]. იგივე ამბავი წმ. ნინოს ცხოვრების ავტორს უფრო გაშლილად აქვს მოცემული: „დღესა ერთსა აღიძრნეს ე რ ნ ი  ძ ლ ი ე რ ნ ი   დ ა  უ რ ი ც ხ ვ ნ ი  ს ი მ რ ა ვ ლ ი თ ა  მ ი თ ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად“[6].

როგორც ვხედავთ, ამ წყაროს მიხედვით ქალაქ ურბნისში მცხოვრები „ურიცხვია“, იგი „სიმრავლით“ განთქმულია.

ასეთ მრავალრიცხოვან და დიდ ქალაქს, ცხადია, უბნებიც ექნებოდა. უბნები, როგორც მონათმფლობელურ, ისე ფეოდალურ ქალაქში პირველ რიგში მოსალოდნელია ყოფილიყო სოციალური ფენების მიხედვით. ასეთის კვალი თითქოს ჩანს ურბნისში. ყოველ შემთხვევაში ადრეფეოდალური ხანის ურბნისში დასავლეთის მცირე მონაკვეთზე დაბალი ფენა უნდა ყოფილიყო დასახლებული.

ქალაქში მოსახლეობა განლაგებული იქნებოდა ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვითაც[7]. ამ მხრივ დადასტურებულია ურბნისში ურიათა უბნის არსებობა. წმ. ნინომ, რადგანაც ქართული არ იცოდა, ძიებდა „ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებრისა“[8]. ცხადია, ეს ებრაელები ბაგინის ირგვლივ იქნებოდნენ დასახლებული. იმ დროს ურბნისში ურიათა უბანი თუ იყო, სხვა მსგავსი უბნებიც იქნებოდა.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული, ქალაქს ქალაქური ტიპის სახლები ახასიათებს, აღნიშნული სახლები განსხვავდება სოფლის სახლებისაგან და რაც მთავარია „ქალაქის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქში საქულბაქე ადგილები უნდა ყოფილიყო“[9]. საჭირო იყო სავაჭრო ადგილების გამოყოფა. მაგალითად, ასეთი ადგილი სპეციალურად გამოყოფილი იყო გვიანი საუკუნეების ქალაქ გრემში. იქ საკმაოდ მოზრდილი ტერიტორიაა გამოყოფილი და ირგვლივ კამაროვანი ქულბაქებია განლაგებული.

უბნებად ყოფილა დაყოფილი ანტიკური დროის მცხეთაც. ამაზე ცნობები იმავე მატიანეებშია, მისი ნაწილობრივი დადასტურება შესძლეს არქეოლოგებმა გათხრებისას[10].

---

[4] სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1957, გვ. 127.

[5] ლ ე ო ნ ტ ი  მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 88.

[6] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მიქცევაჲ ქართლისაჲ, Описание рукописей, т. II, გვ. 708.

[7] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 36.

[8] Опис., II, გვ. 780.

[9] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[10] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 10.

ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში ქალაქ ურბნისის ცხოვრებაში მრავალნაირი ცვლილება ხდება. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ურბნისი როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო პუნქტი, ხდება ეპისკოპოსის სამყოფი. აქ შენდება V—VI საუკუნეთა მიჯნაზე ეკლესია, რომელიც მაშინდელ საქართველოში უდიდესთაგანია.

ურბნელის სამწყსო XVIII საუკუნეში ვახუშტის ცნობით საკმაოდ ვრცელია[11]. საფიქრებელია ქალაქ ურბნისის სიძლიერის პერიოდში მისი ტერიტორია მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნებოდა.

VI ს. საქართველოში ფეოდალიზმის გამარჯვებას თან სდევდა ქვეყნის ეკონომიური გაძლიერება, კულტურის აღმავლობა და სხვა.

ამავე დროს, ეს ხანა მეტად შფოთიანია. ერთი მხრივ, თუ აზნაურ-წარჩინებულნი ძალაუფლების დამკვიდრებისკენ მიისწრაფიან, მეორე მხრივ, ბიზანტია და სპარსეთი გარდამავალი უპირატესობით იბრძვიან მთლიანად ქვეყნის ან მისი ნაწილის დასაპყრობად. ბრძოლა მეტად სასტიკი იყო და მცირე ინტერვალებით გაგრძელდა VII ს. შუა ხანებამდე. ამ დროიდან უკვე ბრძოლა არაბებთან ხდება.

სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა ცნობები, ამ ბრძოლებში თუ რა როლს თამაშობდა ქალაქი ურბნისი, ან რა შესამჩნევი ცვლილებები მოხდა მის ცხოვრებაში.

ქალაქ ურბნისის წარსულის ამ მონაკვეთის დადგენაში არქეოლოგიურ გათხრებს შესამჩნევი წვლილი შეაქვს. სწორედ, მოპოვებული მასალები იმაზე მეტყველებს, რომ ცვლილებები დიდია. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალაქის საზღვრები იცვლება, იგი იზრდება. ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია კონკრეტულად იმ დროს და საერთოდ ფეოდალური ეპოქა აუცილებლად მოითხოვდა ქალაქის გალავანს, მის გამაგრებას. ურბნელებს იმდენი ძალა და უნარი ჰქონიათ, რომ ისინი ქალაქს ზღუდავენ დიდი გალავნით. როგორც ზემოთ ქალაქის გალავნის განხილვისას ვნახეთ, VI ს. ბოლოს თუ VII ს. დასაწყისში შენდება ისეთი მძლავრი კოშკოვანი კედელი, რომლის მასშტაბის წარმოდგენა ძნელია. ამ კოლოსალურ კედელს რამდენიმე წლის ინტენსიური მუშაობა დასჭირდებოდა.

კოშკოვან კედელს მეორე მხარეც აქვს: იგი ხელოვნების ნაწარმოებია, არქიტექტურის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. მართალია, ჯერჯერობით ალიზის კედლის სხვა მაგალითი არა გვაქვს, მაგრამ ურბნისის კედლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ეპოქის საფორტიფიკაციო ნაგებობათა კულტურაზე. თავისთავად აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც ცნობილია, რომ ქართული ხუროთმოძღვრება IV—V საუკუნეებიდან აღმავლობას განიცდის. თუ ამ ხანის მცხეთას ჰყავდა მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი[12], შესაძლოა ასეთი თანამდებობა ქალაქ ურბნისშიაც ყოფილიყო.

ახალი ზღუდით შემორკალულ ქალაქში იქნებოდა გამოყოფილი ცალკეული ნაწილები. ამ ნაწილებიდან დანამდვილებით შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ეკლესია და ციტადელი. მართალია, დღემდე ტაძრის ცალკე გალავანმა მოაღწია, მაგრამ მას მცირე გალავანი ადრეც უნდა ჰქონოდა.

ქალაქის ალიზის კედლისდროინდელი ციტადელი ხიზანაანთ გორაზე ყოფილა. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ეს ადგილი ერთადერთი შემაღლებაა

[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, გვ. 78.

[12] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბილისი. 1951, გვ. 253—255.

და მეტად მარჯვეა დასაზვერავად, როგორც მტკვრის გრძელი ხეობის, ისე სხვა მხარეებისაც. ამ ადგილის უპირატესობა ადრევე შეუმჩნევიათ და აქ დასახლებულან ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში. მისი დანიშნულება ანტიკურ ხანაში იცვლება. აქ დიდი შენობა დგას გრძელი და განიერი კიბით. მას ტრიუმფალური იერი აქვს. ამიტომაც შეიძლება იქ ვივარაუდოთ სალოცავის, წარმართული ტაძრის არსებობა. ნაგებობის ასეთი გრანდიოზული მასშტაბი ნამდვილად შეეფერებოდა ანტიკური პერიოდის ძლიერ და მდიდარ ურბნისს.

ეს ნაგებობა არაჩვეულებრივი სიძლიერის ხანძრით იყო დამწვარი. მის ზემოთ კი ადრეფეოდალური ხანის დასაწყისის გალავანი იდგა. იქ თუ ტაძარი იყო, შეიძლებოდა იგი გადაეწვა მტერს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ახლად გაქრისტიანებულ ქალაქს, კულტის მსახურთა მეთაურობით, ძველი სალოცავი ცეცხლისთვის მიეცათ. ცნობილია, ქრისტიანობის გავრცელებისას ქადაგებისა და აგიტაციის გარდა გამოყენებული იყო „მახვილიც“ და „კერპთა ძლევით შემუსვრაც“[13].

გორაზე, ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში, როგორც ეტყობა, ქვიტკირის ციტადელს ცვლის ალიზის ციტადელი. მას აგებენ ქალაქის ზღუდესთან ერთად და მასთან ერთადვე იღუპება VIII ს. ოცდაათიან წლებში.

რაც შეეხება ალიზის გამოყენებას, იგი არ არის ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი, მაგრამ მას მიმართავენ, როგორც ანტიკურ ხანაში[14], ისე ადრეფოდალურ პერიოდშიაც[15]. როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს „ქართული არქიტექტურის ცალკეული სტილების მატერიალური ელემენტების რიცხვიდან ისტორიის მთელ მანძილზე, შეიძლება ითქვას, ორი რამაა სპეციფიკური, ურყევი: 1. ქვა, როგორც გარეგანი მასალა, კანი ნაგებობისა; 2. ორნამენტული ჩუქურთმა ფასადური დამუშავებისა ქვაზე[16]. გამომწვარი თუ გამოუწვავი აგური საქართველოში გამოიყენებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ის არაა თვალში საცემი: მთავარია მაინც ქვა. ამითაა გამოწვეული ის გარემოებაც, რომ ვახუშტი მხოლოდ ქვით ნაგებზე ლაპარაკობს. იგი ერთგან აღნიშნავს: „რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტერნი აღვსწერენით ანუ პალატნი, არა არს არცა ერთი, რომელი არა იყოს თლილის ქვითა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის ქვითა არიან აღშენებულნი“[17]. ალიზი შედარებით შესამჩნევი იყო ანტიკური ხანისათვის, მერე კი მისი გამოყენება თანდათანობით კლებულობს და განვითარებულ ფეოდალიზმის ხანაში მას უკვე არავინ მიმართავს.

აქვე, ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ალიზი საერთოდ მშრალ ადგილებში გამოიყენება, იგი სინესტეს ვერ იტანს. საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით მშრალი ჰავა ქართლშია. რამდენადაც არქეოლოგიური გათხრებითაა ცნობილი, ალიზის ნაგებობანი სწორედ ქართლშია მიკვლეული. ამდენად, ალიზის გამოყენება იმ ადრეულ ხანაშიაც მხოლოდ ქართლშია მოსალოდნელი. მაშასადამე, ძველ ეპოქაში, როდესაც ალიზის გამოყენებაზე ვლაპა-

---

[13] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 125.

[14] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 21—84.

[15] В. Цинцадзе, Тбилиси, 1959, გვ. 33.

[16] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936, გვ. 178.

[17] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 84—85.

რაკობთ, უნდა ვიგულისხმოთ არა მთელი საქართველო, არამედ ქართლი (და შეიძლება თვით ქართლშიაც შემოვფარგლოთ მისი გავრცელების არე მხოლოდ შიდა ქართლით და ზოგან მომიჯნავე ტერიტორიით).

ადრეფეოდალური ხანის ურბნისში შედარებით უკეთ შერჩენილ ქალაქის დასავლეთ მონაკვეთში აღმოჩენილ ნაგებობათა საძირკვლები ძირითადად ერთნაირია. ეს ნაგებობანი ალიზისა იყო[18]. კედლებს ძირს დაფენილი ჰქონდა რიყისქვის თითო-ორი რიგი. ნანგრევებში კრამიტის ფრაგმენტები ბლომადაა, რაც თავისთავად კრამიტის სახურავებს გულისხმობს. მიუხედავად ამისა, შედარებით ამ ღარიბ კვარტალში ძირითადად მაინც არ არის გამორიცხული ბანიანი სახურავების არსებობაც.

ამ უბანში, ფენების სიმრავლისა და მათი ძალზე დაზიანების გამო, სამწუხაროა, რომ ქალაქისათვის დამახასიათებელი დასახლების თავისებურება ვერ დადგინდა. ამ ხარვეზს სხვა ქალაქების გათხრები თუ შეავსებს.

საერთოდ, იმ დროის მეურნეობის ზოგი მხარის გარკვევისათვის მეტად საინტერესოა აღინიშნოს მარნების სიმრავლე ქალაქის ტერიტორიაზე. დღემდე გათხრილ არც ერთ ნაქალაქარს არ მოუცია ისეთი სურათი, როგორც ურბნისმა მოგვცა. აქ მარნებისა და მათში ქვევრების სიმრავლე მევენახეობა-მეღვინეობის მეტად ინტენსიურ განვითარებაზე მიგვითითებს. ამაში თავისთავად გასაკვირი არაფერია, რადგან იმ ხანაში მევენახეობას უკვე შორეული წარსული და დიდი ტრადიცია ჰქონდა. 25 კმ სიშორიდან რამდენიმე საუკუნის წინათ გამოყვანილი მძლავრი არხი უდავოდ შეჰქმნიდა აყვავებულ მეურნეობას. ალბათ, ამ მაღალი საინჟინრო ნაგებობის წყალობით ქალაქს აკრავდა მდიდარი სამეურნეო რაიონი. იმავე არხის შედეგი იქნებოდა ხორბლეულის უხვი მოსავალი. ყოველ მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა XX უბანზე დამწვარი ბეღლის გამოჩენა, ხორბლის სქელი ფენით[19].

ადრეფეოდალური ხანის მდიდარი, ძლიერი, ხალხმრავალი ქალაქი ურბნისი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, მანამ არაბების გამოჩენამ არ შეასუსტა და ბოლოს არ აოხრა მურვან-ყრუმ (736—738 წწ.). გათხრების შედეგად მოხდა მემატიანის სიტყვების: „ყრუმან... შემუსრნა ყოველი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"[20] ნათელი ილუსტრაცია. ხანძარი, მართლაც ძლიერი ყოფილა. მას მოუსპია ქალაქის ნაგებობანი და ზღუდეკოშკები.

იმავე გათხრებმა დაადასტურა, რომ მურვანმა ქალაქი დაანგრია და გადასწვა, მაგრამ იქ სიცოცხლე ვერ ჩააქრო; ქალაქმა ცხოვრება გააგრძელა. მიუხედავად ასეთი დიდი ტრავმისა, ქალაქმა იმდენი მაინც შესძლო, რომ დაცვის ახალი სისტემა შეექმნა. ქალაქის ირგვლივ გამავალი მიწაყრილი თხრილით საკმაოდ დიდი მასშტაბისაა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს იყო მისი უკანასკნელი გაბრძოლება.

არაბებთან ბრძოლამ, ცნობილია, რომ საქართველოს პროვინციებიდან ყველაზე მეტად შიდა ქართლი დაასუსტა. ფეოდალიზაციის გზაზე აღმავალი

---

[18] ამ ადგილებში მცირე ზომის საცხოვრებელი სახლების ალიზით აგება ამ ბოლო დრომდე შემორჩა.

[19] თავისთავად კი ხორბლის კულტურა აქ ძველთა-ძველია. ჩვენივე ექსპედიციის მიერ იქვე ადრებრინჯაოს პერიოდის ნასახლარებზე—ხიზანაანთ გორაზე და ქვაცხელებზე ბლომად იყო დამწვარი ხორბალი.

[20] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, გვ. 234.

ქვეყანა ერთნაირად როდი ვითარდება. VIII—X საუკუნეების ახალი ქალაქები (არტანუჯი, თმოგვი, ოლთისი, ახალქალაქი, დმანისი, ახალციხე და სხვა) წარმოიშვნენ სწორედ არა ცენტრში, არამედ მის გარეთ, იქ, სადაც ამის საფუძველი არსებობდა. არაბთა ლაშქრობებმა, დიდმა გადასახადებმა, ქვეყანა ეკონომიურად დაასუსტა. ამას თან ემატება სავაჭრო გზის შეცვლა. მტკვარ-რიონის ხაზზე გამავალი დიდი საეაჭრო გზა არაბების დროს ფაქტიურად უქმდება. საეაჭრო გზებმა არა მარტო გადაინაცვლა, არამედ მიმართულებაც იცვალა. ყველაფერ ამასთან ერთად, აღარ არსებობდა ის მრავალი ფაქტორი, რომელიც ამოძრავებდა ათასი წლის წინათ წარმოშობილ ქალაქს.

გაერთიანების ტენდენციის მქონე დაქუცმაცებული საქართველოს ცენტრად მაშინ, როდესაც თბილისი არაბებს ეკავათ, წელმოწყვეტილი ურბნისი ვერ გამოდგა; ეს როლი იქვე ოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე უფლისციხემ იკისრა. ურბნისი კი, როგორც ქალაქი, თანდათანობით ჰქრებოდა. უფრო გვიან XI—XII საუკუნეებში მის ახლოს ორი ქალაქი—გორი და ატენი წარმოიშვა. ურბნისმა კი ცხოვრება გააგრძელა, როგორც საეპისკოპოსო ცენტრმა.

## ЗОДЧЕСТВО ГОРОДИЩА УРБНИСИ

### Резюме

Раскопки городища Урбниси были начаты еще в 1953 году и включают 12 компаний. За это время разными специалистами комплексно изучались вопросы касающиеся как возникновения города, так и долгой жизни, причин гибели и многих с ним связанных проблем.

Город Урбниси упоминается в летописях первый раз с событиями конца IV в. до н. э. и всегда находится в списке первых городов Грузии[1]. О трагической гибели города сообщает историк Вахушти Багратиони. По его сведению, город погиб в конце 30-ых годов VIII века при нашествии арабского полководца Мервана. После этого события город сразу не мог исчезнуть, но в связи с другими явлениями, как политического, так и экономического характера, город постепенно теряет свой приоритет и уступает место другим, близлежащим старым, или новым городам.

На месте древнего города Урбниси продолжает существование эпископская кафедра и небольшое село.

### Система укрепления города

Город был расположен на левом берегу р. Куры. С этой стороны берег реки крутой на высоте 25 метров. Территория города сравнительно ровная, с небольшим уклоном в сторону ущелья (рис. 1, табл. I—IV).

При начале раскопок вокруг города виден был проходящий вал и громадный ров. В начале нельзя было точно выяснить их назначение и роль, но земля постепенно выдавала «тайну».

Валом окруженная территория города равнялась 23 гектарам. Большая часть этой площади была занята деревней и веками все было перевернуто. Но в нетронутых местах результаты были значительные.

а) **Цитадель.** До начала раскопок хорошо выделялся небольшой холм, расположенный на центральной линии на окраине, над Курой, который называется «Хизанаант гора». Раскопки выявили, что здесь че-

[1] «Мокцевай Картлисай», изд. Е. Такайшвили, Описание рукописей, т. II, стр. 708; Леонти Мровели, Картлис Цховреба, т. I, стр. 10, 17.

тыре основных хронологических слоя. Верхние два слоя раннефеодального периода, третий слой — античного периода, а четвертый — раннебронзовой эпохи.

Как видно, это место среди ущелья Куры с раннего времени было заселено. А во время существования города на холме находилась цитадель. Отсюда можно было вести наблюдение на расстоянии 10—15 километров по обе стороны ущелья (табл. V).

После расчистки верхнего слоя выявилось, что здесь стоял башнеобразный дом из пяти или шести помещений (рис. 2—3). Помещение были расположены в одном ряду. Башня лицом была обращена к реке. Здание настолько разрушено, что не везде остались окна и двери. Видно, что в комнатах входы были устроены с южной стороны, а окна — с северной и южной стороны.Толстые стены башни были выведены из сырцовых кирпичей, а перекрытие было плоское (табл. VI—VII$_1$).

Дату построения этого здания узнаем с помощью тех монет, которые были найдены в толще одной стены. По этим монетам здание было возведено в середине или во второй половине VI века.

Это здание было окружено оградой, чем цитадель выделялась от города.

После снятия этого сырцового здания, под северной стеной был обнаружен фрагмент стены. Эта мощная каменная стена, вероятно, часть раннее здесь стоящей цитадели. Если учтем форму горы и восстановим план ограды цитадели получим овальное очертание. Возможно, что внутри этой ограды стояло какое-то здание (рис. 2, 4, Табл. VII$_2$, VIII$_1$).

По верхним и нижним археологическим слоям и по остаткам ограды ее можно датировать IV—V вв.

После удаления этой ограды обнаруженный третий хронологический слой резко отличается от верхних слоев. Как видно, все что было здесь погибло от сильного пожара. Насколько можно судить по небольшим остаткам, здесь было нечто грандиозное (рис. 5—8; табл. VIII$_2$—X).

К центру холма с востока направлялась по ширине трех метровая лестница. До нас дошли 18 ступеней, но судя по склону было около сорока. С южной стороны лестницу граничила стена шириной около трех метров, а с северной стороны было устроено вроде пандуса. Вся эта площадь покрыта обгоревшими черепицами. Верх холма был срезан последующими строителями и поэтому нельзя понять, что там стояло. Возможно, здесь стоял дворец, но не исключено, что там возвышался языческий храм. К сожалению, остатки не дают более определенного ответа.

Датировать описанный комплекс можно археологическими материалами IV—III вв. до н. в.

Под этим слоем находящийся четвертый и последний слой принадлежит раннебронзовой эпохе. Оригинальные жилища и богатый археологический материал можно датировать серединой III тысячелетия.

б) **Ограда города раннефеодального периода.** Раскопки выявили весьма интересную систему укрепления города. Город был окружен сырцовыми стенами. Стороны были решены соответственно рельефу. Со стороны Куры отвесный берег, высотой в среднем 25 метров, делал город труднодоступным, поэтому на этой линии проходила только широкая стена. Другие ровные стороны города нуждались в более надежном укреплении и поэтому были сооружены сырцовые стены шириной 4,5 м усиленные башнями. Общий периметр ограды города около 2 клм.

От этого укрепления осталась западная часть длиной более 300 метров, где были расположены шесть башен. Между центрами башен в среднем 65 м. (табл. I—IV, XI$_1$).

Башни, кроме угловой, одного типа. Все они полукругом выступают снаружи, а со стороны города заподлицом со стеной. Крепостная стена и башни построены вместе с цитаделью в середине или во второй половине VI в. Они из строя вышли все вместе вследствие вражеского нашествия и пожара.

Юго-западная массивная башня состоит из шести помещений. После входа находится длинное помещение, которое играло роль вестибюля. Отсюда можно было попасть прямо в зал, справа — в небольшую комнату, а слева — через лестницу на террасу (рис. 9—13, табл. $XI_2$—$XIV_2$).

Зал башни больших размеров. В конце зала находится глубокая ниша на всю ширину. Вероятно, это был приемный зал для начальника гарнизона, или т. п. Направо от зала находится небольшая комната, а налево—две комнаты. Одна из них может быть предназначалась для отдыха, для спальни. Все комнаты были хорошо оштукатурены.

Комнаты башни освещались высоко устроенными окнами. Они снаружи высокие и узкие,а изнутри — расширяются.

Другие башни, как отметили, одного типа. В наружный полукруг вписаны два помещения, которые между собой связаны дверью. Вход со двора всегда устроен в левом помещении. Напротив входа, как правило, во всех башнях стоят тондиры. Тут же налево начинается лестница, которая ведет на террасу (рис. 14—23; табл. XV—XVII).

Помещения этих башен освещаются окнами по одному обращенными в сторону города. В наружных стенах башен, на одном горизонте расположены по 3—4 амбразур. Они четырехугольные небольших размеров и постепенно суживаются снаружи. Амбразуры предназначались для ведения наблюдений и поэтому они расположены радиально. Ввиду такого решения вокруг города не оставалась ни одна точка без надзора. В некоторых местах перед амбразурами находятся возвышенности, на которых, вероятно, отдыхали караулы.

В толще стены башни проходящая лестница ведет на боевую террасу. Отсюда вели оборону города. Сюда же поднимали горячую воду, которую кипятили в тондире устроенном в начале лестницы.

Крепостная стена города между башнями толщиной около 5 метров, но высота их не устанавливается. Оставшиеся стены высотой местами 3,5—4 м, но, вероятно, в начале были не менее 5 метров. При этом надо предполагать, что башни возвышались еще на метр если не на больше.

Стены крепости глухие и башни тоже с внутренней стороны не имеют оборонных отверстий. Оборона города происходила с террас башен и с боевого хода.

Боевой ход и террасы башен как были конкретно решены не устанавливается, но должны думать, что стены заканчивались зубцами. Линия зубца шириной не превышала одного метра и для боевого хода оставалось еще около четырех метров. Защитники города отбивались с тех отверстий, которые оставались между зубцами (рис. 29—32).

Вся система защиты города была возведена из сырцовых кирпичей. Кирпичи квадратной формы, но имеются и полу-кирпичи (табл. $XIV_2$—$XV_1$). Стороны квадрата в основном 47—48 сантиметров, а толщина — 10 см. Для защиты от дождя стены с обеих сторон были оштукатурены толстым слоем глины. Сверху стены, возможно, имели деревянное перекрытие. Но больше всего надо ожидать, что там была утрамбованная земля с защитным слоем глины.

Ворота города не сохранились, но можно предполагать, что главные ворота находились со стороны Куры в западной части, где и сейчас поднимается дорога. В конце этой дороги находятся развалины древне-

го моста. Вторые ворота, вероятно, находились в центральной части северной стены. Приблизительно там-же проходит и нынешняя дорога. Если первые ворота город соединяли с главным магистралем страны, вторые ворота связывали город с близлежащими селами и другими второстепенными дорогами.

Раскопки выяснили, что город со своей крепостью был сожжен, но именно когда это произошло не выясняется. Здесь можно использовать сообщение историка Вахушти Багратиони. По его словам, Урбниси как город существовал до нашествия арабского полководца Мервана. По другим источникам знаем, что этот полководец разграбил, разрушил и сжег города Грузии в 736—738 гг. Вероятнее всего, тогда же был сожжен и город Урбниси.

**в) Вал и ров.** После разрушения пожаром города и городской стены археологический материал указывает, что город продолжал существовать. В таком случае они должны были восстановить ограду, или построить новую. Сырцовые стены настолько сильно были повреждены, что, как видно, трудно было их восстановить. При этом, возможно, что владетели города уже не надеялись на защиту этой системы. Из-за этих и, вероятно, и других причин было решено изменить систему защиты города; вместо стены применили систему рва и вала.

Параллельно сырцовой стены был вырыт ров глубиной 8—10 м и шириной 30—40 м. Оттуда доставленной землей были засыпаны разрушенные стены и башни. Таким образом, получился вал с концентрично идущим рвом (рис. 33, 34). На протяжении столетий и эта система была выведена из строя. По оставшимся фрагментам можно установить, что ров имел почти вертикальные стены, а высота вала в среднем равнялась 7—8 м.

До засыпки землей, башни были законсервированы. Как видно, новые строители не хотели подвергать себя опасности и поэтому застроили все проемы башен, заполнили землей и поверхность сравняли несколькими слоями сырцовой кладки. Эта новая конструкция сверху была покрыта очень крепким глиняным раствором. Толщина раствора достигала 60 см. Таким способом сырцовую башню превратили в единую массу. Такие предосторожности приняли строители вала для того, чтобы после засыпки почва не разошлась. После всего этого стены с башнями целиком были покрыты землей.

Вокруг города проходящий ров на первый взгляд оставляет такое впечатление, что там должна была стоять вода. Но тщательное изучение рва и с ним связанные вопросы показали, что ров не наполнялся водой.

**г) Ограда античного периода.** Город Урбниси, как все города античного периода, должен иметь ограду. Фрагмент такой ограды был найден в западной части города, на XXXVI участке. Ниже сырцовой стены находится остаток древней ограды. Ограда построена из булыжника на глине. Ширина этой стены около четырех метров, а высота местами до 130 см. Первоначальная высота не устанавливается. Со стороны города стена имеет небольшой уклон, а снаружи — вертикальная (рис. 35, 36; табл. XXII$_2$).

Оставшаяся стена длиной около сорока метров. Если проследить за направлением линии ограды, то можно заметить, что она захватила меньшую территорию, чем сырцовая ограда раннефеодального периода.

Античную ограду трудно точно датировать, но по археологическим данным можно отнести к первому веку до нашей эры, или к первому веку нашей эры.

## Здания жилого и хозяйственного назначения

После разрушения города Урбниси за тысячелетие были уничтожены даже те остатки, которые уцелели от пожара. Почти ничего не осталось в той части городища, где находилось село. Более или менее в лучшей сохранности западная часть городища. Но там тоже, несмотря на раскопанную большую территорию, все-таки не устанавливаются ни кварталы города и ни улицы. Это вызвано не только разрушением города, но и наслоением разновременных строений. В этом участке города на друг друга лежали 3—4 слоя. Как видно, район города был отведен для ремесленников и вообще не предназначался для высших слоев общества. Капитальных зданий из камня здесь нет. Все здания были сырцовые на каменном основании. Для прочности стены имели фундаменты из булыжника.

I раскоп расположен вне города в западной части, на высоком берегу Куры. Раскопки обнаружили несколько слоя. Основной слой представлял здание из четырех или пяти комнат. Внутр комнат найденные предметы указывают на эллинистическую эпоху. Позже с IV—V веков н. э. это место превратили в кладбище.

XX раскоп оказался более сложным. Сюда входит третья башня городской ограды, баня и другие здания. В данный момент мы касаемся здания, расположенного к юго-востоку от бани. Оно было разрушено от сильного пожара. Остатки сырцовых стен в некоторых местах достигают высотой 10—15 сантиметров. Стены с внутренней стороны были оштукатурены.

Здание состояло из четырех комнат (рис. 37; табл XXV$_1$). По обгоревшим предметам первая комната была кухней. Вторая комната была полна обломками керамической посуды. Как видно, она служила кладовой. На той же линии находилось небольшое помещение, где посередине стоял только тондыр. Четвертая комната больше других. Она, вероятно, служила спальней.

К северо-западу от него стоящее длинное здание возможно служило хозяйственным помещением. Кроме этого, на развалинах находящийся винный погреб (марани), где находилось больше сорока квеври (винный кувшин), думаем, принадлежал тому же жильцу. Тут-же рядом находился амбар с пшеницей. Они сгорели вместе.

Раскоп XXXIX-I расположенный в северо-западной части около ограды, не богат материалом, но интересен тем, что найдены две базы колонн. Они по-видимому, когда-то принадлежали большому капитальному зданию. Базы прямых аналогий не имеют, но в общем их можно датировать начальными веками раннефеодальной эпохи (рис. 38; табл. XXVII$_1$).

